ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სოციალური ექსკლუზიის (გარიყვის) კვლევა

ანალიტიკური ანგარიში

შენიშვნა: კვლევა ჩატარდა „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) მხარდაჭერით. ანალიტიკური ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის შეხედულებებს.

თბილისი

2022

შინაარსი

შესავალი 5

მეთოდოლოგია 5

თვისებრივი კვლევა.....6

რაოდენობრივი კვლევა.....6

სამაგიდე კვლევა 8

ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების შესახებ..... 8

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები.....9

ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე ხელმისაწვდომობა..... 15

ეთნიკური უმცირესობების დასაქმების შესაძლებლობა..... 26

ეთნიკური უმცირესობების კულტურული ექსკლუზია..... 30

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა..... 33

მედიის როლი და ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა..... 45

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები 49

რაოდენობრივი კვლევის დეტალური ანგარიში 60

თავი 1. ქართული ენის ცოდნის ინდექსი 60

ოჯახების ეკონომიკური სტატუსი 61

თავი 2. სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი 63

ეთნიკური იდენტობა.....65

ოჯახის ზომა.....66

დასაქმების მდგომარეობა.....67

ქართული ენის ცოდნის დონე და დასაქმების სტატუსი.....71

თავი 3. ქართული ენის ცოდნა 74

ქართული ენის ცოდნის დონე სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით..... 74

რესპონდენტთა სქესი და ქართული ენის ცოდნის ხარისხი.....76

რესპონდენტთა ასაკი და ქართული ქართული ენის ცოდნის ხარისხი.....76

თავი 4. საბინაო პირობები 79

მიმართება საცხოვრებელ ბინასთან/სახლთან.....79

ძირითადი პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა ბინასთან (სახლთან) მიმართებით..... 79

თავი 5. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა 80

ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო.....80

ურბანული/რულარული სივრცე და რესპონდენტთა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა... 83

თავი 6. განათლება 89

ბაღის ასაკის ბავშვ(ებ)ის განათლება..... 89

სკოლის ასაკის ბავშვ(ებ)ის განათლება.....91

პროფესიული განათლება.....94

უმაღლესი განათლება..... 94

ქართული ენაზე(ც) განათლების მიღების საჭიროება ბავშვებში.....97

რამდენად თანაბარ პირობებში იმყოფებიან ქართველები და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები საგანმანათლებლო დაწესებულებებში?.....98

რაში გამოიხატება ქართველებსა და ეროვნულ უმცირესობებს შორის არათანაბარი პირობები საგანმანათლებლო დაწესებულებებში?.....99

სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის ცნობადობა, სერვისებით სარგებლობა, კმაყოფილება..... 101

სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულების ხელმისაწვდომობა.....103

თავი 7. ჯანდაცვა 105

ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა..... 105

სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის გამოცდილება..... 107

სამედიცინო ხარჯები..... 111

სხვადასხვა ფაქტორის გავლენა სამედიცინო მომსახურების მიღებაზე..... 114

დაზღვევით სარგებლობა.....116

თავი 8. მიგრაცია 119

თავი 9. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები 122

ინფრასტრუქტურული ცვლილებები.....122

მიკრო საფინანსო ორგანიზაციები..... 126

ეთნიკური ჯგუფების ჩართულობა სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში.....128

პროგრამებით/პროექტებით სარგებლობა..... 131

თავი 10. სოციალური დაცვა 133

გამოცდილება უმწეოთა ბაზასთან მიმართებით.....133

სოფლის დახმარების პროგრამა.....136

თავი 11. ეთნიკური უმცირესობების უფლებები და ინტერაქციები 138

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა..... 138

ეთნიკურად ქართველებსა და არაქართველებს შორის ურთიერთობა..... 139

თავი 12. მასმედია 144

ინფორმაციის მიღების ენა..... 144

ინფორმაციის წყაროები..... 148

მედია საშუალებების ნდობა.....150
თავი 13. ადგილობრივი თვითმმართველობა 152
ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მიმართვის გამოცდილება.....152
ადგილობრივი თვითმმართველობის ღონისძიებებში მონაწილეობა.....153
ადგილობრივი ორგანოების შესახებ ინფორმირებულობა.....156
თავი 14. სახელმწიფო სტრუქტურები და საზოგადოებრივი პოლიტიკა 159
ეთნიკური ჯგუფის წინაშე არსებული პრობლემები.....160
პრობლემის მოგვარებისათვის აქტივობა.....161
ნდობა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ.....162
თავი 15. COVID-19 ვაქცინაციის შესახებ ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა 164
ვაქცინაციაზე რეგისტრაციის შესახებ ინფორმირებულობა.....164
ვაქცინაციასთან დაკავშირებული გეგმები.....168
ვაქცინაციის აუცილებლობა.....168
ბიბლიოგრაფია 170

შესავალი

არსებული კვლევების მიხედვით, საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, რამდენადაც, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, მათი დასაქმების მხრივ დამაბრკოლებელი ბარიერები არსებობს. 2014 წელს სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარიატის ოფისის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის თანახმად, ენობრივი ბარიერი და ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციისადმი შეზღუდული წვდომა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ადგილობრივ მეწარმეებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს. არსებულ მდგომარეობას ადასტურებს 2017 წელს გამოცემული პოლიტიკის ნარკვევების კრებულიც, რომელშიც განხილულია თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შეხედულებები. დასტურდება, რომ მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რთულია, რის გამოც ხშირად ქვეყნის დატოვებაც უწევთ. არსებული რეალობა კი, მათ სოციალურ გარიყვას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2019 წელს ჩატარებულმა კვლევამ („ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკური მონაწილეობის კვლევა“) აჩვენა, თუ რა დაბალია ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური აქტივიზმის ხარისხი. რესპონდენტთა გამოკვეთილ უმრავლესობას ბოლო ორი წლის განმავლობაში პოლიტიკური ჩართულობის არც ერთი შემდეგი მეთოდი არ გამოუყენებია: ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მიმართვა, მედია საშუალებების გამოყენებით პრობლემებზე საჯარო საუბარი, კოლექტიური ხელმოწერების შეგროვება, საპროტესტო აქციებში მონაწილეობა და სხვა. საგულისხმოა, რომ ეთნიკური უმცირესობების ყოველი მესამე წარმომადგენელი პოლიტიკაში მონაწილეობას ელიტების (და არა „ჩვეულებრივი“ მოქალაქეების) საქმიანობად მიიჩნევს. ამასთან გამოკითხულთა მხოლოდ დაახლოებით მეოთხედი მიიჩნევს თავს პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქედ. დაბალი აქტივიზმის მიზეზებად სახელდება: პოლიტიკის მიმართ ინტერესის არქონა, ოჯახური დატვირთვა და ქართული ენის არასრულყოფილი ცოდნა. პროექტის სიახლე ისაა, რომ ექსკლუზიის სოციალური და ეკონომიკური შედეგების შემცირების გარდა, პროექტის მიზანია გარიყულობის საფუძვლად მდებარე პოლიტიკური და სოციალური მიზეზების ჩვენება და მათი გარდაქმნა.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სოციალური ექსკლუზიის (გარიყვის) თავისებურებების შესწავლა

მიზნის მისაღწევად, კვლევა ორიენტირებული იყო შეესრულებინა შემდეგი **ამოცანები:**

- სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების, სტატისტიკური, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზი;
- ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის წარმოჩენა;
- ეთნიკური უმცირესობების სოციალური გარიყულობისა და მოწყვლადობის გამომწვევი ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მიზეზების შესწავლა.

ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნა როგორც **თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი** კვლევის მეთოდები.

თვისებრივი კვლევა

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა პროექტის განხორციელება 2021 წლის ივლისის თვეში დაიწყო. პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე, ეთნიკური უმცირესობების სოციალური

ექსკლუზიის შესახებ მომზადდა **სამაგიდე კვლევის ანგარიში.** კერძოდ, გაანალიზდა ექსკლუზიის თემის ირგვლივ არსებული კვლევები, ანგარიშები, რეგულაციები, ოფიციალური დოკუმენტები და ა.შ.

2021 წლის აგვისტოს თვეში ჩატარდა **6 ფოკუს ჯგუფი** 4 სამიზნე რეგიონის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან. ფოკუს ჯგუფებისთვის შემუშავდა ინსტრუმენტები (გაიდლაინები). პირველ ეტაპზე ფოკუს ჯგუფების ამოცანა იყო ექსკლუზიის ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრა, რომლებიც გათვალისწინებული იქნა კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის) დიზაინის შემუშავებისას.

აგვისტოს თვეში 6 ფოკუს ჯგუფი დისტანციურად, ზუმის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთათვის შემუშავდა რეკრუტირების ფურცელი, რომლითაც განისაზღვრა ფოკუს ჯგუფში მოხვედრის წინაპირობები. რესპონდენტებს წინასწარ ეცნობათ კვლევის მიზნისა და მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.

რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობების 18 ან მეტი წლის წარმომადგენლებმა. შერჩევის დიზაინად განისაზღვრა მრავალსაფეხურიანი სტრატიფიცირებული (კლასტერული) შერჩევა, ხოლო ზომად **- 1510 რესპონდენტი.** კვლევის შედეგები რეპრეზენტატულია სამიზნე რეგიონების დონეზე, ასევე, გენდერული და ასაკობრივი ჭრილებისთვის. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში პირისპირ ინტერვიუ 4 სამიზნე რეგიონში ჩატარდა. ეს რეგიონებია სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, პანკისის ხეობა და კახეთის რეგიონის აზერბაიჯანული სოფლები. ცხრილში #ა იხილეთ ინტერვიუების რაოდენობა რეგიონების მიხედვით.

ცხრილი #ა

რეგიონი	**ინტერვიუების რაოდენობა**	**შერჩევის ცდომილება (95%-იანი სანდოობით)**
კახეთი	380	5%
პანკისი	370	5%
სამცხე-ჯავახეთი	379	5%
ქვემო ქართლი	381	5%
სულ	**1510**	**2.5%**

საველე სამუშაო

კვლევაში ჩართულ 29 ინტერვიუერს, საველე სამუშაოების დაწყებამდე, ორჯერ ჩაუტარდათ ტრენინგი კითხვარის და გამოკითხვის პროცედურების შესახებ. მათ შორის მიეწოდათ ინფორმაცია კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში ველზე მუშაობის წესების დაცვის აუცილებლობის შესახებ. ინტერვიუერებმა ჩაატარეს 10 საპილოტე გამოკითხვა, რომლის მიზანი კითხვარის ვალიდურობის შემოწმება და იმ ხარვეზების გამოვლენა იყო, რაც კითხვარის სამუშაო ვერსიას გააჩნდა. კითხვარის პილოტაჟის შემდეგ განხორციელდა კითხვარის ფორმატირება ODK პლატფორმისთვის. საველე სამუშაოები 3 ნოემბერს დაიწყო და თითქმის სამი კვირის განმავლობაში გაგრძელდა. კერძოდ, ინტერვიუერების მიერ ბოლო რესპონდენტები 22 ნოემბერს გამოიკითხა. საველე სამუშაოების

პარალელურად განხორციელდა ინტერვიუერების საქმიანობის მონიტორინგი. მონიტორინგისთვის სპეციალურად შემუშავდა მოკლე კითხვარი და შერჩეულმა 4-მა მონიტორმა სატელეფონო გამოკითხვის გზით გადაამოწმა ინტერვიუერების მიერ შესრულებული სამუშაო. კერძოდ, მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა ჩატარებული ინტერვიუების 10%, რაც შეადგენს 150 ინტერვიუს.

მონაცემთა დამუშავება

2021 წლის დეკემბრის თვეში მონაცემები დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის ფარგლებში. ამ პერიოდიდან დაიწყო ანალიტიკური ანგარიშის მომზადება, რომელიც 2022 წლის აპრილისთვის დასრულდა.

სამაგიდე კვლევა

ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების შესახებ

საქართველოში, „მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის“[1] მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები მთლიანი მოსახლეობის 13.2%-ს შეადგენს. მათ შორის დომინანტურ ჯგუფებს აზერბაიჯანელები (233 024, 6.3%) და სომხები (168 102, 4.5%) წარმოადგენენ. ეთნიკურად აზერბაიჯანელების უმრავლესობა (177 032, 76%) ქვემო ქართლშია დასახლებული, დაახლოებით 15% კი - კახეთში (32 354, 14%). რაც შეეხება სომხებს, მათი თითქმის ნახევარი (81 089, 48.2%) სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს, ხოლო 31.8% (53 409) თბილისის მაცხოვრებელია. ზემოაღნიშნული დომინანტური ჯგუფების გარდა, საქართველოს მულტიეთნიკურობას ისეთი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები ქმნიან, როგორებიცაა: რუსი, ოსი, იეზიდი, უკრაინელი, ქისტი, ბერძენი, ასირიელი, სხვა.

ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების დეტალური რაოდენობრივი გადანაწილება, რეგიონების მიხედვით, იხილეთ ცხრილში #ბ.

ცხრილი #ბ

რეგიონი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	ოსი	იეზიდი	უკრაინელი	ქისტი	ბერძენი	ასირიელი	სხვა
საქართველო	233.024	168.102	26.453	14.385	12.174	6.034	5.697	5.544	2.377	14.346
ქ. თბილისი	15.187	53.409	13.350	4.313	11.194	3.239	84	1.861	972	7.828
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	340	5.416	3.679	101	81	793	...	575	131	1.940
გურია	34	1.228	564	30	17	141	0	28	0	133
იმერეთი	106	709	1.384	143	...	398	0	109	125	614
კახეთი	32.354	2.191	1.921	2.526	504	202	5.581	158	...	1.806
მცხეთა-მთიანეთი	2.316	291	252	1.327	61	80	...	55	709	136
რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი	...	...	29	28	0	...	0	...	0	29
სამეგრელო-ზემო სვანეთი	64	143	1.173	46	...	312	0	55	36	264
სამცხე-ჯავახეთი	89	81.089	712	393	...	142	0	420	...	147
ქვემო ქართლი	177.032	21.500	2.631	810	305	510	25	2.113	362	968
შიდა ქართლი	5.501	2.072	758	4.668	...	208	...	163	34	481

წყარო: *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა*

[1] მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, http://census.ge/ge/results/census1

აღსანიშნავია, რომ უმცირესობების ჩართულობა ქვეყნის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ კულტურულ ცხოვრებაში დემოკრატიულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ბოლო პერიოდში საქართველოში აქტიურად ხორციელდება ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი დაცვის მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებები; აგრეთვე, მნიშვნელოვან როლს იძენს სამართლებრივი გარანტიების არსებობა, რომლებიც სწორედ მათ სოციალურ თუ პოლიტიკურ ჩართულობას შეუწყობს ხელს. მიუხედავად მსგავსი პრაქტიკისა, კვლავ გამოწვევად რჩება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობა, დასაქმების შესაძლებლობა, პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობა და ა.შ.

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია იმ ღირებულებებისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარებისთვის, რომლებსაც ამ ჯგუფის წარმომადგენლები იზიარებენ, რაც ცალსახად მშვიდობიანი საზოგადოების განვითარების წინაპირობაა. იმისთვის რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები იყვნენ დაცულნი და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა განხორციელდეს ეფექტურად, საჭიროა გამართული ინსტიტუციური მექანიზმები. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა გულისხმობს ისეთი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული საკითხების გათვალისწინებას, როგორიცაა მათი იდენტობის აღიარება, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა, მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლების უზრუნველყოფა, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, საჯარო ცხოვრებაში მათი მონაწილეობის გაძლიერება, უმცირესობების პრობლემების გათვალისწინება განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის პროცესებში, დასაქმების კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრა და სხვა.

ეთნიკური უმცირესობების დაცვა შემდეგ მიმართულებებს ეფუძნება:[2]

- ეროვნული უმცირესობების იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვა და ხელშეწყობა.
- სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით თანასწორი სარგებლობა.
- სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაძლიერება

ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ მიმართულებას მეტად მნიშვნელოვანი როლი აქვს უმცირესობების უფლებების დაცვისა და განხორციელებისთვის. ამიტომ, საჭიროა სამივე მიმართულებით თანაბარმნიშვნელოვანი მუშაობა.

საქართველოს კონსტიტუციაში ეროვნული უმცირესობების დაცვის, მათი უფლებებისა და თავისუფლებების, ვალდებულებების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია. ხსენებულ დოკუმენტში ეროვნული უმცირესობების საკითხი ზოგადი რეგულირების საგნად არის მიჩნეული და მხოლოდ 11-ე მუხლში, რომელიც თანასწორობის უფლებას გულისხმობს, ნახსენებია შემდეგი ფორმით: ***„ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.***

[2] **„ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა“** –სოციალური სამართლიანობის ცენტრი (2019) A5_GEO-RUS.indd (ewmi-prolog.org)

გარდა კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის უფლებისა, საქართველოს კანონის ***„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“*** პირველ მუხლში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო ვალდებულია აღმოფხვრას ყველა ფორმის დისკრიმინაცია, მათ შორის ეთნიკური ნიშნით წარმოქმნილი. აღსანიშნავია, რომ უფრო კონკრეტული ჩანაწერები ეთნიკური უმცირესობების დაცვასთან დაკავშირებით არც ამ კანონში გვხვდება, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს, ეროვნული უმცირესობების დაცვის თვალსაზრისით, არაერთი საერთაშორისო ვალდებულება აქვს აღებული და საერთაშორისო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით მოქმედებს.

ერთ-ერთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც კონკრეტულ რეგულირებას აწესებს და მეტ პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს ამ ჯგუფების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, არის ევროპის საბჭოს ეთნიკური უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია.

საქართველო „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“[3] ევროპული ჩარჩო-კონვენციის ხელმომწერი ქვეყანა 2005 წელს გახდა. ეს არის ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების ფართო სპექტრს და ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, საჯარო ცხოვრების სხვადასხვა სფერო, ინდივიდუალური და კოლექტიური თავისუფლება/უფლებები, მედიასთან, ენასთან და განათლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. ჩარჩო-კონვენციის მთავარი პრინციპი მდგომარეობს სახელმწიფოში მყოფი ეროვნული უმცირესობების უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვაში.

„ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვის შემადგენელ ნაწილს და როგორც ასეთი, არის საერთაშორისო თანამშრომლობის სფერო.“[4]

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ჩარჩო-კონვენციის თანახმად, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ნებისმიერ პირს აქვს უფლება აირჩიოს, მოეპყრან მას როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს თუ არა. ასევე, აღნიშნულია, რომ მათ მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის განხორციელება დაუშვებელია. საქართველოს, როგორც ჩარჩო-კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში, გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა ქვეყანაში მყოფი, როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის, ასევე, უმრავლესობისთვის შექმნას თანასწორი გარემო სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და ეროვნული უმცირესობების საჭიროებების შესაბამისი პოლიტიკის შესაქმნელად სახელმწიფომ უნდა მიიღოს ადეკვატური ზომები.

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციის“ II ნაწილის 5-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეთნიკური უმცირესობების ზოგადი ინტეგრაციული პოლიტიკის განხორციელების პროცესში, მიუღებელია ისეთი ნაბიჯების გადადგმა, ***„რომლებიც მიზნად ისახავს ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ***

[3] **„ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“** (სტრასბურგი, 01.02.1995), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0

[4] **„ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“** (სტრასბურგი, 01.02.1995), (ნაწილი I, მუხლი 1) საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0

და უნდა დაიცვან ეს პირები ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარ ასიმილაციას".

სახელმწიფო ვალდებულია:

- დაიცვას ის პირები, რომლებიც შეიძლება გახდნენ მუქარის ან დისკრიმინაციის, მტრული დამოკიდებულების ან ძალადობის ობიექტი მათი ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილების გამო.
- უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობების წევრებისთვის მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, აზრის გამოხატვის და რელიგიის თავისუფლება.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ უფლება, რომ მიმღები ქვეყნის წარმომადგენლებთან, როგორც ზეპირი, ასევე, წერითი კომუნიკაციისთვის გამოიყენონ საკუთარი მშობლიური ენა. გარდა ზემოთქმულისა, სახელმწიფო ვალდებულია, უმცირესობებს მათთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია ***„დაპატიმრების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ არსებულ ყველა ბრალდების ხასიათისა და მიზეზის შესახებ და დაიცვას თავი ამ ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმნის უფასო დახმარებით."***

რაც შეეხება განათლების საკითხს, ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში სახელმწიფო ვალდებულია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უზრუნველყოს ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობით. გარდა ამისა, საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ" წერია, რომ ***„სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება."***[5] ამასთან, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ უფლება შექმნან და წარმართონ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების კერძო დაწესებულებები.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას საქართველო ითვალისწინებს **„ჰააგის რეკომენდაციებს ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით"[6].** დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ასეთ პირებს უნდა შეეძლოთ, როგორც მშობლიური ენის გამოყენების, ასევე, სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე შესწავლა, რათა შეძლონ საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაცია. ასევე, ნათქვამია, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპები.

უმცირესობათა განათლების უფლებებთან მიმართებით, სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენების საფუძველზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შეუქმნას გარემო, სადაც მშობლიურ ენაზე შეძლებენ განათლების მიღებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. ამიტომ, რეკომენდაციების თანახმად, სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა შექმნან ეს შესაძლებლობა. გარდა ამისა, ***„იდეალურ შემთხვევაში დაწყებით სკოლებში სასწავლო პროგრამა უმცირესობის ენაზე უნდა ისწავლებოდეს. უმცირესობის ენა რეგულარულად უნდა ისწავლებოდეს, როგორც ერთ-ერთი***

[5] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" (მუხლი 13, პუნქტი 7) https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90

[6] „ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით" 1996 წ. https://www.osce.org/files/f/documents/1/3/32185.pdf

საგანი.“[7] ამასთან, ნათქვამია რომ სახელმწიფო ენის რეგულარული სწავლებაც მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. საშუალო სკოლებში სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილის სწავლებაც უმცირესობის ენაზე უნდა მიმდინარეობდეს. აქვე, ხაზგასმულია, რომ დაწყებითი და საშუალო განათლების უმცირესობების ენაზე უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლების არსებობაზე. რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სწავლების ენას, დოკუმენტში ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები გამოთქვამენ სურვილს, რომ სწავლება მიმდინარეობდეს მათ მშობლიურ ენაზე ან ამის საჭიროება დგება, მათი რიცხოვნობიდან გამომდინარე, ეს უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

პოლიტიკის დოკუმენტში - *„ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის“* - ნათქვამია, რომ არაქართულენოვანი სკოლები ძირითადად იმ რეგიონებშია, სადაც ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური დასახლებებია. ეს რეგიონებია: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი. ამ სამი რეგიონის არაქართულენოვან სკოლებში მთლიანობაში 6830 მასწავლებელია დასაქმებული. პოლიტიკის დოკუმენტში ხაზგასმულია ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების მასწავლებელთა სერტიფიცირებას ეხება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სერტიფიცირების დებულებაში განსაზღვრულია მოთხოვნა, სასერტიფიკატო გამოცდის მშობლიურ ენაზე ჩატარების შესახებ, ეს მოთხოვნა არ სრულდებოდა. ეს კი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მასწავლებელთა ამ სეგმენტის პროფესიული განვითარების თვალსაზრისით და ამავდროულად, აღნიშნულია, რომ მასწავლებლები თავს დისკრიმინირებულად მიიჩნევენ. გარდა აღნიშნულისა, პოლიტიკის დოკუმენტში ნათქვამია, რომ არაქართულენოვანი მასწავლებლები რიგ პრობლემებს აწყდებიან „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამაში“ მონაწილეობის თვალსაზრისით. კერძოდ, ***„პროფესიული განვითარების პროგრამები ხელმისაწვდომი არ არის არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისთვის, რადგან, როგორც კერძო პროვაიდერები, ისე მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგები ტარდება სახელმწიფო ენაზე.“***[8]

გარდა ზემოთ ხსენებული საკითხებისა, არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა საკადრო პრობლემა იჩენს თავს რამდენიმე მიმართულებით: 1. მასწავლებელთა „დაბერების“ პრობლემა; 2. სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით მასწავლებელთა დეფიციტი და ასაკი; 3. ქართული ენის მასწავლებელთა პრობლემა; 4. კონკურენციის არარსებობა მასწავლებლებს შორის.

საქართველოს მთავრობამ ეროვნული უმცირესობების საკითხების მიმართულებით შეიმუშავა 5 წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა[9] (2015-2020), რომელიც მიზნად ისახავდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფას. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, უნდა შეეძლოთ საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, დემოკრატიული განვითარების პროცესში და პოლიტიკურ და

---

[7] „ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით“ 1996 წ. https://www.osce.org/files/f/documents/1/3/32185.pdf

[8] „ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის“ - პოლიტიკის დოკუმენტი, 2015 წ. https://cciir.ge/images/pdf/axali%20dokumenti.pdf

[9] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა. 2015. esge_402dd469.pdf (smr.gov.ge)

საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გარდა ამისა, სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ეს უკანასკნელი სამ ძირითად სფეროს აერთიანებს. ესენია:

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უნდა გააჩნდეთ ხმის მიცემის და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობები.
- საარჩევნო პარტიულ სიებსა და პოლიტიკურ პარტიებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა უნდა იყოს წახალისებული.
- საჯარო სამსახურებში დასაქმებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების წილის გაზრდა.

სტრატეგიაში გათვალისწინებულია ის საკითხები, რომლებიც მოცემულია სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებასა და დოკუმენტში. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ***„სტრატეგია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს ხელმოწერილ ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დემოკრატიული რეფორმების გატარება, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და ინტეგრაციის გზით. სტრატეგია მთლიანად ეფუძნება მიდგომას, რომელიც გულისხმობს ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო თანასწორობისა და მრავალფეროვნების მართვის უზრუნველყოფას.***“[10]

სტრატეგია მიზნად ისახავს საზოგადოების ნებისმიერი წევრის კულტურული ღირებულებებისა და იდენტობის დაცვას. სახელმწიფო პოლიტიკის საბოლოო მიზნად დასახული იყო ეთნიკური უმცირესობების სათანადო ჩართულობის ხელშეწყობა ისეთ სისტემებში, როგორიცაა პოლიტიკური ინსტიტუტები, საჯარო სამსახურები, სამოქალაქო საზოგადოება, ეკონომიკა, კერძო სექტორი, განათლების სფერო. მთავარ სტრატეგიულ მიზნებს კი წარმოადგენდა: ეთნიკური უმცირესობების თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; მათთვის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებული სახელმწიფო ენის ცოდნა; ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა. სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, ასევე, წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უფლებების დაცვა, მათი საჭიროებების გამოვლენა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის და ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

5 წლიანი სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგად გამოვლენილ პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა „1+4 პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც გასული 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა არაქართულენოვანი მონაწილეების რაოდენობა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ***„ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი უფრო მეტი ახალგაზრდა იღებს უმაღლეს განათლებას, ამავდროულად გვაქვს დასაქმების მხარდამჭერი სტაჟირების პროგრამები, ჩვენ ვასწავლით მათ ქართულ ენას და შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლის განმავლობაში 3000-ზე მეტი ადამიანი სწავლობს სახელმწიფო ენას. მაგრამ ამავდროულად არის ძალიან ბევრი გამოწვევა. სწორედ იმიტომ, რომ გამოწვევები რომელიც დარჩა სახელმწიფო ენის ფლობის, ახალგაზრდების პროცესებში ჩართულობის და მონაწილეობის თვალსაზრისით,- ეს კვლავ გამოწვევად რჩება და ჩვენ გვინდა, რომ ახალი სტრატეგიის***

[10] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა. 2015. esge_402dd469.pdf (smr.gov.ge)

ფარგლებში განვსაზღვროთ ისეთი პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, რომელიც ხელს შეუწყობს ამ პროცესების დინამიურობას.“[11]

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ენის შესწავლის შესაძლებლობის მხრივ აღსანიშნავია ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, რომელიც 2005 წელს დაარსდა. სკოლის მიზნები და ამოცანები შემდეგია:

- საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის დაძლევა;
- საქართველოს მაღალმთიან და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონის ამაღლება;
- საქართველოს მაღალმთიან და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა სახელმწიფო ენის ფლობის და მოქალაქეობრივი განათლების დონის გაზრდა;
- საჯარო სამსახურის პოპულარიზაცია.

სკოლაში სწავლება ხორციელდება შემდეგი პროგრამების ფარგლებში: „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამა“ და „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამა“.[12]

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის არსებობს არაერთი წინაღობა, რომელიც ხელს უშლის მათ პარტიულ პოლიტიკაში მონაწილეობაში. აქვე, უნდა ითქვას ისიც, რომ პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ არანაირი ხელშემწყობი მექანიზმი იმისთვის, რომ გაზარდონ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობა. **„საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური ასოციაციების შესახებ, რომელიც არეგულირებს პარტიულ პოლიტიკას, ფინანსებს და სხვა საკითხებს, არ შეიცავს არანაირ მექანიზმს, რომელიც წაახალისებდა პოლიტიკურ პარტიებს რომ მოეხდინათ ეთნიკური უმცირესობების რეკრუტირება. თუმცა კანონი შეიცავს ორ მნიშვნელოვან პუნქტს, რომელთაგან პირველი კრძალავს პოლიტიკური პარტიების მიერ ეთნიკური შუღლის გაღვივებასა და ძალადობისკენ მოწოდებას, ხოლო მეორე - პარტიების მიერ წევრობის შეზღუდვას რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით.“**[13]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პრობლემებზე და საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციის საკითხზე. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა 2020 წლის დეკემბერში ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით მრავალფეროვან რამდენიმე მუნიციპალიტეტს თვითმმართველობის ბიუჯეტის მიღების პროცესში პრიორიტეტული რეკომენდაციებითა და საბიუჯეტო ინიციატივებით მიმართა. ამ მუნიციპალიტეტებს წარმოადგენდა: ხულო, შუახევი, ქედა, ბოლნისი, მარნეული, წალკა და ახმეტა. ეს ინიციატივები ხსენებულ

[11] „2021-2024 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება“ (2020 წ.) HTTPS://SMR.GOV.GE/GE/NEWS/READ/1880/

[12] სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, http://www.zspa.ge/geo/page/15

[13] „კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები“ (2018 წ.) Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf (csem.ge)

მუნიციპალიტეტებში უფრო ინკლუზიური, სამართლიანი და სოციალურად მგრძნობიარე პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნას ისახავდა მიზნად. **სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ წარდგენილი რეკომენდაციები სამ ძირითად კატეგორიად შეიძლება დიფერენცირდეს: 1.ინკლუზიაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული მდგრადი სოციალური პოლიტიკის მშენებლობის ხელშეწყობა; 2. მოქალაქეების პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერაზე მიმართული ინიციატივები; 3. მუნიციპალიტეტებში მულტიკულტურული და თანასწორი სოციალური გარემოს შექმნის ხელშეწყობა.**[14]

ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე ხელმისაწვდომობა

საქართველოში განათლება ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ქართულენოვან სკოლებში, არამედ სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში. საქართველოში ფუნქციონირებს 200-ზე მეტი არაქართული სკოლა, სადაც ქართული ისწავლება როგორც მეორე ენა. ამ სკოლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეთა 80% სწავლობს.[15]

2017-2018 სასწავლო წლის მიხედვით, არაქართულენოვანი სკოლები მოიცავს საჯარო სკოლების 10%-ს (ჯამში 208 სკოლა საქართველოში) და ფუნქციონირებს 83 არაქართული სექტორი (80 სკოლა აზერბაიჯანული, 117 სომხური და 11 რუსული).[16] საქართველოში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 10% (51737) არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეა. მათგან ნახევარი აზერბაიჯანულენოვანია (49.2%), 25% და 25.8% სომხური და რუსულენოვანი სტუდენტები არიან. რაც შეეხება არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს, დასაქმებულია 6818 მასწავლებელი და მათი უმეტესობა აზერბაიჯანულენოვანია (43%), 37.8% სომხურენოვანი და 19.2% რუსულენოვანი. [17]

ანგარიშის თანახმად, „ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები“, 2005 წლიდან დღემდე, ზოგადი და უმაღლესი განათლების სისტემაში რჩება მრავალი გამოწვევა, მათ შორის სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პერსონალის ნაკლებობა, ასევე სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო რესურსების შექმნისა და თარგმნის საკითხი. არაქართულენოვან სკოლებში ძალიან ხშირია ის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეები ტოვებენ სკოლას და ვერ აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

ამავე ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2005 წლიდან დღემდე შემუშავებულია სამი ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების საფეხურებისათვის, თუმცა არცერთი მათგანი არ არის სრულად დანერგილი არაქართულენოვან სკოლებში. ყოველ ჯერზე წარმოიშვა შესაბამისი სახელმძღვანელოების და რესურსების თარგმნის პრობლემა სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ

---

[14] „EMC 7 მუნიციპალიტეტს საბიუჯეტო რეკომენდაციებით და ინიციატივებით მიმართა“ (2019 წ.) EMC 7 მუნიციპალიტეტს საბიუჯეტო რეკომენდაციებით და ინიციატივებით მიმართა - სოციალური სამართლიანობის ცენტრი (socialjustice.org.ge)

[15] ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი (EMC), 2020 https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-mimart-ganatlebis-politikis-sistemuri-gamotsvevebi

[16] 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე“, სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR), 2018 https://www.cciir.ge/images/Research-cciir-2018-14.pdf

[17] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები 2017-2018, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული ტოლერანტობის ცენტრი https://www.ombudsman.ge/res/docs/2020092518514921894.pdf

ენებზე. დღესაც არაქართულენოვან სკოლებში საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებული სახელმძღვანელოები არ შეესაბამება ქვეყნის 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ანგარიშის თანახმად, ამ ეტაპზე სწავლებისას გამოყენებული ქართული ენიდან თარგმნილი სახელმძღვანელოები უხარისხოა. ე.წ. „ორენოვან სახელმძღვანელოებში“ ქართული ენის მასალის 30% მასწავლებლების დაბალი კომპეტენციის გამო მოსწავლეთა უმეტესობის გაგების მიღმაა, რაც უარყოფითად აისახება სწავლის შედეგებზე. აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სახელმძღვანელოები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში უკვე წლებია იმპორტირებულია მეზობელი ქვეყნებიდან. ისინი არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სტანდარტებს, რომლებიც მოქმედებს ქვეყანაში. ეს საკითხი განათლების სისტემის გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი განათლების სახელმძღვანელოები დიდწილად არ ასახავს ქვეყნის ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებას.

პრობლემურ საკითხებს შორის, ასევე გამოიკვეთა ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში მრავალენოვანი (ორენოვანი) განათლების დანერგვის პროცესი. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა 2006 წლიდან მიმდინარეობს, ხოლო 2009 წელს შემუშავდა სწავლების დამხმარე პროგრამა, რომლის მიზანია მოსწავლეებს საშუალება მიეცეს ისწავლონ სახელმწიფო ენა და ამავე დროს შეინარჩუნონ მშობლიური ენია. მიუხედავად საპილოტე პროგრამის განხორციელებისა, ზოგიერთ არაქართულენოვან სკოლაში, პროგრამა ჯერ კიდევ არ არის დანერგილი. ამ მიმართულებით მუშაობა შეწყდა 2011 წლიდან, ყოველგვარი შემდგომი შეფასებისა და ანალიზის გარეშე. 2012 წელს იგი შემოიფარგლა ე.წ. "ორენოვანი სახელმძღვანელოს" შემუშავებით. კვლევაში გაანალიზებული დოკუმენტების და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბილინგვური განათლების დანერგვის ხელისშემშლელი ფაქტორი იყო განათლების სისტემის ცუდი მზაობა, გრძელვადიანი ხედვის ნაკლებობა, მასწავლებელთა დაბალი კომპეტენცია, სწავლებისა და მეთოდოლოგიური რესურსების ნაკლებობა და შესაბამისი სახელმძღვანელოების ნაკლებობა.

ეთნიკური უმცირესობებისთვის სათანადო განათლების მიწოდების თვალსაზრისით ენობრივი ბარიერი და მისი გადალახვა მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენს. მათ შორის, ქართული ენის, როგორც მეორე ენის, სწავლების სირთულეები, დაკავშირებულია მასწავლებელთა ენის კომპეტენციასთან და სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობასთან. ქართული ენის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოები, სწავლების მონაწილე განათლების მკვლევარებისა და მასწავლებლების აზრით, არ იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა სკოლის ფარგლებში შეისწავლონ ქართული ენა.

EMC-ს ანგარიშში ასევე შეჯამებულია "არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის" ეფექტიანობა. პროგრამა 2009 წლიდან დღემდე ხორციელდება, მაგრამ ჩართული მასწავლებლების რაოდენობა არ არის საკმარისი. პროგრამის ფარგლებში დასაქმებული დამხმარე მასწავლებლების ფუნქცია გაცილებით ფართოა, ვიდრე სახელმწიფო ენის სწავლება. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ დამხმარე პედაგოგებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის სტატუსის მინიჭების და სკოლებში გაწვევის გრძელვადიანი გეგმის შემუშავება, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში არსებულ სკოლებში, პერსონალის დეფიციტის გათვალისწინებით. ასეთ სკოლებში ერთი მასწავლებელი ხშირად ასწავლის ხუთ ან მეტ საგანს სკოლაში, თუმცა მათმა უმრავლესობამ არ ჩააბარა პროფესიული უნარების გამოცდა და არ არის სერტიფიცირებული. "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში" მოქმედი მასწავლებლების ნახევარზე მეტს აქვს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, რაც სქემის მიხედვით ყველაზე დაბალი დონეა. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესწავლისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ

მეთოდოლოგიური რესურსები და სწავლება მშობლიურ ენაზე ნაკლებად არის ხელმისაწვდომი არაქართველი მასწავლებლებისთვის. ისინი ასევე ნაკლებად არიან ინფორმირებული მშობლიურ ენაზე სისტემაში განხორციელებული ცვლილებებისა და მოთხოვნების შესახებ. არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის პროფესიული უნარების გაძლიერების შესაძლებლობის არარსებობა მშობლიურ ენაზე დაბრკოლებას წარმოადგენს პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. ეს გავლენას ახდენს მათ მოტივაციაზე აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განვითარების საქმიანობაში. ზოგადად, განსაკუთრებით პრობლემურია ახალი კადრების დაქირავება, ვინც ისურვებდა, რომ იმუშაოს არაქართულენოვან სკოლებში. საქართველოში 2085 საჯარო სკოლიდან 208 სწორედ არაქართულენოვანი სკოლაა, მათ შორის აზერბაიჯანულენოვანი - 80, სომხურენოვანი - 117, რუსულენოვანი - 11. სკოლების ძირითადი ნაწილი ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების არეალებშია განთავსებული - ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში. არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლების 43% აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მასწავლებლები არიან, 37.8% - სომხურენოვანი სკოლის, ხოლო 19.2% - რუსულენოვანი სკოლის.[18]

EMC-ის ანგარიშის „ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები“ თანახმად, დღემდე, განათლების სისტემის გამოწვევაა არაქართულ სკოლებში მოსწავლეთა ჩართვა. სკოლის გაცდენა და მიტოვება ძირითადად დაკავშირებულია მოსწავლეთა შრომასა და დასაქმებასთან. ეკონომიკური ფაქტორების გამო, არაქართულენოვანი მოსწავლეების დიდ ნაწილს უწევს ოჯახში მუშაობა, ან ოჯახთან ერთად სხვა სოფლებში და ქალაქებში, ან მის ფარგლებს გარეთ წასვლა. სწავლის საფეხურის მატებასთან ერთად იზრდება მიტოვების მაჩვენებელიც. გოგონების შემთხვევაში, სკოლის დატოვების მიზეზი უმეტეს შემთხვევაში ადრეული ქორწინებაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბავშვობის ასაკში ქორწინება გენდერულად განპირობებული ფენომენია. 20-24 წლის ქალების 13.9% 18 წლამდე დაქორწინდა მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი მამაკაცებში მხოლოდ 0.5%-ს უტოლდება. “საქართველოს მრავალკლასტერული ინდიკატორული კვლევის“ (MICS) მიხედვით, სამი ძირითადი ეთნიკური ჯგუფიდან ბავშვობის ასაკში ქორწინების რისკის წინაშე უფრო აზერბაიჯანელი (20-24 წლის ქალების 37.6% 18 წლის ასაკში დაქორწინებული იყო) და ქართველი გოგონები (12.4%) დგანან, ვიდრე - სომეხი გოგონები (4.5%). კვლევის ანგარიშში აღწერილია, რომ აზერბაიჯანელ მოზარდ გოგონებსა და ბიჭებს შორის უფრო მაღალია სკოლის მიტოვების მაჩვენებელი, ვიდრე სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ მოზარდებში. კვლევაში ჩართულ 18 წლამდე დაქორწინებული 20-24 წლის ქალების 46.5%-ს მხოლოდ დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლება ჰქონდა.[19]

EMC-ის ანგარიშში „ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები“ დადებითად ფასდება სასწავლო პროგრამა ქართულ ენაზე (ე.წ. "1+4"), რომელიც 2009 წელს შეიქმნა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ამ პროგრამით სომხურ და აზერბაიჯანულენოვან აპლიკანტებს საშუალება აქვთ ჩააბარონ ზოგადი უნარების ტესტი მშობლიურ ენაზე და გააგრძელონ სწავლა ბაკალავრიატის დონეზე უნივერსიტეტში ქართული ენის სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ. თუმცა, განათლების სისტემაში არსებული პრობლემები დღესაც გამოწვევად რჩება არაქართულენოვან სკოლებში. სწავლების დაბალი ხარისხი, ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლება და მასწავლებელთა

[18] 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობეის კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერტობების ცენტრი, 2019, https://cciir.ge/images/Research-cciir-2018-14.pdf

[19] ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება საქართველოში, UNFPA, MICS, https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Child_Marriage_in_Georgia_GEO.pdf

კვალიფიკაცია გავლენას ახდენს მოსწავლეთა დაბალ შედეგებზე და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებაზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ხორციელდება „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების“ პროგრამა. მის ფარგლებში „1+4“ პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად დამხმარე მასწავლებლად იმუშაონ. პოზიტიური შედეგებისა და გამოცდილების დაგროვების მიუხედავად, აღნიშნული პროგრამის ხარვეზია, რომ დამხმარე მასწავლებელს პედაგოგის სტატუსი არ ენიჭება, ამდენად მას არ განესაზღვრება სტაჟი, შესაბამისად ვერ გაიზრდება მისი კვალიფიკაცია, ვერ მოხდება მისი პროფესიული განვითარება და სტატუსის ზრდა.[20]

განხილულ საკითხებს ასევე ეხმიანება საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტი Civil.ge, ანალიტიკური ნარკვევით „ენობრივი ბარიერი: საქართველოს უმცირესობის სკოლის მოსწავლეებისთვის ღირსეული განათლების უზრუნველყოფის უწყვეტი გამოწვევა“.[21] ვინაიდან ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა ცხოვრობს მონოეთნიკური უმცირესობების დასახლებებში, ბავშვებისთვის დაწყებითი სკოლა სწორედ ის ადგილია, სადაც ისინი პირველად ხვდებიან ქართულს. ექვსი წლის ასაკიდან ისინი იწყებენ ქართული ენის შესწავლას, როგორც მეორე ენას, რასაც მოჰყვება საშუალო სკოლაში რამდენიმე სხვა საგანი ქართულ ენაზე (ისტორია, გეოგრაფია და სოციალური მეცნიერებები). დაწყებითი სკოლის პერიოდში ბავშვები ხვდებიან სირთულეებს, რამდენადაც მშობლები ვერ ეხმარებიან შვილებს ქართულენოვანი საგნების მომზადებაში, რადგან ისინი თავად არ საუბრობენ ქართულად. ბავშვებს ხშირად სჭირდებათ მშობლების ჩართულობა საშინაო დავალებების მომზადებისას, განსაკუთრებით დაწყებით სკოლაში, ამიტომ ეთნიკური უმცირესობების სკოლის მოსწავლეები უფრო რთულ მდგომარეობაში არიან. სიტუაცია კიდევ უფრო რთულია იმის გათვალისწინებით, რომ არაქართულ სკოლებში ბევრი მასწავლებელი თავად თავისუფლად არ ფლობს ქართულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვები ხშირად მარტო რჩებიან სახელმძღვანელოებთან და რთულ ტერმინოლოგიასთან.

შედეგად, ბევრი მშობელი ამჯობინებს, რომ მათი შვილები არაქართულენოვანი სკოლების ნაცვლად წავიდნენ ქართულენოვან სკოლაში - საერთო ჯამში 32,000 ან ეთნიკური უმცირესობის სკოლის მოსწავლეების 40% დადის ქართულ სკოლებში. ეს კარგი გამოსავალია ზოგიერთი მოსწავლისათვის, ვისაც მეტ-ნაკლებად უკვე აქვს შეხება ქართულენოვან გარემოსთან. მაგრამ, იმ მოსწავლეებისათვის, ვინც მონოლინგვურ გარემოში იზრდებოდა, ეს ცვლილება სტრესორს წარმოადგენს, რამდენადაც ის მარტო რჩება ქართულად მოსაუბრე მოსწავლეების გვერდით, ხოლო მასწავლებლები მათ გარემოებას ნაკლებად ითვალისწინებენ. შედეგად, მოსწავლეები ასეთ გარემოში ვერ იღებენ ცოდნას და გარკვეული დროის შემდგომ კვლავ უბრუნდებიან მათ ეთნიკურ ენაზე მოქმედ სკოლას.

აღწერილი ბარიერებით გამოწვეულ შედეგებზე შესაძლებელია მსჯელობა განათლების შემდეგ საფეხურებზე გადასვლის მაჩვენებლებით. 2016 წელს აზერბაიჯანულენოვანი სკოლის მოსწავლეთა 56%-მა და სომხურენოვანი სკოლის მოსწავლეთა 44%-მა ვერ ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი

[20] იმედგაცრუებული და არაღიარებული ახალგაზრდები ეთნიკური უმცირესობების თემებიდან, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, https://socialjustice.org.ge/ka/products/imedgatsruebuli-da-araghiarebuli-akhalgazrdebi-etnikuri-umtsiresobebis-temebidan

[21] ენობრივი ბარიერი: საქართველოს უმცირესობის სკოლის მოსწავლეებისთვის ღირსეული განათლების უზრუნველყოფის უწყვეტი გამოწვევა, Civil.ge, 2021 https://civil.ge/archives/421176

გამოცდები, ქართულენოვანი მოსწავლეების მეოთხედთან შედარებით. 2018 წელს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მეოთხედმა ვერ ჩააბარა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები, ქართულენოვანთა 13%-თან შედარებით.

სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის ანგარიშის[22] თანახმად წინა წლების მსგავსად, ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გადადგმული ნაბიჯები ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშესაწყობად არასაკმარისია. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ წინა წლების მსგავსად, 2020 წელს გამოწვევა იყო ერთიანი კონცეპტუალური მიდგომისა და ხედვის არარსებობა, ორენოვანი მასწავლებლების მომზადება, დაწესებულებების შესაბამისი სასწავლო-მეთოდური პროგრამებით უზრუნველყოფა, სახელმძღვანელოებითა და სხვა საჭირო ლოგისტიკური რესურსებით უზრუნველყოფა. სახალხო დამცველი წლებია განიხილავს ამ პრობლემებს. თუმცა, ამ მიმართულებით ეფექტური ნაბიჯები არ გადადგმულა 2020 წელს.

სახალხო დამცველის აპარატი ასევე ეხმიანება ორენოვანი სწავლების მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში პრაქტიკულად არ გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები სკოლამდელი და საშუალო განათლების დაწესებულებებში სახელმწიფო და უმცირესობათა ენების სწავლების გასაუმჯობესებლად და ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ორენოვანი განათლების დანერგვის მიზნით. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანახმად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა ორენოვანი სწავლების მოდელი 2015 წლიდან და შექმნა გარკვეული რესურსი დაწყებითი განათლებისათვის. 2020 წელს ოთხი სკოლა და ოთხი საბავშვო ბაღი შეირჩა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ორენოვანი საპილოტე პროგრამების განსახორციელებლად. შეიძლება ითქვას, რომ მრავალენოვანი (ორენოვანი) სწავლების მოდელის დანერგვა, რომელიც სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია, ჯერ კიდევ შეუსრულებელია.

განათლებისა და მეცნიერების ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ 2020-2021 სასწავლო წლისთვის ეროვნულ უმცირესობათა ენებზე (აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე) დაარიგა სერტიფიცირებული სახელმძღვანელოები I-VI კლასებისთვის და ისინი უკვე ჩართულია სწავლების პროცესში. დაიწყო მერვე კლასის სახელმძღვანელოების თარგმნა, რომლებიც არაქართულენოვან სექტორში დაინერგება 2021-2022 სასწავლო წლიდან. საანგარიშო პერიოდში, არ იქნა მიღებული ქმედითი ღონისძიებები სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლების ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს შემუშავებისა და გამოქვეყნებისათვის და ამ სახელმძღვანელოების საქართველოში სწავლების პროცესში ჩართვისათვის.

სახალხო დამცველის აპარატის ანგარიში ასევე ეხმიანება მასწავლებელთა საკითხს ეთნიკური უმცირესობების სკოლებში. მასწავლებელთა კვალიფიკაცია და მათი მომზადებისა და გადამზადების ერთიანი სტრატეგიის არარსებობა და სასწავლო გეგმების არარსებობა კვლავ პრობლემურია, ისევე როგორც ორენოვანი მასწავლებლების მოზიდვა და მათი ჩართვა განათლების სისტემაში.

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თანახმად, სულ 1223 სტუდენტმა მიიღო სწავლის გაგრძელების უფლება სომხური, აზერბაიჯანული, რუსული და ოსური ენის გამოცდების საფუძველზე. მათგან 255 აბიტურიენტმა ჩააბარა ზოგადი უნარების გამოცდა სომხურ ენაზე, 956 აბიტურიენტმა აზერბაიჯანულ ენაზე, 8 აბიტურიენტმა რუსულ ენაზე და 4 ოსურ ენაზე. საერთო ჯამში, 1223 აბიტურიენტის მხოლოდ 10.4%-მა მიიღო სახელმწიფო განათლების სტიპენდია. ეს

[22] სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

აჩვენებს, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების დიდი ნაწილი დაფინანსების გარეშე რჩება. სახალხო დამცველმა წინა წლებში განაცხადა, რომ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია სტუდენტების დაფინანსების გაზრდა, რადგან სტუდენტების დიდი ნაწილი დაფინანსების გარეშეა დარჩენილი და, შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გარეშე.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ 2020 წელს გამოქვეყნდა კვლევის ანგარიში „საქართველოში უმაღლესი განათლების უმცირესობათა კვოტების სისტემის პოლიტიკის შესწავლა 2010-2019 წლებში“[23], სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა ჩართულობით განხილულია მათი გამოცდილებები უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისა და გამოცდილების მხრივ.

ერთის მხრივ კვლევა აფასებს უმაღლეს სასწავლებლებში დანერგილ ერთ წლიან ქართული ენის კურსს, რომელიც განკუთვნილია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისათვის, რათა მათ უკეთ დაეუფლონ სასწავლო პროგრამის ენას და შეძლონ სწავლის გაგრძელება სასურველ პროგრამაზე. კვლევის თანახმად უნივერსიტეტების მიერ მოხდა ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის გადახედვა და მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მის გასაუმჯობესებლად. გადახედვა ემყარება სხვადასხვა სახის კვლევის შედეგებს ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის ეფექტურობის შესახებ, ასევე გამოცდილებას თითოეულ უნივერსიტეტში და საერთაშორისო პრაქტიკაში. შესწორებულ პროგრამებში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომა და ეს ინოვაციები აისახება ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროგრამებში, კერძოდ (ა) სხვადასხვა დონის ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტები გადიან სხვადასხვა კურსს (განსხვავებული A და B მოდულები). მოდული განკუთვნილია დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებისთვის და აქვს მეტი სასწავლო საათი, ხოლო B მოდული არის იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც უკეთ იციან ენა. ბ) სპეციალური კურსი "მრავალფეროვნება და ტოლერანტობა" ტარდება მეორე სემესტრში სტუდენტების ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების მიზნით; (გ) არჩევითი კურსების დანერგვა მეორე სემესტრში, საგნის სპეციფიკური ენის ცოდნისა და უნარების განვითარების მიზნით, მათი ინტერესებისა და მომავალი ბაკალავრის პროგრამის საფუძველზე; (დ) კლასგარეშე აქტივობების ჩართვა სასწავლო პროგრამებში; (ე) კლასგარეშე საქმიანობის ორგანიზება და ცენტრების შექმნა სტუდენტთა აკადემიური და სოციალური ინტეგრაციის მხარდასაჭერად; ვ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვა ქართული ენის ერთწლიან პროგრამაში; (ზ) საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და პროგრამული ბიბლიოთეკის გამდიდრება ახალი სასწავლო მასალებით.

2010-2019 წლებში, სულ 8,163 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი აბიტურიენტი, 5,510 აზერბაიჯანელი და 2,653 სომეხი სტიპენდიანტი ჩაირიცხა ერთწლიან ქართულ პროგრამაში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აზერბაიჯანული უნივერსიტეტის აბიტურიენტების რეგისტრაცია საკმაოდ მაღალი იყო, 11 755. თუმცა, სკოლის დამამთავრებელ გამოცდასთან დაკავშირებული ბარიერების გამო, გამოცდის ჩაბარების უფლება მხოლოდ 9555-ს მიეცა და აქედან, მხოლოდ 6563-მა აბიტურიენტმა მოიპოვა საჭირო მინიმალური ქულა. სულ 4 362 სომხური წარმომავლობის აბიტურიენტი იყო, მათ შორის 3 673-მა ჩააბარა გამოცდა, ხოლო 2,851-მა შეძლო გამოცდის მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილება.

[23] საქართველოში უმაღლესი განათლების უმცირესობათა კვოტების სისტემის პოლიტიკის შესწავლა 2010-2019 წლებში, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2020, https://cciir.ge/images/10.06.-Studof-the-Higher-Education-Minority-Quota-System-Policy-in-Georgia.pdf

*ცხრილი #გ: გამოცდაზე დარეგისტრირებულ აზერბაიჯანელ სტუდენტთა რიცხვი, ვინც ჩააბარა გამოცდა და გადალახა მინიმალური მოთხოვნა **2010-2019** წლებში*

წელი	დარეგისტრირდა გამოცდაზე	გავიდა გამოცდაზე	გადალახა მინიმალური ზღვარი	გაიარა ქართული ენის ერთ წლიანი პროგრამა
2010	335	303	194	178
2011	377	351	262	250
2012	579	541	407	386
2013	1189	1083	737	704
2014	834	742	479	456
2015	1181	888	556	522
2016	1610	1121	717	660
2017	1703	1203	727	673
2018	1866	1438	1166	788
2019	2081	1887	1318	893
სულ	**11755**	**9557**	**6563**	**5510**

*ცხრილი #დ: გამოცდაზე დარეგისტრირებულ სომეხ სტუდენტთა რიცხვი, ვინც ჩააბარა გამოცდა და გადალახა მინიმალური მოთხოვნა **2010-2019** წლებში*

წელი	დარეგისტრირდა გამოცდაზე	გავიდა გამოცდაზე	გადალახა მინიმალური ზღვარი	გაიარა ქართული ენის ერთ წლიანი პროგრამა
2010	253	188	137	123
2011	277	238	188	179
2012	290	262	207	198
2013	270	248	190	186
2014	345	307	219	217
2015	427	355	244	219
2016	535	435	345	300
2017	658	506	388	373
2018	664	561	474	422
2019	643	573	459	436
სულ	**4362**	**3673**	**2851**	**2653**

კვოტების სისტემით ჩარიცხული სტუდენტების განაწილების ანალიზის თანახმად, უმრავლესობა ჩაირიცხა შემდეგ ხუთ უნივერსიტეტში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ) და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სსსუ). მათ შორის თსუ-ს ჰყავს ყველაზე მეტი სტუდენტი. გარდა ამისა, კვოტირების სისტემის სტუდენტების 42% ირჩევს თსუ-ში ჩარიცხვას.

ცხრილი #ე: ეთნიკური უმცირესობების მიერ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების არჩევა 2010-2019 წლები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	სულ	%
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	177	304	367	337	314	309	342	387	438	455	**3430**	**42%**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	7	5	58	214	114	140	229	183	244	262	**1456**	**17.8%**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	22	29	31	180	123	172	224	255	276	294	**1606**	**19.7%**
თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტი	20	40	50	67	52	52	67	89	87	84	**608**	**7.5%**
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	30	42	38	48	54	52	55	97	102	87	**605**	**7.4%**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	10	4	18	22	5	8	16	27	34	88	**232**	**2.8%**
სხვა უმაღლესი სასწავლებლები	35	5	22	22	11	8	27	8	29	59	**226**	**2.8%**
სულ:	**301**	**429**	**584**	**890**	**673**	**741**	**960**	**1046**	**1210**	**1329**	**8163**	**100%**

სტუდენტთა მონაცემების სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად უნივერსიტეტში ჩაბარების გაზრდილი მაჩვენებლებისა, უნივერსიტეტის დამთავრების მაჩვენებლები მაინც საკმაოდ დაბალი რჩება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბაკალავრიატის პროგრამებზე ჩარიცხულ უმცირესობათა სტუდენტები აწყდებიან რიგ ბარიერებს ფინანსური შესაძლებლობების, ქართული ენისა და აკადემიური მზადყოფნის კუთხით. კვლევის ფარგლებში შედარებულია 2010-2014 წლებში უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების სტატისტიკა 2015-2019 წლებში ბაკალავრის პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობას. ამ სტატისტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ 1+4

პროგრამაში ჩარიცხულმა სტუდენტთა დაახლოებით 30% –მა დაამთავრა ბაკალავრის ხარისხი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა უმაღლესი დამთავრების მაჩვენებელი, 58%, ხოლო სხვა უნივერსიტეტებში ეს მაჩვენებელი 25 – დან 30%–მდე მერყეობდა. შედარებით მაღალი დამთავრების მაჩვენებელი SJSU– ში შეიძლება აიხსნას რამდენიმე ფაქტორით: (1) ნაკლები ფინანსური ტვირთი, რადგან უნივერსიტეტი მდებარეობს სტუდენტებთან ახლოს; (2) ნაცნობი კულტურული გარემო და მეტი შესაძლებლობები ინტეგრირებული აკადემიური და სტუდენტური გარემოსთვის; (3) ფაკულტეტის უფრო დიდი მგრძნობელობა სტუდენტების მოთხოვნილებების მიმართ და (3) შედარებით ზუსტი შეფასების სისტემა.

ცხრილი #3: უნივერსიტეტში ჩაბარებისა და დასრულების მაჩვენებლები 2010-2019

უმაღლესი სასწავლებელი	**2015-2019 წლებში დაასრულეს უნივერსიტეტი**	**2010-2014 წლებში ჩააბარეს უნივერსიტეტში**	**%**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	401	1499	26.7%
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	138	398	34.7%
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	99	385	25.7%
თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტი	59	229	25.7%
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	123	212	58%
სოხუმის უნივერსიტეტი	18	59	30.5%
სხვა უნივერსიტეტები	19	95	20%
სულ	**857**	**2877**	**29.8%**

2010 წლიდან სომხეთისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტის აბიტურიენტები იღებენ 5% თითოეულ უმაღლესი სასწავლებლის სლოტს. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრის განკარგულებით განისაზღვრება გრანტის დაფინანსება სტუდენტთა თითოეული ჯგუფისათვის 100-მდე პირისთვის. ამრიგად, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებს ერთნაირი რაოდენობის სლოტი ენიჭებათ კვოტების სისტემით და იღებენ იმავე რაოდენობის გრანტებს. კვლევაში აღწერილი მონაცემები ხაზს უსვამს თანაბარი კვოტირების შესაძლო არასამართლიანობას, გამომდინარე იქიდან, რომ აზერბაიჯანულენოვანი სკოლები უფრო მეტ აბიტურიენტს ამზადებს, ვიდრე - სომხურენოვანი. 2010-2019 წლებში 11755 აზერბაიჯანული უმაღლესი სასწავლებლის განმცხადებელი იყო, ხოლო სომეხი განმცხადებლების რაოდენობა 4362-ს შეადგენდა. ამასთან, 2010-2019 წლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 5510 აზერბაიჯანელი და 2653 სომეხი სტუდენტი ჩაირიცხა. ამდენად, კვოტების სისტემით ერთნაირი სლოტების მინიჭებისა და აზერბაიჯანელი სტუდენტების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, დაფინანსების მისაღებად აზერბაიჯანელ აბიტურიენტებს ზოგადი უნარების გამოცდის უფრო მაღალი შეწონილი ქულები სჭირდებათ.

იმისდა მიუხედავად, რომ უნივერსიტეტის აბიტურიენტების ზოგადი უნარების გამოცდები მათ მშობლიურ ენაზეა, სომეხი და აზერბაიჯანელი აბიტურიენტები მაინც გაცილებით დაბალ ქულებს იღებენ ქართველ და რუს აბიტურიენტებთან შედარებით. ეს განსხვავებები მიუთითებს სკოლის დონეზე განათლების ხარისხის პრობლემებზე. 2015-2018 წლის მონაცემებით, ქართულ და რუსულენოვან აბიტურიენტებს აქვთ მაღალი ქულები ზოგადი უნარების გამოცდაზე (38-41 ქულა) აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებთან შედარებით (27-32 ქულა) ეს განსხვავებები ყურადსაღებია ორი მიზეზის გამო: თვალსაჩინოა რომ განათლების ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა ენის პროფილის მქონე სკოლებში. აქვე აღსანიშნავია, რომ გამოკვეთილი მაჩვენებლების მიხედვით, აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები დარჩებიან არაკონკურენტული ქართული ენის არასაკმარისი ცოდნის, საერთო აკადემიური ცოდნისა და უნარების გამო.

ცხრილი #8: საშუალო ქულა ზოგადი უნარების გამოცდაში წლის 2015-2018 წლებში

წელი	ქართული	რუსული	სომხური	აზერბაიჯანული
2015	39.59	41.07	28.64	27.53
2016	38.56	38.40	31.59	27.92
2017	39.91	41.78	31.97	28.01
2018	41.08	40.83	32.73	30.53

კვლევის შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანული უნივერსიტეტის აბიტურიენტების რიცხვი წლების განმავლობაში იზრდება, ისევე როგორც მათი რიცხვი, ვინც ვერ ჩააბარა გამოცდა 2010-2019 წლებში; მიუხედავად აღნიშნულისა, კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება ის, რომ ბაკალავრიატის პროგრამებში მაღალია მიტოვების და დაუსრულებლობის მაჩვენებლები; აქვე აღსანიშნავია, რომ სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები თანაბრად ფინანსდებიან მიუხედავად მათი საერთო რაოდენობისა და შეწონილი ქულისა ზოგადი უნარების გამოცდებზე, ამასთანავე, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ჩამორჩებიან ქართველ და რუს სტუდენტებს ზოგადი უნარების ქულებით.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის ანგარიშში „კულტურული დომინაციის და უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში“ [24] ვკითხულობთ, რომ ენობრივი ბარიერის მხრივ არსებობს გარკვეული სხვაობები ასაკობრივ ჯგუფებს შორის. როგორც აღმოჩნდა, აზერბაიჯანულ თემში უფროსი თაობის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ცდილობენ გამონახონ სხვადასხვა გზა ენის შესასწავლად, თუმცა მიაჩნიათ, რომ ამისათვის უკვე გვიანია. კვლევის ფარგლებში რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათი შვილები და შვილიშვილები შედარებით კარგად ფლობენ ქართულ ენას, თუმცა თავად ამის შესაძლებლობა არ მისცემიათ. მოტივაციის მიუხედავად, განსაკუთრებით სოფლებში, არ არსებობს ენის შესწავლის შესაძლებლობა; კვლევის მონაწილეთა აზრით, ენის პროგრამების მხოლოდ ახალგაზრდა თაობაზე ფოკუსირება არ არის სწორი მიდგომა.

[24] კულტურული დომინაციის და უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში, ნარგიზა არჯევანიძე, 2020
https://socialjustice.org.ge/ka/products/kulturuli-dominatsiis-da-umtsiresobebis-kulturis-tsashlis-nishnebi-kvemo-kartlis-regionshi

ქართული ენის შესწავლის სურვილის მიუხედავად, თემის წარმომადგენლები შესაბამის სახელმწიფო სერვისებს ვერ პოულობენ და რუსული ენის იმედად რჩებიან. ეს ერთის მხრივ იწვევს ქართველებთან კომუნიკაციისას უხერხულობას. კონკრეტულად, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ქართულის უცოდინრობის გამო ქართველებთან კომუნიკაციისას უხერხულობა და ბარიერები ექმნებათ. გარდა ამისა, რუსულად საუბრის გამო, ქართველებისგან ხშირად უარყოფით დამოკიდებულებასაც იხსენებენ. მეორეს მხრივ, ენის უცოდინრობის მიზეზით უფროსი თაობის წარმომადგენლები ინფორმაციულ ვაკუუმში რჩებიან, განსაკუთრებით, როდესაც საქმე საინფორმაციო წყაროებს ეხება. აღნიშნულში აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები ადანაშაულებენ სახელმწიფოს და თვლიან, რომ ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობები სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს.

აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები დამატებით აღნიშნავენ, რომ „საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციისთვის მხოლოდ ენის ცოდნა არ არის საკმარისი, ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდები ეუფლებიან ენას, თუმცა არ ფლობენ ინფორმაციას ქართული კულტურის შესახებ“.

დამატებით, კვლევის ფარგლებში, რესპონდენტთა უმრავლესობა ახდენს დიფერენცირებას კომუნიკაციისთვის აუცილებელ სალაპარაკო ენასა და სკოლასა და უნივერსიტეტში შესწავლილ გრამატიკულ ქართულს შორის; თემის წარმომადგნელები აღნიშნავენ, რომ სკოლის მასალა ქართული ენის შესასწავლად და კულტურის გასაცნობად საკმარისი ნამდვილად არ იყო. მათთვის, ენის შესასწავლად გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ქართველ მეგობრებთან ყოველდღიურ კომუნიკაციას ჰქონდა.

ეთნიკური უმცირესობების დასაქმების შესაძლებლობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის[25] თანახმად 2020 წლისათვის საქართველოში უმუშევრობის დონე 18.5%-ს შეადგენს. რაც შეეხება მაჩვენებლებს რეგიონების, კონკრეტულად კი, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს, ქვემო ქართლისათვის ეს წილი 22.2%-ია, ხოლო სამცხე-ჯავახეთისათვის 11.4%. ხაზგასასმელია, რომ ქვემო ქართლში უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის შემდეგ, სადაც უმუშევრობის დონე 31.9%-ს უტოლდება.

2020 წლისათვის ქვემო ქართლის რეგიონში სამუშაო ძალას (აქტიურ მოსახლეობას) შეადგენს 172,2 ათასი ადამიანი, თუმცა დასაქმებულია 134 ათასი. მათ შორის 77,9 ათასი ადამიანი არის დაქირავებული მუშაკი, ხოლო 56 ათასი თვითდასაქმებული. ამ რეგიონისათვის უმუშევრად ითვლება 38,2 ათასი ადამიანი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის 2020 წელს სამუშაო ძალას შეადგენს 71,7 ათასი ადამიანი, აქედან დასაქმებულია 63,6 ათასი. მათ შორის 26,8 ათასი არის დაქირავებული მუშაკი, ხოლო 36,8 ათასი არის თვითდასაქმებული. 2020 წლისთვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უმუშევარია 8,2 ათასი ადამიანი.

2019 წლის ანგარიშისათვის „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა“ რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ: სამცხე-ჯავახეთის (სომხები), ქვემო ქართლის (აზერბაიჯანელები), კახეთის რეგიონის (პანკისელი ქისტები, ოსები), თბილისის (იეზიდები, ბოშები და რუსები), ბათუმის (რუსები) ეთნიკური უმცირესობების 18 და მეტი წლის წარმომადგენლები; გარდა პოლიტიკურ ცხოვრებაში

[25] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

მონაწილეობის საკითხებისა, ანგარიში მიმოიხილავს ამ სამიზნე ჯგუფების დასაქმების მდგომარეობას, რაც ქმნის დემოგრაფიულ სურათს ეთნიკური უმცირესობების დასაქმების მხრივ.

როგორც აღმოჩნა, კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 28.7% ეკონომიკურად არააქტიურია, ხოლო 23.7% - უმუშევარი. 10.1% არის დასაქმებული საჯარო სექტორში, კერძო სექტორში - 10% და არაფორმალურ სექტორში - 4.2%. 22% არის თვითდასაქმებული (ინდ. მეწარმეა ან ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას). ეთნიკური ჯგუფების შიგნით გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები, სასოფლო სამეურნეო საქმიანობას ეწევიან ძირითადად ოსი (34.9%), სომხური თემის (23%) და აზერბაიჯანული თემის (18.5%) წარმომადგენლები. ქისტი რესპონდენტების 35.2% უმუშევრად მიიჩნევს თავს და 19.3% ეკონომიკურად არააქტიურად, მაშინ, როდესაც სხვა ეთნიკურ ჯგუფებში ეს პროპორცია პირიქითაა და რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი სამუშაო ძალის გარეთ მყოფად მიიჩნევს საკუთარ თავს, ვიდრე უმუშევრად.

რაც შეეხება დასაქმებულ რესპონდენტთა სამუშაო ადგილებს, მათი უფრო დიდი ნაწილი (26.7%) დასაქმებულია საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებაში. კვლევის მონაწილეთა 8.1% არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობს, ხოლო 5,7% ადგილობრივ თვითმმართველობაში. სომხურ თემში, მნიშვნელოვანი ნაწილის (34.3%) სამედიცინო დაწესებულებაშია დასაქმებული. რაც შეეხება სხვა ეთნიკური ჯგუფების ჭრილს, აზერბაიჯანული თემიდან გამოკითხულთა 50.9% და ქისტების 37.6% - საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებაში არის დასაქმებული. საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორც დასაქმების ადგილს, ასახელებს ოსების 24.9% და მცირე ეთნოსების 14.4%.

დასაქმებულ რესპონდენტებს ასევე დაესვათ კითხვა მათი შემოსავლის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა 27.6%-ის საშუალო თვიური შემოსავალი 0-დან 200 ლარამდეა, შეიძლება ითქვას, რომ ამ რესპონდენტთა უმეტესობა საქართველოში განსაზღვრულ საარსებო მინიმუმს ქვემოთ კლასიფიცირდება. საშუალოზე დაბალი (201-400 ლარი) შემოსავალი აქვს კვლევის მონაწილეთა 28.7%-ს, საშუალო შემოსავალი (401- 700 ლარი) - 16.4%-ს, საშუალოზე მაღალი (701-1000 ლარი) - 9.8%, ხოლო მაღალი (1001 ლარზე ზემოთ) – 6.4%-ს. ქისტების თემში ყველაზე მეტი აღმოჩნდა ისეთი რესპონდენტების წილი, ვისი საშუალო ყოველთვიური შემოსავალიც 200 ლარამდეა.

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს საზღვარგარეთ მიგრაციის სურვილსა და მიგრაციის მიზეზებზე. ის რესპონდენტები, რომელთაც მიგრაციის სურვილი აქვთ და/ან აპირებენ ქვეყნიდან წასვლას, ამის მიზეზად, ძირითადად, ასახელებენ სიღარიბეს (40.5%) და სამუშაო ადგილების ნაკლებობას (25.9%). მიგრაციის მაპროვოცირებელ ფაქტორებად სიღარიბისა და სამუშაო ადგილის პრობლემა ყველა ეთნიკურ ჯგუფში მწვავედ დგას, თუმცა კიდევ უფრო მკვეთრია აზერბაიჯანულ თემში (83.1% და 86.6%), სამუშაო ადგილების პრობლემა, ასევე, აქტუალურია ქისტების თემში (79.6%), ხოლო სიღარიბე - ურბანულ მცირე ეთნოსებსა (65%) და ოსებში (62.3%).

ანგარიშში „ეთნიკური უმცირესობების დასაქმების პოლიტიკა“[26] ვკითხულობთ, რომ უმცირესობათა ჯგუფებისათვის რიგი დაბრკოლებები არსებობს ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის, როგორებიცაა „ხელმისაწვდომობა განათლებაზე, სახელმწიფო სერვისებზე, მათ შორის, მხარდამჭერ ეკონომიკურ პროგრამებზე მწირი ხელმისაწვდომობა, სუსტი ენის კომპეტენციები და ენის პოლიტიკაში უმცირესობების ენის რადიკალური გამოტოვება, დისკრიმინაციული გარემო“.

[26] ეთნიკური უმცირესობების დასაქმების პოლიტიკა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021 https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-dasakmebis-politika

სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) 2018 წლის კვლევა, „1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე“[27] აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობების დასაქმებისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს პროფესიული კონკურენტუნარიანობა, რომელსაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ვერ წევენ თავის ქართველ თანატოლებთან ამასთან შედარებით. კვლევის მონაწილეები საუბრობენ სპეციფიკურ პროფესიულ მიმართულებებზე, რომლებიც იმგვარ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას მოითხოვენ, რომელიც მათ ნაკლებად აქვთ განვითარებული. ამავდროულად რესპონდენტები მიუთითებენ დასაქმების ბაზრის შესახებ ნაკლებ ინფორმირებულობაზე. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საუბრობენ ჯერ კიდევ უნივერსიტეტის საფეხურზე დავალებების შესრულების სირთულეზე, რაც შემდგომ მათ კონკურენტუნარიანობაზეც აისახება. რესპონდენტების თანახმად, არსებული ენის ბარიერი და მსგავსი დავალებების შესრულების გამოუცდელობა მათთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს, იმისათვის, რომ უნივერსიტეტის კურსების ფარგლებში წარმატებას მიაღწიონ. აღწერილ გარემოებას კვლევის მონაწილეები უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ სკოლის საფეხურზე სათანადო უნარების განვითარება არ ხდება.

დამატებით, მონაწილეები ასევე საუბრობენ სოციალურ უნარებზე და უშვებენ, რომ მათი სოციალური უნარები უნივერსიტეტის დასრულების პერიოდისთვისაც კი, შეიძლება ჩამორჩებოდეს ქართველი თანატოლებისას. აქ საუბარია იმ გარემოსთვის დამახასიათებელი სოციალური უნარების შესაბამისობაზე, რომელშიც მათ უწევთ კონკურენტუნარიანობის დადასტურება დასაქმების ბაზარზე. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ასევე საუბრობენ, რომ უნივერსიტეტში ჩაბარებამდე არ აქვთ სათანადო ინფორმაცია კონკრეტული პროფესიების, საუნივერსიტეტო კურსების და ამ პროფესიების მოთხოვნადობის შესახებ, ასევე უჭირთ ორიენტაცია თუ რა პროფესია უნდა აირჩიონ იმისათვის, რომ კონკრეტულ პირობებში დასაქმდნენ. ამის მაგალითს წარმოადგენს ის, რომ როგორც აღმოჩნდა არსებობს ტენდენცია, როდესაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები აბარებენ ქართული ენის ფილოლოგიის მიმართულებაზე, განათლების მეცნიერებების მაგიერ, რაც მიაჩნიათ შემდგომ სკოლაში მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმების წინაპირობად. ისინი არ ფლობენ ინფორმაციას რეალურად, რა საფეხურების გავლა არის საჭირო იმისათვის, რომ მიიღონ მასწავლებლის კვალიფიკაცია.

რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების დასაქმების სპეციფიკურ ასპექტებს, იკვეთება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა მიერ დასაქმების პრიორიტეტად საკუთარი რაიონის ან სულაც თემის განსაზღვრის ტენდენცია. ამ ტიპის პრიორიტეტის არსებობა განპირობებულია დაბალი ანაზღაურებისა და საკუთარ სახლში ცხოვრების შემთხვევაში მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯების ეკონომიის სურვილით, ხოლო მეორე მხრივ კი, იმ დამოკიდებულებით, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს განსაკუთრებულად გააჩნიათ საკუთარი სოფლის, თემის საზოგადოების მიმართ. ამავდროულად ხაზგასასმელია, რომ დასაქმების ბაზარი იმდენად არ არის განვითარებული, რომ ეფექტურად უპასუხოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მოთხოვნებს. მეტიც, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები საუბრობენ კვალიფიციური სამუშაო ადგილების განსაკუთრებულ სიმწირეზე რეგიონულ ჭრილში და მიუთითებენ, რომ ბევრ შემთხვევაში, ერთადერთი პოტენციური დასაქმების ადგილი მათი სპეციალობის მიხედვით საჯარო სამსახურის და თვითმმართველობის სტრუქტურებია.

[27] „1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე“, სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR), 2018 https://www.cciir.ge/images/Research-cciir-2018-14.pdf

კვლევის ფარგლებში მონაწილეები საუბრობენ რეგიონულ ჭრილში დასაქმების კუთხით დისკრიმინაციის ისეთ ფორმებზე, „რომელიც კორუფციის, ნეპოტიზმის და ნაციონალიზმის ნიშნებს შეიცავს. საჯარო სექტორში დასაქმების შესაძლებლობების განხილვისას, პრაქტიკულად ყველა მონაწილე საუბრობს იმ უხილავ თუ ხილულ ბარიერზე, რაც ამ სხვადასხვა უწყებებში ახალი კადრის მიღებას უკავშირდება." მონაწილეები ასევე საუბრობენ იმ სირთულეებზე, რომელთან აწყდებიან საკუთარ თემში რეინტეგრაციის თვალსაზრისით და თვლიან, რომ უნივერსიტეტის დამთავრება, სახელმწიფო ენის კარგი ფლობა, ახალი ღირებულებები და შეძენილი სოციალური უნარები მათ დიდი უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ საჯარო მოხელეებთან დაკავშირებით. რესპონდენტების შეფასებით მათი სისტემაში შემოსვლა/დასაქმება საფრთხის შემცველად არის აღქმული არსებული კადრების მიერ. ამ კუთხით მონაწილეები საუბრობენ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის ცალკეულ შემთხვევებზეც, რომელსაც ზოგადად ქვეყანაში გატარებულ ცვლილებებსა და რეგიონულ პოლიტიკას უფრო უკავშირებენ, ვიდრე ცალკეული ადამიანების დამოკიდებულებებს. ისინი საუბრობენ იმ მოცემულობაზე, რომ „ეთნიკური უმცირესობებით დომინანტურ თემებში გადაწყვეტილების მიმღებ და წამყვანი სპეციალისტების/ პასუხისმგებელი შემსრულებლების თანამდებობზე დომინანტურად ეთნიკურად ქართველები არიან დასაქმებულები."

ასევე ხაზგასასმელია კვლევის შედეგები, რომლებიც გამოვლინდა სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) 2017 წლის ანგარიშში „ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლისა და დასაქმების შესაძლებლობები და პერსპექტივები".[28] კვლევის მონაწილეთა 82.5%-ის მოსაზრებით, ქართული ენის არასათანადო ფლობა ბარიერია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის. ასევე, რესპონდენტთა უმეტესობა (65%) ბარიერად ასახელებს ეთნიკურ ქართველებთან ინტერაქციისათვის არასაკმარის მზაობას. ამასთან, ნახევარზე მეტი (50.8%) ბარიერად მიიჩნევს დამსაქმებლის მიკერძოებულ ან ნეგატიურ დამოკიდებულებას დასასაქმებლის მიმართ ეთნიკური ნიშნით. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი (46%) თვლის, რომ ასეთი პრაქტიკა არ წარმოადგენს დასაქმებისათვის ბარიერს. გამოკითხულთა 61,9% პრობლემად მიიჩნევს და მომავალში დასაქმებისათვის ბარიერად აღიქვამს დაბალ კონკურენტუნარიანობას, რომელიც არასაკმარისი სასკოლო განათლებით შეიძლება იყოს განპირობებული.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი - 54% მიიჩნევს, რომ გარკვეული შეღავათების არსებობა მართებული იქნებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის დასაქმების ბაზარზე. თუმცა, თითქმის 40% არ თვლის შეღავათების არსებობას მიზანშეწონილად. რესპონდენტები გამოთქვამენ სურვილს, რომ ეთნიკური უმცირესობებისათვის შეღავათების მაგიერ, უზრუნველყოფილი იყოს მათთვის სათანადო განათლებისა და უნარ-ჩვევების მიწოდება სასკოლო საფეხურზე, იმისათვის, რომ ისინი იყვნენ კონკურენტუნარიანი კანდიდატები, როგორც უნივერსიტეტის საფეხურზე, ასევე შრომის ბაზარზე. ამასთან, რესპონდენტები გამოთქვამენ მოლოდინს, რომ საშეღავათო პროგრამის არსებობა „იქნება მხოლოდ ტრანზიტული პერიოდი იმ განათლების პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებამდე, სანამ სახელმწიფო უზრუნველყოფს ხარისხიან და თანასწორ სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებას ყველასათვის."

[28] „ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლისა და დასაქმების შესაძლებლობები და პერსპექტივები", სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR), 2017
https://www.cciir.ge/images/pdf/CCIIR%20research%20report_2017.pdf

2017 წელს გამოქვეყნებული პოლიტიკური დოკუმენტის მიხედვით, „ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში“[29] ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები აჩვენებს, რომ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობით, ვაჭრობით და მცირე ბიზნესით არის დაკავებული. რეგიონებში დაწყებული ფართომასშტაბიანი სამშენებლო პროექტები ასევე ქმნის სამუშაო ადგილებს. გარდა ამისა, ადგილობრივები დასაქმდებიან სხვადასხვა საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ანაზღაურებად დასაქმების ხელისშემშლელ საკითხებს შორის დასახელებულია შემდეგი: მოსახლეობის უმრავლესობაში სახელმწიფო ენის ცუდი ცოდნა, შესაბამისი კვალიფიკაციის არქონა, მიღებული განათლება არ შეესაბამება ადგილობრივ შრომის ბაზრის მოთხოვნას, ნეპოტიზმი; მსხვილ სამშენებლო კომპანიებს შემოჰყავთ საკუთარი სამუშაო ძალა და თავს არიდებენ ადგილობრივ დაქირავებას; ადგილობრივების შეფასებით, არსებობს პოლიტიკური დისკრიმინაცია დასაქმების პოლიტიკაში, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა ორგანოები.

სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული ბარიერები უკავშირდება შემდეგ საკითხებს: მიწის საკუთრების/რეგისტრაციის გართულებული მდგომარეობა, მაღალი გადასახადები, გაცვეთილი სარწყავი სისტემა (ამჟამად რეაბილიტირებული), სოფლის მეურნეობის პრაქტიკა, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლებისათვის აუცილებელი უნარ -ჩვევების არ ქონა, ცუდად ორგანიზებული გაყიდვები (გლეხები მყიდველებს თავად ეძებენ).

მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ საუბრისას აღინიშნა როგორც ბიზნეს განათლების ნაკლებობა, ასევე რეგიონში ბიზნეს განვითარების სრული ნაკლებობა, ასევე ადგილზე არსებული ბიუროკრატია (კიდევ უფრო გართულებული სახელმწიფო ენის ცოდნის არარსებობის გამო); ადგილობრივებისათვის მნიშვნელოვან წინაღობას წარმოადგენს მაღალი გადასახადები და ჯარიმები და საბანკო სესხთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა აღებაც უწევთ ფინანსური ხარჯების გასაწევად.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობა არსებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას იღებს პირადი კავშირების მეშვეობით, ასევე ადგილობრივი ტელევიზიის და დასაქმების ვებ – გვერდების საშუალებით. თუმცა, არ არსებობს სპეციალიზებული სააგენტო, რომელიც დაეხმარება ადგილობრივებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს პოვნაში.

არ არსებობს ინფორმაცია სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების შესახებ - ასეთი ინფორმაცია შესაძლოა გავრცელდეს ბროშურების გამოყენებით, თუმცა ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოქმნის ის, რომ ეს ინფორმაცია მოცემულია ქართულ ენაზე. გარდა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნელი გავრცელებისა, დასახელებულია სხვა დაბრკოლებები, მათ შორის: ადგილობრივებისათვის შეთავაზებული მხარდამჭერი პროგრამები შესაძლოა არ იყოს შესაბამისობაში ადგილობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებთან. ასევე, შესაძლოა შეუსაბამო იყოს შეფასების კრიტერიუმები, რამდენადაც ადგილობრივ მოსახლეობას არ გააჩნია ბიზნეს უნარები და ისინი ვერ წარადგენენ განაცხადს ქართულ ენაზე.

[29] ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, 2017 https://eecmd.org/wp-content/uploads/2017/07/Policy_Papers_ENG.pdf

სკეპტიციზმი როგორც გამოცხადებული სამუშაოების, ასევე ინიცირებული პროგრამების მიმართ აშკარაა - ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ხაზს უსვამენ ადგილობრივ დონეზე არსებულ ნეპოტიზმს, რაც გამორიცხავს ჩვეულებრივი ადამიანების დასაქმების ან დაფინანსების შესაძლებლობებს.

ფოკუს ჯგუფის წევრები და რესპონდენტები დასაქმების განვითარების პერსპექტივას ხედავენ ძირითადად სოფლის მეურნეობის წარმოებაში, შენახვასა და გადამუშავებაში, ასევე ტურიზმში. ასევე აღინიშნა რეგიონებისთვის დამახასიათებელი ალტერნატიული რესურსების გამოყენების აუცილებლობა, როგორიცაა სასმელი წყლის ჩამოსხმა ახალქალაქში, გრანიტის მოპოვება და ა. შ.

ეთნიკური უმცირესობების კულტურული ექსკლუზია

ეთნიკური უმცირესობების დაცვის თვალსაზრისით, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება თვითმყოფადობის დაცვასა და ხელშეწყობაზეა ფოკუსირებული, რაც მნიშვნელოვანია „დომინანტ სოციალურ ჯგუფთან მათი იძულებითი ასიმილაციის, კულტურის, რელიგიისა და ენის დაკარგვის პრევენციისთვის“. 2020 წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში „კულტურული დომინაციის და უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში“[30] აღწერილია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიმართულებით გაწეული ძალისხმევა, რაც ქვეყნის კულტურულ მრავალფეროვნებას გაუსვამდა ხაზს, სათანადოდ არ ჩანს. სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშის მიხედვითაც, ავთენტური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და წარმოჩენის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. კვლევაში აღწერილია დისკრიმინაციული პოლიტიკა და პრაქტიკები, რომლებსაც არადომინანტური კულტურის წაშლა და განდევნა მოყვება. მსგავსი შედეგები კი, სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება.

როგორც კვლევაშია აღწერილი, კულტურის წაშლისა და მარგინალიზაციის პრაქტიკების მიმართ, ქვემო ქართლის ადგილობრივი აზერბაიჯანული თემი კრიტიკული და რეზისტენტულია. მაგალითად მოყვანილია 1) ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული საიმიჯო ვიდეორგოლის ალტერნატიული ვერსიის მომზადება, რომელშიც მკაფიოდაა გამოხატული რეგიონის კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება; 2) ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფის - „სალამ“ დაფუძნება, რომლის მიზანიც არადომინანტური ჯგუფების ორგანიზებაა სამართლიანობისა და თანასწორობისთვის, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის, ენისა და იდენტობის შესანარჩუნებლად.

საქართველოს მხრიდან დომინანტური მზერის თემას ბლოგერებიც შეეხებიან. ქამრან მამადლი ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ დომინანტური მზერის ოთხ ტიპს გამოყოფს: 1) არდანახვა, 2) საფრთხედ დანახვა; 3) დანახვა, როგორც ჩამორჩენილის; 4) დანახვა მეზობელი ქვეყნის გავლით.[31]

---

[30] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, *კულტურული დომინაციის და უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში,* 2020, https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_1607340919.pdf

[31] რადიო თავისუფლება, ქამრან მამადლი, *დომინანტური მზერა საქართველოს აზერბაიჯანული თემის მიმართ,* https://bit.ly/3oMEx0A

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ ნარგიზა არჯევანიძის კვლევაში[32] აღწერილია, რომ რესპონდენტების შეფასებით, სხვადასხვა „ინტეგრაციული“ პოლიტიკის გატარება არ ეფუძნება სიღრმისეულ მიდგომებს, არამედ, ძირითადად, ზედაპირულად მუშავდება ხოლმე. კვლევაში მონაწილე პირებმა ისაუბრეს „საერთაშორისო ორგანიზაციების დასანახად“ სახელმწიფოს მიერ ვალის მოხდაზე, რაც ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით სხვადასხვა პროგრამის ჩამოყალიბებაში გამოიხატება; თუმცა, მათი შეფასებით, მსგავსი დამოკიდებულება, როგორც წესი, პროგრამების ხარისხზე აისახება.

ამ, და ზოგადად სახელმწიფოს განვითარების, მიმართულებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები თავს უცხოებად გრძნობენ, რამდენადაც ქვეყნის მშენებლობის პროცესში ისინი გარეშე პირებად აღიქმებიან. კვლევის რესპონდენტების შეფასებით, პრობლემურია უშუალოდ „ქართველობის“ დეფინიციაც და, მათი შეფასებით, საჭიროა ცნებების - „ქართველობა“, „საქართველოს მოქალაქე“ - გადააზრება.

კვლევაში „კულტურული დომინაციის და უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში“ აღწერილია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ქართველებისგან განცალკევებით ცხოვრების განცდა აქვთ. რესპონდენტები თავადვე აღწერენ, რომ კომუნიკაციის ძირითადი ადგილები სხვადასხვა საჯარო სივრცეა ან გარკვეული რიტუალები, როგორებიცაა ქორწილი, დაკრძალვა და ა.შ. როგორც ჩანს, ძირითადად, ქართველებისა და ეთნიკური აზერბაიჯანელების თემის ცხოვრება ერთმანეთის პარალელურად მიდის და იშვიათად იკვეთება. პრობლემურად სახელდება სამეზობლოებში ჩაკეტილი სივრცეების არსებობაც, როდესაც ეთნიკურად ქართველი და აზერბაიჯანელი პირები ერთმანეთის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. მსგავსი მიდგომა კი, უმცირესობების ინტეგრაციის საკითხს აბრკოლებს. მეტიც, რესპონდენტები დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე, მიუღებლობაზე უსვამენ ხაზს.

კვლევაში ასევე მკაფიოდ გამოიკვეთა რესპონდენტების შეფასებები ადგილობრივი თემის კულტურის მკვეთრი გაღარიბების მიმართულებით. კვლევის მონაწილეების აზრით, სახელმწიფო და ეკლესია ცდილობს ქვემო ქართლის, როგორც „ძირძველი ქართული მიწის“, წარმოჩენას, სადაც „აზერბაიჯანელებს ძველი არ შეიძლება რამე მოეპოვებოდეთ“. მსგავსი მიდგომა, გაუაზრებელი და უყურადღებო პოლიტიკა კი ადგილობრივი თემისა და კულტურის წაშლას, გაღარიბებას უწყობს ხელს.

კვლევის ფარგლებში პრობლემურად გამოიყო კულტურის სახლების ფუნქციონირებაც. აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლების შეფასებით, რამდენიმე სოფელში მსგავსი ცენტრი მხოლოდ ფორმალურად არსებობს და უმცირესობების კულტურის რეპრეზენტაციისთვის სივრცე გამოუყენებელი და უფუნქციო რჩება. კონკრეტულ მაგალითად აღწერილია მარნეულის მუნიციპალიტეტი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა აზერბაიჯანელია. რესპონდენტებისთვის კი კულტურის სახლი მხოლოდ ქართულ კულტურასთან ასოცირდება. კულტურის წაშლის ერთ-ერთ ნიშნად მარნეულის ყოფილი ეთნოგრაფიული მუზეუმის ძიუდოს კლუბით ჩანაცვლება სახელდება. რესპონდენტების შეფასებით, ბიბლიოთეკაში არსებული 30 000 აზერბაიჯანული წიგნი, კულტურის სახლში გადაიტანეს, თუმცა, არცერთი მათგანი აღარ გამოიყენება.

---

[32] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, *კულტურული დომინაციის და უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში,* 2020, https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_1607340919.pdf

კვლევაში აღწერილია, რომ ქვეყანა მრავალფეროვნების ნაცვლად, მონოეთნიკურად, მონორელიგიურად წარმოჩინდება და ქართული კულტურა დომინირებს. რესპონდენტების შეფასებით, ნებისმიერი ღონისძიება, რაც ეთნიკური კულტურის შენარჩუნებას ისახავს მიზნად, ძირითადად, აზერბაიჯანული მხარისგან, სხვადასხვა აზერბაიჯანული კომპანიის მიერ, ფინანსდება. თუმცა, თავად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის მსგავსი დამოკიდებულება ზოგჯერ მიუღებელია და აზერბაიჯანულ მხარეს თხოვნით პრინციპულად არ მიმართავენ. სწორედ აქ იკვეთება სახელმწიფოს როლი, რამდენადაც, მათი შეფასებით, საქართველოს მოქალაქე პირველყოვლისა საკუთარი სახელმწიფოსგან უნდა გრძნობდეს მხარდაჭერას. ქვემო ქართლში, ეთნიკური უმცირესობების კულტურის წაშლის მაგალითად არაერთი ტოპონიმის ქართული ფორმით ჩანაცვლებაც სახელდება. აღნიშნული კვლევის ფარგლებში კიდევ ერთხელ გამოვლინდა, რომ, ერთი მხრივ, მიზანმიმართული, ხოლო, მეორე მხრივ, გაუაზრებელი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგები აზერბაიჯანული თემის ყოველდღიურობაზე ნეგატიურად აისახება.

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა

პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიხედვით, ოთხი ისტორიული ეტაპი გამოიყოფა:

1. **პირველი ეტაპი** - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკური მონაწილეობა, ძირითადად, ამ ჯგუფის შიდა უფლებად განიხილებოდა, კულტურული და ტერიტორიული ავტონომიის გათვალისწინებით.
2. **მეორე ეტაპი -** ამ შემთხვევაში დომინანტური პოზიცია დაიკავა მოსაზრებამ, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საკუთარი როლი აქვთ მთელი სახელმწიფოს მასშტაბით საჯარო პოლიტიკის შემუშავების მხრივ სწორედ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ (მნიშვნელობა დაკარგა მხოლოდ კულტურულმა და ტერიტორიულმა ავტონომიურობამ).
3. **მესამე ეტაპი -** დატვირთვა ენიჭება არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების საარსებო სამართლებრივ სივრცეს, არამედ საზიარო საკუთრებისა და მონაწილეობის შეგრძნებას, განცდას, რომ თანასწორუფლებიანნი უნდა იყვნენ საზოგადოებრივ პროცესებში ჩართულობის მხრივ.
4. **მეოთხე ეტაპი -** აღნიშნული ფაზის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში ინტეგრაციას. მის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ვერ შეძლებენ პოლიტიკურ საკითხებში მონაწილეობას, თუკი სოციალურ და კულტურულ სფეროებში ინტეგრირებულნი არ იქნებიან. ეკონომიკური და სოციალური სფეროდან გარიყვა პოლიტიკიდან გარიყვის საწინდარია.

როგორც ჩანს, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უმცირესობების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ დამატებით გზას საკონსულტაციო მექანიზმები წარმოადგენს[33]:

1. თანაგადაწყვეტილების მექანიზმები
2. საკონსულტაციო მექანიზმები
3. საკოორდინაციო მექანიზმები

[33] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები - რეალობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება“, 2020 https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_GEO_1622120137.pdf

4. უმცირესობის თვითმმართველობის მექანიზმები

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გასაზრდელად სასურველია სხვა სპეციალური მექანიზმებისა და მიდგომების არსებობაც; მით უმეტეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც უმცირესობების წარმომადგენლებს პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულობის მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობა არ აქვთ. მსგავსი პირობებია საქართველოშიც, რადგან არსებული საკონსულტაციო მექანიზმები უმცირესობების წარმომადგენლებსა და სახელმწიფოს შორის ინსტიტუციონალიზებული დიალოგის ფორმატს სრულად ვერ უზრუნველყოფს.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2020 წელს გამოცემულ დოკუმენტში „ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები - რეალობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება“[34] აღწერილია, რომ საქართველოში საკონსულტაციო მექანიზმს 2005 წლიდან მოქმედი სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო წარმოადგენს.[35] აღნიშნული საბჭო ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე 80-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს. როგორც დოკუმენტშია აღწერილი, ეთნიკური უმცირესობების საკითხების მიმართ დაბალი ინტერესისა და სათანადო პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, საბჭომ ვერ შეძლო სახელმწიფო უწყებებთან დიალოგის პლატფორმა გამხდარიყო. ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს ძირითადი ამოცანები შემდეგია:

- ეთნიკურ უმცირესობებსა და ხელისუფლებას შორის კონსულტაციებისა და დიალოგის წახალისება
- უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების პროცესში რეკომენდაციებისა და შენიშვნების შეთავაზება
- უმცირესობათა უფლებების დარღვევისა და კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნისას დროული რეაგირება
- სახალხო დამცველისა და სხვა თანამდებობის პირებისათვის რეკომენდაციების მომზადება

ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმს წარმოადგენს აგრეთვე საქართველოს სახალხო დაცველთან არსებული რელიგიათა საბჭო, რომელიც 2005 წლის 21 ივნის დაარსდა. ეს არის საქართველოში რელიგიური კონფესიების ყველაზე ფართო ფორუმი, რომელიც 32 რელიგიურ გაერთიანებას მოიცავს. აღნიშნული საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპი რელიგიის თავისუფლების დაცვა, ტოლერანტურლი და თანასწორუფლებიანი, მშვიდობიანი გარემოს დამკვიდრებაზე ზრუნვაა. რელიგიათა საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი უწევს.[36]

---

[34] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები - რეალობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება“, 2020
https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_GEO_1622120137.pdf

[35] სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო,
http://tolerantoba.ge/index.php?id=1345205225

[36] საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, 2020
https://www.ombudsman.ge/res/docs/2020092417162834667.pdf

მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში გაწერილია მოქალაქეების მონაწილეობის ფორმები თვითმმართველობის განხორციელებაში, რაც მიზნად ისახავს ყველა მოქალაქის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების, საჭიროებების მუნიციპალიტეტის დონეზე გადაწყვეტილებების მიმღებ პირებამდე მიტანას, რეალურად ეს მექანიზმები სუსტად მუშაობს. აღნიშნული მექანიზმების მუშაობას ისიც აფერხებს, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად და ტრადიციულად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო (ქართული) ენის ფლობის დონე დაბალია, ზოგადად, დემოკრატიული პრაქტიკების ნაკლები გამოცდილებაა, გაუცხოების და უნდობლობის დონე მაღალია და ა.შ. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ მსგავს რეგიონებში ცალკე, კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებსა და უფლებებზე ორიენტირებული საკონსულტაციო მექანიზმები არ არსებობს.

საქართველოს მთავრობამ სწორედ ეროვნული უმცირესობების საკითხების მიმართულებით შეიმუშავა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია“ და ამ სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა.[37] აღნიშნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზანი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფაა. შედეგად კი საქართველოს მოქალაქეებს, მათი ეთნიკური მიკუთვნებულობის მიუხედავად, უნდა შეეძლოთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი წვლილის შეტანა. აღნიშნული დოკუმენტი რიგით მეორე სტრატეგიული დოკუმენტია „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმისა“ და „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის“ შემდეგ.

2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ მიზნად, ცხადია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო-პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობას ისახავს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული თანაბარი საარჩევნო გარემოს განმტკიცებასა და ეთნიკური უმცირესობების მხრიდან გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის მხრივ ცნობიერების ამაღლებას. დოკუმენტში წერია, რომ საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ბოლო წლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა მზარდია, რა მხრივაც განსაკუთრებული როლი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას (ცესკო) ენიჭება. არსებული ინფორმაციით, იგი ინტენსიურად ახორციელებდა მოქალაქეების ინფორმირებას, საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და ა.შ. 2017 წელს გამოცემულ პოლიტიკის ნარკვევების კრებულშიც,[38] ცესკოს წარმომადგენლების განცხადებით, ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მუშაობა 2012 წლიდან დაიწყეს. რამდენადაც 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნაა, ცესკო ყველა საარჩევნო დოკუმენტაციას თარგმნის ეთნიკური უმცირესობების ენაზე. ამასთანავე, 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშშიც წერია, რომ საარჩევნო დოკუმენტაცია და საინფორმაციო მასალები, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენები, ამომრჩეველთა

[37] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა, https://smr.gov.ge/uploads/Files/_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/danarti_1.pdf

[38] პოლიტიკის ნარკვევების კრებული, *ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში,* https://eecmd.org/wp-content/uploads/2017/08/Policy_Papers_GEO.pdf

ერთიანი სია, ბიულეტენის შევსების წესი და ა.შ. ითარგმნება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.[39] აღნიშნული შედეგები სწორედ 2015-2020 სამოქმედო გეგმას შეეხება. ამდენად რელევანტურია ისეთი ცნობა, რომ 2016 წელს ამ მიმართულებით გარკვეული ხარვეზები კვლავ არსებობდა. როგორც საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა „დემოკრატ მესხთა კავშირის" (UDM) და საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის (GRMA) მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, „უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით"[40], არის მითითებული, 2016 წლის მარტში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფზე კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელწყაროს აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლებმა ისაუბრეს შემთხვევაზე, რომ არჩევნებზე მათთვის საარჩევნო ბიულეტენები მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი. ამ ფაქტს უფრო პრობლემურს ის ხდის, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას ქართულად კითხვა არ შეუძლია. როგორც დოკუმენტშია მითითებული, მსგავსი შემთხვევა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 სექტემბრის #355/2012 და 2016 წლის 29 სექტემბრის #502/2016 განკარგულებებშიც (არჩევნების ბიულეტენების ტესტების დადგენის შესახებ) დასტურდება.

2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ვკითხულობთ, რომ 2016-2020 წლებში საქართველოში ჩატარებულ ორ საპარლამენტო არჩევნებში (2016, 2020), ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსა (2017) და საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში (2018) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა[41] (იხ. ცხრილი #თ).

[39] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, *სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში,* https://smr.gov.ge/uploads/Files/_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/DRAFT-2020-Annual-report-01.04.2021.pdf

[40] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა „დემოკრატ მესხთა კავშირი" (UDM) და საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია (GRMA), *უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით,* https://gdi.ge/uploads/other/0/708.pdf

[41] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა, https://smr.gov.ge/uploads/Files/_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/danarti_1.pdf

ცხრილი #თ

არჩევნები	**სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა (სულ)**	**სომხურენოვანი**	**აზერბაიჯანულენოვანი**
საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები	2681	1343	1338
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები	2742	1368	1374
საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები	1639	762	877
საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბერს გამართული არჩევნები	1579	861	718

წყარო: *სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა*

ქვეყნის პოლიტიკურ ინსტიტუტებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის მაჩვენებელი დაბალია. თუკი 2016 წელს პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების 11 წარმომადგენელი იყო (რაც დეპუტატების საერთო რაოდენობის 7.3%-ია), 2020 წლის მეათე მოწვევის პარლამენტში აღნიშნული რიცხვი 6-მდე შემცირდა: ეთნიკურად აზერბაიჯანელი - 3 ინდივიდი, ეთნიკურად სომეხი - 2 ინდივიდი, სხვა - 1 ინდივიდი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა თვითმმართველობებშიც დაბალია - 2017 წლის არჩევნების შედეგად (64-დან 21 მუნიციპალიტეტში) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 165 პირი აირჩა (იხ. დიაგრამები #ა, #ბ).

დიაგრამა #ა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის დინამიკა საქართველოს პარლამენტში



წყარო: *ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი*

დიაგრამა #ბ

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა საკრებულოებში



წყარო: *ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი*

მუნიციპალურ ორგანოებში (გამგეობები/მერია და საკრებულოები) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების რაოდენობის შეფასებაზეა ორიენტირებული 2016 წელს „მწვანე კავკასიის“ მიერ ჩატარებული კვლევა „ეთნიკური უმცირესობები ქვემო ქართლის მუნიციპალურ ორგანოებში“.[42] ანგარიშში მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების მოსახლეობისა და, ერთი მხრივ, მუნიციპალური ორგანოების საჯარო მომსახურეების, ხოლო, მეორე მხრივ, თანამდებობის პირების ეთნიკური შემადგენლობა დისპროპორციულია. შედეგების მიხედვით, მარნეულის შემთხვევაში, სადაც მოსახლეობაში ეთნიკური უმცირესობების წილი 91% იყო, გამგეობაში მათი წილი მარნეულში 38%-ს უტოლდებოდა, ხოლო საკრებულოში - 33%-ს. მსგავსი დისპროპორცია გამოვლინდა ბოლნისშიც - მოსახლეობის 69% ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო, თუმცა, გამგეობაში მათი წილი მხოლოდ 11%-ს უტოლდებოდა, საკრებულოში კი - 25%-ს (იხ. დიაგრამა #გ).

დიაგრამა #გ

ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების მოსახლეობისა და მუნიციპალური ორგანოების საჯარო მომსახურეთა ეთნიკური შემადგენლობის დისპროპორცია



2018 წელს ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ პოლიტიკის ნარკვევში „კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში: 2017

[42] მწვანე კავკასია, *ეთნიკური უმცირესობები ქვემო ქართლის მუნიციპალურ ორგანოებში*, 2016, http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2017/01/Minorities-in-Kvemo-Kartli-Municipal-Administrations_-research-presentation-16092016.pdf

წლის ადგილობრივი არჩევნები“[43] აღნიშნულია, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ მონაწილეობას სამი ძირითადი საკითხი უკავშირდება:

1. რამდენად არიან უმცირესობები პარტიების მიერ წარდგენილ კანდიდატების სიებში
2. პოლიტიკურ პარტიებს შორის გავრცელებული ცრუ წარმოდგენები ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევის შესახებ
3. ეთნიკური უმცირესობების რეალური საარჩევნო ქცევა

პოლიტიკური პარტიების შეხედულებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უმრავლესობა არჩევნებზე ყოველთვის მმართველ პოლიტიკურ ძალას აძლევს ხმას. ამდენად, რესურსი, ენერგია და დრო მათთან კომუნიკაციასა და მობილიზებაზე, ძირითადად, არ იხარჯება.

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე 64 მუნიციპალიტეტიდან, რომლებშიც მერი აირჩიეს, მხოლოდ 9 მათგანში იყო მინიმუმ ერთი კანდიდატი არაქართული გვარით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლნისში, დმანისსა და თბილისში, სადაც ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, არაქართველი კანდიდატი საერთოდ არ იყო წარდგენილი. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 4796 მაჟორიტარი კანდიდატიდან 399 (8.3%) მიეკუთვნებოდა ეთნიკურ უმცირესობებს. აქვე აღსანიშნავია, რომ არჩევნებში გამარჯვებულ „ქართულ ცნებას“ თბილისში არცერთი უმცირესობების წარმომადგენელი არ ჰყავდა წარდგენილი, რაც, ცხადია, პრობლემურია, რამდენადაც დედაქალაქის მოსახლეობის თითქმის 15%-ს სწორედ ეთნიკური უმცირესობები შეადგენს (იხ. დიაგრამა #დ).[44]

[43] ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, *კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები,* 2018, http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf

[44] ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, *კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები,* 2018, http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf

დიაგრამა #დ

მაჟორიტარი კანდიდატების გადანაწილება ეთნიკურობისა და რეგიონების მიხედვით



იმ დაშვების უარსაყოფად, რომ ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა ყოველთვის მმართველ პარტიას უჭერს მხარს, პოლიტიკის ნარკვევში განხილულია საპარლამენტო არჩევნების შედეგები. ანალიზი ეფუძნება შვიდი რაიონის მონაცემებს: ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, მარნეული, ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა. როგორც ჩანს, 2008 წლიდან 2016 წლამდე ამ რაიონებში ოპოზიციური პარტიების ხმების წილი 3.5-ზე მეტჯერ გაიზარდა; მეტიც, 2016 წელს, ხუთ რაიონში ამომრჩევლების ნახევარზე მეტმა იმ პარტიას დაუჭირა მხარი, რომელიც ხელისუფლებაში არ იმყოფებოდა. მსგავსი შედეგები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ საჭიროა პოლიტიკური პარტიების მხრიდან ეთნიკურ უმცირესობებთან მაღალი ხარისხის ჩართულობა და კომუნიკაცია.

პოლიტიკის ნარკვევში ვკითხულობთ, „კლებადი მხარდაჭერა მმართველი პარტიის მიმართ და მზარდი ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ, მიუთითებს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე: ეს თემები მზად არიან უფრო მეტი ჩართულობისთვის და ამ მზაობას ესაჭიროება უფრო პროაქტიული კომუნიკაცია პოლიტიკური პარტიების მხრიდან“. ამდენად ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაითვალისწინონ:

- გახდნენ უფრო მეტად ორიენტირებულები იდეოლოგიაზე და საკუთარი მხარდამჭერების ერთგულება პარტია-ამომრჩევლის პროგრამულ კავშირად გადააქციონ
- მოახდინონ რეკრუტირებისა და ნომინირების პროცესების ინსტიტუციონალიზაცია
- გახდნენ უფრო მარტივად ხელმისაწვდომნი ეთნიკური უმცირესობებისთვის
- გათავისუფლდნენ ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევასთან დაკავშირებული ცრურწმენებისგან

- უზრუნველყონ, რომ ადგილობრივ არჩევნებში წარდგენილი საარჩევნო სიები რეგიონის ეთნიკურ შემადგენლობას სათანადოდ ასახავდეს

ამ პოლიტიკის ნარკვევშიც გამოიკვეთა წინასაარჩევნო პროგრამების ეთნიკური უმცირესობების ენაზე თარგმნის აუცილებლობა და აგრეთვე, პრიორიტეტებსა და დაპირებებში ისეთი პრობლემების შეტანა, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს განსაკუთრებით აწუხებთ.[45]

2019 წელს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტისა და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ ჩატარებული „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევის“[46] ფარგლებში შესწავლილ იქნა ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის ტრადიციული ფორმები: არჩევნებში და მის განხორციელებაში მონაწილეობა, პოლიტიკური პარტიების წევრობა და მათთან თანამშრომლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობა და ა.შ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტების გამოკვეთილ უმრავლესობას ბოლო ორი წლის განმავლობაში პოლიტიკური ჩართულობის შემდეგი მეთოდები არ გამოუყენებია: ადგილობრივ ხელისუფლებისადმი მიმართვა, მედიასაშუალებების გამოყენებით პრობლემებზე საჯარო საუბარი, საპროტესტო აქციებში მონაწილეობა, კოლექტიური ხელმოწერების შეგროვება და სხვა.

კვლევა, ერთი მხრივ, აჩვენებს, რომ პოლიტიკური პარტიები არ არიან ეთნიკური უმცირესობების ინტერესების გამომხატველნი, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზს უსვამს რომ კვოტირების პრაქტიკა არ არსებობს, რაც პარტიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ყოფნას წაახალისებდა. კონკრეტულად, გამოკითხული პირების 43.8%-ის შეფასებით, პარტიათა პროგრამები და საქმიანობა მათ საჭიროებებს არ მოიცავს. საინტერესოა ისიც, რომ რესპონდენტების 70%-ს ან არ გაუგია, ან უარყოფს ეთნიკურ უმცირესობებთან პარტიების რაიმე მიმართულებით თანამშრომლობას. ამდენად, პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის ზოგადი მაჩვენებელი დაბალია, მხოლოდ 12.6% ენდობა. ამ საკითხს უფრო პრობლემურს უშუალოდ კვლევაში მონაწილე პირების დამოკიდებულება ხდის - მათი ნახევარი (50.4%) მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოსახლეობის ჩართვა აუცილებელია; პოლიტიკოსები მოქალაქეებთან თანამშრომლობის გარეშე ვერ შეაფასებენ და ვერ გადაჭრიან მოსახლეობის მნიშვნელოვან პრობლემებს.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტების საშუალოდ 90%-ს არასდროს მიუღია მონაწილეობა შემდეგ აქტივობებში: საარჩევნო კამპანიის დაგეგმვა, ეგზიტპოლების განხორციელება, საარჩევნო კომისიის წევრობა/თავმჯდომარეობა, პოლიტიკური პარტიის აგიტაცია, საარჩევნო ბუკლეტების ან საინფორმაციო ბროშურების გავრცელება, საარჩევნო სიების დაზუსტება (იხ. დიაგრამა #ე).

დიაგრამა #ე

---

[45] ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, *კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები,* 2018, http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf

[46] ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, *ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა,* 2019, https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/



კვლევამ საინტერესო შედეგი აჩვენა პოლიტიკურ აქტივობებში რესპონდენტების ჩართულობის დამაბრკოლებელი ფაქტორების მხრივ. როგორც აღმოჩნდა, ეთნიკური ჯგუფების მიხედვით შემდეგი ფაქტორებია მნიშვნელოვანი: „პოლიტიკის მიმართ ინტერესის არქონა“ – განსაკუთრებით მაღალია ურბანულ მცირე ეთნოსებში (56%); „ოჯახურ საქმეებში აქტიურად ჩართულობა“ - ოსურ თემში (64.3%); ხოლო, „ქართული ენის არასრულყოფილი ცოდნა“ - აზერბაიჯანული თემის რესპონდენტებში (66.9%) (იხ. დიაგრამა #3).

დიაგრამა #3



კვლევის შედეგად გამოვლინდა ისიც, რომ რესპონდენტების უმრავლესობა (84.2%) არ არის ინფორმირებული ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, კერძოდ

ბიუჯეტის დაგეგმვაში, მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ. გამოკითხულთა 8.7% მიუთითებს, რომ ინფორმაციას ფლობს, თუმცა არ იცის კონკრეტულად როგორ უნდა ჩაერთოს ამ პროცესებში. უმრავლესობის ინფორმირებულობის დონე დაბალია მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობისა (84.9%) და ქალაქში/მუნიციპალიტეტში გასამართი სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში მონაწილეობის (84.1%) მიღების მხრივაც (დიაგრამა #ზ).

დიაგრამა #ზ



აღნიშნული კვლევაც ადასტურებს, რომ პოლიტიკური აქტივობების შესახებ ინფორმირებულობის, ჩართულობის მაჩვენებელსა და ქართული ენის ცოდნის დონეს შორის სტატისტიკურად სანდო კავშირი ვლინდება - ინფორმირებულობის დონის ზრდასთან ერთად მზარდია ქართული ენის ცოდნის ინდექსის საშუალო მაჩვენებელიც.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებულ საპარლამენტო ანგარიშში[47] აღწერილია, რომ, მიუხედავად ეთნიკური უმცირესობების გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხის აქტუალობისა, სახელმწიფო უწყებებს 2020 წელს პროცესების ხელშესაწყობად არცერთი პროგრამა და ეფექტიანი აქტივობა არ განუხორციელებია. ხაზგასმულია ისიც, რომ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში, გარდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატისა, ეროვნული უმცირესობები, ძირითადად, არ არიან წარმოდგენილნი.

2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია თბილისში არსებულ მდგომარეობაზეც - მართალია, დედაქალაქის მოსახლეობის დაახლოებით 11% ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია, თბილისის საკრებულოსა და მთავრობაში კვლავ არცერთი უმცირესობის წარმომადგენელი არ არის. ანგარიშში საუბარია უშუალოდ საარჩევნო პროცესზეც. აღწერილია, რომ 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების ძირითად ნაწილში მხოლოდ ფორმალურად იყო წარმოდგენილი ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები, ან საერთოდ არ ყოფილა ასახული.

[47] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი, https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

ამდენად, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობა ქვეყნისთვის კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

მედიის როლი და ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

მასმედიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებასა და სხვადასხვა სფეროში ინტეგრაციის მიმართულებით.

2019 წელს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტისა და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ ჩატარებული „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევის“[48] მიხედვით, მედიასაშუალებების მიმართ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ნდობა მაღალი არ არის - გამოკითხულთა 28.3% ენდობა (სრულიად ან ძირითადად) მასმედიას. რაც შეეხება ინფორმაციის მიღების სიხშირეს, როგორც კვლევის ანგარიშშია მითითებული, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას თითქმის ყოველდღიურად იღებს ოსი რესპონდენტების 83.9%, ქისტების 80.5%, ურბანული მცირე ეთნოსების წარმომადგენლების 51%, სომხების 21.4% და აზერბაიჯანელების 13.7%. აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ინფორმაციას თითქმის ყოველდღიურად ეთნიკური უმცირესობების სწორედ ის წარმომადგენლები ეცნობიან, რომელთა ქართული ენის ცოდნის დონე მაღალია.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ, ზოგადად, საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს საქართველოს სატელევიზიო არხები (47.4%) წარმოადგენს, რაც ეთნიკურობის ჭრილში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ოსი - 63.9%, ქისტი - 45.4%, ურბანული მცირე ეთნოსების წარმომადგენელი - 54.5%, სომეხი - 28%, აზერბაიჯანელი - 32.1%.

რესპონდენტებისთვის პარტიებისა და საარჩევნო კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ ტელევიზია განისაზღვრა, თითქმის მესამედმა დააფიქსირა აღნიშნული კატეგორია (32.9%). შემდგომ პოზიციას იკავებს მეზობლები/მეგობრები ან თანამშრომლები, რომლებიც რესპონდენტების 22.5%-სთვისაა ინფორმაციის წყარო. შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან კატეგორიებად განისაზღვრა: ინტერნეტი - 12.4%, ოჯახის წევრები - 9.8%, პლაკატები - 8.7%. გამოკითხულთა 2.6% კი საერთოდ არ იღებს მსგავსი ტიპის ინფორმაციას.

იმის გათვალისწინებით, რომ კვლევებით დასტურდება ტელევიზიის როლი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში, ქართულ რეალობაში ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა საზოგადოებრივ მაუწყებელს ენიჭება. სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია“[49] აღნიშნულია, რომ, ზოგადად, საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა ოთხ მთვარ

---

[48] ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, *ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა,* 2019, https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/

[49] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, *ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია,* https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A3-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_1595313088.pdf

პრინციპს ეფუძნება: უნივერსალურობა, მრავალფეროვნება, დამოუკიდებლობა, გამორჩეულობა. სწორედ უნივერსალურობის პრინციპი გულისხმობს, რომ გავრცელებული ინფორმაცია ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის, ცხადია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა - მითითებულია, რომ 2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის უფრო მეტად მულტიმედიურ ორგანიზაციად გარდაქმნაზე გამახვილდა ყურადღება, საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდა. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მაუწყებელი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს:

1. პირველი არხის ვებ-გვერდი საინფორმაციო სააგენტოს პრინციპით მუშაობს 7 ენაზე (ქართული, აფხაზური, აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, რუსული, ინგლისური)
2. დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება მოამბე 21:00 საათზე სინქრონულად ითარგმნება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომლის მიღებაც მომხმარებლებს სათანადო დეკოდერის (ე.წ. სეტ-ტოპ ბოქსების) მეშვეობით შეუძლიათ
3. სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მუშაობს ინტერნეტ რადიო და ინტერნეტ ტელევიზია
4. მზადდება საინფორმაციო გამოშვებები სომხური და აზერბაიჯანული ინტერნეტ ტელევიზიისათვის, რომელიც დღეში რამდენჯერმე გადის
5. სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მზადდება გასართობი, კულტურული, შემეცნებითი და საბავშვო გადაცემები

აქვე აღსანიშნავია საზოგადოებრივი მაუწყებლის ორი პროექტი, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას ეხება:

- **ტელე-სკოლა -** კორონავირუსის გამო შეწყვეტილი სასკოლო პროცესის სახლიდან ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს
- **„ჩვენი ქართული ენა“ -** პროექტი სკოლის მოსწავლეებისთვის. მისი მიზანი ქართული ენის პოპულარიზება და ეთნიკურ უმცირესობებში მისი სწავლების ხელშეწყობაა.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდების მხრივ უფრო მეტ რესურსს ინტერნეტით მიწოდების საშუალებებზე ხარჯავს; ტელევიზიით კი, ძირითადად, მთავარი საინფორმაციო გამოშვების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სინქრონულ თარგმანზე წვდომის საშუალება არსებობს.

მსგავსი მიდგომა განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს, ზოგადად, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის, მოსახლეობის ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, შიდა მეურნეობის 80%-ზე ნაკლებს ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა; ქვემო ქართლში კი ინტერნეტით დაფარვა, ეროვნული კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით, 60.5%-ია. ამასთან, დოკუმენტში აღწერილია, რომ ინტერნეტ-ტელევიზიით გასული სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საინფორმაციო გამოშვებების დიდი ნაწილი 3-10 წუთამდე ქრონომეტრაჟისაა და ნახვების რაოდენობაც მცირე აქვს (YouTube-ზე იშვიათად აჭარბებს 2000 ნახვას).

ინტერნეტის ინფორმაციის წყაროდ გამოყენების პრობლემას 2020 წლის 2-5 დეკემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკვეთით ჩატარებული „ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი - ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ტელემაყურებელთა

კვლევაც“[50] მოწმობს. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ინფორმაციას საინფორმაციო ვებ-გვერდების გამოყენებით რესპონდენტების მხოლოდ 10% იღებს, ხოლო ტელეარხების ვებ-გვერდების მეშვეობით - 4%.

მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა, თავიანთ მშობლიურ (სომხურ ან აზერბაიჯანულ) ან რუსულ ენაზე ნახონ გადაცემები აზერბაიჯანულ, სომხურ ან რუსულ ტელეარხებზე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დომინანტ საინფორმაციო საშუალებად ქცევა კვლავ გამოწვევად რჩება.

ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კორონავირუსის გავრცელების პერიოდში გახდა. 2020 წლის მარტში არასამთავრობო ორგანიზაციების არაფორმალურმა გაერთიანებამ „კოალიცია თანასწორობისთვის“ გამოაქვეყნა მიმართვა სახელმწიფოსა და მედიების მიმართ, რათა საინფორმაციო პოლიტიკაში უმცირესობების ენები გაეთვალისწინებინათ. ღია საზოგადოების ფონდმა თავადაც გაავრცელა საინფორმაციო მასალები ეთნიკური უმცირესობების ენებზე.[51] სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგის[52] ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ამ პერიოდში პირველ არხზე გასული ინფორმაცია სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისთვის დაგვიანებული აღმოჩნდა. გასათვალისწინებელია, რომ 2020 წლის 23 მარტს კორონავირუსის შიდა გავრცელების გამო, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტები ჩაიკეტა.[53] მედიამონიტორინგის შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ 23 მარტამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში პანდემიის შესახებ საერთოდ არ გავრცელებულა არანაირი ცნობა სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე. 9-23 მარტის შუალედში გასულ საინფორმაციო გამოშვებებში, სიუჟეტებში თითქმის არ ყოფილა საუბარი ეთნიკურ უმცირესობებზე, არც გავრცელებული ინფორმაცია უთარგმნიათ. ამდენად, გამოვლინდა, რომ იმ პირებს, რომლებიც ქართულად ვერ საუბრობდნენ, რეალურად საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით პანდემიის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება არ ჰქონდათ.

მედიამონიტორინგის შედეგების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მხოლოდ 23 მარტს, მაშინ როცა შიდა გავრცელების შემთხვევები უკვე დაფიქსირებული იყო, მიეწოდათ ინფორმაცია მათ მშობლიურ ენაზე. როგორც ჩანს, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი დამატებების ქრონომეტრაჟი 3-8 წუთამდე მერყეობდა. გავრცელებული ინფორმაცია კი არასტრუქტურირებულად იყო წარმოდგენილი, ძირითადად, მეორდებოდა და სათანადოდ არ ახლდებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ მიწოდებული ინფორმაცია სხვადასხვა თემას შეეხებოდა - სტატისტიკური მონაცემები, მგზავრობა-გადაადგილებასა და შეკრებებზე დადგენილი შეზღუდვა,

---

[50] საზოგადოებრივი მაუწყებელი, *ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი- ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ტელემაყურებელთა კვლევა,* 2020, https://bit.ly/3imYrLS

[51] ღია საზოგადოების ფონდი, კოალიცია თანასწორობისთვის, https://osgf.ge/movuwodebt-sakhelmwifosa-da-mediebs-sainformacio-politikashi-umciresobebis-enebi-gaitvaliswinon/

[52] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, *ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია,* https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A3-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_1595313088.pdf

[53] რადიო თავისუფლება, *მარნეული და ბოლნისი ჩაიკეტა,* https://www.radiotavisupleba.ge/a/30503518.html

სწავლის პროცესის შეწყვეტა და ა.შ. - თუმცა, არ ერთვოდა სათანადო ვიზუალური მასალა, რის გამოც ინფორმაცია უფრო რთულად აღსაქმელი იყო.

საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც[54] მითითებულია, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დღიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-პორტალზე ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, 24/7 რეჟიმით ფუნქციონირება 7-ენოვანი ვებ-გვერდი. მართალია, განხორციელებული აქტივობები მნიშვნელოვანი იყო, თუმცა, როგორც აღინიშნა, ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობის გამო ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის მხრივ ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა.

მსგავსი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი სრულად ვერ ასრულებს თავის ფუნქციას ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიმართულებით. ამ ჯგუფების წარმომადგენლების ნაწილი კვლავ არაქართულენოვანი ტელევიზიების მაყურებლად რჩება. საზოგადოებრივი მაუწყებლის გაუმჯობესებული პოლიტიკა ინტერნეტ წყაროების გამოყენების მხრივ, მასზე ხელმისაწვდომობის პრობლემების გამო, ნაკლებად ეფექტიანია.

[54] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი, https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები

რესპონდენტთა განათლება

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების თითქმის მეხუთედი (18%) არასრულ საშუალო განათლებას ფლობს, ხოლო თითქმის ნახევარი (47%) - სრულ საშუალოს. უმაღლესი განათლება გამოკითხულთა მხოლოდ 16%-ს აქვს.

საქართველოს ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობები გენდერულად არის განპირობებული. კერძოდ, სრულ საშუალო განათლებას უფრო მეტად მამრობითი სქესის წარმომადგენლები ფლობენ (51%), ვიდრე მდედრობითი (43%). პირიქით, არასრული საშუალო განათლების მქონეები ქალებში უფრო მეტია (27%), ვიდრე მამაკაცებში (19%).

კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა), დანარჩენ სამიზნე რეგიონებთან შედარებით, დიდია არასრული საშუალო განათლების მქონე რესპონდენტთა რიცხვი (37%). ხოლო სამცხე-ჯავახეთში, ზოგად მონაცემებთან შედარებით, მეტია სრული საშუალო განათლების მქონე პირთა რაოდენობა (55%).

კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა), საერთო ტენდენციასთან შედარებით, მცირეა უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვი (4%). პანკისის ხეობაში, პირიქით, სხვა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან შედარებით, დიდია უმაღლესი განათლების მფლობელ რესპონდენტთა წილი (18%).

ზოგადი ტენდენციის მიხედვით, რესპონდენტები თვლიან, რომ ქართველებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის თანაბარი პირობებია შექმნილი სასწავლო დაწესებულებებში (სკოლამდელი - 85%; სასკოლო - 86%; პროფესიული - 74%; უმაღლესი - 75%). საერთო მონაცემებთან შედარებით, აღნიშნულ პოზიციის გაზიარების ხარისხი ყველაზე მაღალია პანკისის ხეობაში. მეორე მხრივ, კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) შემცირებულია მათი რიცხვი, ვინც ზემოაღნიშნულ პოზიციას იზიარებს (პროფესიული სწავლება - 60%; უმაღლესი - 59%).

მცირეა რესპონდენტთა ის ნაწილი, ვინც თვლის, რომ სასწავლო პირობები არათანაბარია სწავლის სხვადასხვა ეტაპზე (მათი რაოდენობა 5%-ს არ აჭარბებს სწავლის თითოეულ ეტაპთან მიმართებიოთ). ასეთ რესპონდენტებს შორის ორი ძირითადი მიზეზი გამოიკვეთა: პედაგოგთა მხრიდან ეთნიკური ნიშნით მოსწავლეთა გამორჩევა და სასწავლო ლიტერატურის მშობლიურ ენაზე (უმცირესობათა ენებზე) არარსებობა.

ქართული ენის ცოდნა

კვლევამ გაზომა ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის დონე სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით. ესენია: ქართული ასოების ცნობა, ქართულად მოსაუბრე ადამიანებთან კომუნიკაცია, ქართული ლიტერატურის კითხვა და გააზრება, ქართული სატელევიზიო არხებიდან ინფორმაციის მიღება, ქართულად მსჯელობისა და სათქმელის გადმოცემა.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ თითოეულ ინდიკატორთან მიმართებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ვითარება არადამაკმაყოფილებელია:

- ეთნიკური უმცირესობების 63% ცუდად ან ძალიან ცუდად ცნობს ქართულ ასოებს და კითხულობს სიტყვებს.

- საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 60%-ს, მათივე შეფასებით, ძალიან ცუდად ან ცუდად შეუძლია ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანთან კომუნიკაცია, ხოლო ქართული ლიტერატურის კითხვა და ტექსტის შინაარსის გაგება ძალიან ცუდად ან ცუდად შეუძლია კიდევ უფრო დიდ ნაწილს (84%).

ქართული ენის ცოდნის მხრივ, ნეგატიურად გამოირჩევა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები, ხოლო ქართულ ენას შეუდარებლად კარგად ფლობენ (ყველა ინდიკატორის მიხედვით) პანკისის ხეობაში.

აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა ასაკი გავლენას ახდენს ქართული ენის ცოდნის ხარისხზე: ასაკის მატების პარალელურად მცირდება მათი რიცხვი, ვინც კარგად იცის ქართული ენა. მოცემული ტენდენცია შენარჩუნებულია რეგიონების ჭრილშიც, პანკისი ხეობის გამოკლებით, სადაც ქართულ ენას თითქმის ყველა ასაკობრივი კატეგორია ერთნაირად კარგად ფლობს.

სასწავლო პროცესში მონაწილეობა

კვლევის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გამოკვეთილი უმრავლესობა (68%) ამბობს, რომ მათ ოჯახებში მცხოვრები ბაღის ასაკის ბავშვ(ები)ი ჩართულნი არიან **წინასასკოლო განათლებაში.**

საერთო მონაცემებთან შედარებით, პანკისი ხეობასა (88%) და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (82%) მცხოვრები ბაღის ასაკის ბავშვთა დიდი უმრავლესობა ჩართულია წინასაკოლო სწავლებაში.

ამ ფონზე, დრამატულად გამოირჩევა კახეთის რეგიონის (პანკისის გარდა) არაქართული მოსახლეობა: უმრავლესობა (56%) ამბობს, რომ მათ ოჯახში მყოფი ბაღის ასაკის ბავშვ(ებ)ი არ არიან/არის ჩართულნი წინასასკოლო სწავლებაში.

საერთო მონაცემების მიხედვით, ძირითად მიზეზად, რატომაც არ დაჰყავთ საბაღე ასაკის ბავშვები დაწესებულებებში, რესპონდენტები ასახელებენ იმას, რომ მათ დასახლებაში საბავშვო ბაღი არ არის ან შორსაა (36%), ამ მიზეზს კახეთის რეგიონში (პანკისის ხეობის გარდა) გამოკითხული არაქართველი რესპონდენტების უმრავლესობა (57%) ასახელებს.

რაც შეხება წინასასკოლო განათლების მომსახურებით კმაყოფილებას, აქ წამყვანი პოზიციაა (41%) „მეტ-ნაკლებად კმაყოფილი ვარ“.

საერთო მონაცემების მიხედვით, რესპონდენტთა ოჯახის წევრი ბავშვების/მოზარდების სრული უმრავლესობა (96.8%) ჩართულია **სასკოლო სწავლებაში.** მხოლოდ 2% ამბობს, რომ მათი ოჯახის ზოგიერთი სასკოლო ასაკის ბავშვი დადის სკოლაში, ზოგიერთი კი - არა.

რაც შეეხება სასკოლო განათლების მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა), სასკოლო განათლების მიღების კუთხით, სკოლამდე არსებული მანძილი (26%) კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება, ხოლო სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ რესპონდენტთა შორის გამოიკვეთა სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების შეძენის პრობლემა (15%).

პროფესიული განათლების კუთხით, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (97.7%) არც თავად იღებს ასეთი ტიპის განათლებას და არც მისი ოჯახის სხვა რომელიმე წევრი. რესპონდენტთა ან მათი ოჯახის წევრთა მხოლოდ 2.1% იღებს პროფესიულ განათლებას.

რაც შეეხება **უმაღლეს განათლებას,** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დაახლოებით მეათედი (11%) ამბობს, რომ თავად ან ოჯახის სხვა რომელიმე წევრი იღებს უმაღლეს განათლებას. ყველაზე უარესი მდგომარეობა, ამ მხრივ, კახეთის რეგიონშია (4%), ხოლო ყველაზე უკეთესი - პანკისში (18%).

ეთნიკურ უმცირესობათა უმრავლესობას (63%) არ სმენია მთავრობის ინიციატივის შესახებ, რომელიც მათ საშუალებას აძლევს შეღავათიანი პირობებით ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში (1+4 სახელმწიფო პროგრამა). ზოგად მონაცემებთან მიმართებით, ქვემო ქართლში შედარებით დიდია მათი წილი (43%), ვისაც ასეთი პროგრამის შესახებ ინფორმაცია გააჩნია, ხოლო პანკისი ხეობაში მცხოვრებ რესპონდენტთა მხოლოდ დაახლოებით მეხუთედს სმენია ასეთი შესაძლებლობის შესახებ.

ქალებში (27%) უფრო მეტია ისეთი რესპონდენტების წილი, რომელთაც არასრული საშუალო განათლება აქვთ, ვიდრე კაცებში (19%). მეორე მხრივ, კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა), დანარჩენ სამიზნე რეგიონებთან შედარებით, დიდია არასრული საშუალო განათლების, დაწყებითი განათლების, ან განათლების არმქონე ქალთა წილი (75%).

კორონავირუსის პანდემიის გავლენა სასკოლო სწავლებაში ჩართულობაზე

საერთო მონაცემების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დიდი უმრავლესობა (80%) ამბობს, რომ მათი ოჯახის წევრი სასკოლო ასაკის ბავშვები ერთვებოდნენ ონლაინ სწავლებაში.

ონლაინ სწავლებაში ჩართვის პრაქტიკამ შედარებით ცუდად იმუშავა კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) (58%) და ყველაზე გავრცელებული იყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (95%).

ონლაინ სწავლების ტექნიკური მხარდაჭერის თვალსაზრისით, პრობლემები არ შექმნია ონლაინ სწავლებაში ჩართული ოჯახების თითქმის ნახევარს (48%), ხოლო მეორე ნახევარი (52%) ამბობს, რომ განათლების მიღების თვალსაზრისით ხარვეზებს იწვევდა სხვადასხვა მიზეზი: საჭირო ტექნიკაზე ხელმიუწვდომლობა (18%), ინტერნეტის საფასური (13%) და ელექტრონული კავშირის ხარისხი (20%).

სასწავლო პროცესის ენა

საქართველოს ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში გამოკითხულ არაქართველთა უმრავლესობა (56%) მიიჩნევს, რომ სკოლამდელი განათლება შერეულ ენებზე უნდა მიმდინარეობდეს (როგორც ეთნიკურ უმცირესობათა, ასევე, ქართულ ენებზე). პანკისის ხეობაში გამოკითხულთა დიდი ნაწილი (70%) თვლის, რომ განათლების ეს ეტაპი - სკოლამდელი განათლება - ქართულად უნდა წარიმართოს. სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებთა შორის, სხვა რეგიონებთან შედარებით, ჭარბობენ ისინი, ვინც თვლის, რომ ქართულ ენაზე სკოლამდელი განათლების მიღება საჭირო არ არის (37%), ხოლო ქვემო ქართლში გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობის (80%) აზრით, უმჯობესია ეს პროცესი შერეულ ენებზე წარიმართოს.

სკოლამდელ განათლებასთან შედარებით, საქართველოს ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში გამოკითხული არაქართველები კიდევ უფრო მეტად ემხრობიან (64%) იმას, რომ სასკოლო განთლება შერეულ ენებზე წარიმართოს. პანკისში სასკოლო პროცესის მხოლოდ ქართულ ენაზე წარმართვას

მხარს უჭერს გამოკვეთილი უმრავლესობა (67%). ეს პოზიცია კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) აქცენტირებულია (44%). პირიქით, სამცხე-ჯავახეთსა (87%) და ქვემო ქართლში (82%) მცხოვრებ არაქართველთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასკოლო განათლება საჭიროა შერეულ ენებზე მიმდინარეობდეს.

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების პოზიცია გაყოფილია უმაღლეს განათლებასთან მიმართებით: რესპონდენტების აზრით, ეს პროცესი საჭიროა მიმდინარეობდეს როგორც ქართულად (47%), ასევე უმცირესობათა ენებზე (48%). გამონაკლისს წარმოადგენს პანკისის ხეობა: პანკისის მკვიდრთა დიდი უმრავლესობა (89%) თვლის, რომ უმაღლესი განათლების მიღების პროცესი მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა წარიმართოს. მეორე მხრივ, სამცხე-ჯავახეთსა (69%) და ქვემო ქართლის (67%) რეგიონებში მცხოვრებ რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ უმაღლეს განათლების ეტაპზეც საჭიროა შერეულ ენებზე სწავლება.

დასაქმება და ეკონომიკური მდგომარეობა

ეთნიკური უმცირესობების 53% არ არის დასაქმებული (ადამიანები სამუშაო ძალის მიღმა; დროებით უმუშევრები), დასაქმებულია რესპონდენტთა 46%. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ყველა რეგიონში.

რას შეხება დასაქმების ადგილებს, ეთნიკური უმცირესობების 16.2% სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა, დაახლოებით მეათედი (11%) დასაქმებულია საჯაროს სექტორში, ხოლო კერძო სექტორში დასაქმებულია 6%.

გამოკითხვის მონაცემებით, მათ შორის, ვინც დაქირავებით დასაქმებულია (საჯარო ან კერძო სექტორში), ყველაზე დიდი ნაწილი (47%) საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულებზე მოდის. ასეთ დაწესებულებებში მომუშავეთა წილი გაცილებით დიდია (65%) პანკისის ხეობაში დაქირავებით დასაქმებულთა შორის.

სამუშაოს არამაძიებლები გაცილებით მეტია ქალების, ვიდრე მამაკაცების ჯგუფში. მეორე მხრივ, დაქირავებით შრომას (საჯარო ან კერძო სექტორში) უფრო ქალები მისდევენ, ვიდრე კაცები

საერთო მონაცემებით, ეთნიკური უმცირესობების ყველაზე დიდი ნაწილის (36%) შემოსავლის ძირითადი წყარო ოჯახის წევრის ხელფასი/გამომუშავებული ანაზღაურებაა; 28%-ის შემოსავლის ძირითადი წყაროა პენსია, ხოლო დაახლოებით მეხუთედისთვის (22%) - მათ მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობა. რესპონდენტთა 5% დამოკიდებულია ოჯახიდან დროებით წასული წევრის გზავნილებზე, ხოლო 7% სხვადასხვა სოციალურ დახმარებაზე ან დევნილთა შემწეობაზე.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, საერთო მონაცემებთან შედარებით, დიდია მათი წილი (32%), ვისთვისაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობა წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ქართული ენის ცოდნის ხარისხი გავლენას ახდენს რესპონდენტთა დასაქმების სტატუსზე. კერძოდ, ქართული ენის კარგად მცოდნე რესპონდენტების 26% დასაქმებულია საჯარო და კერძო სექტორში. პირიქით, ქართული ენის ცუდად მცოდნე/არმცოდნე რესპონდენტთა შორის მხოლოდ 9%-ია დასაქმებული. მოცემული ტენდენცია შენარჩუნებულია რეგიონების ჭრილშიც.

საერთო ტენდენციის მიხედვით, რესპონდენტთა ოჯახების შემოსავლები დივერსიფიცირებულია რამდენიმე კატეგორიაში: დაბალი (400 ლარის ჩათვლით) – 17%; საშუალოზე დაბალი (401-დან 800 ლარის ჩათვლით) – 37%; საშუალო (801-დან 1000 ლარის ჩათვლით) – 12%; საშუალოზე მაღალი/ მაღალი (1000 ლარი და მეტი) – 13%.

საინტერესოა, რომ საშუალოზე მაღალი/მაღალი შემოსავალი ქვემო ქართლის რეგიონში მხოლოდ სოფლის ტიპის დასახლებებში გვხვდება (6%), ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებებში ასეთი შემოსავალი არავის აქვს. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პირიქით, ქალაქის ტიპის მოსახლეობის თითქმის მესამედს (30%) საშუალოზე მაღალი შემოსავალი აქვს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებაში იგივე შემოსავლის მოცულობა მხოლოდ 16%-ს აქვს.

საერთო მონაცემებით, რესპონდენტების ნახევარზე მეტი (53%) საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს როგორც „საშუალოს“, ხოლო მესამედზე მეტი (36%) როგორც „ცუდს“.

ქვემო ქართლის რეგიონში, ზოგად ტენდენციასთან მიმართებით, დიდია მათი წილი (40%), ვინც საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს როგორც „ცუდს“. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამოკითხულთა უმრავლესობა (68%) საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს როგორც „საშუალოს“.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ არსებობენ ისეთი ბავშვები, რომლებიც სკოლაში სწავლის პარალელურად მუშაობენ, ან თავი დაანებეს სწავლას სამუშაოს გამო. ასეთი ბავშვები ოთხივე რეგიონში გვხვდება.

კოვიდპანდემიის გავლენა რესპონდენტთა შემოსავლებზე

კორონავირუსის გავრცელებამ, ყველა გამოკითხულ რეგიონში, გამოკითხულთა 38%-ს შემოსავლები შეუმცირა. ხოლო შემოსავლები არ შეცვლია გამოკითხულთა 59%-ს.

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა (70%) ამბობს, რომ პანდემიას მათი შემოსავლების ცვლილება არ გამოუწვევია. ქვემო ქართლის რეგიონში გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (56%) და პანკისი ხეობაში მცხოვრებთა უმრავლესობა (73%) ამბობს, რომ კოვიდპანდემიამ მათი ოჯახის შემოსავლები შეამცირა.

საბინაო პრობლემები

საერთო ტენდეციის მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს (ყველა რეგიონში) აწუხებთ შემდეგი საბინაო პრობლემები: ბინის გათბობის შეუძლებლობა - 14%; წყლის გაცხელების და პირადი ჰიგიენის დაცვის შეუძლებლობა - 15%; სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა - 12%.

დასახელებულ საბინაო პრობლემებზე უფრო აქცენტირებულად პანკისის ხეობის მოსახლეობა წუხს. ეს წუხილი უკავშირდება: ბინის გათბობას (23%), წყლის გაცხელებასა და პირადი ჰიგიენის დაცვას (33%), საცხოვრებელი ბინის საბუთების ფლობას (16%).

ჯანდაცვა

გამოკითხვაში მონაწილე პირების 88% აღწერს, რომ მათი ოჯახის წევრების ძირითადი ნაწილი ბოლო 12 თვის განმავლობაში პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო - არ აღენიშნებოდათ ქრონიკული დაავადებები (66%), ჯანმრთელობის მწვავე პრობლემები, რომელთაც ქირურგიული ჩარევა დასჭირდა (87%) ან მძიმე დაავადებები (94%). გამოვლინდა, რომ რესპონდენტები და მათი ოჯახის

წევრები უმეტესწილად მედიკამენტების შეძენით, ოჯახის ექიმის მომსახურებითა და ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციით სარგებლობენ; გაწეული სერვისებით კი კმაყოფილები არიან. რესპონდენტები პოზიტიურ შეფასებას ავლენენ იმ მომსახურებების მიმართაც, რომლებითაც შედარებით იშვიათად სარგებლობენ (ქირურგიული ოპერაცია საავადმყოფოში ღამისთევის გარეშე, ქირურგიული ოპერაცია, რომელსაც დასჭირდა საავადმყოფოში დაწოლა, ჰოსპიტალიზაცია.) მსგავსი ტენდენცია დამახასიათებელია თითოეული რეგიონისთვის. კვლევაში მონაწილე პირები ბოლო 12 თვის განმავლობაში მიღებული სამედიცინო მომსახურების ღირებულებას საკუთარი ოჯახის რეგულარული შემოსავლებიდან ფარავდა, რაც გამოკითხულთა 40%-სთვის ეკონომიკურად მძიმე აღმოჩნდა.

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების სრულ უმრავლესობას (99%) საზღვარგარეთ მკურნალობის გამოცდილება არ აქვს. იმ პირებმა, რომელთაც მსგავს შემთხვევაზე მიუთითეს, მიზეზად, ძირითადად, უცხოეთში მეტად განვითარებული ჯანდაცვის სისტემა დაასახელეს.

გამოიკვეთა, რომ სამედიცინო მომსახურების მიღების მხრივ, დაწესებულების სიშორე და მომსახურების ხარისხი რესპონდენტების ძირითადი ნაწილისთვის არავითარ ბარიერს არ წარმოადგენს. სხვა ფაქტორებთან შედარებით, პრობლემურად განიხილება მომსახურების ღირებულება - დაახლოებით მესამედისთვის (32%) ეს დამაბრკოლებელი ფაქტორი აღმოჩნდა. რეგიონულ ჭრილში განხილვისას ძირითადი ტენდენციები ნარჩუნდება - მომსახურების ღირებულება შედარებით პრობლემურია პანკისსა (37%) და ქვემო ქართლის რეგიონში(38%).

გამოკითხულთა 17% აღნიშნავს, რომ ოჯახის არც ერთი წევრი დაზღვეული არ არის, ხოლო 15%-ის ინფორმაციით, ოჯახის ზოგიერთი წევრი დაზღვეულია, ზოგიერთი - არა. ოჯახის ყველა წევრის დაზღვევაზე მიუთითებს ყოველი მეორე რესპონდენტი. სამედიცინო დაზღვევის არქონის ძირითად მიზეზად სახელდება არაინფორმირებულობა სახელმწიფო/მუნიციპალური სამედიცინო დაზღვევის შესახებ, ან იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიმართონ დასაზღვევად.

სამედიცინო დაზღვევის ყველაზე გავრცელებული ტიპია სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებული დაზღვევა (დაზღვეულთა 37%).

მიგრაცია

კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობას (89%), ბოლო 5 წლის განმავლობაში, ოჯახიდან 3 თვეზე მეტი დროით მიგრაციის გამოცდილება არ აქვს. ის პირები, რომლებიც მსგავს შემთხვევებზე მიუთითებენ (11%), აღწერენ, რომ ძირითადად მიდიან თურქეთში, ხოლო მიზეზად მუშაობას ასახელებენ (82%). ახალგაზრდები (18-24 წლის პირები) მნიშვნელოვანწილად გამოკვეთენ სწავლის მიზნით მიგრაციას (15%), ხოლო 65 ან მეტი წლის პირთა 18% მიზეზად მკურნალობას ასახელებს.

მიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ რესპონდენტებისთვის რთული აღმოჩნდა ანაზღაურებადი სამსახურის მოძიება. თითქმის ყოველი მეოთხე იმდენად სკეპტიკურად იყო განწყობილი, რომ არც კი უძებნია სამუშაო, რადგან ფიქრობდა, რომ მაინც ვერ იპოვიდა, ხოლო ყოველი მეხუთე რესპონდენტი აღწერს, რომ მიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ სამსახური ვერ იშოვა. მეორე მხრივ, მიგრაციის პერიოდში მიღებული გამოცდილება, ზოგიერთი რესპონდენტისთვის (30%) დასაქმების მხრივ ეფექტიანი აღმოჩნდა.

შრომით მიგრაციაში კაცები უფრო მიდიან, ვიდრე ქალები (მაგალითად, კახეთში მცხოვრები მამაკაცი აზერბაიჯანელების 27%-ია ნამყოფი, ხოლო ქალების - 17%).

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა ან შედარებით დიდი ნაწილი (50%-74%) პოზიტიურად აფასებს მათ რეგიონში ბოლო 5 წელიწადში საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სფეროს გაუმჯობესებას, მათ შორის გზების მშენებლობას/რემონტს, გაზმომარაგებას, წყლის სისტემების გაყვანას/შეკვეთას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონთან შედარებით, პანკისში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში გამოკითხული რესპონდენტების შედარებით დიდი წილი მიუთითებს ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე. ამავდროულად, იკვეთება ტენდენცია, რომ სამცხე-ჯავახეთში რესპონდენტები მეტწილად მიუთითებენ ინფრასტრუქტურული საკითხის ნაწილობრივ აღდგენა/გაუმჯობესებაზე, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში მეტწილად სახელდება სრულად აღდგენა/გაუმჯობესება.

მართალია, რეგიონებში განხორციელდა ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები და არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ყველაფერს რესპონდენტთა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე პირდაპირი გავლენა არ ჰქონია (საშუალოდ 90% მიუთითებს გავლენის არარსებობაზე).

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტები ადასტურებენ მათ საცხოვრებელ რაიონში/ქალაქში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკების არსებობას. თითქმის ყოველი მესამე პირი სესხის მიღების მცდელობის გამოცდილებას აღწერს, რომელთა უმრავლესობამ მიკრო საფინანსო სესხი სრულად მიიღო. რესპონდენტთა შეფასებით, სესხის აღებისას სერიოზული ბარიერი არ არსებობს, თუმცა, ყოველ მეხუთე რესპონდენტს სესხის გაცემის პირობების შესახებ არასრულყოფილი ინფორმაცია პრობლემურ ფაქტორად ესახება.

რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით (66%-88%), ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში (საკუთარი ბიზნესი, კერძო ბიზნესში დასაქმება, სახელმწიფო სტრუტურები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები) აქტიურად ან მეტ-ნაკლებად აქტიურად არიან ჩართულნი. ხოლო მსგავსი გამოცდილების არქონის ძირითად მიზეზად ენის ცოდნის ბარიერი დასახელდა.

რესპონდენტების 85%-ზე მეტი ამბობს, რომ არც მათ და არც მათი ოჯახების წევრებს მონაწილეობა არ მიუღიათ ისეთ პროექტებში/პროგრამებში, როგორებიცაა: „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“, აგროდაზღვევის პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტი და ა.შ. მონაწილეობის მიუღებლობის ძირითად მიზეზად პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის არქონა დასახელდა.

სოციალური დაცვა

კვლევაში მონაწილე პირების უმრავლესობას (70%) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის შესახებ სმენია. იციან იმის შესახებ, რომ ამ ბაზის საფუძველზე, მონიტორინგის პროცედურების გამოყენებით, ფულადი სოციალური დახმარებები გაიცემა (43%). მეორე მხრივ, ვლინდება, რომ ამ სერვისის შესახებ ინფორმირებულ გამოკითხულთა ოჯახების 42%-ს შეტანილი აქვს განაცხადი უმწეოთა ბაზაში მოსახვედრად, ხოლო უმრავლესობას (58%) განაცხადი შეტანილი

არ აქვს (თუ მონაცემებს მთელი შერჩევიდან დავითვლით, აღმოჩნდება, რომ რესპონდენტთა ოჯახების დაახლოებით 30%-მა დაწერა განაცხადი უმწეოთა ერთიან ბაზაში მოსახვედრად). ამ უკანასკნელთა შორის 34%-ს მიაჩნია, რომ განაცხადი არ შეიტანა, რადგან დახმარება არ ეკუთვნის, რამდენადაც, მათი ვარაუდით, შინამეურნეობის ქულა სიღარიბის ზღვარს მაღლა იქნება, მეოთხედის გამოცდილებით კი, განაცხადის შეტანის საჭიროება არ არსებობდა.

სოციალურად დაუცველთა ბაზაში დარეგისტრირებული ოჯახების დაახლოებით მეხუთედი (21.3%) აფიქსირებს, რომ ამჟამად მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა მოქცეულია 0-57000 დიაპაზონში, 57001-70000 ქულების დიაპაზონში - 18%, 70001-100000 ქულების დიაპაზონში - 13% და ა.შ.

მათ შორის, ვინც დაასახელა თავიანთი სარეიტინგო ქულა, თითქმის 40%-ის შეფასებით, მათი ოჯახების რეალური ეკონომიკური მდგომარეობა და სარეიტინგო ქულა ერთმანეთს არ შეესაბამება (ეკონომიკური მდგომარეობა უფრო დაბალია, ვიდრე შეფასდა), 36%-ის აზრით, კი დაახლოებით შეესაბამება.

ზოგადად, სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ სოფელში მაცხოვრებელ რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონე დაბალია (29%). მეორე მხრივ, მათ შორის, ვინც პროგრამის შესახებ ინფორმირებულია, უმრავლესობის (53%) შეფასებით, მათ სოფელში აღნიშნული პროგრამა განხორციელდა. მეტიც, სოფლის საჭიროებების განსაზღვრისთვის სოფლის კრება ან გამოკითხვა ჩატარდა (46%). მსგავსი გამოცდილების მქონე პირთა 61%-მა მიუთითა, რომ ამ პროცესში თავადაც მიიღო მონაწილეობა. ყოველი მესამე რესპონდენტი, ვინც თავიანთ სოფელში დახმარების პროგრამის განხორციელებას ადასტურებს, გზების რეაბილიტაციაზე მიუთითებს, ხოლო თითქმის 30% - გარე განათების გამართვაზე.

ეთნიკური უმცირესობების უფლებები და ინტერაქციები

გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი (42%-91%) ყველა ეთნიკურ ჯგუფთან მიმართებით აფიქსირებს, რომ ამ ჯგუფების უფლებები მათ რაიონში/ქალაქში დაცულია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეთნიკურად ქართველების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი დიდ უმრავლესობას წარმოადგენს (90.7%), მაშინ როდესაც სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებით მათი უფლებების დაცვაზე მიუთითებს გამოკითხულთა გაცილებით ნაკლები რაოდენობა (აზერბაიჯანელებთან მიმართებით - 49%, ქისტების შემთხვევაში - 42%; სომხებთან მიმართებით - 53%).

საინტერესოა, რომ სამიზნე რეგიონებს შორის გამოირჩევა კახეთი - აქ გამოკითხულ რესპონდენტთა 17% ამბობს, რომ რეგიონში აზერბაიჯანელთა უფლებები „უფრო დაუცველია“.

მათ საცხოვრებელ ადგილას ეთნიკურად ქართველებსა და არაქართველებს შორის ურთიერთობას რესპონდენტები ძირითადად აფასებენ როგორც მეგობრულს და კეთილმეზობლურს (68%). მეორე მხრივ, გამოკითხულთა თითქმის 30% ურთიერთობას აფასებს როგორც ნეიტრალურს. დაძაბულ ურთიერთობაზე მიუთითებს მხოლოდ 5 რესპონდენტი და კონფლიქტურზე - 1 რესპონდენტი. ამავდროულად, გამოკითხულთა ნახევარი (51%) ამბობს, რომ ეთნიკურად არაქართველებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი არასოდეს ხდება. ხოლო რესპონდენტთა თითქმის 30% ამბობს, რომ კონფლიქტს იშვიათად აქვს ადგილი. 9% ამბობს, რომ კონფლიქტი არც თუ ისე ხშირად ხდება, ხოლო 4 რესპონდენტი მიუთითებს, რომ კონფლიქტს ხშირად აქვს ადგილი.

აღსანიშნავია, რომ პანკისში გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54%) მიუთითებს, რომ კონფქილტს იშვიათად აქვს ადგილი, ხოლო დაახლოებით მეხუთედი (19%) ამბობს, რომ ეს არც თუ

ისე ხშირად ხდება. სხვა რეგიონების შემთხვევაში კონფლიქტის იშვიათ ან არც თუ ისე ხშირ შემთხვევებზე მიუთითებს 17%-37%.

რესპონდენტებმა, რომელთაც დააფიქსირეს, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი რაიმე ინტენსივობით ხდება, ამის მიზეზად დაასახელეს საყოფაცხოვრებო პრობლემებთან დაკავშირებული უთანხმოება (26%), რელიგიურ ნიადაგზე (18%) და ეროვნულ ნიადაგზე უთანხმოება (12%).

მასმედია

რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც საქართველოში (42%), ისე მათ რეგიონებში (41%) მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციას ქართულად ეცნობა. პანკისში ინფორმაციას ქართულ ენაზე ეცნობა გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (95%); კახეთში (პანკისის გარდა) დომინანტურ ენებს (სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად) ქართული და აზერბაიჯანული წარმოადგენს, სამცხე-ჯავახეთში - სომხური, ქვემო ქართლში კი - აზერბაიჯანული. ხაზგასასმელია, რომ განათლების მიღწეული დონის ზრდას თან ახლავს იმ რესპონდენტთა წილის მატება, ვინც საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ქართულ ენაზე ეცნობა.

საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს რესპონდენტებისთვის საქართველოს სატელევიზიო არხები წარმოადგენს (31%), თითქმის ყოველი მეხუთესთვის კი - სოციალური მედია (19%). აღნიშნული წყაროებია დომინანტური რესპონდენტთა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაშიც (ეროვნული/ადგილობრივი სატელევიზიო არხები-40%; სოციალური მედია-22%). ინფორმაციის მიღების ალტერნატიულ წყაროდ არაფორმალური საშუალებები გვევლინება (ოჯახის წევრები, ნაცნობები, მეზობლები და ა.შ.) - გამოკითხულთა მეხუთედისთვის სწორედ არაფორმალური წყაროები წარმოადგენს ინფორმაციის მიღების ძირითად საშუალებას.

საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებით, საინფორმაციო საშუალებებისადმი ნდობის განსაზღვრისას, რესპონდენტები ძირითადად ნეიტრალურ პოზიციას იკავებენ (საშუალოდ 56%). გამოკითხულთა შორის ნდობით სარგებლობს აზერბაიჯანული (63%) მედია საშუალებები, რაც აღემატება საქართველოს სხვადასხვა მედია საშუალების მიმართ გამოხატული ნდობის მაჩვენებლებს (21%-27%). იმ საინფორმაციო წყაროებს შორის კი, რომელთა საშუალებითაც რესპონდენტები რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ იღებენ ინფორმაციის, შედარებით ნდობით აღჭურვილად საქართველოს ჟურნალ-გაზეთები და რადიო არხები სახელდება. ამ შემთხვევაშიც დომინანტური ნეიტრალური შეფასებაა - ნაწილობრივ ვენდობი, ნაწილობრივ - არა (საშუალოდ 50%)

ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობა

ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ, როგორც პირადი/ოჯახის, ისე საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის მიმართვიანობის დონე დაბალია (6%-13%). გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (75%-ზე მეტი) არაინფორმირებულია, რომ მონაწილეობის მიღება შეუძლია ბიუჯეტის დაგეგმვაში, მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში, ქალაქში/მუნიციპალიტეტში გასამართი სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში, ქალაქის/სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ქართული ენის ცოდნის დონის ზრდასთან ერთად იზრდება თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ ინფორმირებულობის დონეც. ამასთანავე, დაბალია ზემოაღნიშნულ ღონისძიებებში

ინფორმირებულ რესპონდენტთა და მათი ოჯახების წევრთა მონაწილეობის გამოცდილებაც - საშუალოდ 84% აღნიშნავს, რომ ბოლო 2 წელში მსგავს აქტივობებში არ ჩართულან არც თავად და არც მათი ოჯახების წევრები. რესპონდენტთა მეოთხედზე მეტს თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა იმიტომ არ მიუღია, რომ არავის მიუწვევია; ზოგიერთმა კი დროისა და ინტერესის ნაკლებობაზე მიუთითა.

სახელმწიფო სტრუქტურები და საზოგადოებრივი პოლიტიკა

კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (59%) აცხადებს, რომ პოლიტიკით დაინტერესებული არ არის. მათი ეთნიკური ჯგუფის წინაშე არსებულ პრობლემებს შორის კი დომინანტურად უმუშევრობას, სიღარიბესა და სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემას ასახელებენ. არსებული პრობლემების მიუხედავად, რესპონდენტთა 71%-ს ბოლო 2 წლის განმავლობაში მათ მოსაგვარებლად არაფერი გაუკეთებიათ - არ მიუღიათ მონაწილეობა პეტიციაში, საპროტესტო აქციაში, ადგილობრივი ხელისუფლებისა თუ პარლამენტის საკომიტეტო სხდომაში და ა.შ.

რესპონდენტები, ძირითადად ნეიტრალურად („ნაწილობრივ ვენდობი, ნაწილობრივ-არა“) აფასებენ სოციალური/პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, როგორებიცაა სასამართლო სისტემა, არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტი, პრეზიდენტი, პოლიტიკური პარტიები, მასმედია და ა.შ. ნდობას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (55%) ნდობას უცხადებს რელიგიურ ორგანიზაციებს. ნდობის მაჩვენებლები შედარებით მაღალია საქართველოს პოლიციის (36%), აზერბაიჯანის ხელისუფლების (26%), ევროკავშირის (30%) და ნატოს (29%) მიმართ.

COVID-19 ვაქცინაციის შესახებ ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა

კვლევაში მონაწილე პირების 90% არავაქცინირებულია. მათ შორის, უმრავლესობა (67%) ვაქცინაციაზე რეგისტრაციის პროცედურების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ ინფორმირებულია. მსგავსი ტენდენცია შენარჩუნებულია რეგიონების შემთხვევაშიც. სრულად ინფორმირებულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პანკისში (45%) დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - კახეთში (პანკისის გარდა) (14%). აქვე აღსანიშნავია, რომ იმ პირთა შორის, ვინც ქართული ენა უკეთ იცის, რეგისტრაციის პროცედურების შესახებ ინფორმაციის ფლობის დონეც მაღალია.

გამოკითხულთა თითქმის 60% COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთებას არ აპირებს. რესპონდენტების ძირითადი ნაწილი (36%) ვაქცინაციას პანდემიის დასაძლევად აუცილებელ კომპონენტად არ მიიჩნევს. კვლევაში მონაწილეთა მხოლოდ დაახლოებით მეხუთედი იზიარებს მიდგომას ვაქცინაციის მნიშვნელოვნებასთან დაკავშირებით. გამოვლინდა, რომ ვაქცინაციის როლს პანდემიის დასრულების მიმართულებით ყველაზე მეტად ქვემო ქართლში გამოკვეთენ (ქულები 4 და 5 – 32%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - პანკისში (20%).

რაოდენობრივი კვლევის დეტალური ანგარიში

თავი 1. ქართული ენის ცოდნის ინდექსი

კვლევის საფუძველზე, ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს სამი ჯგუფი:

1. ცუდად იცის ქართული ენა
2. საშუალოდ ფლობს ქართულ ენას
3. კარგად იცის ქართული ენა

ქართული ენის ცოდნის მიხევდით, თითოეული ჯგუფისთვის გამოითვალა **ქართული ენის ცოდნის ინდექსი.** ინდექსის ასაგებად გამოყენებულ იქნა შემდეგი ცვლადები:

1. ცნობთ ქართულ ასოებს და კითხულობთ სიტყვებს?
2. შეგიძლიათ ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანთან კომუნიკაციის დამყარება?
3. შეგიძლიათ ქართული ლიტერატურის კითხვა და ტექსტების შინაარსის გაგება?
4. ქართული სატელევიზიო არხების ყურებისას შეგიძლიათ ინფორმაციის გაგება?
5. შეგიძლიათ მსჯელობა და საკუთარი სათქმელის გადმოცემა ქართულ ენაზე ?

თითოეულ ცვლადთან მიმართებით, გამოყენებულ იქნა იდენტური ლაიკერტის 5 წევრიანი სკალა:

1. ძალიან ცუდად
2. უფრო ცუდად, ვიდრე კარგად
3. საშუალოდ
4. უფრო კარგად, ვიდრე ცუდად
5. ძალიან კარგად

ცვლადებისა და მათი მნიშვნელობების განსხვავებული დაჯგუფება საშუალებას იძლევა გამოიყოს ქართული ენის მცოდნეთა 3 ჯგუფი:

1. **ქართული ენის ცუდად მცოდნედ** ჩაითვალა რესპონდენტთა ის ნაწილი, ვინც ყველა ზემოაღნიშნულ ცვლადთან მიმართებით აირჩია ორი მნიშვნელობიდან ერთერთი: „ძალიან ცუდად“ ან „უფრო ცუდად, ვიდრე კარგად“

2. **ქართული ენის საშუალოდ მცოდნედ** ჩაითვალა რესპონდენტთა ის ნაწილი, ვინც ყველა ზემოაღნიშნულ ცვლადთან მიმართებით აირჩია ერთი მნიშვნელობა: „საშუალოდ“

3. **ქართული ენის კარგად მცოდნედ** ჩაითვალა რესპონდენტთა ის ნაწილი, ვინც ყველა ზემოაღნიშნულ ცვლადთან მიმართებით აირჩია ორი მნიშვნელობიდან ერთერთი: „ძალიან კარგად“ ან „უფრო კარგად, ვიდრე ცუდად“

ქართული ენის ინდექსის გათვალისწინებით, ეთნიკური უმცირესობები შემდეგნაირად ნაწილდება ენის ცოდნის სხვადასხვა დონის მიხედვით: ყველაზე ცუდად ქართული ენა ქვემო ქართლში იციან (57%). პანკისის ხეობაში კი, ქართული ენა კარგად იცის მცხოვრებთა დიდმა უმრავლესობამ (90.6%). სამცხე-ჯავახეთში ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენენ ქართული ენის ცუდად მცოდნენი (45.8%), ხოლო კახეთში ქართული ენის სხვადასხვა დონეზე მცოდნეთა ჯგუფები დაახლოებით თანაბრად არიან წარმოდგენილნი. დეტალურად, შედეგები იხილეთ **ცხრილში #1:**

ცხრილი #1

	ქართული ენის ცოდნის მიხედვით დიფერენცირებული ჯგუფები (%)	კახეთი	პანკისი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები
1	ცუდად იცის ქართული ენა	36.4	2.7	45.8	57	35.7
2	საშუალოდ იცის ქართული ენა	33.5	5.4	25.8	27	23
3	კარგად იცის ქართული ენა	28.5	90.6	26.6	16	40.1

ოჯახების ეკონომიკური სტატუსი

კვლევის საფუძველზე, ოჯახების ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს ოთხი ჯგუფი:

- ღარიბი
- საშუალოზე დაბალი
- საშუალო
- საშუალოზე მაღალი/მაღალი

ოჯახების ეკონომიკური სტატუსის აღსაწერად დაჯგუფდა ცვლადის ზოგიერთი მნიშვნელობა:

ცვლადი: **„რამდენია თქვენი ოჯახის თვიური შემოსავალი“** *(ყველა შემოსავლის ჩათვლით: ხელფასი, ნაღდი ფულით მიღებული შემოსავალი, საჩუქრები, ფულადი გზავნილები, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი და სხვა).*

1. ღარიბი

- 400 ლარის ჩათვლით

ამ შემთხვევაში, გამოყენებულია შემდეგი ლოგიკა: 2020 წლის ნოემბრის თვის ოფიციალური მონაცემებით, 5 სულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმს თვეში შეადგენს დაახლოებით 378 ლარს.[55] კვლევის მონაცემების თანახმად, ოჯახების საშუალო ზომა სწორედ 5 სულს შეადგენს.

2. საშუალოზე დაბალი ეკონომიკური მდგომარეობა

- 401-დან 600 ლარის ჩათვლით
- 601-დან 800 ლარის ჩათვლით

[55] სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi

ამ შემთხვევაში, გამოყენებულია შემოსავლები, რომლებიც თავსდება საარსებო მინიმუმსა და საშუალო ხელფასის ოდენობას შორის.

3. საშუალო ეკონომიკური მდგომარეობა

- 801-დან 1000 ლარის ჩათვლით

ამ შემთხვევაში, ამოსავალს წარმოადგენს ოფოციალური მონაცემები საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის ოდენობის შესახებ, რომელიც 2021 წლისთვის შეადგენს თვეში დაახლოებით 1300 ლარს.[56]

4. საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობა

- 1001-დან 1500 ლარის ჩათვლით
- 2001-დან 2500 ლარის ჩათვლით
- 2501-დან 3000 ლარი ჩათვლით
- 3001-დან 3500 ლარის ჩათვლით
- 3501-დან 4000 ლარის ჩათვლით
- 4001-დან 5000 ლარის ჩათვლით
- 5001-დან 6000 ლარის ჩათვლით
- 6000 ლარზე მეტი

ამ შემთხვევაში, გამოყენებულია შემოსავლები, რომლებიც აღემატება დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის ოფიციალურ მაჩვენებელს.

ცვლადის ახალი მნიშვნელობების გათვალისწინებით, ეთნიკურ უმცირესობათა შორის ყველაზე უფრო ღარიბი (22.2%) მოსახლეობა პანკისში ცხოვრობს, ყველაზე შეძლებული ნაწილი კი - სამცხე ჯავახეთში (18.7%). ეთნიკურ უმცირესობათა შორის ყველაზე გავრცელებულია საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახები. დეტალურად, შედეგები იხილეთ **ცხრილში #2:**

ცხრილი #2

[56]სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

	ოჯახების ეკონომიკური სტატუსი ოჯახების თვიური შემოსავლების მიხედვით (%)	კახეთი	პანკისი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები
1	ღარიბი	13.8	22.2	5.5	25.2	16.6
2	საშუალოზე დაბალი	32.5	43.8	31.6	40.7	37.1
3	საშუალო	12.2	14.9	11.8	8.1	11.7
4	საშუალზე მაღალი/მაღალი	11.6	16.2	18.7	4.7	12.8
5	მიჭირს პასუხის გაცემა/უარის პასუხზე	29.9	3	32.4	21.3	21.7

თავი 2. სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ეთნიკურ უმცირესობათა 1510-მა წარმომადგენელმა. მონაწილეთა ნახევარი ეთნიკურად **აზერბაიჯანელია** (50.2%), ხოლო მეორე ნახევარი ეთნიკურად **სომეხი** (25.3%) და **ქისტი** (24.5%) რესპონდენტებისგან შედგება.

სქესი და ასაკი

სქესის მიხედვით რესპონდენტთა გადანაწილება შემდეგნაირია: მამრობითი - 49.8%; მდედრობითი - 50.2%.

რესპონდენტთა რაოდენობა **ასაკის მიხედვით** დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. სხვა კატეგორიებთან შედარებით მცირეა 18-24 წლამდე ასაკის რესპონდენტების წილი (12.2%), დარჩენილი ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგნაირად: 25-34 წლის - 18.5%; 35-44 წლის - 16.2%; 45-54 წლის - 18.6%; 55-64 წლის - 16.3%; 65+ ასაკის - 18.2%.

განათლების მიღწეული დონე

გამოკითხულთა შორის ჭარბობენ **სრული საშუალო განათლების** მქონე პირები (47.3%), ხოლო რესპონდენტთა 18.1%-ს **არასრული საშუალო განათლება** აქვს. **დასრულებული ან**

დაუსრულებელი დაწყებითი განათლება რესპონდენტთა 4%-ს აქვს. რაც შეეხება **უმაღლეს განათლებას** (ბაკალავრი, მაგისტრატურა ან სპეციალისტის დიპლომი), ასეთ დონეს რესპონდენტთა მხოლოდ 16.4% აღწევს. უმნიშვნელოა მათი წილი ვისაც არასრული უმაღლესი განათლება აქვს (2.8%) (იხილეთ დიაგრამა #1).

დიაგრამა # 1



რეგიონების ჭრილში განათლების მიღწეული დონის განხილვისას გამოვლინდა, რომ **კახეთის** რეგიონში (პანკისის გარდა), ზოგად მონაცემებთან შედარებით, მეტია მათი რაოდენობა (37.3%), ვისაც არასრული საშუალო განათლება აქვს, შესაბამისად ამ რეგიონში შედარებით მცირეა როგორც სრული საშუალო განათლების მქონეთა ჯგუფი (31.7%), ასევე უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვიც - 5.1%. **სამცხე-ჯავახეთში** ზოგად ტენდენციასთან შედარებით იმატებს სრული საშუალო განათლების მქონეთა რიცხვი (54.6%) (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი #3).

ცხრილი #3

რომელია თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური?	**კახეთი**	**პანკისი**	**სამცხე-ჯავახეთი**	**ქვემო ქართლი**
დაწყებითი განათლების გარეშე	3.6	-	0.3	0.6
დაწყებითი განათლება	13.2	0.8	0.3	1.6
არასრული საშუალო განათლება	37.2	10.7	8.8	15.5
სრული საშუალო განათლება	31.7	48.7	54.6	54

რომელია თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური?	კახეთი	პანკისი	სამცხე-ჯავა ხეთი	ქვემო ქართლი
საშუალო ტექნიკური/საშუალო სპეციალური განათლება	7.1	11.7	14	6.2
არასრული უმაღლესი განათლება	1.2	4.1	2.9	2.9
სრული უმაღლესი განათლება	5.1	23.6	18.4	18.9
სამეცნიერო ხარისხი	-	0.2	-	0.2
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	0.7	0.2	0.8	-

კორელაციური ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ **კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა),** სქესი გავლენას ახდენს რესპონდენტთა მიერ მიღებულ განათლების დონეზე. კონკრეტულად, ქალ რესპონდენტთა უმრავლესობას (72.1%) აქვს არასრული საშუალო განათლება, ან დაწყებითი განათლება, ან განათლების გარეშეა, ხოლო ამავე კატეგორიაში მამაკაცების 35.8% ექცევა. მეორე მხრივ, კაცებს შორის ყველაზე გავრცელებულია (45.8%) საშუალო განათლება, რაც ქალების მხოლოდ 18%-ს აქვს.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) დეტალურად მონაცემები იხილეთ ცხრილში #4.

ცხრილი #4

თქვენს მიერ მიღწეული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური? (N=380) %	მამრობითი	მდედრობითი
არასრული საშუალო განათლება /დაწყებითი/ განათლების გარეშე	**35.8**	**72.1**
სრული საშუალო განათლება	**45.8**	**17.9**
საშუალი ტექნიკური/საშუალო სპეციალური განათლება	10.5	3.7
უმაღლესი განათლება (არასრული/სრული/ხარისხი)	7.4	5.3
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	0.5	1.1

ეთნიკური იდენტობა

კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) ყველა გამოკითხული რესპონდენტი აზერბაიჯანელად თვლის თავს, პანკისის ხეობაში - ქისტად, სამცხე ჯავახეთში - სომეხად. ქვემო ქართლში გამოკითხულთა სრული უმრავლესობა აზერბაიჯანული წარმოშობისაა (99.2%), თუმცა, კვლევაში სომხური წარმოშობის რესპონდენტებიც მოხვდნენ (0.8%; N=3) ხსენებულ რეგიონში.

გამოკითხულთა ოჯახებში ეთნიკურად ქართველი წევრი **თითქმის** არ გხვდება (93.5%), ცალკეულ შემთხვევებში, ეს შეიძლება იყოს დედა (1.3%), ბებია (1.4%), მეუღლე (1,5%) (იხილეთ დიაგრამა #2).

დიაგრამა # 2



რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (91.9%) ოჯახში მარტო არ ცხოვრობს. მარტო ცხოვრობს გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილი (8%).

ოჯახის ზომა

კვლევის მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა **ოჯახების ზომა** ძირითადად 2-დან 6 წევრამდეა; 2 წევრისგან შედგება -17.6%; 3 წევრისგან - 11.5%; 4 წევრისგან - 18.4%; 5 წევრისგან - 19.4%; 6 წევრისგან - 15.6%. ხოლო 7 (8.4%) და 8 წევრისგან (4.9%) შემდგარი ოჯახების რაოდენობა შედარებით მცირეა. დარჩენილ პასუხის კატეგორიებზე გამოპასუხების მაჩვენებელი 3.6%-ია (იხილეთ დიაგრამა #3).

დიაგრამა #3



თუ ოჯახების საშუალო ზომას, აგრეთვე, მედიანურ მაჩვენებლებს განვსაზღვრავთ, აღმოჩნდება, რომ ყველა გამოკითხულ რეგიონში ოჯახების საშუალო ზომა დაახლოებით 5 წევრს შეადგენს, თუმცა, ყველაზე დიდი ზომის ოჯახები ქვემო ქართლშია (mean=4.85), ხოლო შედარებით მცირე ზომის - სამცხე-ჯავახეთში (mean=4.53) მედიანა, ყველა შემთხვევაში 5-ის ტოლია. ეს ნიშნავს, რომ ოჯახების ერთი ნახევარი 5-ზე მეტი სულისგან შედგება, ხოლო მეორე ნახევარი - 5-ზე ნაკლები სულისგან (იხ. ცხრილი #5):

ცხრილი #5

ოჯახის ზომა	Mean	Median	Minimum	Maximum
პანკისი	4.64	5.00	1	15
კახეთი	4.76	5.00	1	12
სამცხე-ჯავახეთი	4.53	5.00	1	11
ქვემო ქართლი	4.85	5.00	1	13
სულ მთელი შერჩევისთვის	***4.70***	***5.00***	***1***	***15***

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ძირითადად ცხოვრობენ: პარტნიორთან/ მეუღლესთან ერთად 35.1%; შვილთან ერთად 32.4%; მშობლებთან ერთად - 16.6%; სხვა ნათესავებთან ერთად 15.8% (იხილეთ დიაგრამა #4).

დიაგრამა # 4



დასაქმების მდგომარეობა

გამოკითხულთა მეათედზე მეტი (12.9%) ისეთი უმუშევარია, რომელიც აქტიური იყო სამუშაოს მოძებნის თვალსაზრისით ბოლო 4 კვირის განმავლობაში, ხოლო დაახლოებით 40%-ს შეადგენენ ისინი, ვინც სამუშაო ძალის გარეთაა, ანუ არ არიან აქტიურები სამსახურის მოძებნის თვალსაზრისით (სამსახურის ვერშოვნის გამო იმედგაცრუებულ რესპონდენტებთან ერთად, აქ შედიან პენსიონერები, დიასახლისები, სტუდენტები და ა.შ.). რესპონდენტთა 16.2% სასოფლო სამეურნეო საქმიანობას ეწევა, მეათედი (10.8%) დასაქმებულია საჯარო სექტორში. კერძო სექტორში დასაქმებულია გამოკითხულთა 6.4% (იხილეთ დიაგრამა #5).

დიაგრამა # 5



კორელაციური ანალიზი აჩვენებს, რომ სქესი გავლენას ახდენს დასაქმების სტატუსზე **ყველა სამიზნე რეგიონის (კახეთი, პანკისის გარდა; სამცხე-ჯავახეთი; ქვემო ქართლი; პანკისი) შემთხვევაში**. თუმცა, რეგიონების მიხედვით ტენდენციები განსხვავებულია.

ა) კახეთში, პანკისის ხეობასა და სამცხე-ჯავახეთში სამუშაოს არამაძიებლები გაცილებით მეტია ქალების, ვიდრე მამაკაცების ჯგუფში. კერძოდ:

- **კახეთში** (პანკისის გარდა) ქალებს შორის 74.7%-ია სამუშაო ძალის გარეთ, ანუ სამუშაოს არამაძიებელი, ხოლო კაცების ჯგუფში ასეთია 23.9%.
- **პანკისის ხეობაში** ქალების 40.2%-ია სამუშაო ძალის გარეთ, ხოლო კაცების - 26%.
- **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში ქალების 39.1%-ია სამუშაოს არამაძიებელი, ხოლო კაცების 22.1%.

ბ) კახეთისა (პანკისის გარდა) და **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონებში, კაცებს შორის ყველაზე გავრცელებული დასაქმების ფორმაა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (თვითდასაქმებული). კონკრეტულად:

- **კახეთის რეგიონში** (პანკისის გარდა) კაცებს შორის 30.9%-ია ისეთი, ვინც სასოფლო სამეურნეო საქმიანობითაა დაკავებული, ხოლო ქალებს შორის ასეთია 11.1%

- **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში, კაცების 32% დაკავებულია სასოფლო სამეურნეო საქმიანობით, ხოლო ქალებს შორის 14.7%.

გ) პანკისის ხეობას და ქვემო ქართლში დაქირავებით შრომას (საჯარო ან კერძო სექტორში) უფრო ქალები ეწევიან, ვიდრე მამაკაცები: პანკისში ქალების 23.8% დაქირავებით დასაქმებულია საჯარო სექტორში. იმავე სექტორში, პანკისელი კაცების მხოლოდ 9.9%-ია დასაქმებული. ქვემო ქართლში ქალების 12.2%-ია დაქირავებით დასაქმებული კერძო სექტორში, ხოლო კაცების 4.3%.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) დეტალურად მონაცემები იხილეთ ცხრილში #6.

ცხრილი #6

დასაქმების სტატუსი (სქესის ჭრილში) (%)		კახეთი	ქვემო ქართლი	პანკისი	სამცხე-ჯავახეთი
დაქირავებით დასაქმებული საჯარო სექტორში	მდედრობითი	4.7	9.6	**23.8**	14.7
	მამრობითი	4.3	9.2	**9.9**	9.4
დაქირავებით დასაქმებული კერძო სექტორში	მდედრობითი	3.2	**12.2**	2.6	10.2
	მამრობითი	4.8	**4.3**	4.4	8.8
ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას (თვითდასაქმებული)	მდედრობითი	**11.1**	10.2	9	**14.7**
	მამრობითი	**30.9**	8.2	13.8	**32**
ინდმეწარმე (თვითდასაქმებული)	მდედრობითი	1.6	5.1	9.5	3
	მამრობითი	8.5	12	16	6.1
არაფორმალურ სექტორში დასაქმებული (ძიძა, ტაქსის მძღოლი)	მდედრობითი	1.6	6.1	1.1	1.5
	მამრობითი	18.1	1.6	3.3	7.2
უმუშევარი (ადმიანი, რომელიც არ მუშაობს და ეძებს სამსახურს ბოლო 4 კვირის განმავლობაში)	მდედრობითი	2.6	12.7	12.7	16.2
	მამრობითი	5.9	14.7	25.4	13.3
ადამიანი სამუშაო ძალის გარეთ, ანუ სამუშაოს არამაძიებელი (პენსიონერი, დიასახლის, სტუდენტი და ა.შ.)	მდედრობითი	**74.7**	43.1	**40.2**	**39.1**
	მამრობითი	**23.9**	48.4	**26**	**22.1**
სხვა	მდედრობითი	0.5	1	1.1	0.5
	მამრობითი	3.7	1.6	1.1	1.1

საინტერესოა, უფრო დეტალურად გაირკვეს იმ ჯგუფის სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა, რომელსაც წარმოადგენენ **ადამიანები სამუშაო ძალის გარეთ.** კვლევა ასეთ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი #7):

ცხრილი #7

ადამიანები სამუშაო ძალის გარეთ (%)										
სქესის მიხედვით		ასაკის მიხედვით			ქალაქი/სოფლის მიხედვით		დასახლების ადგილის მიხედვით			
ქალი	კაცი	18-34	35 - 59	60+	ქალაქი	სოფელი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	პანკისი	კახეთი
36.8	63.2	28.2	24.9	46.9	9.7	90.3	45.6	33.2	30.9	49.3

ცხრილში მოტანილი მონაცემები აჩვენებს, რომ:

- **კახეთის რეგიონში** (პანკისის გარდა), ზოგად ტენდენციასთან და დასახლების სხვა ადგილებთან შედარებით, დიდია მათი რიცხვი (49.3%), ვინც არ არის დასაქმებული და არც ეძებს მას (ადამიანები სამუშაო ძალის მიღმა).
- **პანკისში** სამსახურის „არმაძიებელთა“ რიცხვი შედარებით მცირეა (30.9%).
- სქესის მიხედვით საკითხის განხილვისას აღმოჩნდა, რომ კაცები (63.2%), ქალებთან (36.8%) შედარებით ნაკლებად არიან დასაქმებული და არც ეძებენ მას (ადამიანები სამუშაო ძალის მიღმა)
- ასაკის მიხედვით ანალიზისას გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (46.9%) 60 წლის ან მეტი ასაკისაა.

რაც შეეხება **დასაქმებულ** რესპონდენტთა თავისებურებებს, კვლევა აჩვენებს, რომ:

- **კახეთში** (20.9%) და **სამცხე ჯავახეთში** (23.2%) შედარებით დიდია მათი რიცხვი, ვინც ეწევა სასოფლო სამეურნეო საქმიანობას:
- პანკისის ხეობაში (17.1%), ზოგად მონაცემებთან შედარებით დიდია საჯარო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი.
- პირიქით, კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) კი შედარებით მცირეა (4.6%) საჯარო სექტორში დასაქმებულთა წილი.
- პანკისის ხეობაში (12.8%), საერთო შედეგებთან შედარებით მეტია ინდმეწარმეთა რაოდენობა.

საინტერესოა, რომ უმუშევართა უდიდეს ნაწილს (89.9%) არც კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდე ჰქონდა ანაზღაურებადი სამსახური. მხოლოდ რესპონდენტთა 9.6% ამბობს, რომ პანდემიის დაწყებამდე მუშაობდა.

დასაქმებულ რესპონდენტთა შორის, შედარებით დიდი ნაწილი (46.8%) საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებშია დასაქმებული, ხოლო კერძო საგანმანათლებლო სექტორში - რესპონდენტთა

მხოლოდ 3.1%. გამოკითხულთა მეათედზე მეტი (11.2%) საავადმყოფო/სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობს. დარჩენილ რესპონდენტთა საქმიანობის სფეროები დივერსიფიცირებულია სხვადასხვა მიმართულებით (იხილეთ დიაგრამა #6).

დიაგრამა #6



საკითხის რეგიონულ ჭრილში განხილვისას გამოვლინდა, რომ **კახეთის** რეგიონში (პანკისის გარდა), საერთო შედეგებთან შედარებით, მცირეა მათი რიცხვი (23.4%), ვინც საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებშია დასაქმებული (გაზრდილია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთაც უჭირთ კითხვაზე პასუხის გაცემა - 23.2%). **პანკისის** ხეობაში, დასაქმებულ რესპონდენტთა შორის, ზოგად მონაცემებთან შედარებით დიდია მათი რიცხვი, ვინც საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (65%) მუშაობს.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელებს ჰკითხეს, **არიან თუ არა მათი ოჯახის რომელიმე წევრი დასაქმებულნი სხვადასხვა სტატუსის მქონე ორგანიზაციებში.** აღმოჩნდა, რომ რესპონდენტები ან მათი ოჯახის წევრები თითქმის **არ არიან** დასაქმებული ჩამოთვლილთაგან არც ერთ დონეზე; ადგილობრივი თვითმმართველობები (95.1%), ცენტრალური ხელისუფლება (96.3%), პოლიტიკური პარტიები (94%), არასამთავრობო ორგანიზაციები (94,8%).

ქართული ენის ცოდნის დონე და დასაქმების სტატუსი

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქართული ენის ცოდნის ხარისხი გავლენას ახდენს დასაქმების სტატუსზე. კერძოდ, ქართული ენის ცოდნის დონის ზრდის პარალელურად მატულობს კერძო/საჯარო სექტორში დასაქმებულ რესპონდენტთა წილი. უფრო კონკრეტულად:

- ქართული ენას ცუდად მცოდნეთა შორის ნახევარზე მეტი (54.2%) სამუშაო ძალის მიღმა მყოფი (სამუშაოს არამაძიებელი, პენსიონერი, სტუდენტი, დიასახლისი და ა.შ.) რესპონდენტია.

- ენის საშუალოდ და კარგად მცოდნეთა შორის მცირდება სამუშაო ძალის მიღმა მყოფ რესპონდენტთა წილი (საშუალოდ ფლობს - 33.3%; კარგად ფლობს - 31.7) და ზრდადი ტენდეცია შეინიშნება საჯარო სექტორში დასაქმებულ რესპონდენტთა შემთხვევაში (ცუდად ფლობს - 4%: საშუალოდ ფლობს - 9%; კარგად ფლობს - 18.3%).

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილში #8;

ცხრილი #8

დასაქმების სტატუსი % (N=1494)	**ქართული ენის ცოდნის ინდექსი**		
	ცუდად	**საშუალოდ**	**კარგად**
დაქირავებული საჯარო სექტორში	4	9	18.3
დაქირავებული კერძი სექტორში	4.7	7	7.8
თვითდასაქმებული	27.1	38.3	26
უმუშევარი (ეძებს სამსახურს)	10	12.5	16.2
ადამიანი სამუშაო ძალის მიღმა (პენსიონერი, სტუდენტი, დიასახლისი ა.შ.)	54.2	33.3	31.7

ის, რომ ქართული ენის ცოდნის დონე გავლენას ახდენს რესპონდენტთა დასაქმებაზე, დასტურდება, ასევე, მონაცემების რეგიონულ ჭრილში განხილვის შედეგად:

ა) კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ **კახეთის** რეგიონში (პანკისის გარდა) ქართული ენის დონის ზრდის პარალელურად მცირდება სამუშაო ძალის მიღმა მყოფ რესპონდენტთა წილი და იზრდება მათი რიცხვი, ვინც საჯარო/კერძო სექტორშია დასაქმებული.

- ქართული ენის ცუდად მცოდნეთა შორის დიდია სამუშაო ძალის მიღმა მყოფ რესპონდენტთა წილი (74.8%), მათი რიცხვი ენის ცოდნის ზრდასთან ერთად იკლებს.
- ენის ცოდნის დონის მატებასთან ერთად იზრდება კერძო სექტორში დასაქმებულთა წილი (ქართული ენის ცოდნის ინდექსი: ცუდად - 0.8%; საშუალოდ - 4.8%; კარგად 7.3%).
- ენის ცოდნის მატებასთან ერთად ზიგზაგისებურად იცვლება საჯარო სექტორში დასაქმებულთა წილი (ქართული ენის ცოდნის ინდექსი: ცუდად - 1.5%, საშუალოდ - 0.8%, კარგად - 13.8%).

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილში #9;

ცხრილი #9

რეგიონი	**დასაქმების სტატუსი % (N=375)**	**ქართული ენის ცოდნის ინდექსი**		
		ცუდად	**საშუალოდ**	**კარგად**
კახეთი	დაქირავებული საჯარო სექტორში	1.5	0.8	13.8
	დაქირავებული კერძო სექტორში	0.8	4.8	7.3
	თვითდასაქმებული	21.4	53.6	35.8
	უმუშევარი (ეძებს სამსახურს)	1.5	4.8	8.3
	ადამიანი სამუშაო ძალის მიღმა (პენსიონერი, სტუდენტი, დიასახლისი ა.შ.)	74.8	36	34.9

ბ) ტენდენცია ნარჩუნდება **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონშიც: ქართული ენის ცოდნის დონის ზრდასთან ერთად, იმატებს საჯარო/კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.

- ქართული ენის ცუდად მცოდნეებში ყველაზე მეტი წილით გამოირჩევიან სამუშაო ძალის მიღმა მყოფი ადამიანები (35.8%) და თვითდასაქმებულები (35.3%).
- ქართული ენის კარგად მცოდნეთა ჯგუფში ყველაზე მაღალია დაქირავებით დასაქმებულთა წილი: ყოველი მეოთხე (25.3%) საჯარო სექტორში დასაქმებული, ხოლო დამატებით 14.1% - კერძო სექტორში.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილში #10;

ცხრილი #10

რეგიონი	**დასაქმების სტატუსი % (N=372)**	**ქართული ენის ცოდნის ინდექსი**		
		ცუდად	**საშუალოდ**	**კარგად**
სამცხე-ჯავახეთი	დაქირავებული საჯარო სექტორში	5.2	12.4	25.3
	დაქირავებული კერძი სექტორში	8.1	7.2	14.1
	თვითდასაქმებული	35.3	36.1	22.2
	უმუშევარი (ეძებს სამსახურს)	15.6	11.3	17.2
	ადამიანი სამუშაო ძალის მიღმა (პენსიონერი, სტუდენტი, დიასახლისი ა.შ.)	35.8	33	21.2

გ) კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქვემო **ქართლის რეგიონში ენის ცოდნის ხარისხი მატებასთან ერთად იზრდება მათი რიცხვი ვინ დასაქმებულია საჯარო/კერძო სექტორში**. უფრო კონკრეტულად:

- ქართული ენის ცუდად მცოდნეებში უმრავლესობა (55.1%) სამუშაო ძალის მიღმაა.
- სულ მცირე, ყოველი მესამე (36.1%) იმათგან, ვინც ქართული ენა კარგად იცის, დასაქმებულია საჯარო ან კერძო სექტორში, რაც დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქართული ენის ამა თუ იმ დონეზე მცოდნეთა შორის.

(იხილეთ ცხრილი #11) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$).

ცხრილი #11

რეგიონი	**დასაქმების სტატუსი % (N=381)**	**ქართული ენის ცოდნის ინდექსი**		
		ცუდად	**საშუალოდ**	**კარგად**
ქვემო ქართლი	დაქირავებული საჯარო სექტორში	5.1	15.8	16.4
	დაქირავებული კერძი სექტორში	4.7	9.9	19.7
	თვითდასაქმებული	24.3	23.8	9.8
	უმუშევარი (ეძებს სამსახურს)	10.7	22.8	9.8
	ადამიანი სამუშაო ძალის მიღმა (პენსიონერი, სტუდენტი, დიასახლისი ა.შ.)	55.1	27.7	44.3

თავი 3. ქართული ენის ცოდნა

ქართული ენის ცოდნის დონე სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით

რესპონდენტებმა შეაფასეს საკუთარი ცოდნის ხარისხი ქართული ენასთან მიმართებით. შეფასება შეეხო ქართული ენის ცოდნის შემდეგ კომპონენტებს:

- ქართული ასოების ცოდნა და სიტყვების წაკითხვა
- ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანთან კომუნიკაცია
- ქართული ლიტერატურის კითხვა და ტექსტის შინაარსის გაგება
- ქართული ტელეარხებით მოწოდებული ინფორმაციის გაგება
- მსჯელობა და საკუთარი სათქმელის გამოთქმა ქართულად

გამოკითხვის შედეგები ასეთია:

ა) აღმოჩნდა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 40.3% **ცუდად ცნობს ქართულ ასოებს და კითხულობს სიტყვებს** (ამათგან, ძალიან ცუდად ცნობს და კითხულობს - 23%). ხოლო კარგად ცნობს ასოებს და კითხულობს სიტყვებს გამოკითხულთა 39.1% (ამათგან, ძალიან კარგად ცნობს და კითხულობს - 24.2%). საკუთარ უნარებს საშუალოდ აფასებს 20.1% (იხილეთ დიაგრამა #7).

დიაგრამა #7



კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა), ზოგად შედეგებთან შედარებით, დიდია მათი რიცხვი (63.8%), ვინც ცუდად ცნობს ქართულ ასოებს და კითხულობს სიტყვებს (ძალიან ცუდად ცნობს - 42%). **პანკისის ხეობაში** დიდია იმ რესპონდენტთა წილი (67.4%), ვინც საკუთარ შესაძლებლობებს ამ მიმართულებით უსადაგებს პასუხის ვარიანტს „ძალიან კარგად“, ხოლო „უფრო კარგად ვიდრე, ცუდად“ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს პანკისში გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი (21.7%). **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში, საერთო შედეგებთან შედარებით, დიდია მათი წილი (30.6%), ვინც საშუალოდ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს.

ბ) ანალიზმა აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 38%-ს კარგად შეუძლია **ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანთან კომუნიკაცია** (ძალიან კარგად - 22.4%), ხოლო 39,8%-ს ცუდად (ძალიან ცუდად - 21.3%). საკუთარ შესაძლებლობებს გამოკითხულთა 21.8% საშუალოდ აფასებს.

კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) ამ მიმართულებით, ზოგად მონაცემებთან შედარებით, გაზრდილია მათი რაოდენობა, ვინც საკუთარ შესაძლებლობას საშუალოდ აფასებს (41.4%).

პანკისის ხეობაში ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანთან კომუნიკაციის დამყარება ძალიან კარგად 64.7%-ს შეუძლია (დამატებით, უფრო კარგად, ვიდრე ცუდად 22.8%-ს). **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში 29.4% ამბობს, რომ ძალიან ცუდად შეუძლია ქართულად მოსაუბრე ადამიანთან კომუნიკაცია, ხოლო უფრო ცუდად, ვიდრე კარგად - 24.2%. **ქვემო ქართლის** რეგიონში საერთო მონაცემებთან შედარებით გაზრდილია მათი რაოდენობა (41.7%), ვინც ძალიან ცუდად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს ამ მიმართულებით.

გ) საინტერესოა, რომ **ქართული ლიტერატურის კითხვა და ტექსტის შინაარსის გაგება** ცუდად შეუძლია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ნახევარზე მეტს (50.8%) (ამათგან, ძალიან ცუდად - 34.7%). რესპონდენტთა 31.6% საკუთარ უნარებს ამ კუთხით კარგად აფასებს (ამათგან, ძალიან კარგად - 19.6%). გამოკითხულთა 16.9% საშუალოდ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს.

კახეთის რეგიონი (პანკისის გარდა) ამ მიმართულებითაც გამოირჩევა სხვა რეგიონებისგან ქართული ენის ცოდნის სიმწირით: რესპონდენტთა ნახევარი (50.8%) ამბობს, რომ ძალიან ცუდად შეუძლია ქართული ლიტერატურის კითხვა და ტექსტის შინაარსის გაგება, ხოლო უფრო ცუდად, ვიდრე კარგად შეუძლია 20.1%-ს. **პანკისის ხეობაში** კვლავ ყველაზე მაღალი დონეა: გამოკითხულთა 56.9%-ს შეუძლია ძალიან კარგად კითხვა და შინაარსის გაგება, ხოლო უფრო კარგად, ვიდრე ცუდად 25.7%-ს. **ქვემო ქართლშიც,** არასახარბიელო ვითარებაა: მცხოვრებ უმცირესობათა ნახევარი (50.8%) საკუთარ უნარებს ამ მიმართულებით ძალიან ცუდად აფასებს.

დ) აღმოჩნდა, რომ ეთნიკური უმცირესობების 42.1% **ქართული სატელევიზო არხებიდან** ცუდად/რთულად იგებს/იაზრებს ინფორმაციას (მათგან, ძალიან ცუდად - 25%). კარგად იგებს ინფორმაციას რესპონდენტთა მესამედზე მეტი (36.3%) (მათგან, ძალიან კარგად - 20.7%). ხოლო გამოკითხულთა 20.8% საშუალოდ აფასებს საკუთარ უნარებს ამ მიმართულებით.

- **პანკისის ხეობაში** ქართული სატელევიზიო არხებიდან ინფორმაციის გაგემა ძალიან კარგად შეუძლია 59.1%-ს, ხოლო უფრო კარგად, ვიდრე ცუდად 25.9%-ს. შედარებით მცირე მათი წილი (14.1%), ვისაც ტელევიზიებიდან მიღებული ინფორმაციას გააზრება საშუალოდ, ცუდად ან ძალიან ცუდად შეუძლია.
- **კახეთში** ზოგად ტენდენციასთან შედარებით, ნაკლებია მათი რიცხვი (28.8%), ვინც კარგად იაზრებს ტელევიზიიდან მიღებულ ინფორმაციას (ძალიან კარგად - 9.5%), ხოლო შედარებით დიდია ისეთ რესპონდენტთა რაოდენობა (30.7%), ვინც საშუალოდ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს აღნიშნული მიმართულებით.
- **სამცხე-ჯავახეთში** ინფორმაციის გაგება ძალიან ცუდად შეუძლია რესპონდენტთა 32.8%-ს, ხოლო უფრო ცუდად, ვიდრე კარგად 21.3%-ს. ტელევიზიებიდან მიღებული ინფორმაციის გააზრება კარგად შეუძლია 20.4%-ს (ხოლო ძალიან კარგად - 10%-ს).
- **ქვემო ქართლში** მცხოვრებ უმცირესობათა 46.9% ძალიან ცუდად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს ამ მიმართულებით. მოცემულ რეგიონში გამოკითხულთა მეათედზე მეტს (12.5%) კარგად შეუძლია ტელევიზიებიდან მიღებული ინფორმაციის გააზრება.

ე) ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს **ქართულ ენაზე მსჯელობა და სათქმელის გადმოცემა** ცუდად (40.3%) უფრო შეუძლიათ, ვიდრე კარგად (34.3%). ხოლო საკუთარ უნარებს საშუალოდ აფასებს 24.7%.

- **კახეთის** რეგიონში (პანკისის გარდა) ზოგად მონაცემებთან შედარებით დიდია იმ რესპონდენტთა წილი (41.7%), ვინც საკუთარ შესაძლებლობებს საშუალოდ აფასებს ქართულ ენაზე მსჯელობისა და სათქმელის გადმოცემის კუთხით. ხოლო მცირეა მათი წილი (25.7%), ცუდად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს აღნიშნული თვალსაზრისით.
- **პანკისის ხეობაში** გამოკითხულ რესპონდენტთა 80.2% კარგად შეუძლია ქართულ ენაზე მსჯელობა და სათქმელის გადმოცემა (ძალიან კარგად - 54.9%). მცირეა მათი წილი (3.3%), ვისაც ცუდად შეუძლია ზემოაღნიშნული.
- **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში გამოკითხულთა 54%-ს (ძალიან ცუდად 33.6%) ცუდად შეუძლია სათქმელის გადმოცემა და მსჯელობა ქართულად. კარგად შეუძლია ზემოაღნიშნული გამოკითხულთა 19.9%-ს (ძალიან კარგად 9.4%-ს).
- **ქვემო ქართლში** მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები ამ მიმართულებითაც ცუდად აფასებენ საკუთარ უნარებს 70% (48.6% - ძალიან ცუდად). რესპონდენტთა მეათედზე მეტი (12.5%) კარგად აფასებს საკუთარ შესაძლებლობას იმსჯელოს და გადმოსცეს სათქმელი ქართულ ენაზე.

რესპონდენტთა სქესი და ქართული ენის ცოდნის ხარისხი

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა სქესი გავლენას ახდენს ქართული ენის ცოდნის დონეზე. კერძოდ, ქართულ ენას, ეთნიკურ უმცირესობათა შორის, ცუდად უფრო მდედრობითი (38.9%) სქესის წარმომადგენლები ფლობენ, ვიდრე მამრობითი (33.3%). საშუალო დონეზე ენას უფრო მეტად კაცები (26.4%) ფლობენ, ვიდრე ქალები (20.3%). ხოლო ქართულს კარგად დაახლოებით თანაბრად ფლობენ ორივე სქესის წარმომადგენლები.

- მამრობითი: კარგად - 40.4%
- მდედრობითი: კარგად - 40.8%

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$)

მონაცემების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ **კახეთის რეგიონში** (პანკისის გარდა) მდედრობითი სექსის წარმომადგენელთა თითქმის ნახევარი (48.9%) ქართულ ენას ცუდად ფლობს, მაშინ როდესაც მამაკაცთა შორის ენას ცუდად ფლობს მეოთხედი ნაწილი (25.5%). ქართულს საშუალოდ და კარგად უფრო მამაკაცები ფლობენ, ვიდრე ქალები.

- მამრობითი: საშუალოდ -43.1%; კარგად - 31.4%
- მდედრობითი: საშუალოდ -24.7%; კარგად -26.3%

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$)

რესპონდენტთა ასაკი და ქართული ქართული ენის ცოდნის ხარისხი

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ რესპონდენტთა ასაკი გავლენას ახდენს ქართული ენის ცოდნის ხარისხზე. კერძოდ, ასაკის მატებასთან ერთად იკლებს მათი რიცხვი, ვინც ქართულ ენას კარგად ფლობს. კონკრეტულად:

- 18-დან 24 წლამდე რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53.9%) კარგად ფლობს ქართულ ენას. ქართული ენის ცოდნის ეს დონე გამოირჩევა 25-დან 34 წლამდე, 55-დან 64 წლამდე და 35-დან 44 წლამდე რესპონდენტებში, თუმცა შეინიშნება კლების ტენდეცია.
- 65 წლის და მეტიწლის რესპონდენტებში ყველაზე დიდია მათი წილი, ვინც ცუდად ფლობს ქართულ ენას (43.2%); ქართული ენის კარგად ფლობაზე მიუთითებს 38.2%.

დეტალურად მონაცემები იხილეთ ცხრილში #12;

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: p<0.05)

ცხრილი #12

ქართული ენის ცოდნის დონე %	რესპონდენტთა ასაკი (N=1510)					
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+
ცუდად	19.2	36.5	33.5	41.6	37.7	43.2
საშუალოდ	26.9	23.8	25.7	24	22.5	18.5
კარგად	53.9	39.7	40.9	34.5	39.8	38.2

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ **კახეთის რეგიონში** (პანკისის გარდა) ასაკი გავლენას ახდენს ქართული ენის ცოდნის ხარისხზე. კერძოდ, უმცროსი თაობები შედარებით უფრო კარგად ფლობენ ქართულ ენას, ვიდრე უფროსი. კონკრეტულად:

- 18-დან 24 წლამდე რესპონდენტთა შედარებით დიდი ნაწილი (40.4%) საშუალოდ ფლობს ქართულ ენას, ხოლო კარგად - 38.3%.
- 65 წლის და მეტი ასაკის რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (49.3%) ცუდად ფლობს ქართულ ენას, ხოლო მოცემულ ასაკობრივ კატეგორიაში ქართულ ენას მხოლოდ 28.4% ფლობს კარგად.
- საინტერესოა, რომ 55-დან 64 წლამდე ასაკის რესპონდენტთა შორის შედარებით დიდი (42.6%) ნაწილი ქართულ ენას საშუალოდ ფლობს, ხოლო კარგად - 34.4%.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: p<0.05) დეტალურად მონაცემები იხილეთ ცხრილში #13;

ცხრილი #13

ქართული ენის ცოდნის დონე კახეთის რეგიონში %	რესპონდენტთა ასაკი კახეთში % (N=380)					
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+
ცუდად	21.3	44.3	29.3	45.1	23	49.3
საშუალოდ	40.4	30	46.6	28.2	42.6	22.4
კარგად	38.3	25.7	24.1	26.8	34.4	28.4

კორელაციური ანალიზისას აღმოჩნდა, რომ **სამცხე-ჯავახეთის რეგიონში** ასაკი, აგრეთვე, გავლენას ახდენს რესპონდენტთა ქართული ენის ფლობის ხარისხზე. კერძოდ, ასაკის ზრდის პარალელურად, იზრდება მათი რიცხვი, ვინც ცუდად იცის ქართული.

- 18-დან 24-წლამდე ასაკის რესპონდენტთა შორის ქართულ ენას კარგად ფლობს შედარებით დიდი ნაწილი (38%), ხოლო ენას ცუდად ფლობს დაახლოებით ყოველი მეოთხე (26%).
- 45-დან 54 წლამდე (53.7%), 55-დან 64 წლამდე (54.2%) და 65 წლის და მეტი (57.4%) ასაკის რესპონდენტთა უმრავლესობა ცუდად ფლობს ქართულ ენას.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: p<0.05) დეტალურად მონაცემები იხილეთ ცხრილში #14;

ცხრილი #14

ქართული ენის ცოდნის დონე სამცხე-ჯავახეთში %	რესპონდენტთა ასაკი სამცხე-ჯავახეთში % (N=379)					
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+
ცუდად	26	44.2	38.5	53.7	54.2	57.4
საშუალოდ	36	27.3	21.2	25.4	22	26.5
კარგად	38	28.6	40.4	20.9	23.7	16.2

იგივე ტენდენციაა **ქვემო ქართლის** რეგიონშიც: ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მათი რიცხვი ვინც ცუდად იცის ქართული. ხოლო არსებითად იკლებს მათი რიცხვი, ვინც კარგად იცის ქართული ენა.

- ქართული ენა კარგად იცის 18-დან 24 წლამდე ასაკის თითქმის ნახევარმა (47.1%). ხოლო 25-დან 34 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის მეხუთედზე მეტმა (22.1%).
- 55-დან 64 წლამდე (71.2%) და 65 წლის და მეტი (69.8%) ასაკის რესპონდენტთა უმრავლესობამ ქართული ენა ცუდად იცის.

დეტალურად მონაცემები იხილეთ ცხრილში #15

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$)

ცხრილი #15

ქართული ენის ცოდნის დონე ქვემო ქართლში %	რესპონდენტთა ასაკი ქვემო ქართლში % (N=381)					
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+
ცუდად	27.5	48.1	62.9	61.4	71.2	69.8
საშუალოდ	25.5	29.9	27.4	34.3	18.6	23.8
კარგად	47.1	22.1	9.7	4.3	10.2	6.3

თავი 4. საბინაო პირობები

მიმართება საცხოვრებელ ბინასთან/სახლთან

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (97.2%) საკუთარ ბინაში (სახლში) ცხოვრობს. რესპონდენტთა 1.5%-ს ახლობელმა (მშობელმა, ნათესავმა, მეგობარმა) დაუთმო დროებით ბინა (უმნიშვნელოა იმათი წილი (1.3%), ვინც დარჩენილი პასუხის კატეგორიები აირჩია) (იხილეთ დიაგრამა #8).

დიაგრამა #8



თითქმის ყველა რესპონდენტი (98.3%) აღნიშნავს, რომ იმ ბინაში (სახლში), სადაც ახლა ცხოვრობს, მხოლოდ ერთი ოჯახია (1.4% სხვა ოჯახთან ერთად ცხოვრობს).

ძირითადი პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა ბინასთან (სახლთან) მიმართებით

კვლევა აჩვენებს, რომ საბინაო პრობლემებს შორის, ეთნიკური უმცირესობებისთვის ყველაზე მწვავე პრობლემას **ურემონტო ბინა** წარმოადგენს. თითქმის ყოველ მეორე გამოკითხულს (48.6%) **ბინის რემონტის საკითხი** აწუხებს. **ქვემო ქართლის** რეგიონში გამოკითხულთა შედარებით დიდი ნაწილს (64%) არ აწუხებს მოცემული პრობლემა.

რესპონდენტთა მცირე ნაწილი (5.7%) აღნიშნავს, რომ **აწუხებთ** ბინის (სახლის) ავარიული მდგომარეობა, ხოლო დიდი უმრავლესობისათვის **ეს პრობლემა რელევანტური არ არის** (არ გვაწუხებს - 94.1%).

გამოკითხულთა 7.4%-ის აზრით, მათი ბინა/სახლი საცხოვრებლად **უვარგისია** (ბნელია, ნესტიანია, სარდაფის ტიპისაა და ა.შ.). რესპონდენტთა 92.1%-ის შემთხვევაში კი ეს პრობლემა არ დგას („არ გვაწუხებს“).

საცხოვრებელ ფართის **არასაკმარისობა** აწუხებს გამოკითხულთა მეათედს (10.1%), ხოლო რესპონდენტთა უმრავლესობის წინაშე ეს პრობლემა არ დგას (არ აწუხებს - 89.7%).

ბინის (სახლის) გათბობის პრობლემის წინაშეა გამოკითხულთა 13.6%, ხოლო ასეთი პრობლემა არ აწუხებს 86.2%-ს. **პანკისის ხეობაში** აღნიშნული პრობლემა თითქმის ყოველ მეოთხეს (23.3%) აწუხებს.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობას (98.5%) **ელექტროგაყვანილობის პრობლემა** არ აწუხებს. მხოლოდ 1.3%-ის წინაშეა ასეთი გამოწვევა.

რესპონდენტთა 14.6% აღნიშნავს, რომ აწუხებს **წყლის გაცხელების და პირადი ჰიგიენის დაცვის (დაბანის) შეუძლებლობა**. ასეთი პრობლემა გამოკითხულთა 85%-ს არ აწუხებს. **პანკისის ხეობაში** აღნიშნული პრობლემა აწუხებს ოჯახების მესამედს (32.9%).

სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა რესპონდენტთა 11.8%-ს აწუხებს, ასეთი პრობლემა არ მნიშვნელობს გამოკითხულთა 88%-ის შემთხვევაში. სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან შედარებით, **პანკისის ხეობა** გამოირჩევა სასმელი წყლის პრობლემაზე აქცენტირებით (26.1%).

ბინის ქირის გადახდის პრობლემა არ აწუხებს რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას (97.9%).

ბინის დაცლის მოთხოვნის საშიშროების წინაშე გამოკითხულთა უმნიშვნელო ნაწილია (1.1%). ასეთი პრობლემა არ აწუხებს რესპონდენტთა 97.6%-ს.

სახლის/ბინის საბუთების მოუგვარებლობის პრობლემა რესპონდენტთა 5.4%-ს აწუხებს, იგივე პრობლემა არ აწუხებს გამოკითხულთა 89.1%-ს. ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემა რესპონდენტთა 4.9% უჭირს. **პანკისი ხეობაში** გამოკითხულთა 15.5%-ს აწუხებს აღნიშნული პრობლემა.

თავი 5. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შედარებით დიდი ნაწილის (36.2%) შემოსავლის ძირითადი წყარო ოჯახის წევრის ხელფასი/გამომუშავებული ანაზღაურებაა. რესპონდენტთა 27.5%-ის შემოსავლის ძირითადი წყაროა პენსია, ხოლო მეხუთედზე მეტისთვის (21.7%) - მის მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობა. საინტერესოა, რომ რესპონდენტთა 4.8% დამოკიდებულია ოჯახიდან დროებით წასული წევრის გზავნილებზე, ხოლო 6.9% - სხვადასხვა სოციალურ დახმარებაზე ან დევნილთა შემწეობაზე (იხილეთ დიაგრამა #9).

დიაგრამა #9



სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ზოგად შედეგებთან შედარებით, დიდია იმ რესპონდენტთა წილი (32.4%), ვინც ამბობს, რომ შემოსავლის ძირითადი წყარო მათ მიერ მოწეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია. ხოლო **ქვემო ქართლის** რეგიონში, საერთო შედეგებთან შედარებით, დიდია იმ რესპონდენტთა რაოდენობა (44.1%), ვინც ამბობს, რომ ოჯახის წევრების ხელფასი/გამომუშავებული ანაზღაურება წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს.

რაოდენობრივ მაჩვენებლებში რესპონდენტთა ოჯახების შემოსავლების ძირითადი ნაწილი დივერსიფიცირებულია რამდენიმე კატეგორიაში: **400 ლარის ჩათვლით** - 16.6%; **401- დან 600 ლარის ჩათვლით** - 21.1%; **601- დან 800 ლარის ჩათვლით** - 16%; **801-დან 1000 ლარის ჩათვლით** - 11.7%; **1001-დან 1500 ლარის ჩათვლით** - 8.1%. გამოკითხულთა მხოლოდ 4.7%-ის შემოსავალი **1501 - და მეტი.** ხოლო რესპონდენტთა თითქმის მეხუთედს (17.1%) უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. **ქვემო ქართლის** რეგიონი გამოირჩევა დაბალი შემოსავლებით: ამ რეგიონში შედარებით დიდია მათი წილი (25.1%), ვისი ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი არის 400 ლარის ჩათვლით.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ **კორონავირუსის პანდემიის შედეგად** რესპონდენტთა ოჯახების 37.7%-ს შემოსავალები შეუმცირდა, ხოლო 59%-ის შემოსავლები არ შეცვლილა (უმნიშვნელოა მათი წილი (0.9%), ვინც ამბობს, რომ მათ ოჯახებს შემოსავლები გაეზარდა). კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 2.3%-ს.

აღსანიშნავია, რომ პანდემიამ განსხვავებული ეფექტი იქონია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე/ტერიტორიულ ერთეულებზე: **პანკისის ხეობასა (72.6%) და ქვემო ქართლში (55.5%)** გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ მათი ოჯახის შემოსავლები შემცირდა კორონავირუსის პანდემიის გამო. ხოლო **სამცხე-ჯავახეთის** მოსახლეობის 70.3%, პირიქით, აცხადებს, რომ მათი ოჯახების შემოსავლები არ შეცვლილა.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობების ოჯახების მესამედზე მეტის (36%) შემოსავლები კვებაზე იხარჯება. ბიუჯეტის 22.2%-ს რესპონდენტები გადასახადებში ხარჯავენ, ხოლო 18.9% მედიკამენტებს ხმარდება (იხილეთ ცხრილი #16).

ცხრილი #16

თუ შეიძლება მითხრათ, რაში იხარჯება თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითადი ნაწილი? % (N=1510)	
კვებაზე	36
მედიკამენტებზე	18.9
ჯანდაცვაზე (მედიკამენტების გარდა)	4.6
განათლებაზე	2.5
საოჯახო ნივთების შეძენაზე	6.1
სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გაწეული დანახარჯებზე	6.1
გადასახადებზე	22.2
სხვა დანახარჯები	3.3
უარი პასუხზე	-
მიჭირს პასუხის გაცემა	0.3

საინტერესოა, რომ **სამცხე-ჯავახეთში** გამოკითხულთა 28.8% ამბობს, რომ მათი ოჯახების შემოსავლები ძირითადად გადასახადებში იხარჯება. ხოლო **ქვემო ქართლში** იმავეს მხოლოდ 14.5% ამბობს.

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ **შინაარსობრივად** (არა რაოდენობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით) შეეფასებინათ საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა. შედეგად გაირკვა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (52.6%) საკუთარი ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას ასე აფასებს: *„შემოსავალი კვებასა და ჩაცმას უზრუნველყოფს, მაგრამ ძვირად ღირებული საქონლის შესაძენად ფულის დაგროვებას ვერ ვახერხებთ“.* მეორე მხრივ, გამოკითხულთა მესამედზე მეტი (35.5%) კიდევ უფრო დრამატულად აფასებს ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას და ამბობს, რომ *შემოსავალი/მონეული მოსავალი მხოლოდ კვებაზე ჰყოფნით.* კვლევაში მონაწილეთა 3% უკიდურეს შეფასებას გამოთქვამს *(„სისტემატიურად ვშიმშილობთ“)* (იხილეთ ცხრილი #17).

ცხრილი #17

თუ შინაარსობრივად შეაფასებთ, როგორია თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა? % (N=1510)	
ძალიან მძიმე, სისტემატიურად ვშიმშილობთ	3
მძიმეა, ხან ვინ გვეხმარება და ხან ვინ, რომ საკვები მივიღოთ	5.2
ცუდია, ჩვენი შემოსავალი მხოლოდ კვებაზე გვყოფნის	35.5
საშუალო, ჩვენი შემოსავალი კვებასა და ჩაცმას უზრუნველყოფს, მაგრამ ძვირად ღირებული საქონლის შესაძენად ფულის დაგროვებას ვერ ვახერხებთ	52.6
საშუალოზე მაღალი, ჩვენი შემოსავალით ძვირადღირებული საქონლის შეძენას ვახერხებთ	1.5

თუ შინაარსობრივად შეაფასებთ, როგორია თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა? % (N=1510)	
მიჭირს პასუხის გაცემა	1.9
უარი პასუხზე	0.3

რეგიონულ ჭრილში საკითხის განხილვისას აღმოჩნდა, რომ **სამცხე-ჯავახეთში,** საერთო შედეგებთან შედარებით, მეტია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც საშუალოდ (68%) აფასებენ საკუთარი ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას *(„ჩვენი შემოსავალი კვებასა და ჩაცმას უზრუნველყოფს, მაგრამ ძვირად ღირებული საქონლის შესაძენად ფულის დაგროვებას ვერ ვახერხებთ“)*. **ქვემო ქართლის** რეგიონში მეტია მათი რიცხვი (40.1%), ვინც თვლის, რომ მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ცუდია *(„შემოსავალი/მოწეული მოსავალი მხოლოდ კვებაზე გვყოფნის“)*. შესაბამისად, ამ რეგიონში, საერთო მონაცემებთან შედარებით, ნაკლებია იმ რესპონდენტთა რიცხვი (37.3%), ვინც საშუალოდ აფასებს საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას *(„ჩვენი შემოსავალი კვებასა და ჩაცმას უზრუნველყოფს, მაგრამ ძვირად ღირებული საქონლის შესაძენად ფულის დაგროვებას ვერ ვახერხებთ“)*.

ურბანული/რულარული სივრცე და რესპონდენტთა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

ა) სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ქალაქად მცხოვრებ რესპონდენტთა ოჯახების 28.2%-ს საშუალოზე დაბალი (401-დან 800 ლარის ჩათვლით) შემოსავალი აქვს, ხოლო მსგავსი მოცულობის შემოსავალს გამოიმუშავებს სოფლის ტიპის დასახლებებში გამოკითხულთა ოჯახების მესამედი (32.3%) (სოფლის ტიპის დასახლებებში შემოსავლის ეს მოცულობა ყველაზე გავრცელებულია). ქალაქებში, სოფლებთან შედარებით, საშუალოზე მაღალი/ მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახების წევრთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობა იკვეთება. ქალაქებში მცხოვრებ რესპონდენტთა ოჯახების შემოსავალი საშუალოზე მაღალი/მაღალი (1001 ლარი და მეტი) 29.5%-ის შემთხვევაშია, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში იგივე შემოსავალს მხოლოდ ოჯახების 16% გამოიმუშავებს.

ბ) სამცხე-ჯავახეთისგან რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა **ქვემო ქართლში:** ქალაქად და სოფლად მცხოვრებ რესპონდენტებს შორის, ეკონომიკური მდგომარეობის თითქმის ყველა დონეზე იკვეთება მნიშვნელოვანი განსხვავებები. ქალაქში გამოკითხულთა ოჯახების უმრავლესობა (53.8%) საშუალოზე დაბალ შემოსავალს იღებს, ხოლო სოფლად მცხოვრებთა 37.2%-ს საშუალოზე დაბალი მოცულობის შემოსავალი აქვს. საინტერესოა, რომ, აღნიშნულ რეგიონში, საშუალოზე მაღალი/მაღალი (5.9%) შემოსავალს მხოლოდ სოფლის ტიპის დასახლებებში გამოიმუშავებენ (იხილეთ ცხრილი #18) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$).

ცხრილი #18

რეგიონი	**ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი % (N=)**	**ქალაქი**	**სოფელი**
	ღარიბი (400 ლარის ჩათვლით)	6.4	5.3
	საშუალოზე დაბალი (401-დან 800 ლარის ჩათვლით)	28.2	32.3

სამცხე-ჯავახეთი (N=379)	საშუალო (801-დან 1000 ლარის ჩათვლით)	15.4	11
	საშუალოზე მაღალი/მაღალი (1001 ლარზე მეტი)	29.5	16
	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	20.5	35.3
ქვემო ქართლი (N=381)	ღარიბი (400 ლარის ჩათვლით)	20.5	26.3
	საშუალოზე დაბალი (401-დან 800 ლარის ჩათვლით)	53.8	37.2
	საშუალო (801-დან 1000 ლარის ჩათვლით)	5.1	9.2
	საშუალოზე მაღალი/მაღალი (1001 ლარზე მეტი)	-	5.9
	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	20.5	21.4

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა რესპონდენტთა განათლების მიღების დონეზე

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ **რესპონდენტთა ოჯახების შემოსავლები გავლენას ახდენს განათლების მიღების შესაძლებლობაზე.** ოთხივე ეკონომიკური მდგომარეობის ჯგუფის შედარებისას იკვეთება ტენდენცია, რომ რესპონდენტების ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის ზრდის პარალელურად იზრდება იმ გამოკითხულთა რიცხვი, ვინც სრულ ან არასრულ უმაღლესი განათლებას ფლობს. კონკრეტულად:

- **ღარიბი და საშუალოზე დაბალი ეკონომიკური მგომარეობის ოჯახებში** მცხოვრებ რესპონდენტებს უფრო მეტად სრული საშუალო და არასრული საშუალო განათლება აქვთ (მაგალითად, საშუალოზე დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახების წევრი რესპონდენტების 47.9%-ს მიღებული აქვს მხოლოდ სრული საშუალო განათლება. განათლების ეს დონე (49.4%) წამყვანია ასევე ღარიბი ოჯახების წარმომადგენელ გამოკითხულთა შორისაც). ღარიბ ოჯახების წარმომადგენელ რესპონდენტებში მხოლოდ 9%-მდეა ისეთი, ვისაც მიღებული აქვს უმაღლესი ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება.
- **საშუალო ან საშუალოზე მაღალი/მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახებში** მნიშვნელოვნად იზრდება უმაღლესი განათლების მქონეთა წილი (საშუალოზე მაღალი/ მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახების წარმომადგენელ რესპონდენტთა 40.7%-ს მიღებული აქვს უმაღლესი/დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება).

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილი #19;

ცხრილი #19

თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური? % (N=1510)	**ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი %**

	ღარიბი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი/მაღალი	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი
არასრული საშუალო	32.3	24.3	15.7	9.8	26.9
სრული საშუალო	49.4	47.9	39.9	40.7	52.3
საშუალო ტექნიკური	9.6	11.3	11.8	8.8	6.7
უმაღლესი/არასრული უმაღლესი	8.8	16.4	31.5	40.7	12.8
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	-	0.2	1.1	-	1.2

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია სამიზნე რეგიონებშიც:

ა) **კახეთის** რეგიონში (პანკისის გარდა) **ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა გავლენას ახდენს რესპონდენტთა მიერ განათლების მიღების შესაძლებლობებზე.** კერძოდ, რაც უფრი დაბალი ეკონომიკური მდგომაროების ოჯახებს წარმოადგენენ რესპონდენტები, მით უფრო მატულობს იმათი წილი, ვისაც დაბალი დონის განათლება აქვს მიღებული. უფრო კონკრეტულად:

- ღარიბ ოჯახებში მცხოვრებ რესპონდენტთა უმრავლესობას (73%) არასრული საშუალო განათლება აქვს მიღებული; განათლების ეს დონე დომინანტურია (62.6%) ასევე იმ რესპონდენტთა ჯგუფში, რომლებიც საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების წარმომადგენლები არიან.
- პირიქით, საშუალო ან საშუალოზე მაღალი/მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახებში მკვეთრად მცირდება არასრული საშუალო განათლების მქონეთა წილი (საშუალო ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახებში - 39.1%; საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახებში - 27.3%) და იზრდება საშუალო, საშუალო-ტენიკური და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების რაოდენობა (მაგალითად, საშუალო ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახების წარმომადგენელ რესპონდენტთა 15.2%-ს მიღებული აქვს საშუალო-ტექნიკური განათლება, ხოლო 13%-ს - უმაღლესი/დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება).

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) **დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილში #20:**

ცხრილი #20

თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური %	ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი კახეთის რეგიონში % (N=380)				
	ღარიბი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი/მაღალი	მიჭ. პას. გაცემა/ უარი პასუხზე
არასრული საშუალო განათლება	73.1	62.6	39.1	27.3	52.6
სრული საშუალო განათლება	25	27.6	30.4	40.9	36
საშუალო-ტექნიკური განათლება	-	4.9	15.2	20.5	4.4
დასრულებული/დაუსრულებელი უმაღლესი განათლება	1.9	4.9	13	11.4	5.3
მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე	-	-	2.2	-	1.8

ბ) **პანკისშიც** ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა გავლენას ახდენს რესპონდენტთა განათლების მიღების შესაძლებლობაზე - ეკონომიკური მდგომარეობის ზრდის პარალელურად, მცირდება არასრული საშუალო, სრული საშუალო განათლების მქონეთა რიცხვი და იზრდება არასრული ან სრული უმაღლესი განათლების მქონეთა წილი. უფრო კონკრეტულად:

- ღარიბ ოჯახებში მცხოვრებ გამოკითხულთა უმრავლესობას (57.3%) სრული საშუალო განათლება აქვს (განათლების ეს დონე საშუალოზე დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის მქონეთა შემთხვევაშიც წამყვანია - 54.9%), ხოლო საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახებში გამოკითხულთა შორის საშუალო განათლების მქონეთა წილი მნიშვნელოვნად იკლებს (33%).
- ღარიბი ოჯახების წევრთა მხოლოდ 15.9%-ს აქვს დასრულებული/ დაუსრულებელი უმაღლესი განათლება, მაშინ როდესაც საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახების რესპონდენტთა 58.3% სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მფლობელია.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) **დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილში #21:**

ცხრილი #21

თქვენს მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური %	**ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი პანკისში % (N=370)**				
	ღარიბი	**საშუალოზე დაბალი**	**საშუალო**	**საშუალოზე მაღალი/მაღალი**	**მიჭ. პას. გაცემა/ უარი პასუხზე**
არასრული საშუალო განათლება	13.4	17.3	3.6	1.7	-
სრული საშუალო განათლება	57.3	54.9	34.5	33.3	54.5
საშუალო-ტექნიკური განათლება	13.4	9.9	16.4	6.7	27.3
დასრულებული/დაუსრულებელი უმაღლესი განათლება	15.9	17.3	45.5	58.3	18.2
მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე	-	0.6	-	-	-

გ) მსგავსი ტენდენციაა **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონშიც: **ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის ზრდის პარალელურად** მცირდება არასრული საშუალო, სრული საშუალო, საშუალო-ტექნიკური განათლების მქონეთა წილი და იზრდება უმაღლესი/დაუსრულები უმაღლესი განათლების მფლობელთა რიცხვი. უფრო კონკრეტულად:

- ღარიბ ოჯახებში მცხოვრებ რესპონდენტთა 14.3%-ს არასრული საშუალო განათლება აქვს, ხოლო სრული საშუალო განათლებისაა 52.4%. ღარიბ ოჯახებში უმაღლესი განათლების (დაუმთავრებელი უმაღლესის ჩათვლით) მქონეა მხოლოდ 4.8%.
- საშუალოზე მაღალ/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახების წევრთა შორის მნიშვნელოვნად იზრდება უმაღლესდამთავრებულთა წილი (42.9%-ს აქვს მიღებული უმაღლესი/დაუმთავრებელი უმაღლესი) განათლება.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) **დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილში #22:**

ცხრილი #22

თქვენს მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური %	**ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი სამცხე-ჯავახეთში % (N=379)**				
	ღარიბი	**საშუალოზე დაბალი**	**საშუალო**	**საშუალოზე მაღალი/მაღალი**	**მიჭ. პას. გაცემა/ უარი პასუხზე**
არასრული საშუალო განათლება	14.3	13.3	13.3	4.3	5.7
სრული საშუალო განათლება	52.4	47.5	51.1	47.1	67.5
საშუალო-ტექნიკური განათლება	28.6	23.3	8.9	5.7	8.9

თქვენს მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური %	ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი სამცხე-ჯავახეთში % (N=379)				
	ღარიბი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი/მაღალი	მიჭ. პას. გაცემა/ უარი პასუხზე
დასრულებული/დაუსრულებელი უმაღლესი განათლება	4.8	15.8	24.4	42.9	16.3
მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე	-	-	2.2	-	1.6

დ) **ქვემო ქართლის** რეგიონში ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე, გავლენას ახდენს რესპონდენტთა განათლების მიღების შესაძლებლობაზე. კერძოდ, ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის ზრდის პარალელურად მცირდება არასრული საშუალო, სრული საშუალო, საშუალო-ტექნიკური განათლების მქონეთა წილი და იზრდება უმაღლესი განათლების მფლობელთა რიცხვი.

- ღარიბ ოჯახების წევრ რესპონდენტთა 29.2%-ს აქვს არასრული საშუალო განათლება, ხოლო სრული საშუალო - 55.2%-ს (განათლების ეს დონე დომინანტურია საშუალოზე დაბალ (57.4%) და საშუალო (46.9%) ეკონომიკური შემოსავლის მქონე გამოკითხულთა შორის).
- საშუალოზე მაღალი/მაღალი და საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახებში მკვეთრად მცირდება არასრული საშუალო განათლების მქონეთა რიცხვი (საშუალო ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახებში - 6.3%; საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახებში - 11.1%) და იზრდება უმაღლესი/არასრული უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვი (საშუალო ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახებში - 43.8%; საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახებში - 44.4%).

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) **დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილი #23**

ცხრილი #23

თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური %	ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი ქვემო ქართლში % (N=381)				
	ღარიბი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი/ მაღალი	მიჭ. პას. გაცემა/ უარი პასუხზე
არასრული საშუალო განათლება	29.2	9	6.3	11.1	25.9
სრული საშუალო განათლება	55.2	57.4	46.9	44.4	51.9

თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური %	ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი ქვემო ქართლში % (N=381)				
	ღარიბი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი/ მაღალი	მიჭ. პას. გაცემა/ უარი პასუხზე
საშუალო-ტექნიკური განათლება	7.3	8.4	3.1	-	3.7
დასრულებული/დაუსრულებელი უმაღლესი განათლება	8.3	25.2	43.8	44.4	18.5

თავი 6. განათლება

ბაღის ასაკის ბავშვ(ებ)ის განათლება

გამოკითხულთა მეხუთედს (20.4%) ოჯახში ბაღის ასაკის (3-6 წწ.) ბავშვ(ებ)ი ჰყავს. უმრავლესობას (71%) ამ ასაკის მხოლოდ ერთი ბავშვი ჰყავს ოჯახში, ხოლო 24%-ს - ორი (იხილეთ ცხრილი #24). გამოკითხულთა 79.4%-ს არ ჰყავს ოჯახში ბაღის ასაკის ბავშვი.

ცხრილი #24

გყავთ თუ არა ოჯახში ბაღის ასაკის (3-6 წწ.) ბავშვი? (N=1510)		ოჯახში ბავშვების რაოდენობა (N=319)	
დიახ (ჩაწერეთ რაოდენობა)	20.4%	1 ბავშვი	71%
		2 ბავშვი	24%
		3 ბავშვი	4.4%
		4 ბავშვი	0.6%
არ გვყავს	79.4		

იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (67.9%), ვისაც ოჯახში ბაღის ასაკის ბავშვ(ებ)ი ჰყავს, ამბობს, რომ მათი ოჯახის ბაღის ასაკის ყველა ბავშვი დადის სახელმწიფო ან კერძო ბაღში. ხოლო 4.5% ამბობს, რომ ბაღში ბავშვებიდან ზოგიერთი დადის, ზოგიერთი კი - არა. გამოკითხულთა 27% აღნიშნავს, რომ ბავშვ(ებ)ი არ დადიან/დადის არც სახელმწიფო და არც კერძო ბაღში.

საკითხის რეგიონულ ჭრილში განხილვისას აღმოჩნდა, რომ **კახეთში** ბაღის ასაკის ბავშვების უმრავლესობა (56.4%) არ დადის კერძო ან სახელმწიფო ბაღში, ხოლო გამოკითხულთა 43.6% ამბობს, რომ მისი ოჯახის ბაღის ასაკის ბავშვებიდან ყველა დადის ბაღში. **პანკისის ხეობასა** (87.9%) და **სამცხე-ჯავახეთში** (81.4%) რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ მისი ოჯახის ბაღის ასაკის ბავშვთაგან ყველა ჩართულია წინასასკოლო განათლებაში.

იმ რესპონდენტების შედარებით დიდი ნაწილი (36.4%), ვისი ოჯახის წევრი ბავშვებიც არ დადიან ბაღში, აღნიშნავს, რომ ბავშვ(ებ)ი ბაღში არ დადის/დადიან, რადგან **არ არის საბავშვო ბაღი მათ დასახლებაში** ან ბაღი შორსაა, ხოლო 16.8% ამბობს, რომ სახლში ჰყავს ადამიანი, რომელიც ზრუნავს ბავშვ(ებ)ზე (იხილეთ ცხრილი #25).

ცხრილი #25

ბავშვი თუ არ დადის ბაღში, რა არის ამის ძირითადი მიზეზი? (N=98)	%
ბავშვს აქვს ჯანმრთელობის პრობლემები	2.8
ბავშვს არ აქვს ჩასაცმელი	0.7
არ არის საბავშვო ბაღი ჩვენს დასახელებაში/საბავშვო ბაღი შორსაა	36.4
ოჯახში გვყავს ადამიანი, რომელიც ზრუნავს ბავშვ(ებ)ზე	16.8
გვყავს ადამიანი სხვა ოჯახიდან, რომელიც ზრუნავს ბავშვ(ებ)ზე	7.3
არ არის საბავშვო ბაღი მისი ასაკის ბავშვებისთვის	15.8
არ ვართ ხარისხით კმაყოფილი	1.9
სიაში (რიგში) ვართ და ველოდებით	5.9
სკოლამდელი განათლების მიღება საჭირო არ არის	-
არ გაჩერდა ბაღში	2.2
უარი პასუხზე	3.2
მიჭირს პასუხის გაცემა	7

რეგიონების ჭრილში მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ **კახეთის** რეგიონში (პანკისის გარდა), ზოგად მონაცემებთან შედარებით, დიდია იმ რესპონდენტთა რაოდენობა (56.7%), ვინც ამბობს, რომ საბავშვო ბაღში იმ მიზეზით არ დაჰყავს ბავშვ(ებ)ი, რომ ასეთი დაწესებულება მათ დასახლებაში არ არსებობს ან შორსაა მათ რეგიონში. **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში, საერთო შედეგებთან შედარებით, დიდია იმ ბავშვთა რიცხვი, ვინც სიაშია (რიგშია) და ელოდება ბაღში შესვლას (32.2%).

რესპონდენტთა უმრავლესობას (62.4%) იმათგან, ვინც ბაღის მომსახურებით სარგებლობს (ასეთია სულ 72.4%), წინასასკოლო განათლებასთან დაკავშირებით პრობლემები არ აქვს. ხოლო გამოკითხულთა 13.1% ამბობს, რომ ბაღი ძალიან შორსაა მათი საცხოვრებლიდან. ამ პრობლემაზე უფრო მეტ აქცენტს აკეთებენ (21.2%) **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც ბაღის მომსახურებით სარგებლობენ.

რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ შეეფასებინათ საკუთარი კმაყოფილება იმ საბავშვო ბაღების მიმართ, რომლებშიც დადის/დადიან მათი ოჯახის წევრი ბავშვ(ებ)ი. გამოკითხულთა 38% ძალიან კმაყოფილია, ხოლო 40.9% - მეტ-ნაკლებად (იხილეთ ცხრილი #26).

ცხრილი #26

ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ იმ ბაღით, სადაც თქვენი ოჯახის სასკოლო ასაკის ბავშვები დადის/დადიან? % (N=233)	
ძალზე კმაყოფილი	38
მეტ-ნაკლებად კმაყოფილი	40.9
არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო	9.1
მეტ-ნაკლებად უკმაყოფილო	4.9
ძალზე უკმაყოფილო	3.4
უარი პასუხზე	1.2
მიჭირს პასუხის გაცემა	2.4

ბავშ(ებ)ი სკოლამდელ განათლებას ძირითადად იღებს/იღებენ: ქართულად - 58.2%; აზერბაიჯანულად - 24.4%; სომხურად - 15.3%. უმნიშვნელოა მათი წილი, ვინც განათლებას რუსულად იღებს (1.3%).

კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) წინასასკოლო განათლებას (უმცირესობათა) ბავშვები ქართულ (48.2%) და აზერბაიჯანულ (51.8%) ენებზე იღებენ. **პანკისის** რეგიონში სასწავლო პროცესი სრულიად ქართულად მიმდინარეობს. **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში წინასაკოლო განათლებას ქართულად 31.6% იღებს. სწავლების ძირითადი ენა სომხურია (61.8%), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - რუსული (5.3%).

სკოლის ასაკის ბავშ(ებ)ის განათლება

გამოკითხულთა 40.4%-ს ოჯახში სასკოლო ასაკის ბავშ(ებ)ი/მოზარდ(ებ)ი ჰყავს, ხოლო ასეთი ასაკის ბავშ(ებ)ი/მოზარდები არ ჰყავს - 59.5%-ს. შედარებით დიდი ნაწილს (43.9%) ოჯახში მხოლოდ ერთი ასეთი ბავშვი ჰყავს, ხოლო რესპონდენტთა 37.1%-ს - ორი. სამი ბავშვი ოჯახში რესპონდენტთა მხოლოდ 16.6%-ს ჰყავს, ხოლო 4-დან 9-მდე ბავშვი ოჯახთა 2.4%-ს ჰყავს.

ოჯახის წევრი ბავშ(ებ)ის/მოზარდ(ებ)ის სრული უმრავლესობა (96.8%) დადის სკოლაში. მხოლოდ გამოკითხულთა 2% ამბობს, რომ მათი ოჯახის ზოგიერთი სასკოლო ასაკის ბავშვი დადის სკოლაში, ზოგიერთი კი - არა. მცირეა მათი რიცხვი (0.9%; N=5), ვინც ამბობს, რომ მათი ოჯახიდან ბავშ(ები)ი/ მოზარდ(ებ)ი არ არის/არიან ჩართული სასკოლო სწავლებაში.

მეორე მხრივ, იმის მიზეზად, თუ რატომ არ დადიან სასკოლო ასაკის ბავშვები სკოლაში, სახელდება სხვადასხვა ფაქტორი: არ უნდოდა სწავლა და გამოვიდა - 21.6% (N=4); დაოჯახების გამო მიატოვა სწავლა - 15.5% (N=3); ავადმყოფობს -15.2% (N=3). კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა 26.1%-ს (N=5) (იხილეთ დიაგრამა #10).

დიაგრამა #10



სასკოლო განათლებასთან დაკავშირებით რესპონდენტთა არსებით ნაწილს (62%-ს) პრობლემები არ აქვს. ხოლო დარჩენილი ნაწილის პასუხები დივერსიფიცირებულია სხვადასხვა მიმართულებით - ინფრასტრუქტურული პრობლემები, სწავლების ხარისხთან (მათ შორის, ქართული ენის შესწავლასთან) დაკავშირებული პრობლემები და ა.შ. (იხილეთ ცხრილი #27)

ცხრილი #27

რა ძირითად პრობლემებს გამოყოფდით სასკოლო განათლებასთან დაკავშირებით? % (N=623)	
სკოლა ძალიან შორსაა	7.5
სკოლის შენობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია	4.8
სწავლების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია	6.2
გვიჭირს სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ნივთების შეძენა	6.1
ქართული ენის შესწავლა არ არის სათანადო დონეზე	5.5
უმცირესობათა ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოები არ არის სათანადო დონის	3.3
სასკოლო განათლებასთან დაკავშირებით პრობლემები არ გვაქვს	62
დისტანციური სწავლა უხარისხოს ხდის სწავლას	0.2
უარი პასუხზე	1.4
მიჭირს პასუხის გაცემა	3

რეგიონების ჭრილში მონაცემების განხილვა ზოგიერთ საყურადღებო შედეგს აჩვენებს: **პანკისის ხეობაში** მცხოვრებ უმცირესობათა წარმომადგენელთა 80.2% არ აქვს პრობლემები. ხოლო **სამცხე-ჯავახეთში** 15.1%-ს უჭირს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების შეძენა.

დაახლოებით ყოველი მეორე რესპონდენტი (51.5%), ვისაც ოჯახში სასკოლო ასკის ბავშვ(ებ)ი ჰყავს, ძალზე კმაყოფილია სკოლაში **ქართული ენის შესწავლის** იმ ხარისხით, რომლითაც მათი ოჯახის წევრი ბავშვ(ებ)ი იღებენ განათლებას („ოჯახის წევრი საფუძვლიანად შეისწავლის ქართულ ენას, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის შემდგომ გაღრმავებასა და დასაქმებაში“), ხოლო მეტ-ნაკლებად კმაყოფილია გამოკითხულთა 39.8% („მიღებული ცოდნა არ არის საკმარისი სწავლის ქართულ ენაზე გასაგრძელებლად და დასაქმებისთვის“). უმნიშვნელოა იმათი წილი (4.5%), ვინც უკმაყოფილოა სახელმწიფო ქართული ენის სწავლების დონით („სახელმწიფო ენის სწავლების დონე ძალზე არადამაკმაყოფილებელია“). კითხვაზე პასუხის გაცემა 3.3%-ს უჭირს (იხილეთ დიაგრამა #11).

დიაგრამა #11



რეგიონულ ჭრილში მონაცემების განხილვამ აჩვენა, რომ **პანკისის ხეობაში,** საერთო შედეგებთან შედარებით, დიდია იმ რესპონდენტთა რიცხვი (75.3%), ვინც კმაყოფილია სკოლაში ქართული ენის სწავლების დონით.

რესპონდენტების 80.2% ამბობს, რომ, პანდემიის პერიოდში, მათი ოჯახის სკოლის ასაკის ბავშვ(ებ)ი/მოზარდ(ები)ი სასწავლო პროცესში მონაწილეობდნენ (ერთვებოდნენ) **ონლაინ,** ხოლო რესპონდენტთა 15.6% სკოლაში ონლაინსწავლებაში მონაწილეობას უარყოფს (კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 3.9%-ს). გამოკითხვა აჩვენებს, რომ **კახეთის რეგიონში** (პანკისის გარდა) მცხოვრებ სკოლის მოსწავლეებს ყველაზე მეტად შეექმნათ პრობლემები ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით: გამოკითხულთა მხოლოდ 58% ამბობს, რომ ბავშვები ერთვებოდნენ ონლაინ. მეორე მხრივ, **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონიდან ბავშვების 94.7% ერთვებოდა ონლაინ სწავლაში.

იმ გამოკითხულთა 47.6%, ვისი ოჯახის წევრი მოსწავლეებიც ონლაინ სწავლებაში მონაწილეობდნენ, აღნიშნავს, რომ ონლაინ სწავლისას მათი ოჯახის წევრ ბავშვ(ებ)ს/მოზარდ(ებ)ს არ შექმნია(თ) დაბრკოლება. გარკვეული პრობლემები შეექმნა 51.7%-ს. რესპონდენტები მიუთითებენ სხვადასხვა

დაბრკოლების შესახებ: ცუდი ინტერნეტ კავშირი - 19.6%; ტექნიკის (ლეპტოპი, კომპიუტერი სმარტფონი, ვიდეოთვალი) ხელმისაწვდომობა - 17.8%, ინტერნეტის საფასური -13%. უმნიშვნელოა მათი (1.1%) წილი, ვინც სხვა კატეგორიებს ასახელებს (სწავლის ხარისხი იყო დაბალი; სწავლის ხარისხი გააფუჭა ონლაინ გაკვეთილმა).

ქვემო ქართლში მცხოვრებ ბავშვებს, საერთო ტენდენციასთან შედარებით, ნაკლებად შექმნიათ ონლაინ სწავლის დროს პრობლემა (64.2%). რეგიონების მიხედვით, სხვადასხვა დაბრკოლებაა უფრო მეტად აქტუალური:

- ქვემო ქართლი: ინტერნეტის საფასური - 25.1%
- პანკისი: ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა - 48.6%

რესპონდენტთა ოჯახის სასკოლო ასაკის ბავშვ(ებ)ის/მოზარდ(ები)ის სრული უმრავლესობა (97.2%) არ მუშაობს. თუმცა, არიან ბავშვ(ებ)ი/მოზარდ(ები)ი რომელიც/ებიც მუშაობს/ენ. ზოგი მათგანი სწავლის პარალელურად მუშაობს, ზოგმა კი სწავლას თავი დაანება/ეს. ასეთი ბავშვების რაოდენობა მცირეა (1.2%; N=7).

პროფესიული განათლება

გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (97.7%) არც თავად იღებს განათლებას პროფესიულ სასწავლებელში და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი. მხოლოდ მცირე 2.1% (N=30) იღებს ასეთ დაწესებულებებში განათლებას. ადგილმდებარეობის თვალსაზრისით (ის, თუ სად ხდება განათლების მიღება) გამოირჩევა თბილისი (42.2%; N=13), სამცხე-ჯავახეთი (32.4%; N=10) და ქვემო ქართლი (19.7%; N=6). საქართველოს სხვა რეგიონებსა და სომხეთში სწავლობს გამოკითხულთა 5.7% (N=2).

რესპონდენტთა ან ოჯახის რომელიმე წევრთა (ვინც პროფესიულ განათლებას იღებს) დიდ ნაწილს (87.5%), პროფესიული სწავლების დროს პრობლემა არ შექმნია. მხოლოდ რამდენიმემ (6 რესპონდენტი) გამოყო პრობლემური ფაქტორები:

- სწავლების სიძვირე (გადასახადი) – N=2
- სასწავლებლის სიშორე - N=2
- საცხოვრებლის/ტრანსპორტის ხარჯები - N=1
- სწავლების ენა - N=1

უმაღლესი განათლება

გამოკითხულთა მეათედზე მეტი (11%) ამბობს, რომ თავად ან ოჯახის სხვა რომელიმე წევრი იღებს უმაღლეს განათლებას, ხოლო 88.8% არ სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში. მათგან ვინც უმაღლეს განათლებას იღებს, უმრავლესობა (75%) უმაღლეს განათლებას თბილისში ეუფლება, ხოლო 16% - საქართველოს სხვა რეგიონებში. შედარებით მცირეა იმ რესპონდენტთა წილი (7%), რომელთა ოჯახის წვერებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ იღებენ განათლებას.

რეგიონების ჭრილში საკითხი ანალიზმა აჩვენა, რომ **კახეთის რეგიონში** (პანკისის გარდა) მცხოვრები უმცირესობები ნაკლებად იღებენ უმაღლეს განათლებას (3.9%). ხოლო **პანკისის რეგიონში** ზოგადი ტენდენციასთან შედარებით, უფრო მეტად (18.2%).

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უდიდესი ნაწილი (92.6%) თბილისში ბაკალავრის საფეხურზე სწავლობს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც სამაგისტრო (3.7%; N=3) და სადოქტორო (3.7%; N=10) პროგრამებში მონაწილეობენ. საქართველოს სხვა რეგიონებსა და ქვეყნის გარეთ ბაკალავრის საფეხურზე სწავლა წამყვანად რჩება.

გამოკითხულთა უმრავლესობა (78.9%) ამბობს, რომ მათ, როგორც სტუდენტებს, ან მათი ოჯახის სტუდენტს წევრებს არ შექმნიათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები. შედარებით მცირე ნაწილს, უმნიშვნელოა მათი რაოდენობა (4.2%), ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები შექმნია (16.9%-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა).

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად დაკავშირებულია სასწავლებლის სიშორესთან (32.2%; N=4), საცხოვრებლისა და ტრანსპორტის ხარჯებთან (32.6%; N=4), სწავლის საფასურთან (25%; N=3) და სწავლების ენასთან (10.2%; N=1).

რესპონდენტთა სქესი და მიღებული განათლების დონე

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა სქესსა და მათ მიერ მიღებულ განათლების უმაღლეს საფეხურს შორის არსებობს სტატისტიკურად სანდო კავშირი. კერძოდ, სრული საშუალო განათლება უფრო მეტად მამრობითი სქესის რესპონდენტებს აქვთ, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს.

- მამრობითი სექსის რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (51.3%) სრული საშუალო განათლება აქვს მიღებული. იგივე განათლების დონე აქვს მდედრობითი სქესის რესპონდენტთა 43.3%-ს.
- პირიქით, არასრული საშუალო განათლება თვალსაზრისით ჭარბობენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, მათ 27.2%-ს არასრული საშუალო განათლება აქვს მიღებული. მამაკაცთა შორის იგივე განათლება მეხუთედზე ნაკლებს აქვს (19.2%)

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) დეტალურად მონაცემები იხილეთ ცხრილში #28;

ცხრილი #28

თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური? %	**რესპონდენტთა სქესი % N=1510)**	
	მამრობითი	**მდედრობითი**
არასრული საშუალო განათლება/ დაწყებითი/ განათლების გარეშე	19.2	27.2
სრული საშუალო განათლება	51.3	43.3
საშუალო ტექნიკური/ საშუალო სპეციალური განათლება	10.1	9.3
უმაღლესი განათლება (სრული/არასრული)	18.9	19.7
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	0.4	0.5

სქესის გავლენა განათლების მიღების შესაძლებლობებზე რეგიონულ ჭრილშიც იკვეთება; ამ მხრივ, გამოირჩევა **კახეთის რეგიონი** (პანკისის გარდა): აღნიშნულ რეგიონში მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის შედარებით ნაკლებია არასრული საშუალო განათლების მქონე რესპონდენტები, ხოლო მდედრობით სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობისთვის განათლების ეს დონეა წამყვანი.

- მამრობითი სქესის რესპონდენტთა 35.8%-ს მიღებული აქვს არასრული საშუალო განათლება, ხოლო საშუალო განათლება - თითქმის ნახევარს (45.8%).
- მდედრობითი სქესის გამოკითხულთა შორის არასრული საშუალო განათლება აქვს 72.1%-ს, ხოლო სრული საშუალო განათლება მხოლოდ 17.9%-ს.
- მამაკაცთა 7.4% ფლობს უმაღლეს განათლებას, მაშინ როდესაც მდედრობითი სქესის გამოკითხულთა შორის ასეთი განათლება მხოლოდ 5.3%-ს აქვს.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) დეტალურად მონაცემები იხილეთ ცხრილში #29;

ცხრილი #29

კახეთის რეგიონში რესპონდენტთა მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური ? %	**რესპონდენტთა სქესი (N= 380)**	
	მამრობითი	**მდედრობითი**
არასრული საშუალო განათლება/ დაწყებითი/ განათლების გარეშე	35.8	72.1
სრული საშუალო განათლება	45.8	17.9
საშუალო ტექნიკური/ საშუალო სპეციალური განათლება	10.5	3.7
უმაღლესი განათლება (სრული/არასრული)	7.4	5.3
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	0.5	1.1

უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების შეღავათიანი პირობებით ჩარიცხვის შესახებ ინციატივის ცნობადობა და შეფასება

ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენელთა უმრავლესობას (63.2%) არ სმენია მთავრობის ინიციატივის შესახებ, რომელიც მათ საშუალებას აძლევს შეღავათიანი პირობებით ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში. მხოლოდ მესამედს (32.3%) სმენია ასეთი ინიციატივის შესახებ. კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 4.2%-ს.

რეგიონულ ჭრილში საკითხის ანალიზისას აღმოჩნდა, რომ **პანკისის** ხეობაში მცხოვრებ უმცირესობებს ყველაზე ნაკლებად სმენიათ (21.6%) ასეთი შესაძლებლობის შესახებ, ხოლო **ქვემო ქართლში** - შედარებით მეტად (43.4%).

აღნიშნულ ინიციატივას დადებითად აფასებს გამოკითხულთა 78.8%, ხოლო 15.4% - უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად აფასებს. მოცემულ ინიციატივას უმნიშვნელო ნაწილი აფასებს უარყოფითად (იხილეთ დიაგრამა #12).

დიაგრამა #12



ზემოაღნიშნული ინიციატივით გამოკითხულთა დიდი ნაწილი (მათი ოჯახის წევრების ჩათვლით) არ სარგებლობს (76.9%). მეორე მხრივ, ყოველი მეხუთე გამოკითხული (20.6%) აღნიშნავს, რომ მას ან მისი ოჯახის წევრს საქართველოს მთავრობის ამ ინიციატივით უსარგებლია. კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა 2.5%-ს (N=12).

ქართული ენაზე(ც) განათლების მიღების საჭიროება ბავშვებში

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა, გამოეხატა საკუთარი პოზიცია, *„საჭიროა თუ არა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ბავშვებმა განათლება ქართულ ენაზე(ც) მიიღონ?“*. რესპონდენტებმა საკუთარი აზრი დააფიქსირეს სკოლამდე, სასკოლო, პროფესიულ და უმაღლესი განათლების საფეხურებთან მიმართებით.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (55.8%) თვლის, რომ საჭიროა **სკოლამდელი განათლების** ეტაპზე ბავშვებმა შერეულ (როგორც ქართულ, ისე ეთნიკური უმცირესობების) ენებზე მიიღონ განათლება. რესპონდენტთა 27.8%-ის აზრით, საჭიროა მხოლოდ ქართულად მიმდინარეობდეს სწავლის პროცესი, ხოლო 14% მიიჩნევს, რომ ქართულ ენაზე სწავლება საჭირო არ არის (უმნიშვნელოა მათი წილი (1.8%), ვისაც კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს).

რეგიონულ ჭრილში მონაცემები საინტერესო განსხვავებებს აჩვენებს: ა) **პანკისის** ხეობაში მცხოვრები უმცირესობები ყველაზე მეტად იზიარებენ (69.9%), რომ საჭიროა სკოლამდელი განათლება მხოლოდ ქართულად წარიმართოს; ბ) **სამცხე-ჯავახეთში** მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს პანკისელებისგან განსხვავებული პოზიცია აქვთ: რესპონდენტთა 36.8%-ის თქმით, არ არის საჭირო სასწავლო პროცესი ქართულ ენაზე მიმდინარეობდეს. გ) **ქვემო ქართლის** რეგიონში ეთნიკური უმცირესობების ყველაზე დიდი ნაწილი (80%) ფიქრობს, რომ საჭიროა შერეულ ენებზე მიმდინარეობდეს სკოლამდელი განათლება.

რესპონდენტების უმრავლესობა (64.4%) მიიჩნევს, რომ **სასკოლო განათლების** მიღებისას საჭიროა სწავლების პროცესი წარიმართოს როგორც ქართულად, ისე ეთნიკური უმცირესობების ენაზე. ამ პროცესის მხოლოდ ქართულ ენაზე წარმართვის საჭიროებას გამოკითხულთა 29.3% ხედავს. უმნიშვნელოა იმათი წილი (4.7%), ვინც ქართულ ენაზე სწავლების საჭიროებას ვერ ხედავს.

რეგიონების ჭრილში საკითხის განხილვისას გამოიკვეთა, რომ **კახეთის** რეგიონში (პანკისის გარდა), ზოგად შედეგებთან შედარებით, გაზრდილია მათი წილი (43.6%), ვინც ფიქრობს, რომ მხოლოდ ქართულად უნდა მიმდინარეობდეს სასკოლო განათლება. მცირეა მათი რიცხვი (0.2%; N=1), ვინც ფიქრობს, რომ ქართულ ენაზე სწავლება საჭირო არ არის. **პანკისის** ხეობაში გამოკითხულ პირთა უმრავლესობა (66.6%) ამბობს, რომ სასკოლო განათლება საჭიროა მხოლოდ ქართულად მიმდინარეობდეს. **სამცხე-ჯავახეთსა** (87%) და **ქვემო ქართლში** (81.6%,) ზოგად შედეგებთან შედარებით, გამოკითხულთა გაცილებით დიდი ნაწილი მიჩნევს, რომ ეს პროცესი საჭიროა შერეულად - როგორც ქართულად, ისე ეთნიკურ უმცირესობათა ენაზე - წარიმართოს.

პროფესიულ განათლებასთან მიმართებით, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53%) შერეულ ენებზე სწავლის საჭიროებას ხედავს (როგორც ეთნიკური უმცირესობების ენებზე, ასევე ქართულად), ხოლო 40.3%-ის აზრით პროფესიული განათლება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა წარიმართოს. უმნიშვნელოა მათი წილი (2.2%), ვინც ქართულ ენაზე სწავლის აუცილებლობას ვერ ხედავს. კითხვაზე პასუხის გაცემა 3.8%-ს უჭირს.

რეგიონულ ჭრილში მონაცემები აჩვენებს, რომ საერთო ტენდენციისგან განსხვავებით, **კახეთის რეგიონში** (პანკისის გარდა) ყოველი მეორე რესპონდენტი (50.2%) ფიქრობს, რომ საჭიროა ქართულ ენაზე სწავლა. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გამოკვეთილია **პანკისის** ხეობაში მცხოვრებ უმცირესობებში (85.4%). **სამცხე-ჯავახეთსა** (77%) და **ქვემო ქართლში** (73.3%) გამოკითხულთა დიდი ნაწილი, ტრადიციულად, მიჩნევს, რომ საჭიროა სასწავლო პროცესი შერეულ ენებზე მიმდინარეობდეს.

საინტერესოა, რომ **უმაღლეს განათლებასთან** მიმართებით, გამოკითხულთა პოზიციები თითქმის თანაბრადაა გაყოფილი შერეულ ენებზე (47.2%) სწავლასა და მხოლოდ ქართულ ენაზე (48%) განათლების მიღებას შორის. საკმაოდ მცირეა იმ რესპონდენტთა წილი (1.3%), რომლებიც ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მიღების აუცილებლობას ვერ ხედავს (მცირეა მათი წილი (1.8%), ვისაც კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს).

პანკისის ხეობის მკვიდრთა დიდი უმრავლესობა (89.3%) ამბობს, რომ უმაღლესი განათლება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს. **სამცხე-ჯავახეთსა** (68.9%) და **ქვემო ქართლის** (66.7%) რეგიონებში ფიქრობენ, რომ უმაღლესი განათლების დონეზეც საჭიროა შერეულ ენებზე განათლების მიღება.

რამდენად თანაბარ პირობებში იმყოფებიან ქართველები და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები საგანმანათლებლო დაწესებულებებში?

რესპონდენტებმა შეაფასეს რამდენად თანაბარი პირობებია ქართველებისა და ეროვნული უმცირესობებისთვის შექმნილი, მათ სახლთან არსებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სკოლამდელ დაწესებულებებში, რესპონდენტთა 85.2%-ის აზრით, თანაბარი პირობებია შექმნილი როგორც ქართველებისთვის, ასევე ეროვნული უმცირესობებისთვის. მცირეა მათი წილი (2.8%), ვინც თვლის, რომ ქართველებს უკეთესი პირობები აქვთ. კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს

გამოკითხულთა 7.1%-ს. ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა 4.4%-მა („უარი პასუხზე“).

პანკისის რეგიონში გამოკითხულ უმცირესობათა უფრო დიდი ნაწილი (ზოგად მონაცემებთან შედარებით) ამბობს, რომ ქართველები და ეროვნული უმცირესობები თანაბარ პირობებში იმყოფებიან სკოლამდელი განათლების ეტაპზე (მოცემული ტენდენცია შენარჩუნებულია ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის - მაჩვენებლები 82%-დან 92%-მდე მერყეობს).

სასკოლო განათლებასთან მიმართებით, რესპონდენტთა დიდი ნაწილი ისევ თანაბარ პირობებზე (85.7%) მიუთითებს ქართველებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის. კვლავ მცირეა მათი წილი ვინც თვლის, რომ ქართველები უკეთეს პირობებში (2.8%) იმყოფებიან. კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 6.5%-ს, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა 4.4%-მა.

პროფესიული განათლების ეტაპზე რესპონდენტთა შედარებით უმრავლესობა (74%) აცხადებს, რომ ქართველებსა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს თანაბარი პირობები აქვთ. ქართველების პირობებს უკეთესად მიჩნევს გამოკითხულთა 5%. ასევე საინტერესოა, რომ გამოკითხულთა დაახლოებით მეათედი (9.2%) კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარს ამბობს, 11.4%-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. ხოლო თავს იკავებს („უარი პასუხზე“) 9.2%.

კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარს აცხადებს გამოკითხულთა მეხუთედი (20.5%), საერთო ტენდენციასთან შედარებით შემცირებულია მათი წილი (59.6%), ვინც ფიქრობს, რომ ქართველები და ეთნიკური უმცირესობები თანაბარ პირობებში იმყოფებიან.

უმაღლესი სასწავლებლებში ჯგუფებს (ქართველები და ეთნიკურ უმცირესობები) შორის თანაბარ პირობებზე მიუთითებს გამოკითხულთა 74.5%. ხოლო 5.6%-ს აზრით ქართველები უკეთეს პირობებში იმყოფებიან. საინტერესოა, რომ კითხვაზე პასუხის გაცემა 11.1%-ს უჭირს, ხოლო კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს იკავებს 8.5% („უარი პასუხზე“).

კახეთში მცხოვრები უმცირესობები (პანკისის ხეობის გარდა) საერთო სურათისგან განსხვავებულ ვითარებაზე მიუთითებენ: 20.8% კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს იკავებს. საერთო შედეგებთან შედარებით შემცირებულია მათი რიცხვი (59%), ვინც ფიქრობს რომ ქართველები და ეთნიკური უმცირესობები თანაბრ პირობებში იმყოფებიან.

რაში გამოიხატება ქართველებსა და ეროვნულ უმცირესობებს შორის არათანაბარი პირობები საგანმანათლებლო დაწესებულებებში?

რესპონდენტებმა გამოკვეთეს ის ძირითადი მიზეზები, რომელთა საფუძველზეც მიიჩნევენ, რომ ქართველებსა და ეროვნულ უმცირესობებს არათანაბარ პირობებში უწევთ სწავლა.

რესპონდენტებმა **წინასასკოლო სწავლებასთან** დაკავშირებით სხვადასხვა მიზეზი გამოკვეთეს: პედაგოგთა მხრიდან ხდება ეთნიკური ნიშნით მოსწავლის გამორჩევა (N=7), არ არსებობს მშობლიურ ენაზე სასწავლო ლიტერატურა (N=6), ადრეულ ასაკში ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ საშუალება შეისწავლონ ქართული (N=8). სხვა მიზეზები დაასახელა N=4-მა გამოკითხულმა. რესპონდენტთა თითქმის ნახევარს (N=27) უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში წინასასკოლო სწავლებასთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს ქართულად - N=2, პედაგოგთა მიერ ხდება ეთნიკური ნიშნით გამორჩევა - N=3, ადრეულ ასაკში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ საშუალება შეისწავლონ ქართული - N=3.

ქვემო ქართლში გამოკითხულთაგან N=4 რესპონდენტი ამბობს, რომ მათ მშობლიურ ენაზე არ მიმდინარეობს სწავლა, ეს კი მათ არათანაბარ პირობებში აყენებს. ხოლო N=3 ამბობს, რომ პედაგოგთა მიერ ხდება ეთნიკური ნიშნით მოსწავლეთა გამორჩევა (ქვემო ქართლში გამოკითხულთა შორის ეს ორი პოზიცია წამყვანად რჩევა განათლების ყველა დონეზე).

გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ **სასკოლო სწავლებასთან** მიმართებით არათანაბარ პირობებს ქართველებსა და ეროვნულ უმცირესობათა შორის ქმნის შემდეგი ფაქტორები: პედაგოგთა მხრიდან ხდება ეთნიკური ნიშნით მოსწავლის გამორჩევა (N=10), არ არსებობს მშობლიურ ენაზე სასწავლო ლიტერატურა (N=10), ადრეულ ასაკში ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ საშუალება შეისწავლონ ქართული (N=6), სხვა მიზეზი დაასახელა N=2-მა გამოკითხულმა. რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს (N=24) უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამოკითხულთაგან N-4 რესპონდენტის თქმით, პედაგოგები გამოარჩევენ ბავშვებს ეთნიკური ნიშნით.

რესპონდენტთა შეფასებით, **პროფესიულ სასწავლებლებში** წინა აბზაცებში გამოკვეთილი საკითხები ისევ აქტუალურია არათანაბარი პირობების შექმნის თვალსაზრისით. თუმცა სწავლების ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად იჩენს თავს მიზეზი, რომ სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს ეთნიკურ უმცირესობათა ენაზე. უფრო კონკრეტულად, რესპონდენტებმა დაასახელეს შემდეგი ფაქტორები:

- პედაგოგთა მხრიდან ხდება ეთნიკური ნიშნით მოსწავლის/სტუდენტის გამორჩევა - N=21
- სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს ეთნიკურ უმცირესობათა ენაზე - N=17
- მშობლიურ ენაზე სასწავლო ლიტერატურა არ არსებობს - N=11
- სხვა - N=7
- მიჭირს პასუხის გაცემა - N=34

კახეთის რეგიონში (პანკისის ხეობის გარდა), N=7 რესპონდენტის განცხადებით, პედაგოგთა მიერ ხდება ეთნიკური ნიშნით მოსწავლის გამორჩევა. **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები გამოკვეთენ იმას, რომ სასწავლო პროცესი მათთვის არამშობლიურ ენაზე მიმდინარეობას (N=17).

უმაღლეს განათლებასთან მიმართებით არათანაბარ პირობებს შემდეგი გარემოებები ქმნის: სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს ეთნიკურ უმცირესობათა ენაზე (N=17), პედაგოგთა მხრიდან ხდება ეთნიკური ნიშნით მოსწავლის გამორჩევა (N=26), არ არსებობს მშობლიურ ენაზე სასწავლო ლიტერატურა (N=13). სხვა მიზეზი დაასახელა 4-მა რესპონდენტმა. ხოლო რესპონდენტთა მესამედზე მეტს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა (N=38).

კახეთის რეგიონში (პანკისის ხეობის გარდა) გამოკითხული უმცირესობები მეტ-ნაკლებად გამოკვეთენ იმ პრობლემას, რომელიც პედაგოგთა მიერ ეთნიკური ნიშნით გამორჩევაში გამოიხატება (N=7). **პანკისის ხეობაში** კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ განათლების ყველა

დონესთან მიმართებით (მაჩვენებელი მერყეობს 72%-დან 84%-ამდე). **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში გამოკითხული უმცირესობებისთვის ძირითადი დაბრკოლებას ქმნის ის ფაქტი, რომ მათ მშობლიურ ენაზე არ მიმდინარეობს სწავლება (N-17).

სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის ცნობადობა, სერვისებით სარგებლობა, კმაყოფილება

ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებს ჰკითხეს სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, როგორებიცაა:

- ინგლისურის ენის სწავლების გაძლიერებული პროგრამა
- შშმ ბავშვებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩართვის პროგრამა
- სახელმწიფო სკოლებში ეროვნული უმცირესობათა ენების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა
- სტუდენტთა დაფინანსების სოციალური პროგრამა
- სახელმწიფო პროგრამა „განათლება დასაქმებისთვის“
- განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა

კითხვები ფარავდა შემდეგ საკითხებს: აქვთ თუ არა რესპონდენტებს ინფორმაცია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, სარგებლობენ თუ არა ისინი ან მათი ოჯახის რომელიმე წევრი მოცემული პროგრამებით, და თუ არ სარგებლობენ, რა არის ამის მიზეზ(ებ)ი, რამდენად კმაყოფილნი არიან რესპონდენტები ან მათი ოჯახის წევრები აღნიშნული პროგრამებით.

ა) რესპონდენტთა მხოლოდ 17%-ს **ინგლისური ენის გაძლიერებული პროგრამის** შესახებ სმენია (83% - არა). ვისაც აქვს ინფორმაცია პროგრამის შესახებ, მათგან მხოლოდ 16.7%-ს უსარგებლია (თავად ან მათი ოჯახების წევრებს) ამ პროგრამით (არ უსარგებლია 83.3%-ს). მათ შორის, ვინც **პროგრამით სარგებლობს,** უმრავლესობა (83.6%) კმაყოფილია, ხოლო მეტ-ნაკლებად კმაყოფილია 16.4% (N=7). აღნიშნული პროგრამით არსარგებლობის მიზეზებად სახელდება სხვადასხვა ფაქტორი: „ხელს არ მიწყობს ასაკი“, „არ მაქვს (გვაქვს) სურვილი/არ მჭირდება (გვჭირდება)“, „არ მეხება“ და სხვ.

პანკისის ხეობაში მცხოვრებ უმცირესობათა 30.8%-ს სმენია ინგლისურის ენის გაძლიერებული პროგრამის შესახებ. საერთო ტენდენციასთან შედარებით მეტია პროგრამაში მონაწილეთა რიცხვიც (28%). **სამცხე-ჯავახეთი** გამოირჩევა იმით, რომ არავინ არ სარგებლობს ამ პროგრამით. **ქვემო ქართლის** რეგიონში, ზოგად ტენდენციასთან შედარებით, ნაკლებია მათი წილი (7.9%), ვისაც ასეთი პროგრამის შესახებ სმენია. ასევე, ამ პროგრამით პრაქტიკულად არ სარგებლობენ არც თავად რესპონდენტები და არც მათი ოჯახის წერები (95.6%).

ბ) გამოკითხულთა 14.8%-ს სმენია **შშმ ბავშებისთვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩართვის პროგრამის** შესახებ (85.2%-ს არ სმენია). ხოლო მათგან, ვინც ინფორმირებულია, აღნიშნულ შესაძლებლობას იყენებს მხოლოდ 4.5% (N=10). პროგრამის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტები პროგრამით არ სარგებლობენ სხვადასხვა მიზეზით: ხელს არ უწყობთ ასაკი, არ აქვთ სურვილი ან საჭიროება და ა.შ.

პანკისის ხეობა კვლავ გამოირჩევა იმით, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის შესახებ სმენია შედარებით დიდ ნაწილს (30%), თუმცა მისით მხოლოდ 1.5% სარგებლობს. **ქვემო ქართლი** კვლავ ნეგატიურად გამოირჩევა იმ თვალსაზრისით, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 6.3%-ს სმენია აღნიშნული პროგრამის შესახებ.

გ) ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელთა 13.5%-ს სმენია **სკოლებში ეროვნული უმცირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის** შესახებ (86.5%-ს არ სმენია). მათ შორის, ვისაც ასეთი პროგრამის შესახებ სმენია, მისით სარგებლობს თითქმის მეხუთედი (19.2%). მოსარგებლე რესპონდენტები ან მათი ოჯახის სხვა წარმომადგენლები მოცემულ პროგრამას დადებითად აფასებენ. პროგრამის შესახებ ინფორმირებულმა, თუმცა არმოსარგებლე რესპონდენტებმა ამის სხვადასხვა მიზეზი დაასახელეს: ხელს არ უწყობთ ასაკი, არ აქვთ სურვილი ან საჭიროება, არ აქვთ საკმარისი ფინანსები და ა.შ.

ქვემო ქართლის რეგიონში, საერთო ტენდენციასთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად სმენიათ (91.4%) და ყველაზე ნაკლებად სარგებლობენ ზემოაღნიშნული პროგრამით (90.8% არ სარგებლობს).

დ) რესპონდენტთა 15.2%-ს აქვს ინფორმაცია **განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდების პროგრამის** შესახებ (84.8%-ს არ სმენია). მათ შორის ვისაც სმენია პროგრამის შესახებ, მასში ჩართულია (თავად ან ოჯახის რომელიმე წევრი) მხოლოდ 12.6%. ჩართული ოჯახები პროგრამით, როგორც წესი, კმაყოფილები არიან. პროგრამის შესახებ ინფორმირებულმა, თუმცა პროგრამის არმოსარგებლე რესპონდენტებმა დაასახელეს ნაცნობი მიზეზები: ხელს არ უწყობთ ასაკი, არ აქვთ სურვილი ან საჭიროება, არ აქვთ საკმარისი ფინანსები და ა.შ.

რეგიონების ჭრილში საკითხის განხილვისას აღმოჩნდა, რომ **პანკისელ** რესპონდენტთა 36.7%-ს სმენია ზემოაღნიშნული პროგრამის შესახებ. ასევე შედარებით მაღალია პროგრამით მოსარგებლეთა წილი (14.5%). **ქვემო ქართლის** რეგიონში კვლევა ნეგატიურად გამოირჩევა როგორ პროგრამის შესახებ არაინფორმირებულობის, ისე მისით სარგებლობის თვალსაზრისით (არ სმენია 93.3%-ს, ხოლო ინფორმირებულთა შორის პროგრამით არ სარგებლობს 97%).

ე) ეთნიკურ უმცირესობათა თითქმის მეხუთედს (19.1%) აქვს ინფორმაცია **სტუდენტთა დაფინანსების სოციალური პროგრამის შესახებ** (80.9%-ს არ აქვს). ინფორმირებულ რესპონდენტთა შორის, აღნიშნული პროგრამით მოსარგებლეა მხოლოდ 15.4% (რომლებიც პროგრამის მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამენ). პროგრამით არსარგებლობის მიზეზები იგივეა, რაც სხვა პროგრამების შემთხვევაში: ხელს არ უწყობთ ასაკი, არ აქვთ სურვილი ან საჭიროება, არ ეხებათ და ა.შ.

პანკისში მცხოვრებ რესპონდენტები კვლავ გამოირჩევიან აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმირებულობით: 36.9%-ს სმენია ზემოაღნიშნული პროგრამის შესახებ; ხოლო ინფორმირებულთა შორის სარგებლობს 14%-მდე.

ვ) დაბალია ეროვნულ უმცირესობათა ინფორმირებულობის დონე **სახელმწიფო პროგრამის „განათლება დასაქმებისთვის“** შესახებ (სმენია მხოლოდ 9.3%-ს, არ სმენია 90.7%-ს). ინფორმირებულთაგან აღნიშნული სერვისით სარგებლობს მხოლოდ 5.3% (N=8). არსარგებლობის მიზეზები იგივეა: ხელს არ უწყობთ ასაკი, არ აქვთ სურვილი ან საჭიროება, არ ეხებათ და ა.შ.

ტრადიციულად, **ქვემო ქართლის** რეგიონში, სხვებთან შედარებით, ყველაზე დაბალია ზემოაღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმირებულთა წილი და მხოლოდ 3.3%-ს შეადგენს. ასევე, ამ რეგიონში არავის უსარგებლია ამ პროგრამით.

სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულების ხელმისაწვდომობა

რესპონდენტები სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებაზე ხელმისაწვდომობას აფასებდნენ 4 ქულიან სკალაზე, რომელზეც ქულა 1 შეესაბამება კატეგორიას „ხელმისაწვდომია“, 2 ქულა - „მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია“, 3 ქულა „არ არის ხელმისაწვდომი“, ხოლო ქულა 4 კატეგორიას - „ჩვენს რაიონში/ ქალაქში არ არსებობს“. იმ რესპონდენტებს, რომლებმაც სკალაზე აირჩიეს პასუხის ვარიანტები „მეტ-ნაკლებად არის ხელმისაწვდომი“ ან „არ არის ხელმისაწვდომი“, დაესვათ მიზეზის დასაზუსტებელი შეკითხვაც.

ზრდასრულთათვის უცხო ენების, კომპიუტერის და ა.შ. შემსწავლელი ცენტრი ხელმისაწვდომია გამოკითხულთა (ან მათი ოჯახის წევრთა) 17.4%-ის შემთხვევაში, ხოლო მეტ-ნაკლებად მიუწვდება ხელა ასეთ სერვისებზე 14.6%-ს. რესპონდენტთა მეოთხედის (28.7%) განცხადებით, მათ რაიონში/ქალაქში არ არსებობს ასეთი ცენტრი, ხოლო 23.7%-ის თქმით, მათთვის ან მათი ოჯახების რომელიმე წევრისთვის ხელმისაწვდომი არ არის ასეთი დაწესებულება. კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს გამოკითხულთა 15.6%-ს.

უმცირესობათა წარმომადგენლებს ზემოაღნიშნულ ცენტრებზე მეტ-ნაკლებად მიუწვდებათ ან არ მიუწვდებათ ხელი სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ შორის, შედარებით წამყვანია (33.2%) მანძილის (სიშორის) ფაქტორი. გამოკითხულთა მეხუთედზე მეტმა (22.8%) აღნიშნა, რომ არ აქვს სურვილი ჩაერთოს ასეთი ცენტრის საქმიანობაში. არასაკმარისი ფინანსების გამო ვერ ერთვება გამოკითხულთა (ან მათი ოჯახის წევრთა) მეათედზე მეტი (13.3%), ხოლო დროის უქონლობას მიზეზად 13.6% ასახელებს. ინფორმაციის არქონა წარმოადგენს მიზეზს 7.3%-ის შემთხვევაში.

კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) მცხოვრებ უმცირესობათა თითქმის ნახევრისთვის (46.6%) არ არის ხელმისაწვდომი უცხო ენების, კომპიუტერის და ა.შ. შემსწავლელი საგანმანათლებლო ცენტრები. ზოგად მონაცემებთან შედარებით, **ქვემო ქართლის** რეგიონში, გაზრდილია მათი წილი (39.8%), ვინც ამბობს, რომ ზემოაღნიშნული ცენტრების ხელმისაწვდომობას ხელს უშლის მანძილი. **პანკისის ხეობაში** განათლების ცენტრები ხელმისაწვდომია 30%-ის შემთხვევაში, ხოლო **სამცხე-ჯავახეთში** მცხოვრები მოსახლების 26.6% ადასტურებს ასეთი სერვისის ხელმისაწვდომობას.

ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია გამოკითხულთა (ან მათი ოჯახის წევრთა) 17.1%-ის შემთხვევაში, ხოლო თითქმის მეხუთედი (17.2%) ამბობს, რომ ასეთ დაწესებულებაზე მეტ-ნაკლებად მიუწვდებათ ხელი. რესპონდენტთა 29.1%-ის თქმით, ბიბლიოთეკა მათ რაიონში/ქალაქში არ არსებობს, ხოლო 24% ამბობს, რომ მათთვის ან მათი ოჯახების სხვა წევრისთვის ასეთი სერვისი ხელმისაწვდომი არ არის. კითხვაზე პასუხის გაცემა 12.6%-ს უჭირს.

ზემოაღნიშნულ სერვისზე ეროვნულ უმცირესობებს ხელი არ მიუწვდებათ ან მეტ-ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სხვადასხვა მიზეზის გამო:

- მანძილი (სიშორე) გამო - 31.6%

- სურვილის არქონა - 30.1%
- დროის უქონლობა - 19.6%
- სხვა მიზეზები - 13.4%

კახეთის რეგიონი (პანკისის გარდა) გამოირჩევა იმით, რომ გამოკითხულთა ან მათი ოჯახების წევრთა ნახევარისთვის (50.8%) არ არის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა.

მუზეუმი ხელმისაწვდომია გამოკითხულთა ან მათი ოჯახის სხვა წევრთა 14.4%-ის შემთხვევაში, ხოლო მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია მეათედზე მეტისთვისა (10.8%). გამოკითხულთა შედარებით დიდი ნაწილი (38.8%) ამბობს, რომ მათ რაიონში/ქალაქში არ არსებობს მუზეუმი. აღნიშნულ დაწესებულებაზე რესპონდენტთა და მათი ოჯახების წევრთა 25.5%-ს არ მიუწვდება ხელი (კითხვაზე პასუხი გაცემა უჭირს 11.3%-ს).

უმცირესობათა წარმომადგენლები მუზეუმს ხელმიუწვდომლად ან მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომად სხვადასხვა გარემოების გამო მიიჩნევენ. მათ შორის გამოიკვეთა მანძილის/სიშორის (31.1%) და სურვილის არქონის (30.8%) ფაქტორები. გამოკითხულთა 17.5% ამბობს, რომ დროის უქონლობა უშლის ხელს.

კახეთში მცხოვრებ უმცირესობათა უმრავლესობას (57.9%) არ მიუწვდება ხელი მუზეუმზე. **ქვემო ქართლის** რეგიონში, მუზეუმი მანძილის გამო (63.6%) არ არის ხელმისაწვდომი ან მეტ-ნაკლებადაა ხელმისაწვდომია. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ უმცირესობათა მეოთხედს (24.5%) მიუწვდება ხელი მუზეუმზე.

რესპონდენტთა 8.1% ამბობს, რომ მათთვის ან მათი ოჯახის წევრებისთვის **კინო/თეატრი** ხელმისაწვდომია. ხოლო იმავე სერვისზე მეტ-ნაკლებად მიუწვდება ხელი ეროვნულ უმცირესობათა თითქმის მეათედს (7.9%). გამოკითხულთა 48.7%-ს თქმით, მათ რაიონში/ქალაქში კინო/თეატრი არ არსებობს. ხოლო აღნიშნული დაწესებულება ხელმისაწვდომი არ არის მეოთხედზე მეტი ნაწილის (26.8%) შემთხვევაში. კითხვაზე პასუხის გაცემა რესპონდენტთა 8.6%-ს უჭირს.

მოცემულ სერვისი მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სხვადასხვა გარემოების გამო. მათ შორის, მეტ-ნაკლებად წამყვანია (34.2%) მანძილის (სიშორის) ფაქტორი. გამოკითხულთა მეოთხედზე მეტმა (26.6%) აღნიშნა, რომ არ აქვს სურვილი ესტუმროს ასეთ დაწესებულებებს. არასაკმარის ფინანსების გამო ვერ მონაწილეობს გამოკითხულთა მეათედზე მეტი (13.5%). ხოლო დროის უქონლობას ასახელებს მიზეზად 14.4%.

კახეთში გამოკითხულთაგან ნახევარზე მეტისთვის (52.8%) არ არის ხელმისაწვდომი კინო/თეატრი. **პანკისის ხეობაში** მცხოვრებ უმცირესობათა 60.1% ამბობს, რომ კინო/თეატრი მათ რაიონში/ქალაქში არ არსებობს. **სამცხე-ჯავახეთის** რეგიონში რესპონდენტთა ან მათ ოჯახის წევრთა 23.5%-ს მიუწვდება ხელი კინოზე/თეატრზე.

გამოკითხულთა მეათედი (10.1%) აღნიშნავს, რომ **კულტურული სახლები, მწერალთა/მხატვართა სახლები** მათთვის ან მათი ოჯახების წევრთათვის ხელმისაწვდომია. იმავე დაწესებულებებზე მეტ-ნაკლებად ხელი მიუწვდება 10.7%-ს. რესპონდენტთა მესამედზე მეტის (41%) თქმით, მათ რაიონში/ქალაქში კულტურული სახლი, მწერალთა/მხატვართა სახლი არ არსებობს. ხოლო

გამოკითხულთა 26.3% ამბობს, რომ ასეთი დაწესებულება მათთვის (და მათი ოჯახის წევრებისთვის) არ არის ხელმისაწვდომი (11.9%-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა).

ზემოაღნიშნულ დაწესებულებებზე რესპონდენტებს და მათი ოჯახის წევრებს, ხელი არ მიუწვდებათ ან მეტ-ნაკლებად მიუწვდებათ შემდეგი მიზეზების გამო:

- მანძილი (სიშორე)- 31.5%
- სურვილის არქონა - 28.3%
- დროის უქონლობა - 14.6%
- არასაკმარისი ფინანსები - 10.3%
- ინფორმაციის არქონა - 9.1%

კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა 52.8%-ს ხელი არ მიუწვდება სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაზე. **სამცხე-ჯავახეთში** მცხოვრებ უმცირესობათა 21.6%-სთვის ხელმისაწვდომია მოცემული სერვისი.

რესპონდენტთა 17.6% ამბობს, რომ მათთვის ან მათი ოჯახის წევრებისთვის ხელმისაწვდომია **სხვადასხვა წრე/სექცია,** ხოლო იმავე სერვისებზე მეტ-ნაკლებად მიუწვდება ხელი 12.3%-ს. სხვადასხვა წრე/სექცია რესპონდენტთა 34.8%-ის ქალაქში/რაიონში არ არსებობს, ხოლო ხელმისაწვდომი არ არის გამოკითხულთა (ან მათი ოჯახის წევრთა) თითქმის მეოთხედისთვის (22%). კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 13.3%-ს.

სხვადასხვა წრე/სექცია არ არის ხელმისაწვდომი ან მეტ-ნაკლებად არის ხელმისაწვდომი სხვადასხვა მიზეზის გამო: 30.1% ამბობს, რომ მანძილის (სიშორის) გამო ვერ ახერხებენ ასეთ წრეებში/სექციებში ჩართვას. მეოთხედზე მეტი (27.8%) სურვილი არ აქვს მონაწილეობა მიღოს, დროის უქონლობის გამო ვერ ერთვება 15.9%. ხოლო არასაკმარისი ფინანსების გამო მეათედი (11.5%). ინფორმაციის არქონის გამო ვერ ერთვება რესპონდენტთა 8.2%.

კახეთის რეგიონში (პანკისის გარდა) მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა 44.1%-ს არ აქვს წვდომა სხვადასხვა წრეზე/სექციაზე. **პანკისის ხეობაში** მცხოვრები უმცირესობები, სხვებთან შედარებით, უფრო მეტად მიუთითებენ ზემოაღნიშნული სერვისის ხელმისაწვდომობაზე (27%).

თავი 7. ჯანდაცვა

ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა

რესპონდენტებმა ისაუბრეს მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გასული 12 თვის განმავლობაში. მათ შეეთავაზათ კონკრეტული ჯანმრთელობის მდგომარეობის აღმწერი დებულებები და ეთხოვათ თითოეულის შემთხვევაში დაესახელებინათ მათი ოჯახის რამდენ წევრს შეესაბამებოდა ეს აღწერა. რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი მიუთითებს, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო მათი 2 (15%), 3(13.8%), 4 (18,6%) ან 5 (15.5%) ოჯახის წევრი.

ჯანმრთელობის მცირე პრობლემები, რომლებიც ადვილად მოგვარდა, მნიშვნელოვანწილად შეესაბამება რესპონდენტთა 1 (33.4%) ან 2 (22.8%) ოჯახის წევრის შემთხვევას. მეორე მხრივ, 37.4% ამბობს, რომ ასეთი მდგომარეობა არცერთ მის ოჯახის წევრს არ ჰქონია.

გამოკითხულთა უმეტესობა (65.5%) მიუთითებს, რომ მათი ოჯახის არცერთ წევრს არ ჰქონია ქრონიკული დაავადება, რომელიც საჭიროებდა ხანგრძლივ / რეგულარულ მკურნალობას. თუმცა, მეოთხედზე მეტი (26.6%) ამბობს, რომ ასეთი 1 ოჯახის წევრი ჰყავს.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (87.4%) ამბობს, რომ მათი ოჯახის წევრს არ ჰქონია ჯანმრთელობის მწვავე პრობლემები, რომელსაც დასჭირდა/სჭირდება ქირურგიული ჩარევა. მხოლოდ 10.5% არის ისეთი, ვის ოჯახის წევრსაც მსგავსი გამოცდილება ჰქონდა.

რესპონდენტთა სრულ უმრავლესობას (93.2%) არ ჰყავს ოჯახის წევრი, რომელსაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ჰქონდა მძიმე დაავადება და საჭიროებდა მუდმივ მოვლას. 6.1% არის გამოკითხულთა წილი, ვისაც ჰყავს 1 ოჯახის წევრი მძიმე დაავადებით/მუდმივი მოვლის საჭიროებით. (იხ. ცხრილი #30)

ცხრილი #30

როგორი იყო თქვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა გასული 12 თვის განმავლობაში? (N=1510) (%)	პრაქტიკულად ჯანმრთელი	ჯანმრთელობის მცირე პრობლემები, რომლებიც ადვილად მოგვარდა	ქრონიკული დაავადება, რომელიც საჭიროებდა ხანგრძლივ (1 წელზე მეტი)/ რეგულარულ მკურნალობას	ჯანმრთელობის მწვავე პრობლემები, რომელსაც დასჭირდა/ სჭირდება ქირურგიული ჩარევა	მძიმე დაავადება /საჭიროებს მუდმივ მოვლას (ჩავარდნილი, სარეცელს მიჯაჭვული და სხვ.)
0	12.5	37.4	65.5	87.4	93.5
1	8.8	33.4	26.6	10.9	6.1
2	15.0	22.8	7.0	1.5	0.2
3	13.8	4.2	0.8	-	0.1
4	18.6	1.0	-	-	-
5	15.5	0.8	-	-	-
6	8.1	0.2	-	0.1	-
7	4.4	0.1	-	-	-
8	2.0	0.1	0.1	-	0.1
9	0.5	-	-	-	-
10	0.3	0.0	-	-	-
11	0.2	-	-	0.1	-
12	0.0	-	-	-	-
15	0.1	-	-	-	-

სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის გამოცდილება

რესპონდენტებმა ისაუბრეს გასული 12 თვის განმავლობაში თავიანთი და მათი ოჯახის წევრების სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის გამოცდილების შესახებ. როგორც ირკვევა, სამედიცინო მომსახურება, რომლითაც რესპონდენტებმა და მათი ოჯახის წევრებმა ყველაზე ხშირად ისარგებლეს, არის მედიკამენტების შეძენა (84.3%). ოჯახის ექიმის მომსახურებით რესპონდენტების,

ან მათი ოჯახის წევრების ნახევარზე მეტმა ისარგებლა (60.2%). რაც შეეხება ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციას და/ან ამბულატორიულ მკურნალობას, ამ მომსახურებით გამოკითხულების და მათი ოჯახის წევრების მიახლოებით ნახევარმა (50.2%) ისარგებლა.

რესპონდენტების და მათი ოჯახის წევრების შედარებით მცირე წილი აღნიშნავს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში უსარგებლია ისეთი სამედიცინო მომსახურებების, როგორებიცაა: სტომატოლოგის მომსახურება (33.4%), პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურება (22%), სასწრაფო დახმარება (17.2%), ქირურგიული ოპერაცია, რომელსაც დასჭირდა საავადმყოფოში დაწოლა (8.6%), ჰოსპიტალიზაცია (6.5%) და ქირურგიული ოპერაცია საავადმყოფოში ღამისთევის გარეშე (2.2%). (იხ. დიაგრამა #13)

დიაგრამა #13



მათ, ვისაც ერთი სამედიცინო მომსახურებით მაინც უსარგებლია, ეთხოვათ შეეფასებინათ ის სამედიცინო მომსახურებები, რომლებიც მათ ან/და მათი ოჯახის წევრებმა მიიღეს ბოლო 12 თვის განმავლობაში. როგორც ირკვევა, ეს მომსახურებები რესპონდენტების მიერ დადებით კონტექსტში განიხილება. კონკრეტულად, რესპონდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ამბულატორიული მომსახურებების მიმართ, როგორებიცაა ოჯახის ექიმის მომსახურება (საკმაოდ კმაყოფილი-54.9%;

ძალიან კმაყოფილი-16.1%) და ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია/ ამბულატორიული მკურნალობა (საკმაოდ კმაყოფილი-52.7%; ძალიან კმაყოფილი-14.5%). ასევე დადებითად განიხილება სტაციონარული მომსახურებები, კონკრეტულად: ქირურგიული ოპერაცია საავადმყოფოში ღამისთევის გარეშე (საკმაოდ კმაყოფილი-51.8%; ძალიან კმაყოფილი-10.6%), ქირურგიული ოპერაცია, რომელსაც დასჭირდა საავადმყოფოში დაწოლა (საკმაოდ კმაყოფილი-52.1%; ძალიან კმაყოფილი-17.1%) და ჰოსპიტალიზაცია ქირურგიული ოპერაციის გარეშე (საკმაოდ კმაყოფილი-53.8%; ძალიან კმაყოფილი-13.6%). (იხ. დიაგრამა #14)

დიაგრამა #14



ოჯახის ექიმის მომსახურებით რესპონდენტთა უმრავლესობა კმაყოფილებას გამოქვამს გამოკითხულ ოთხივე რეგიონში: კახეთი-70.4% (საკმაოდ კმაყოფილი-54.1%; ძალზე კმაყოფილი-16.3%); პანკისი-75.7% (საკმაოდ კმაყოფილი-61%; ძალზე კმაყოფილი-14.7%); სამცხე-ჯავახეთი-71.3% (საკმაოდ კმაყოფილი-50.4%; ძალზე კმაყოფილი-20.9%); ქვემო ქართლი-63.8% (საკმაოდ კმაყოფილი-51.9%; ძალზე კმაყოფილი-11.9%). აღსანიშნავია, რომ სხვა რეგიონებთან შედარებით, კმაყოფილების დონით გამოირჩევა პანკისი. ხოლო ქვემო ქართლში რესპონდენტები შედარებით ნაკლებად გამოთქვამენ კმაყოფილებას.

საინტერესოა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია, ასევე შედარებით ნაკლები (58.2%) წილის მიერ ფასდება დადებითად (საკმაოდ კმაყოფილი-43.9%; ძალზე კმაყოფილი-14.3%), ვიდრე სხვა გამოკითხულ რეგიონებში: კახეთი-71.6% (საკმაოდ კმაყოფილი-56.1%; ძალზე კმაყოფილი-15.5%); პანკისი-68.3% (საკმაოდ კმაყოფილი-60.6%; ძალზე კმაყოფილი-7.7%); სამცხე-ჯავახეთი-70.3% (საკმაოდ კმაყოფილი-50.4%; ძალზე კმაყოფილი-19.9%);

სხვადასხვაობები გამოიკვეთა ასევე ქირურგიული ოპერაციის მომსახურების შეფასებისას, რომელსაც დასჭირდა საავადმყოფოში დაწოლა. აღსანიშნავია, რომ ტენდენცია ნარჩუნდება და სერვისის მიმართ კმაყოფილებას შედარებით ნაკლებად გამოთქვამენ ქვემო ქართლის რეგიონში - 54.3% (საკმაოდ კმაყოფილი-44.5%; ძალზე კმაყოფილი-9.8%); სხვა რეგიონებში გამოკითხული რესპონდენტები, სერვისით მეტად კმაყოფილები არიან: კახეთი - 67.3% (საკმაოდ კმაყოფილი-59.7%; ძალზე კმაყოფილი-7.6%); პანკისი - 70.5% (საკმაოდ კმაყოფილი-54.3%; ძალზე კმაყოფილი-16.2%); სამცხე ჯავახეთი - 81.8% (საკმაოდ კმაყოფილი-51.2%; ძალზე კმაყოფილი-30.6%);

რაც შეეხება ჰოსპიტალიზაციას ქირურგიული ოპერაციის გარეშე, სერვისს ყველაზე დადებითად აფასებენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 94.3% (საკმაოდ კმაყოფილი-67.9%; ძალზე კმაყოფილი-26.4%); ხოლო სხვა რეგიონებში კმაყოფილების დონე მიახლოებით თანაბარია: კახეთში 54.2% (საკმაოდ კმაყოფილი-47.6%; ძალზე კმაყოფილი-6.6%); პანკისი - 53.6% (საკმაოდ კმაყოფილი-48.8%; ძალზე კმაყოფილი-4.9%); ქვემო ქართლი- 50.4% (საკმაოდ კმაყოფილი-34.9%; ძალზე კმაყოფილი-15.6%); (იხ. ცხრილი #31)

ცხრილი #31

რამდენად კმაყოფილი დარჩით სამედიცინო დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურებით? (%)		**ოჯახის ექიმის მომსახურება**	**ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია (ოჯახის ექიმის გარდა)/ ამბულატორიული მკურნალობა**	**ქირურგიული ოპერაცია, რომელსაც დასჭირდა საავადმყოფოში დაწოლა**	**ჰოსპიტალიზაცია (საავადმყოფოში დაწოლა) ქირურგიული ოპერაციის გარეშე**
კახეთი (N=379)	ძალზე უკმაყოფილო	-	-	-	-
	საკმაოდ უკმაყოფილო	3.5	3.3	-	-
	არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო	25.1	24.7	32.7	42.6
	საკმაოდ კმაყოფილი	54.1	56.1	59.7	47.6
	ძალზე კმაყოფილი	16.3	15.5	7.6	6.6
	მიჭირს პასუხის გაცემა	1.0	0.5	-	32
	უარი პასუხზე	-	-	-	-
პანკისი (N=370)	ძალზე უკმაყოფილო	7.2	5.6	8.0	
	საკმაოდ უკმაყოფილო	7.6	13.5	8.0	8.5
	არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო	9.5	11.1	13.5	16.2
	საკმაოდ კმაყოფილი	61.0	60.6	54.3	48.8
	ძალზე კმაყოფილი	14.7	7.7	16.2	4.8
	მიჭირს პასუხის გაცემა	-	1.6		21.7
	უარი პასუხზე	-	-	-	-

რამდენად კმაყოფილი დარჩით სამედიცინო დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურებით? (%)		**ოჯახის ექიმის მომსახურება**	**ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია (ოჯახის ექიმის გარდა)/ ამბულატორიული მკურნალობა**	**ქირურგიული ოპერაცია, რომელსაც დასჭირდა საავადმყოფოში დაწოლა**	**ჰოსპიტალიზაცია (საავადმყოფოში დაწოლა) ქირურგიული ოპერაციის გარეშე**
სამცხე-ჯავახეთი (N=379)	ძალზე უკმაყოფილო	2.1	2.6	2.5	-
	საკმაოდ უკმაყოფილო	1.3	2.1	-	-
	არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო	25.3	25.0	15.7	5.7
	საკმაოდ კმაყოფილი	50.4	50.4	51.2	67.9
	ძალზე კმაყოფილი	20.9	19.9	30.6	26.4
	მიჭირს პასუხის გაცემა	-	-	-	-
	უარი პასუხზე	-	-	-	-
ქვემო ქართლი (N=379)	ძალზე უკმაყოფილო	2.8	0.8		9.6
	საკმაოდ უკმაყოფილო	4.5	5.7	4.9	9.7
	არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო	28.3	34.5	40.8	30.3
	საკმაოდ კმაყოფილი	51.9	43.9	44.5	34.9
	ძალზე კმაყოფილი	11.9	14.3	9.8	15.6
	მიჭირს პასუხის გაცემა	0.6	0.8	-	-
	უარი პასუხზე	-	-	-	-

როგორც ირკვევა, ბოლო 12 თვის განმავლობაში რესპონდენტების სრული უმრავლესობა (99.1%) არ ყოფილა საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასული. მხოლოდ 6 რესპონდენტი ასახელებს, რომ ასეთი გამოცდილება აქვს. გამოკითხულთაგან 8 უარს ამბობს პასუხზე, ან უჭირს პასუხის გაცემა.

2-2 შემთხვევაში სახელდება რუსეთსა და თურქეთში მკურნალობის მიზნით გამგზავრება. თითო-თითოჯერ ფიქსირდება სომხეთი და გერმანია. 7 შემთხვევაში რესპონდენტები უარს აცხადებენ პასუხზე, ან უჭირთ პასუხის გაცემა.

გამგზავრების მიზეზად 4 რესპონდენტი ასახელებს, რომ იქ ჯანდაცვის სისტემა უფრო განვითარებულია. გამოკითხულთაგან 1 ამბობს, რომ ამ ავადმყოფობას საქართველოში ვერ მკურნალობენ და 1 რესპონდენტი მიზეზად ასახელებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის/ექიმების უნდობლობას. 7 რესპონდენტი უარს აცხადებს პასუხზე, ან უჭრის პასუხის გაცემა.

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (51.9%) ამბობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მიღებული სამედიცინო მომსახურების ღირებულებას ისინი/მათი ოჯახის წევრები ოჯახის რეგულარული შემოსავლიდან ფარავდნენ. დაახლოებით მეხუთედი (19.6%) მომსახურების ღირებულებას ფარავდა ოჯახის დანაზოგებიდან. 11.4%-ისათვის ხარჯები დაფარა დაზღვევამ, ხოლო 5.8%-ისათვის მკურნალობა იყო უფასო, რადგან მას რაიმე პროგრამა ფარავდა. (იხ. დიაგრამა #15)

დიაგრამა # 15



სამედიცინო ხარჯები

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (52.6%) სამედიცინო მომსახურების ხარჯებს მოიხსენიებს როგორც არც თუ ისე მძიმეს (36%) ან უმნიშვნელოს (16.6%). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასევე დიდია (40.5%) იმ რესპონდენტთა წილი, ვისთვისაც სამედიცინო მომსახურების ხარჯები მძიმე აღმოჩნდა (უკიდურესად მძიმე-7%; საკმაოდ მძიმე - 33.4%). (იხ. დიაგრამა #16)

დიაგრამა #16



კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საშუალო და საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე რესპონდენტები უფრო ნაკლებ ტვირთად აფასებენ სამედიცინო მომსახურების ხარჯებს, ვიდრე საშუალოზე დაბალი და ღარიბი ოჯახების წევრები. კერძოდ, რესპონდენტთა ოჯახის მატერიალური მდგომარეობის შემცირებასთან ერთად იმატებს მათი რიცხვი, ვისი ოჯახის ბიუჯეტზეც სამედიცინო ხარჯებმა მძიმე ან ძალიან მძიმე გავლენა იქონია. კონკრეტულად:

- ღარიბ ოჯახებში მცხოვრებ რესპონდენტთა 60.8% ამბობს, რომ მათ ოჯახს საკმაოდ მძიმე ან უკიდურესად მძიმე ტვირთად დააწვა სამედიცინო მომსახურების ხარჯები, იმავეს საშუალოზე დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის რესპონდენტთა 46.7% ამბობს.
- პირიქით, საშუალო ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახის წევრთა შედარებით დიდი ნაწილი (44.9%) ამბობს, რომ მათი ოჯახის ბიუჯეტს არც თუ ისე მძიმე ტვირთად დააწვა სამედიცინო მომსახურების ხარჯები. საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური შეძლების ოჯახის წარმომადგენელთა 20.9%-ის თქმით, მათი ოჯახის ბიუჯეტს უმნიშვნელო ტვირთად დააწვა აღნიშნული ხარჯები.

კახეთის რეგიონში საშუალოზე მაღალი/მაღალი და საშუალო ეკონომიკური მდგომარეობის რესპონდენტებში დიდია მათი რიცხვი, ვისი ოჯახის ბიუჯეტზეც არ თუ ისე მძიმე ან უმნიშვნელო გავლენა მოახდინა სამედიცინო მომსახურების ხარჯებმა. კერძოდ:

- საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (51.2%) ამბობს, რომ სამედიცინო მომსახურების ხარჯები არც თუ ისე მძიმედ აისახა მათი ოჯახის ბიუჯეტზე. ხოლო საშუალო ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახის წევრი რესპონდენტების 38.6% ამბობს, რომ უმნიშვნელო გავლენა მოახდინა ოჯახის ბიუჯეტზე ზემოაღნიშნულმა ხარჯებმა.

- ამის საპირისპიროდ, ღარიბი (37.8%) და საშუალოზე დაბალი (40.4%) ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახების წევრი რესპონდენტების შედარებით დიდი ნაწილი ამბობს, რომ საკმაოდ მძიმე იყო სამედიცინო ხარჯები (ბიუჯეტს მნიშვნელოვნად დაეტყო).

პანკისის ხეობის მაგალითზე, ასევე იკვეთება რომ ეკონომიკური მდგომარეობის ზრდასთან ერთად მცირდება რესპონდენტთა ოჯახის ბიუჯეტზე ტვირთი. კერძოდ:

- საშუალო ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახის წარმომადგენლთა ნახევარზე მეტი (55.9%) ამბობს, რომ არც თუ ისე მძიმე იყო დანახარჯები ოჯახის ბიუჯეტისთვის (ეს ხარჯები ოჯახის ბიუჯეტს დაეტყო, მაგრამ არა არსებითად).
- ღარიბი ოჯახების ნახევარზე მეტი (54.4%) ამბობს, რომ საკმაოდ მძიმედ აისახა ეს ხარჯები მათი ოჯახის ბიუჯეტზე (ეს ხარჯები ოჯახის ბიუჯეტს მნიშვნელოვნად დაეტყო).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში:

- საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის რესპონდენტთა 14.3% ამბობს, რომ უკიდურესად მძიმე იყო მათი ოჯახის ბიუჯეტისთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯები. იმავეს ამბობს საშუალოზე დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახის წევრების მხოლოდ 2.6%.
- საშუალოზე დაბალი (51.3%) და საშუალო (54.3) ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი არც თუ ისე მძიმედ აფასებს სამედიცინო დანახარჯებით გამოწვეულ ტვირთს.

ქვემო ქართლში მცხოვრები უმცირესობების შემთხვევაში:

- საშუალოზე მაღალი/მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის რესპონდენტთა 57.1% ამბობს, რომ მათი ოჯახის ბიუჯეტზე არც თუ ისე მძიმედ აისახა სამედიცინო მომსახურების ხარჯები.
- ღარიბი (40.5%) და საშუალოზე დაბალი (57%) ეკონომიკური მდგომარეობის რესპონდენტთა შედარებით დიდი ნაწილი ამბობს, რომ საკმაოდ მძიმედ აისახა მათი ოჯახის ბიუჯეტზე აღნიშნული ხარჯები. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$). (იხ. ცხრილი #32)

ცხრილი #32

		ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა				
რამდენად მძიმე ტვირთი იყო თქვენი ოჯახის ბიუჯეტისთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯები? (%)		**ღარიბი**	**საშუალოზე დაბალი**	**საშუალო**	**საშუალოზე მაღალი/მაღალი**	**მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე**
რესპონდენტებ	**უკიდურესად მძიმედ**	17	5.8	4.2	6.4	3.3
	საკმაოდ მძიმედ	43.8	40.9	25.7	21.5	32.6

		ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა				
		ღარიბი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი/მაღალი	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე
	რამდენად მძიმე ტვირთი იყო თქვენი ოჯახის ბიუჯეტისთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯები? (%)					
ი (N=1 335)	არც თუ ისე მძიმედ	21.9	34.5	44.9	46.5	38
	უმნიშვნელოდ	6.3	15.5	20.4	20.9	22.1
	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	11.2	3.4	4.8	2.7	12.9
კახეთი (N=3 79)	უკიდურესად მძიმედ	4.4	1.8	-	2.4	1
	საკმაოდ მძიმედ	37.8	40.4	25	7.3	14.4
	არც თუ ისე მძიმედ	31.1	31.6	29.5	51.2	41.2
	უმნიშვნელოდ	15.6	25.4	38.6	24.4	26.8
	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	11.1	0.9	6.8	14.6	16.5
პანკისი (N=3 70)	უკიდურესად მძიმედ	5.1	5	5.8	-	22.2
	საკმაოდ მძიმედ	54.4	40.9	25	30.5	22.2
	არც თუ ისე მძიმედ	29.1	34	55.8	47.5	22.2
	უმნიშვნელოდ	2.5	13.8	11.5	22	22.2
	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	8.9	6.3	1.9	-	11.1
სამცხე-ჯავახეთი (N=3 79)	უკიდურესად მძიმედ	5.3	2.6	4.3	14.3	0.9
	საკმაოდ მძიმედ	31.6	25.1	23.9	23.2	33
	არც თუ ისე მძიმედ	31.6	51.3	54.3	39.3	42.2
	უმნიშვნელოდ	21.1	19.1	15.2	23.2	14.7
	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	10.5	0.9	2.2	-	9.2
ქვემო ქართლი (N=3 81)	უკიდურესად მძიმედ	39.2	13.2	4.5	7.1	7.3
	საკმაოდ მძიმედ	40.5	57	36.4	21.4	21.8
	არც თუ ისე მძიმედ	6.3	22.8	36.4	57.1	27.3
	უმნიშვნელოდ	1.3	3.5	13.6	-	30.9
	მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	12.7	3.5	9.1	14.3	12.7

სხვადასხვა ფაქტორის გავლენა სამედიცინო მომსახურების მიღებაზე

რესპონდენტებს ეთხოვათ შეეფასებინათ, თუ რამდენად მოახდინა გავლენა სხვადასხვა ფაქტორმა, მათ ან მათი ოჯახის წევრების გადაწყვეტილებაზე, მიეღოთ საჭირო სამედიცინო დახმარება. როგორც ირკვევა, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის ბარიერებს შორის, დაწესებულების

სიშორე გამოკითხულთა შედარებით დიდი წილის (67.4%) მიერ ფასდება, როგორც ნაკლებ დამაბრკოლებელი ფაქტორი (არავითარი ბარიერი-37.7%; ოდნავ დამაბრკოლა - 29.8%).

რესპონდენტთა მიახლოებით ნახევარი (50.2%) მომსახურების ხარისხს არ აფასებს, როგორ ბარიერს და ამბობს, რომ ამას საერთოდ არ დაუბრკოლებია. მეორე მხრივ, გამოკითხულთა მეხუთედზე მეტის (21.8%) თანახმად, მომსახურების ხარისხი წარმოადგენს ოდნავ დაბრკოლებას, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ახერხებდნენ ამ მომსახურებით სარგებლობას.

მომსახურების ღირებულებას რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53.7%) ასევე არადამაბრკოლებელ ფაქტორად განიხილავს (არავითარი ბარიერი-24.8%; ოდნავ დამაბრკოლა - 28.9%). მეორე მხრივ, რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი მომსახურების ღირებულებას აფასებს, როგორც სერიოზულ დამაბრკოლებელ ფაქტორს (28.2%) და ამბობს, რომ ამ მომსახურებით სარგებლობას მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში ახერხებდნენ. მომსახურების ხარისხისა და დაწესებულების სიშორის შემთხვევაში ასეთი შეფასების მაჩვენებელი შედარებით დაბალია (მომსახურების ხარისხი-11.2%; დაწესებულების სიშორე-15.8%). (იხ. დიაგრამა #17)

დიაგრამა #17



სამედიცინო საჭიროებებზე წვდომის დამაბკოლებელი ფაქტორების რეგიონულ ჭრილში განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების სიშორე ყველაზე ნაკლებად ბარიერს წარმოადგენს კახეთის რეგიონში - 79.4% (არავითარი ბარიერი-46.8%; ოდნავი დაბრკოლება-32.6%); დაწესებულების სიშორე, ასევე ნაკლებ ბარიერულად ითვლება პანკისში - 75.6% (არავითარი ბარიერი-29.4%; ოდნავი დაბრკოლება-46.2%) და სამცხე-ჯავახეთში - 68.3% (არავითარი ბარიერი-47.4%; ოდნავი დაბრკოლება-21%); როგორც აღმოჩნდა, მომსახურების სიშორე შედარებით

ხელისშემშლელი ფაქტორია ქვემო ქართლის რეგიონში - 46.7% (არავითარი ბარიერი-26.9%; ოდნავი დაბრკოლება-19.7%);

რაც შეეხება მომსახურების ღირებულებას, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამოკითხულ რესპონდენტთა მიერ ეს ფაქტორი განიხილება ნაკლებ ხელისშემშლელად - 64% (არავითარი ბარიერი-40%; ოდნავი დაბრკოლება-23.9%); გამოკითხულთა ნახევარზე მეტი მომსახურების ღირებულებას აფასებს ნაკლებ ბარიერულად კახეთში - 59.4% (არავითარი ბარიერი-22.8%; ოდნავი დაბრკოლება-36.6%) და პანკისში -56.4% (არავითარი ბარიერი-24.4%; ოდნავი დაბრკოლება-32%); ქვემო ქართლის შემთხვევაში მომსახურების საფასური შედარებით ნაკლებად ფასდება როგორც არადამაბრკოლებელი - 35.1% (არავითარი ბარიერი-11.9%; ოდნავი დაბრკოლება-23.2%);

ქვემო ქართლში მომსახურების ხარისხს არადამაბრკოლებელ ფაქტორად აფასებს გამოკითხულთა 49.2% (არავითარი ბარიერი-28%; ოდნავი დაბრკოლება-21.1%); სხვა რეგიონების შემთხვევაში ასეთ შეფასებას გამოკითხულთა შედარებით დიდი წილი აკეთებს: კახეთი-83.9% (არავითარი ბარიერი-71.2%; ოდნავი დაბრკოლება-12.7%); პანკისი - 81.6% (არავითარი ბარიერი-46.1%; ოდნავი დაბრკოლება-35.5%); სამცხე-ჯავახეთი - 73.8% (არავითარი ბარიერი-55.5%; ოდნავი დაბრკოლება-18.3%); (იხ. ცხრილი #33)

ცხრილი #33

ბოლო 12 თვის განმავლობაში რამდენად შეგიშალათ ხელი თითოეულმა ჩამოთვლილმა ფაქტორმა, რომ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრებს მიგელოთ საჭირო სამედიცინო მომსახურება? (%)		არავითარი ბარიერი	ოდნავ დაბრკოლება	სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორია	აბსოლუტური ბარიერი	ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში ოჯახის არცერთ წევრს არ დასჭირვებია აღნიშნული მომსახურება	მიჭირს პასუხის გაცემა	უპასუხზე
კახეთი (N=379)	დაწესებულების სიშორე	46.8	32.6	11.1	0.4	8.3	0.6	0.2
	მომსახურების ღირებულება	22.8	36.6	27.8	3.6	8.1	0.6	0.6
	მომსახურების ხარისხი	71.2	12.7	5.1	0.6	7.8	0.6	2.0

პანკისი (N=370)	დაწესებულების სიშორე	29.4	46.2	17.1	1.0	2.5	2.7	1.1
	მომსახურების ღირებულება	24.4	32.0	36.2	1.0	2.9	1.7	1.8
	მომსახურების ხარისხი	46.1	35.5	11.5	0.3	2.9	1.5	2.2
სამცხე-ჯავახეთი (N=379)	დაწესებულების სიშორე	47.4	21.0	13.4	0.8	14.2	0.8	2.5
	მომსახურების ღირებულება	40.0	23.9	18.6	1.6	14.3	0.5	1.0
	მომსახურების ხარისხი	55.5	18.3	8.8	0.6	15.3	0.2	1.3
ქვემო ქართლი (N=381)	დაწესებულების სიშორე	26.9	19.7	21.7	2.8	22.9	2.2	3.7
	მომსახურების ღირებულება	11.9	23.2	30.4	7.1	24.1	1.1	2.2
	მომსახურების ხარისხი	28.0	21.1	19.4	2.9	24.0	1.6	2.9

დაზღვევით სარგებლობა

რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (49.7%) ამბობს, რომ მათი ოჯახის ყველა წევრი დაზღვეულია. მეორე მხრივ, გამოკითხულთა თითქმის მეხუთედის (17.4%) ოჯახის არცერთი წევრი დაზღვეული არ არის, ხოლო 15.1%-ის შემთხვევაში, ოჯახის ზოგიერთი წევრი დაზღვეულია, ზოგიერთი - არა. (იხ. დიაგრამა #18)

დიაგრამა #18

ამა თუ იმ სამედიცინო დაზღვევის მქონე რესპონდენტთა შედარებით დიდი წილი (36.9%) ამბობს, რომ მათი ოჯახის წევრებს აქვთ სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებული დაზღვევა, რომელიც ვრცელდება მთელ ოჯახზე. რესპონდენტთა მეხუთედის (20.3%) ოჯახის წევრებს აქვთ სახელმწიფო დაზღვევა, რომელიც ვრცელდება მხოლოდ ერთ პიროვნებაზე და არ ვრცელდება ოჯახის წევრებზე. შედარებით დაბალია გამოკითხულთა წილი, ვისი ოჯახის წევრებსაც აქვთ „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის", ე.წ. უმწეოთა დაზღვევა (10%) ან საჯარო სკოლის პედაგოგთა სამედიცინო დაზღვევა (9.6%). ყველაზე დაბალია შემთხვევები, როდესაც ოჯახის წევრებს აქვთ კერძო კორპორატიული დაზღვევა სამსახურიდან (2.7%) ან ინდივიდუალური დაზღვევა, რომელიც ოჯახის სახსრებით არის შეძენილი (0.5%). (იხ. დიაგრამა #19)

დიაგრამა #19



რესპონდენტებს, რომელთა ერთი ოჯახის წევრი მაინც არ არის დაზღვეული, შეეთავაზათ რამდენიმე ფაქტორი და ეთხოვათ შეეფასებინათ, იყო თუ არა თითოეული მათგანი ამის მიზეზი. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების შედარებით დიდი ნაწილი შეთავაზებულ ყველა დებულებაზე უარყოფით პასუხს სცემს. კონკრეტულად, ოჯახის წევრის/წევრების არდაზღვევის მიზეზებად არ მიიჩნევა: ინფორმაციის არქონა სახელმწიფო/მუნიციპალური სამედიცინო დაზღვევის არსებობის შესახებ (41.8%), ინფორმაციის არქონა იმის შესახებ, ვის და სად უნდა მიმართოს სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამებით დასაზღვევად (43%), ის, რომ მცდელობის მიუხედავად, ოჯახის წევრი ვერ მოხვდა სახელმწიფო/მუნიციპალურ დაზღვევის პროგრამაში (69%), რომ ოჯახის წევრს სახელმწიფო/მუნიციპალური დაზღვევა ეკუთვნის, მაგრამ სადაზღვევო პოლისი ჯერ არ მიუღია (66.5%), კერძო დაზღვევის შესაძენად საჭირო თანხის უქონლობა (52.2%) და ის, რომ რესპონდენტი და მისი ოჯახის წევრები დაზღვევის საჭიროებას ვერ ხედავენ (54.2%).

იმის მიზეზად, რომ ოჯახის წევრი/წევრები არ დაეზღვია, მიზეზებად მნიშვნელოვანწილად სახელდება: ინფორმაციის არქონა სახელმწიფო/მუნიციპალური სამედიცინო დაზღვევის არსებობის შესახებ (37.2%), ინფორმაციის არქონა იმის შესახებ, ვის და სად უნდა მიმართოს სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამებით დასაზღვევად (34.5%), კერძო დაზღვევის შესაძენად საჭირო თანხის უქონლობა (16.9%) და ის, რომ რესპონდენტი და მისი ოჯახის წევრების ვერ ხედავენ დაზღვევის საჭიროებას (12.7%). (იხ. დიაგრამა #20)

მხოლოდ ერთი რესპონდენტია ისეთი, ვინც მიზეზად ასახელებს, რომ მეუღლე არ არის საქართველოს მოქალაქე.

დიაგრამა #20



თავი 8. მიგრაცია

ჯანდაცვის საკითხების განხილვის შემდგომ რესპონდენტებმა ისაუბრეს მიგრაციის გამოცდილებასთან დაკავშირებით. მათი დიდი უმრავლესობა (89.4%) ამბობს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა ოჯახიდან 3 თვეზე მეტი დროით წასული. მხოლოდ 10.5% არის ისეთი, ვისაც ეს გამოცდილება აქვს.

კორელაციური ანალიზი გამოკვეთს რეგიონებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს სქესის ჭრილში:

- **კახეთსა (პანკისის გარდა) და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში** მამრობითი სქესის წარმომადგენლები (კახეთი - 27%; სამცხე-ჯავახეთი - 9.9%) შედარებით ხშირად ადასტურებენ ბოლო 5 წლის განმავლობაში ოჯახიდან 3 თვეზე მეტი დროით წასვლას, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (კახეთი - 17.3%; სამცხე-ჯავახეთი - 3.6%);
- **ქვემო-ქართლის რეგიონში** დინამიკა საპირისპიროა, მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა შედარებით დიდი ნაწილი (11.8%) ამბობს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოფილა ოჯახიდან წასული 3 თვეზე მეტი დროით, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები (4.3%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #22)

დიაგრამა #22



რესპონდენტებს, ვინც ბოლო 5 წელში მიგრაციის გამოცდილებას აფიქსირებს, დაესვათ კითხვა, კონკრეტულად სად იმყოფებოდნენ და რა საქმიანობით იყვნენ დაკავებული ამ პერიოდში. გამოკითხულთა შედარებით დიდი წილი (45.9%) ამბობს, რომ იმყოფებოდა თურქეთში, ხოლო თითქმის მეხუთედი (17.7%) იმყოფებოდა რუსეთში. ასევე, მნიშვნელოვანია რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ წასული იყო საქართველოს სხვა რეგიონში (10.6%) ან აზერბაიჯანში (10.4%). (იხ.დიაგრამა #21)

დიაგრამა #21



რაც შეეხება მიგრაციის პერიოდში რესპონდენტთა საქმიანობას, დიდი უმრავლესობა (82.3%) ამბობს, რომ ძირითადად მუშაობდა. შედარებით მცირეა რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ ამ პერიოდში მოგზაურობდა (7%), მკურნალობდა (3.6%), სწავლობდა (3.3%) ან იმყოფებოდა სტუმრად (1.5%). 2.4% უარს ამბობს პასუხზე.

საინტერესოა რესპონდენტთა საქმინობის განხილვა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ:

- საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში მუშაობაზე შედარებით მეტად მიუთითებენ 25-64 წლის რესპონდენტები (25-34 წლის-83.2%; 35-44 წლის-94.2%; 45-54 წლის- 91.1%; 55-64 წლის-86.8%);
- ასევე თვალსაჩინოა, რომ საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში სწავლით ძირითადად დაკავებული იყვნენ 18-34 წლის რესპონდენტები (18-24 წლის-14.7%; 25-34 წლის- 4.9%);
- რაც შეეხება მკურნალობას, ეს საკითხი პრიორიტეტული იყო 45-65 წლის და მეტი ასაკის რესპონდენტებისათვის (45-54 წლის- 3.1%; 55-64 წლის-5.1%; 65 წლის და მეტის - 17.9%); (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$). (იხ. ცხრილი #34)

ცხრილი #34

ძირითადად რითი იყავით დაკავებული მიგრაციის პერიოდში? (N=167) (%)	ასაკი					
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+
ვმუშაობდი	69.7	83.2	94.2	91.1	86.8	62.3
ვსწავლობდი	14.7	4.9	0.0	0.0	0.0	0.0
ვმკურნალობდი	0.0	0.0	0.0	3.1	5.1	17.9
ვმოგზაურობდი	6.0	8.0	5.8	3.1	8.1	12.3
სტუმრად	0.0	1.9	0.0	0.0	0.0	7.5
უარი პასუხზე	9.5	1.9	0.0	2.8	0.0	0.0

განათლების მიღწეული დონის ჭრილში მიგრაციაში ყოფნის გამოცდილების მქონე რესპონდენტების პასუხების გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ:

- მიგრაციის პერიოდში ძირითადად სამუშაოთი დაკავებული იყვნენ რესპონდენტები, რომლებსაც მიღებული აქვთ არასრული საშუალო /დაწყებითი განათლება ან განათლება არ აქვთ მიღებული (96.4%). ასევე, გამოკითხულთა ის ნაწილი, ვისაც აქვს საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება (85%) ან სრული საშუალო განათლება (78.2%);
- მეორე მხრივ, რესპონდენტები, რომელთა განათლების მიღწეული დონე არის არასრული, სრული უმაღლესი განათლება, ან შესაბამისი ხარისხი, მიგრაციაში ყოფნის მიზეზად მნიშვნელოვანწილად ასახელებენ როგორც მუშაობას (53.6%), ასევე სწავლასა (21.4%) და მოგზაურობას (24.9%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$). (იხ. ცხრილი #35)

ცხრილი #35

ძირითადად რითი იყავით დაკავებული მიგრაციის პერიოდში? (N=167) (%)	განათლების მიღწეული დონე			
	არასრული საშუალო განათლება/დაწყებითი/განათლების გარეშე	სრული საშუალო განათლება	საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება	უმაღლესი განათლება (არასრული/სრული/ხარისხი)
ვმუშაობდი	96.4	78.2	85.0	53.6
ვსწავლობდი	2.3	0.0	0.0	21.4
ვმკურნალობდი	0.0	7.1	4.6	0.0
ვმოგზაურობდი	1.3	6.6	6.2	24.9
სტუმრად	0.0	3.6	0.0	0.0
უარი პასუხზე	0.0	4.4	4.2	0.0

რესპონდენტებს ეთხოვათ ესაუბრათ ჩამოსვლის შემდეგ სამუშაოს შოვნის გამოცდილებაზე. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი (23.7%) ამბობს, რომ არ უძებნია სამუშაო, რადგან მაინც ვერ იპოვიდა, ხოლო მეხუთედის (20.6%) თანახმად, ჩამოსვლის შემდეგ ვერ იშოვა სამუშაო. ასევე მნიშვნელოვანია რესპონდენტთა წილი, ვინც აფიქსირებს, რომ გაუჭირდა სამუშაოს პოვნა, მაგრამ საბოლოოდ იშოვა (12.2%), არც უძებნია, რადგან არ შეუძლია მუშაობა (11.6%) და რომ, იქ გააგრძელა მუშაობა, სადაც წასვლამდე მუშაობდა (10.4%). მხოლოდ 7.7% არის ისეთი, ვინც ამბობს, რომ სამუშაო ადვილად იშოვა. (იხ. დიაგრამა #23)

დიაგრამა #23



აქვე აღსანიშნავია, რომ მათ შორის, ვინც მიგრაციის შემდეგ დასაქმდა, უმრავლესობა (63.4%) მიგრაციის პერიოდში მიღებულ გამოცდილებას აფასებს, როგორც გამოსადეგს, სამუშაოს შოვნაში. 22.5%-ისათვის ეს გამოცდილება გამოსადეგი არ იყო. გამოკითხულთა 4% უარს ამბობს პასუხზე, ხოლო 10.2%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

თავი 9. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

ინფრასტრუქტურული ცვლილებები

რესპონდენტებმა ისაუბრეს ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ რეგიონში საქართველოს მთავრობის ინიციატივით განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზე.

- როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (74.4%), ასახელებს, რომ გზების მშენებლობა/რემონტი ნაწილობრივ (39.4%) ან სრულად (35%) განხორციელდა მათ რეგიონში.
- გაზმომარაგების სფეროში დადებითი ცვლილებების გატარებას ასახელებს გამოკითხულთა 71.3%. მათ შორის, 46.7% ამბობს, რომ გაზმომარაგება სრულად აღდგა/ გაუმჯობესდა, ხოლო 24.6% ნაწილობრივ ცვლილებებზე მიუთითებს.
- რესპონდენტთა ნახევარს აღემატება (59.5%) მათი წილი, ვინც ამბობს, რომ მათ რეგიონში ბოლო 5 წელში წყლის სისტემის გაყვანა/ შეკეთება სრულად (29.8%) ან ნაწილობრივ (29.9%) განხორციელდა.
- ცვლილებების მხრივ, ასევე დადებითი ტენდენცია ვლინდება სკოლის რემონტის / აღჭურვის მხრივ. ჯამში ცვლილებებზე მიუთითებს 57.8%. მათ შორის 27.8% მიუთითებს სკოლის რემონტის/ აღჭურვის სრულ აღდგენა/ გაუმჯობესებაზე, ხოლო, 30% - ნაწილობრივ აღდგენა/გაუმჯობესებაზე.
- ნახევარზე მეტია (55.2%) რესპონდენტთა წილი, ვინც საბავშვო ბაღების სრულ (27.3%) ან ნაწილობრივ (27.9%) აღდგენა/ გაუმჯობესებაზე მიუთითებს.
- გამოკითხულთა ნახევარს შეადგენს და სხვა ინფრასტრუქტურის საკითხებთან შედარებით დაბალია (50%) რესპონდენტთა წილი, ვინც სამედიცინო დაწესებულებების

აღდგენა/აღჭურვაზე მიუთითებს. მათ შორის 22.7% მიუთითებს სრულ აღდგენა/გაუმჯობესებაზე, ხოლო 27.2% ამბობს, რომ სამედიცინო დაწესებულებები ნაწილობრივ აღდგა/გაუმჯობესდა.

- გარე განათების სრულ (34.8%) ან ნაწილობრივ (30.7%) აღდგენა/გაუმჯობესებაზე ჯამში გამოკითხულთა უმეტესობა ასახელებს (65.5%). (იხ. დიაგრამა #24)

დიაგრამა #24



ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სფეროს სრულად ან ნაწილობრივ აღდგენა, გაუმჯობესების მხრივ კახეთის რეგიონში ბოლო 5 წლის განმავლობაში შედარებით აქტიურად განხორციელდა გზების მშენებლობა ან რემონტი - 43.7%. ეს მაჩვენებელი აღემატება რეგიონში განხორციელებულ სხვა ტიპის ინსფრასტრუქტურულ გაუმჯობესება/აღდგენას: გაზმომარაგება- 22.3%; წყლის სისტემების გაყვანა/შეკეთება-28.8%; სკოლების რემონტი/აღჭურვა-26%; საბავშვო ბაღების რემონტი/აღჭურვა-20%; სამედიცინო დაწესებულებების რემონტი/აღჭურვა-10.4%; გარე განათება - 24.3%.

აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონთან შედარებით, პანკისში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში გამოკითხული რესპონდეტების შედარებით დიდი წილი მიუთითებს ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე. ამავდროულად, იკვეთება ტენდენცია, რომ სამცხე-ჯავახეთში რესპონდენტები მეტწილად მიუთითებენ ინსფრასტრუქტურული საკითხის ნაწილობრივ აღდგენა/გაუმჯობესებაზე, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში, მეტწილად სახელდება სრულად აღდგენა/გაუმჯობესება.

კონკრეტულად, პანკისში ნაწილობრივ ან სრულად აღდგა/გაუმჯობესდა გზები - 82.1%; გაზმომარაგება - 97.8%; წყლის სისტემა - 62%; სკოლები - 60.2%; საბავშვო ბაღები - 65.5%; სამედიცინო დაწესებულებები - 61.5%, გარე განათება - 97.6%.

სამცხე-ჯავახეთში სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან შედარებით ხშირად სახელდება გზების სრულად ან ნაწილობრივ აღდგენა/გაუმჯობესება -81.1%. თუმცა ასევე აქტიურად სახელდება სხვა სფეროს აღდგენა/გაუმჯობესება: გზების მშენებლობა ან რემონტი - 43.7%. ეს მაჩვენებელი აღემატება რეგიონში განხორციელებულ სხვა ტიპის ინსფრასტრუქტურულ გაუმჯობესება/აღდგენას: გაზმომარაგება - 78.2%; წყლის სისტემების გაყვანა/შეკეთება - 74.1%; სკოლების რემონტი/აღჭურვა - 74.7%; საბავშვო ბაღების რემონტი/აღჭურვა - 67%; სამედიცინო დაწესებულებების რემონტი/აღჭურვა - 66.6%; გარე განათება - 69.2%.

ტენდენცია ნარჩუნდება ქვემო ქართლში და ყველაზე ხშირად კვლავ გზების მშენებლობა/რემონტი სახელდება - 90.8%. გამოკითხულთა უმრავლესობა ასევე მიუთითებს გაზმომარაგების - 87.7%; წყლის სისტემების - 73.3%; სკოლების - 73.3%; საბავშო ბაღების - 68.4%; სამედიცინო დაწესებულებების - 61.5%; გარე განათების - 71.6% საკითხების მოწესრიგებაზე. (იხ. ცხრილი #36)

ცხრილი #36

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ინფრასტრუქტურის რომელი სფეროს აღდგენა/გაუმჯობესებდა განხორციელდა თქვენს რეგიონში ბოლო 5 წელიწადში (%)		გზების მშენებლობა/რემონტი	გაზმომგარების	წყლისსისტემების გაყვანა/შეკეთება	სკოლების რემონტი/აღჭურვა	საბავშვო ბაღების რემონტი/აღჭურვა	სამედიცინო დაწესებულებების რემონტი/აღჭურვა	გარეგანათება
კახეთი (N=379)	სრულად აღდგა/გაუმჯობესდა	24.7	11.6	16.8	16.1	12.9	4.1	13.0
	ნაწილობრივ აღდგა/გაუმჯობესდა	19.1	10.7	12.1	9.9	7.1	6.3	11.3
	არ აღდგენილა/გაუმჯობესებულა	52.9	69.2	62.5	67.7	73.8	78.1	67.2
	უარი პასუხზე	1.2	2.0	2.2	1.4	1.4	4.0	2.8
	მიჭირს პასუხის გაცემა	2.2	6.5	6.4	5.0	4.9	7.5	5.7
პანკისი (N=370)	სრულად აღდგა/გაუმჯობესდა	32.1	83.3	28.4	25.9	27.4	25.0	55.2
	ნაწილობრივ აღდგა/გაუმჯობესდა	50.1	14.5	33.6	34.2	38.0	36.5	42.5
	არ აღდგენილა/გაუმჯობესებულა	8.4	0.2	20.1	23.3	24.1	15.1	0.7
	უარი პასუხზე	0.8	1.0	1.7	2.8	1.7	3.3	0.5

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ინფრასტრუქტურის რომელი სფეროს აღდგენა/გაუმჯობესებდა განხორციელდა თქვენს რეგიონში ბოლო 5 წელიწადში (%)		გზების მშენებლობა/რემონტი	გაზმომგარგება	წყლისსისტემებისგაყვანა/შეკეთება	სკოლებისრემონტი/აღჭურვა	საბავშვობაღებისრემონტი/აღჭურვა	სამედიცინოდაწესებულებებისრემონტი/აღჭურვა	გარეგანათება
	მიჭირს პასუხის გაცემა	8.7	1.0	16.3	13.7	8.7	20.0	1.2
სამცხე-ჯავახეთი (N=379)	სრულად აღდგა/გაუმჯობესდა	20.4	26.8	19.9	16.5	16.8	16.5	17.0
	ნაწილობრივ აღდგა/გაუმჯობესდა	60.6	51.4	54.2	55.1	50.2	50.2	52.2
	არ აღდგენილა/გაუმჯობესებულა	16.2	18.3	22.2	19.8	22.1	21.3	21.2
	უარი პასუხზე	0.5	0.5	0.5	1.3	1.6	1.8	2.1
	მიჭირს პასუხის გაცემა	2.2	3.0	3.2	7.2	9.3	10.2	7.5
ქვემო ქართლი (N=	სრულად აღდგა/გაუმჯობესდა	62.5	66.1	53.4	52.4	51.9	45.3	54.6
	ნაწილობრივ აღდგა/გაუმჯობესდა	28.2	21.6	19.8	20.9	16.5	16.3	17.1
	არ აღდგენილა/გაუმჯობესებულა	8.0	11.1	25.1	21.4	21.0	25.9	24.9

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ინფრასტრუქტურის რომელი სფეროს აღდგენა/გაუმჯობესებდა განხორციელდა თქვენს რეგიონში ბოლო 5 წელიწადში (%)		გზების მშენებლობა/რემონტი	გაზმომარაგება	წყლის სისტემების გაყვანა/შეკეთება	სკოლების რემონტი/აღჭურვა	საბავშვო ბაღების რემონტი/აღჭურვა	სამედიცინო დაწესებულებების რემონტი/აღჭურვა	გარეგანათება
381)	უარი პასუხზე	1.0	1.0	1.0	2.8	4.6	5.0	2.9
	მიჭირს პასუხის გაცემა	0.3	0.3	0.7	2.4	6.0	7.5	0.7

16 რესპონდენტი ამბობს, რომ მათ რეგიონში ბოლო 5 წლის განმავლობაში ნაწილობრივ აღდგა/გაუმჯობესდა ხიდი, ხოლო 2 რესპონდენტის თანახმად, რეგიონში ნაწილობრივ მოეწყო მინი სტადიონი.

როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად ბოლო 5 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის სფეროების აღდგენა/გაუმჯობესებისა, რესპონდენტების ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ამ ცვლილებებს პირდაპირი გავლენა არ ჰქონია. კონკრეტულად, ეს ეხება გზების მშენებლობა/რემონტს (91.5%), გაზმომარაგებას (90.6%), წყლის სისტემების გაყვანა/შეკეთებას (93.2%), სკოლების რემონტს/აღჭურვას (87.4%), საბავშვო ბაღების რემონტს/აღჭურვას (91.7%), სამედიცინო დაწესებულებების რემონტს/აღჭურვას (79.6%) და გარე განათებას (94.2%).

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 8.7%-ის თანახმად სკოლების რემონტის/ აღჭურვის შედეგად მათი ოჯახის წევრის სასკოლო განათლების დონე ამაღლდა. ხოლო 15.7% ამბობს, რომ

სამედიცინო დაწესებულებების რემონტის/აღჭურვის შედეგად მათი ოჯახის წევრების სამედიცინო მომსახურება გაუმჯობესდა. (იხ. ცხრილი #37)

ცხრილი #37

	გზების მშენებლობა/რემონტი (N = 1123)	**გაზმომარაგება (N =1077)**	**წყლისსისტემებიანობა/მეკვნა (N = 898)**	**ვანსკვლავი (N =872)**	**საცხოვრებელი/ოფისი (N =833)**	**სამედიცინო წესებიანობა/ინტერნეტ/ელექტრონული ფოსტა (N = 754)**	**გაზიფიკაცია (N = 988)**
თქვენ მიერ აღნიშნული ინფრასტრუქტურის აღდგენა/გაუმჯობესებამ რა გავლენა მოახდინა თქვენი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე? (%)							

ჩემი ოჯახის ზოგიერთი უმუშევარი წევრი დასაქმდა	2,7	1,2	0.9	0.5	0.6	0.9	0.5
ჩემმა ოჯახმა დაიწყო/განავითარა მცირე/საშუალო ბიზნესი	0.9	1.0	1.3	-	0.1	0.4	0.7
ჩემი ოჯახის შემოსავლები (ფულადი ან ნატურალური) გაიზარდა	0.7	2,4	1.1	0.1	0.1	-	0.2
ჩემმა ოჯახმა დაიწყო საბავშვო ბაღების მომსახურებით სარგებლობა	0.1	0.1	-	0.6	4.4	-	0.1
ჩემი ოჯახის წევრების სასკოლო განათლების დონე ამაღლდა	0.5	0.2	-	8.7	0.5	-	0.1
ჩემი ოჯახის წევრების სამედიცინო მომსახურება გაუმჯობესდა	0.4	0.3	0.5	0.3	0.2	15.7	
ხელი შეუწყო ქვემო ქართლის რეგიონიდან სეზონური მიგრაციის პროცესს	0.1	-	-	-	-	0.2	-
ხელი შეუწყო ქვემო ქართლიდან მიგრირებული ხალხის უკან დაბრუნებას	0.2	0.2	0.3	0.5	0.2	-	-
პირდაპირი გავლენა არ ჰქონია	91.5	90.6	93.2	87.4	91.7	79.6	94.2
უარი პასუხზე	0.9	0.9	0.9	0.7	0.4	0.6	0.8
მიჭირს პ/გ	2.2	3.1	1.8	1.2	1.7	2.6	3.4

მიკრო საფინანსო ორგანიზაციები

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობის (84.9%) თანახმად, მათ რაიონში/ქალაქში არის მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები ან ბანკები. რესპონდენტთა მხოლოდ 8.2% ამბობს, რომ მათ რაიონში/ქალაქში ასეთი დაწესებულებები არ არის. აღნიშნულ კითხვაზე, 7%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

რესპონდენტებს, ვინც დაასახელა, რომ მათ რაიონში/ქალაქში არის მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები ან ბანკები, დაესვათ კითხვა, უცდიათ თუ არა მათ ან მათი ოჯახის წევრს მიკრო საფინანსო სესხის მიღება. გამოკითხულთა თანახმად, სესხის მიღების მცდელობა 31.7%-ს ჰქონდა, ხოლო 64.9% ასეთ გამოცდილებას უარყოფს. 3.4%-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

სესხის ასაღებად რესპონდენტთა დიდმა უმრავლესობამ (93.2%) მიკრო-საფინანსო ორგანიზაციას ან ბანკს მიმართა საკუთარ საცხოვრებელ რაიონში/ქალაქში. მხოლოდ 3.8% არის ისეთი, ვინც შესაბამის დაწესებულებას რეგიონის სხვა რაიონში/ქალაქში მიმართა. თბილისში სესხის თაობაზე განაცხადი გააკეთა 1.8%-მა. გამოკითხულთა 1.2%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

რესპონდენტებმა, რომელთაც სურდათ მიკრო საფინანსო სესხის მიღება, დაასახელეს, რამდენად შედეგიანი იყო მათი მცდელობა. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (81.6%) ამბობს, რომ მიკრო საფინანსო სესხი სრულად მიიღო, ხოლო 11.4% მიუთითებს სესხის მიღებაზე, თუმცა უფრო მცირე ოდენობით, ვიდრე სურდა. (იხ. დიაგრამა #25)

დიაგრამა #25



11 რესპონდენტი ასახელებს, რომ ვერ მიიღო საფინანსო სესხი. მათ შორის 5 ამბობს, რომ მიზეზი გახდა სესხისათვის საჭირო საგარანტო კაპიტალის არქონა. ასევე 5 რესპონდენტი ამბობს, რომ უარის თაობაზე დასაბუთებული პასუხი არ მიუღია. ხოლო 1 რესპონდენტისათვის უარის თქმის მიზეზი, ბიზნეს წინადადების დაწუნება გახდა.

გამოკითხულთა იმ ნაწილს, ვისაც რაიმე ბარიერი შეხვდა მიკრო საფინანსო სესხის აღებისას, ეთხოვათ დაესახელებინათ, კონკრეტულად რა ბარიერები იყო ეს. რესპონდენტთა შედარებით დიდი წილი (34.2%) ამბობს, რომ ამის სერიოზული ბარიერი არ არსებობს, ხოლო მეხუთედზე მეტი (21.3%) ამბობს, რომ ინფორმაცია მიკრო საფინანსო სესხების გაცემის პირობების შესახებ არადამაკმაყოფილებელია. 12.9%-ის თანახმად, საფინანსო ორგანიზაციებში კლიენტებს უგულისყუროდ ეპყრობიან. 12.7% ამბობს, რომ მიკრო საფინანსო ორგანიზაციები შორს არის მათი საცხოვრებელი ადგილიდან. (იხ. დიაგრამა #26)

დიაგრამა #26



ეთნიკური ჯგუფების ჩართულობა სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში

რესპონდენტებს დაესვათ კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მონაწილეობენ მათი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. როგორც აღმოჩნდა, ყველა შეთავაზებული საქმიანობის ჭრილში, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა მიუთითებს, რომ თემი აქტიურად ან მეტ-ნაკლებად ჩართულია ამ საქმიანობაში. კონკრეტულად:

- გამოკითხულთა 88.4% ამბობს, რომ მისი თემის წევრები აქტიურად (47.8%) ან მეტ-ნაკლებად (40.6%) არიან ჩართული საკუთარი ბიზნესის საქმიანობაში;
- რესპონდენტთა 85.8%-ის თანახმად, მათი თემის წარმომადგენლები აქტიურად (38.3%) ან მეტ-ნაკლებად (47.5%) არიან კერძო ბიზნესში დასაქმებულები;
- შედარებით დაბალია (66.3%), თუმცა კვლავ უმეტესობას შეადგენს, რესპონდენტთა წილი, ვინც მიუთითებს, რომ თემის წევრები სახელმწიფო სტრუქტურებში აქტიურად (17.7%) ან მეტ-ნაკლებად (48.6%) არიან დასაქმებული;
- ფ ორგანოებში აქტიურ (25.4%) ან მეტ-ნაკლებად (54.7%) თემის წევრების ჩართულობაზე მიუთითებს 80.1%.(დიაგრამა #27)

დიაგრამა #27



პანკისსა და სამცხე-ჯავახეთში გამოკითხული რესპონდენტების დიდი უმრავლესობა საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ჩართულობას ყველა შეთავაზებულ სფეროში დადებითად აფასებს. კონკრეტულად, საკუთარი ბიზნესის (პანკისი-84.9%; სამცხე-ჯავახეთი-97.6%) კერძო ბიზნესში დასაქმების (პანკისი - 82.2%; სამცხე-ჯავახეთი - 92.7%;) სახელმწიფო სტრუქტურების (პანკისი - 87.1%; სამცხე-ჯავახეთი - 95.8%) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (პანკისი - 95.2%; სამცხე-ჯავახეთი - 95.2%).

როგორც აღმოჩნდა შეთავაზებულ სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობებს შორის, კახეთის რეგიონში გამოკითხულ რესპონდენტთა შეფასებით, მათი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები აქტიურად, ან მეტ-ნაკლებად არიან ჩართული საკუთარი ბიზნესის წარმოებაში (98.6%), ასევე, არიან კერძო ბიზნესში დასაქმებული (97.2%). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (67.6%) საქმიანობის თვალსაზრისით ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ჩართულობა ასევე დადებითად ფასდება. შედარებით დაბალია აქტივობა სახელმწიფო ტრუქტურების სფეროში (33.9%).

ქვემო ქართლის შემთხვევაში, რესპონდენტთა მიახლოებით ნახევარი მიუთითებს მათი ეთნიკური ჯგუფის აქტიურ ან მეტ-ნაკლებ მონაწილეობაზე საკუთარი ბიზნესის (53.4%), კერძო ბიზნესში დასაქმების (54.4%), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიების (50.6%) მიმართულებით. მეორე მხრივ, კახეთის რეგიონის მსგასვად, დაბალი ჩართულობა იკვეთება სახელმწიფო სტრუქტურების ფარგლებში (28%). (იხ. ცხრილი #38)

ცხრილი #38

გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად მონაწილეობენ თქვენი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში? (%)		აქტიურად არიან ჩართულნი	მეტ-ნაკლებად არიან ჩართულნი	არ არიან ჩართულნი	უარი პასუხზე	მიჭირს პასუხის გაცემა
კახეთი (N=379)	საკუთარი ბიზნესი	63.1	35.5	-	-	1.4
	კერძო ბიზნესში დასაქმებული	53.6	43.6	0.8	-	2.1
	სახელმწიფო სტრუქტურები	1.5	32.4	39.1	15.9	11.1
	ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები	9.2	58.6	10.8	13.9	7.4
პანკისი პანკისი (N=370)	საკუთარი ბიზნესი	12.3	72.6	6.4	3.1	5.6
	კერძო ბიზნესში დასაქმებული	3.0	79.2	4.5	4.9	8.4
	სახელმწიფო სტრუქტურები	-	87.1	5.5	1.8	5.6
	ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები	21.1	73.4	5.6	-	-
სამცხე-ჯავახეთი (N=379)	საკუთარი ბიზნესი	59.0	38.6	0.5	0.7	1.2
	კერძო ბიზნესში დასაქმებული	50.4	42.3	4.8	0.7	1.9
	სახელმწიფო სტრუქტურები	41.1	54.7	1.7	0.7	1.9
	ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები	41.1	54.1	2.2	0.7	1.9
ქვემო ქართლი (N=381)	საკუთარი ბიზნესი	27.2	26.2	12.5	28.6	5.5
	კერძო ბიზნესში დასაქმებული	15.2	39.2	7.9	28.6	9.0
	სახელმწიფო სტრუქტურები	1.2	26.8	29.0	28.6	14.3
	ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები	16.3	34.4	7.8	28.6	13.0

რესპონდენტთა შედარებით დიდი წილის (40.8%) შეფასებით ეთნიკური ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაურთველობას ენის ცოდნის ბარიერი იწვევს. მიზეზებს შორის, შედარებით ხშირად, ასევე სახელდება განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობა (12.1%) და არაპროფესიონალიზმი (12.4%), როგორც მიზეზები. (იხ. დიაგრამა #28)

დიაგრამა #28



პროგრამებით/პროექტებით სარგებლობა

როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტებს ან/და მათი ოჯახის წევრებს, ძირითად შემთხვევებში, არ უსარგებლიათ შეთავაზებული პროგრამებით/პროექტებით. კონკრეტულად, რესპონდენტებს არ მიუღიათ მონაწილეობა შემდეგ პროგრამებში/პროექტებში: სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ (85.2%), პროგრამა „დანერგე მომავალი“ (89.6%), აგროდაზღვევის პროგრამა (90%), შეღავათიანი აგროკრედიტი (80.8%), მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (91.1%), ფერმათა/ ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი (89%). რესპონდენტები მცირედ აქტივობას აფიქსირებენ ორი პროექტის მიმართულებით: შეღავათიანი აგროკრედიტი (8.5%) და სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ (5.2%). (იხ. დიაგრამა #29)

დიაგრამა #29



იმ რესპონდენტებს, ვინც განახადა, რომ არ მიუღია მონაწილეობა შეთავაზებულ პროგრამებში, დაესვათ კითხვა ამის მიზეზების შესახებ. გამოკითხულთა შედარებით დიდი წილი (37.3%) ამბობს, რომ პროგრამის შესახებ არ ჰქონდა დეტალური ინფორმაცია. რესპონდენტთა მიახლოებით მეხუთედის (18.3%) თანახმად, აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურება არ ესაჭიროებოდათ. ხაზგასასმელია, რომ გამოკითხულთა 14.5% ამბობს, რომ არ სჯერა პროგრამის ეფექტიანობის. (იხ. დიაგრამა #30)

დიაგრამა #30



რესპონდენტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ პროგრამებში, დაესვათ კითხვა, თუ რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა მათი ჩართულობა. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51.2%) ამბობს, რომ პროგრამა მეტ-ნაკლებად სასარგებლო იყო. ასევე რესპონდენტთა დიდი ნაწილი (37.7%) მიუთითებს, რომ პროგრამა სასარგებლო იყო. მხოლოდ 5 რესპონდენტი (9.3%) ამბობს, რომ პროგრამა სასარგებლო არ იყო. 1 რესპონდენტს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

მათ შორის, ვინც ამბობს, რომ პროგრამა სასარგებლო არ იყო. 4 რესპონდენტი ამის მიზეზად პროგრამის ფარგლებში მიღებულ მომსახურებას ასახელებს, ხოლო 1 რესპონდენტი ამბობს, რომ პროექტი არ დაუფინანსეს.

თავი 10. სოციალური დაცვა

გამოცდილება უმწეოთა ბაზასთან მიმართებით

რესპონდენტებმა ისაუბრეს სოციალური დაცვის საკითხების მიმართ ცოდნასა და გამოცდილებაზე. გამოკითხულთა უმეტესი წილი (70%) ამბობს, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის შესახებ სმენია. მეორე მხრივ, 30%-ს ასეთი ბაზის არსებობის შესახებ არ ავს ინფორმაცია.

იმ რესპონდენტებს, რომელთაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის შესახებ სმენიათ, დაესვათ კითხვა, იციან თუ არა, რა ტიპის დახმარებები გაიცემა უმწეოთა ბაზის საფუძველზე. გამოკითხულთა შედარებით დიდი წილი (43%) ამბობს, რომ ბაზის საფუძველზე გაიცემა ფულადი სოციალური დახმარება. ასევე მნიშვნელოვანი წილი მიუთითებს, რომ გაიცემა სამედიცინო დაზღვევა (16.4%), პენსია (11.4%), შეღავათები გადასახადებზე (7.5%) და სურსათით დახმარება (6.3%). (იხ. დიაგრამა #31)

დიაგრამა #31



რესპონდენტებს (რომელთაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის შესახებ სმენიათ) დაესვათ კითხვა, ჰქონდათ თუ არა შეტანილი განაცხადი უმწეო ოჯახების მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად. როგორც ირკვევა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (58.1%) ასეთი გამოცდილება არ აქვს. თუმცა, ასევე დიდია მათი წილი (41.9%), ვისაც ჰქონია შეტანილი განაცხადი უმწეო ოჯახების ბაზაში მოსახვედრად.[57]

გამოკითხულთა იმ ნაწილმა, რომელსაც უმწეოთა ბაზაში მოსახვედრად განაცხადი არ შეუტანია, ამის მიზეზები დაასახელეს. როგორც ირკვევა, რესპონდენტთა 34.4% ფიქრობს, რომ დახმარება არ ეკუთვნოდა, რამდენადაც მათი ქულა სიღარიბის ზღვარს მაღლა იქნება. რესპონდენტთა მიახლოებით მეოთხედი (26%) ამბობს, რომ განაცხადის შეტანის საჭიროება არ არსებობდა. ასევე მნიშვნელოვანი წილი (11.1%) მიზეზად ასახელებს პირობების არასწორად შეფასების შიშს. (იხ. დიაგრამა #32)

დიაგრამა #32



[57] თუ ამ მონაცემს მთელი შერჩევიდან დავითვლით (და არა მხოლოდ იმათგან, ვისაც სმენია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის შესახებ), აღმოჩნდება, რომ რესპონდენტთა ოჯახების დაახლოებით 30%-ს შეტანილი აქვს განაცხადი უმწეოთა ბაზაში მოსახვედრად, ხოლო 41%-ს - არა.

მათ შორის, ვისაც განაცხადი არ აქვს გაკეთებული, დიდი უმრავლესობა (83.2%) ამბობს, რომ არ აპირებს სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის დახმარების მიზნით მიმართვას. მხოლოდ 6.7% არის ისეთი, ვინც აპირებს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს დახმარებისათვის მიმართოს. 10.1%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

იმ გამოკითხულებიდან, ვინც ა) დაადასტურა, რომ მათ ოჯახს შეტანილი ჰქონდა განაცხადი უმწეო ოჯახების მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად (ასეთია სულ 444 ოჯახი, რაც მთელი შერჩევის თითქმის 30%-ს შეადგენს) და ბ) სარეიტინგო ქულის დასახელებაზე უარი არ განაცხადა, დაახლოებით მეხუთედი (21.3%) აფიქსირებს, რომ ამჟამად მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა მოქცეულია 0-57000 დიაპაზონში. თითქმის თანაბარია რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ ოჯახის სარეიტინგო ქულა 57001-70000 (17.5%) ან 100001-200000 (17.9%) დიაპაზონშია მოქცეული. 70001-100000 ქულებს შორის მოქცეულია რესპონდენტთა ოჯახების 12.7%-ის სარეიტინგო ქულა. ხოლო ყველაზე ნაკლები წილი (4.1%) მიუსადაგება 200001-ზე მეტ ქულას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მეოთხედზე მეტს (26.5%) უჭირს პასუხის გაცემა.

კახეთისა (27.8%) და პარნკისის (24%) რეგიონებში რესპონდენტები შედარებით ხშირად აქცევენ თავიანთი ოჯახის სარეიტინგო ქულას 0-57000 დიაპაზონში. ასევე, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი წილი აფიქსირებს 57001—70000 (კახეთი-20%; პანკისი-17.1%) და 100001-200000 (კახეთი-22.2%; პანკისი-16.3%) სარეიტინგო ქულის დიაპაზონებს.

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რესპონდენტთა მიერ მიახლოებით თანაბარი წილით სახელდება 57001-70000 (20%), 70001-100000 (20%) და 100001-200000 (22%) სარეიტინგო ქულის დიაპაზონები.

კახეთის რეგინის ჭრილში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობას (72.7%) უჭირს ოჯახის სარეიტნგო ქულის დასახელება. შედარებით ხშირად დასახელებადი სარეიტინგო ქულა არის 0-57000 დიაპაზონი, თუმცა ეს შეფასება კახეთში მხოლოდ გამოკითხულთა 13.6%-ის მიერ კეთდება. (იხ. დიაგრამა #33)

დიაგრამა #33



რესპონდენტებმა, რომლებმაც დაასახელეს თავიანთი ოჯახის სარეიტინგო ქულა, შეაფასეს, რამდენად შეესაბამება იგი მათ ეკონომიკურ მდგომარეობას. გამოკითხულთა შედარებით დიდი წილი თვლის, რომ შეფასება არ შეესაბამება რეალობას (38.5%), რადგან მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა უფრო დაბალია. მეორე მხრივ, ასევე რესპონდენტთა დიდი წილი (36.3%) თვლის, რომ სარეიტინგო ქულა ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას დაახლოებით შეესაბამება. აღსანიშნავია, რომ 13.3%-ის მოსაზრებით, მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა უფრო მაღალია, ვიდრე შეფასდა. (იხ. დიაგრამა #34)

დიაგრამა #34



სოფლის დახმარების პროგრამა

როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას (71.2%) არ სმენია სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ. მეოთხედზე მეტია (28.8%), რესპონდენტთა წილი, ვისაც ამ პროგრამის თაობაზე აქვს ინფორმაცია.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (52.9%) ადასტურებს, რომ მათ სოფელში ხორციელდება სოფლის დახმარების პროგრამა. მეორე მხრივ, მიახლოებით მეხუთედი (20.2%) ასეთი პროგრამის განხორციელებას უარყოფს. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვან წილს (27%) უჭირს პასუხის გაცემა.

რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (46.3%) ამბობს, რომ სოფლის საჭიროებების განსაზღვრისათვის ჩატარდა სოფლის კრება ან გამოკითხვა. მეხუთედზე მეტია (22.7%) რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ საჭიროებების განსაზღვრისათვის შესაბამისი ღონისძიებები არ გატარებულა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა დიდ წილს (30.9%), ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

მათ შორის, ვინც მიუთითებს, რომ მათ სოფელში ჩატარდა სოფლის კრება ან გამოკითხვა, 60.7% ამბობს, რომ თავადაც მიიღო მონაწილეობა ამ პროცესში. 35.7% არის ისეთი, ვისაც აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა არ მიუღია. 3.6%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

15 რესპონდენტი ამბობს, რომ სოფლის კრებაში ან გამოკითხვაში არ მიიღო მონაწილეობა, რადგან არ ჰქონდა შესაბამისი დრო. ასევე 15 რესპონდენტი აფიქსირებს, რომ სხვა სოფლის მცხოვრებლების გადაწყვეტილებას ენდობა. 9 რესპონდენტი არ იყო ინფორმირებული შეხვედრის/გამოკითხვის შესახებ. ხოლო 3 რესპონდენტი თვლის, რომ მაინც არაფერი გადაწყდება ობიექტურად. (იხ. ცხრილი #39)

ცხრილი #39

რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ სოფლის კრებაში ან გამოკითხვაში? (N=48)	**N**	**%**
არ ვიყავი ინფორმირებული ამის შესახებ	9	19.9
დრო არ გვქონდა	15	30.9
ვფიქრობ, რომ მაინც არაფერი გადაწყდება ობიექტურად	3	5.4
სხვა სოფლის მცხოვრებლების გადაწყვეტილებას ვენდობი	15	32.5
უარი პასუხზე	2	3.3
მიჭირს პასუხის გაცემა	4	8.0

რესპონდენტთა შედარებით დიდი წილი (32.7%) მიუთითებს, რომ სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში მათ სოფელში გზების რეაბილიტაციის საკითხი გადაწყდა. მეოთხედზე მეტი (29.3%) მიუთითებს გარე განათების გამართვაზე, ხოლო 16.6% - წყლის მიწოდების გაუმჯობესებაზე. შემთხვევების 9.7%-ში დახმარება ეხებოდა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ხოლო შედარებით მცირე წილი (4.8%) მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენაზე. (იხ. დიაგრამა #35)

დიაგრამა #35



თავი 11. ეთნიკური უმცირესობების უფლებები და ინტერაქციები

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა

რესპონდენტებმა ისაუბრეს ეთნიკური ჯგუფების უფლებებზე. კონკრეტულად, ყველა ჯგუფთან მიმართებით, გამოკითხულთა შედარებით მეტი წილი მიუთითებს, რომ ამ ჯგუფის უფლებები მათ რაიონში/ქალაქში სრულად ან უფრო დაცულია. აზერბაიჯანელების შემთხვევაში, უფლებათა დაცვაზე მიუთითებს 49% (სრულიად დაცულია-36.5%; უფრო დაცულია-12.5%), ქისტების შემთხვევაში 41.8% (სრულიად დაცულია-27.3%; უფრო დაცულია-14.4%), სომხების შემთხვევაში 52.6% (სრულიად დაცულია-41.6%; უფრო დაცულია-10.9%). ქართველების ეთნიკური ჯგუფების შემთხვევაში უფლებათა დაცვაზე გამოკითხულთა სრული უმრავლესობა (90.7%) მიუთითებს (სრულიად დაცულია-76.1%; უფრო დაცულია-14.7%). (იხ. დიაგრამა #36)

დიაგრამა #36



აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ ყველა რეგიონში რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა მიუთითებს ეთნიკურად ქართველი ჯგუფების უფლებების დაცვაზე (სრულიად დაცულია, უფრო დაცულია): კახეთი - 91.6%, პანკისი - 86.3%, სამცხე-ჯავახეთი - 96.5%, ქვემო ქართლი - 88.3%.

კახეთში გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა მიუთითებს, რომ მათ რაონში/ქალაქში დაცულია ეთნიკურად აზერბაიჯანელი ჯგუფის უფლებები -77.5%. ხოლო ქისტებისა (49%) და სომხების (45.9%) შემთხვევაში, უფლებების დაცვაზე გამოკითხულთა მიახლებით ნახვარი მიუთითებს.

პანკისის რეგიონში ეთნიკურად ქისტი ჯგუფის უფლებების დაცულობაზე მიუთითებს რესპონდენტთა სრული უმრავლესობა (97.2%). გამოკითხულთა მიახლოებით ნახევარი მიუთითებს, რომ მათ რაიონში/ქალაქში არ ცხოვრობენ აზერბაიჯანელები (47.8%) და სომხები (53.2%). მეორე მხრივ, რესპონდენტთა მიახლოებით მეოთხედი მიუთითებს ეთნიკურად აზერბაიჯანელი (26.5%) და სომეხი (22.9%) ჯგუფების უფლებები დაცულია.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამოკიტხულ რესპონდეტთა დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ მათ რაიონში/ქალაქში არ ცხოვრობენ აზერბაიჯანელები (90.6%) და ქისტები (90.9%). ხოლო, რაც შეეხება ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (95.8%) მიუთითებს მათი უფლებების დაცვაზე.

ქვემო ქართლში გამოკითხული რესპონდენტების დიდი უმრავლესობა (90.7%) ადასტურებს ეთნიკურად აზერბაიჯანელთა უფლებების დაცვას. სომხების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 44.9%-ია, ხოლო ქისტების შემთხვევაში კიდევ უფრო დაბალი - 22.3%. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ ქვემო ქართლის რეგიონში გამოკითხულთა მნიშვნელოვანი წილი ასახელებს, რომ მათ რაიონში/ქალაქში ეთნიკურად სომხები (28.1%) და ქისტები (37.5%) არ ცხოვრობენ. (იხ. ცხრილი #40)

ცხრილი #40

თქვენს რაიონში/ქალაქში რამდენად დაცულია ქვემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფების უფლებები? (%)		**სრულიად დაცულია**	**უფრო დაცულია**	**ალბათ დაცულია**	**ალბათ არ დაცულია**	**არ ცხოვრობენ**	**მიჭირს პასუხის გაცემა**	**პასუხზე უარი**
კახეთი (N=379)	აზერბაიჯანელები	56.8	20.7	17.3	0.3	-	0.6	4.3
	ქისტები	37.3	11.6	6.3	1.5	26.7	1.5	15.0
	სომხები	35.4	10.5	1.9	1.5	25.9	4.1	20.7
	ქართველები	67.4	24.2	1.5	0.3	-	1.0	5.7
პანკისი (N=370)	აზერბაიჯანელები	15.3	11.7	1.2	1.0	47.8	3.5	19.5
	ქისტები	53.0	44.2	1.4	0.6	-	0.9	-
	სომხები	12.7	10.3	0.4	1.0	53.2	3.5	18.9
	ქართველები	69.1	17.3	0.7	0.6	-	3.7	8.7
სამცხე-ჯავახეთი (N=379)	აზერბაიჯანელები	-	-	-	-	90.6	1.0	8.4
	ქისტები	-	-	-	-	90.9	1.0	8.1
	სომხები	79.3	16.5	1.5	-	-	1.1	1.6
	ქართველები	84.4	12.1	0.2	-	-	1.1	2.1
ქვემო ქართლი (N=381)	აზერბაიჯანელები	73.1	17.6	3.5	1.0	-	4.0	0.7
	ქისტები	19.6	2.6	1.0	-	37.5	17.5	21.7
	სომხები	38.5	6.4	0.5	0.3	28.1	12.1	13.9
	ქართველები	83.2	5.1	7.3	-	-	4.4	-

ეთნიკურად ქართველებსა და არაქართველებს შორის ურთიერთობა

საცხოვრებელ ადგილას ეთნიკურად ქართველებსა და არაქართველებს შორის ურთიერთობას რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (68.2%) აფასებს, როგორც მეგობრულს და კეთილმეზობლურს. მეორე მხრივ, გამოკითხულთა მეოთხედზე მეტი (28.8%) ურთიერთობას აფასებს როგორც ნეიტრალურს. დაძაბულ ურთიერთობაზე მიუთითებს მხოლოდ 5 რესპონდენტი და კონფლიქტურზე - 1 რესპონდენტი.

ეთნიკურად ქართველებსა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა მეგობრულად და კეთილმეზობრულად ფასდება ასევე გამოკითხული რეგიონების ჭრილში. აღსანიშნავია, რომ კახეთსა (73%) და ქვემო ქართლში (71.8%) რესპონდენტები მცირედით მეტად მიუთითებენ მეგობრულ/კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე, ვიდრე პანკისსა (63.6%) და სამცხე-ჯავახეთში (64.4%). პანკისის შემთხვევაში გამოკითხულთა წილი, ვინც ნეიტრალურ ურთიერთობაზე მიუთითებს (35%), მცირედით აღემატება სხვა რეგიონების ამავე მაჩვენებელს: კახეთი-24.6%, სამცხე-ჯავახეთი-29.1%, ქვემო ქართლი-26.9%. (იხ. დიაგრამა #37)

დიაგრამა #37



კორელაციური ანალიზის შედეგად დგინდება, რომ რაც უფრო უკეთ იციან რესპონდენტებმა ქართული ენა, მით მაღალია გამოკითხულთა წილი, ვინც თავიანთ საცხოვრებელ ადგილად ეთნიკურად ქართველებსა და არაქართველებს შორის ურთიერთობას მეგობრულსა და კეთილმეზობლურს უწოდებს (ცუდად - 61.6%; საშუალოდ - 72.3%; კარგად - 73.3%). ტენდენცია ნარჩუნდება კახეთის (ცუდად-54.3%; საშუალოდ-80.3%; კარგად-90.7%) და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში (ცუდად-57.5%; საშუალოდ-64.3%; კარგად-80.2%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$). (იხ. ცხრილი #41)

ცხრილი #41

თქვენს საცხოვრებელ ადგილას ეთნიკურად ქართველებსა და არაქართველებს შორის ურთიერთობა არის.. (%)		ქართული ენიც ცოდნის დონე			
		ცუდად	საშუალოდ	კარგად	მიჭირს პასუხის გაცემა
რესპონდენტები (N=1510)	მეგობრული და კეთილმეზობლური	61.6	72.3	73.3	11.1
	ნეიტრალური (ერთმანეთს არ აწუხებენ)	34.1	25.9	25.4	44.4
	დაძაბული	0.6	-	0.2	-
	კონფლიქტური	0.2	-	-	-
	უარი პასუხზე	0.2	1.2	0.3	
	მიჭირს პასუხის გაცემა	3.3	.6	0.8	44.4
კახეთი (N=379)	მეგობრული და კეთილმეზობლური	54.3	80.3	90.7	33.3
	ნეიტრალური (ერთმანეთს არ აწუხებენ)	44.2	15.7	9.3	33.3
	დაძაბული	0.7	-	-	-
	უარი პასუხზე		3.1	-	
	მიჭირს პასუხის გაცემა	0.7	.8	-	33.3
სამცხე-ჯავახეთი (N=389)	მეგობრული და კეთილმეზობლური	57.5	64.3	80.2	-
	ნეიტრალური (ერთმანეთს არ აწუხებენ)	33.3	35.7	16.8	14.3
	დაძაბული	-	-	1.0	-
	მიჭირს პასუხის გაცემა	9.2	-	2.0	85.7

გამოკითხულთა ნახევარი (50.5%) ამბობს, რომ ეთნიკურად არაქართველებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი არასოდეს ხდება. ხოლო რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი (28.5%) ამბობს, რომ კონფლიქტს იშვიათად აქვს ადგილი.

კახეთსა (60.4%) და ქვემო ქართლში (78.4%) გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ასახელებს, რომ ჯგუფებს შორის კონფლიქტი არასოდეს ხდება. სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში ამ მოსაზრებას გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლები ეთანხმება (47.2%), ხოლო პანკისში მხოლოდ 15.1%.

აღსანიშნავია, რომ პანკისში გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53.8%) მიუთითებს, რომ კონფლიქტს იშვიათად აქვს ადგილი, ხოლო მიახლოებით მეხუთედი (18.9%) ამბობს, რომ ეს არც თუ ისე იშვიათად ხდება. (იხ. დიაგრამა #38)

დიაგრამა #38



რესპონდენტებმა, რომელთაც დააფიქსირეს, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი რაიმე ინტენსივობით ხდება, დაასახელეს ამის ძირითადი მიზეზები. შემთხვევათა მეოთხედში (25.6%) კონფლიქტი გამოწვეულია საყოფაცხოვრებო პრობლემებთან დაკავშირებული უთანხმოებით. თითქმის მეხუთედი (17.8%) ამბობს, რომ ადგილი აქვს რელიგიურ ნიადაგზე უთანხმოებას. რესპონდენტთა 11.5% მიუთითებს ეროვნულ ნიადაგზე უთანხმოებაზე.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის ჭრილში იკვეთება გარკვეული სხვადასხვაობები. კახეთსა (17.1%) და სამცხე-ჯავახეთში (31.3%) კონფლიქტის მიზეზად შედარებით ხშირად სახელდება საყოფაცხოვრებო პრობლემასთან დაკავშირებული უთანხმოება. პანკისის შემთხვევაში გამოკითხულთა შედარებით დიდი წილი მიზეზად ასახელებს რელიგიურ ნიადაგზე უთანხმოებას (31.4%), თუმცა ასევე მნიშვნელოვანწილად სახელდება საყოფაცხოვრებო პრობლემებთან დაკავშირებული უთანხმოება (25%). რაც შეეხება ქვემო ქართლის რეგიონს. რესპონდენტები მიახლოებით თანაბრად ასახელებენ ეროვნულ ნიადაგზე უთახმოებასა (27.6%) და საყოფცხოვრებო პრობლემებთან დაკავშირებულ უთანხმოებას (27.7%). (იხ. დიაგრამა #39)

დიაგრამა #39



რესპონდენტებმა ისაუბრეს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მათ ურთიერთობებზე:

- აზერბაიჯანელების შემთხვევაში, რესპონდენტთა შედარებით დიდი წილი (30.1%) ამბობს, რომ აქვს ნათესაური ურთიერთობა. ამასთანავე, გამოკითხულთა მეხუთედი (19.9%) მიუთითებს მეგობრულ ურთიერთობაზე. მეორე მხრივ, რესპონდენტთა მეოთხედი (25.2%) ამბობს, რომ ამ ეთნიკური ჯგუფის წევრებთან საერთოდ არ აქვს ურთიერთობა.
- რუსების შემთხვევაში, გამოკითხულთა მეხუთედი (19.1%) მიუთითებს მათთან მეგობრულ ურთიერთობაზე.
- სომხების შემთხვევაში მეხუთედის (20.7%) მიერ სახელდება ნათესაური კავშირები, ხოლო ასევე მნიშვნელოვანი წილი (17.3%) ასახელებს მეგობრული ტიპის ურთიერთობას
- ქართველების მიმართ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (55.2%) ურთიერთობას განსაზღვრავს, როგორც მეგობრულს
- ქისტების ეთნიკური ჯგუფთან მიმართებით, რესპონდენტთა მიახლოებით მეხუთედი (22.8%) ამბობს, რომ აქვს ნათესაური კავშირი.
- რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ ბერძნებთან (93.5%), რუსებთან (64.7%), სომხებთან (54.4%) და ქისტებთან (53.7%) საერთოდ არ აქვს ურთიერთობა. (იხ. დიაგრამა #40)

დიაგრამა #40



თავი 12. მასმედია

ინფორმაციის მიღების ენა

როგორც რესპონდენტთა შედარებით დიდი წილი (42%) აღნიშნავს, ისინი საქართველოში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებზე ქართულად იღებენ ინფორმაციას. გამოკითხულთა მიახლოებით მეხუთედი (22.6%) ინფორმაციას აზერბაიჯანულ ენაზე იღებს. ხოლო, ასევე მნიშვნელოვანი წილი (17.1%) სომხურ ენაზე. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 10.6% საერთოდ არ ეცნობა ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკური მოვლენების შესახებ.

კახეთში ინფორმაციის მიღების ძირითად ენებს წარმოადგენს ქართული (32.1%) და აზერბაიჯანული (34.1%). პანკისის შემთხვევაში რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (95%) ინფორმაციას ქართულ ენაზე იღებს. სამცხე ჯავახეთისათვის ინფორმაციის მიღების ძირითადი ენა არი სომხური (63.3%), თუმცა ასევე მნიშვნელოვანწილად სახელდება ქართული (18.4%). ქვემო ქართლის რესპონდენტთა უმრავლესობა ინფორმაცია იღებს აზერბაიჯანულად (63.3%), მეორე მხრივ, მიახლოებით მეხუთედისთვის (22.8%) ინფორმაციის მიღების ენა ქართულია. (იხ. დიაგრამა #41)

დიაგრამა #41



კორელაციური ანალიზის თანახმად ირკვევა, რომ რაც უფრო იზრდება განათლების მიღწეული დონე, მით უფრო იზრდება რესპონდენტთა წილი, ვინც საქართველოში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციას ქართულ ენაზე იღებს:

- არასრული საშუალო განათლება / დაწყებითი განათლება / განათლების გარეშე - 26%
- სრული საშუალო განათლება - 42.8%
- საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება - 44.1%
- უმაღლესი განათლება (არასრული / სრული ხარისხი) – 63%

დამატებით, ამის პარალელურად, მცირდება რესპონდენტთა წილი, ვინც აფიქსირებს, რომ სიახლეებს არ იღებს/არ ეცნობა:

- არასრული საშუალო განათლება / დაწყებითი განათლება / განათლების გარეშე - 25.7%
- სრული საშუალო განათლება - 7.3%
- საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება - 2.8%
- უმაღლესი განათლება (არასრული / სრული ხარისხი) – 2.9%

ქართულ ენაზე ინფორმაციის მიღების მხრივ, ტენდენცია ნარჩუნდება კახეთის, სამცხე ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

კახეთი:

- არასრული საშუალო განათლება / დაწყებითი განათლება / განათლების გარეშე - 19.5%
- სრული საშუალო განათლება - 43%
- საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება - 50%
- უმაღლესი განათლება (არასრული / სრული ხარისხი) – 62%

სამცხე-ჯავახეთი:

- არასრული საშუალო განათლება / დაწყებითი განათლება / განათლების გარეშე - 14.3%
- სრული საშუალო განათლება - 16%

- საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება - 15.1%
- უმაღლესი განათლება (არასრული / სრული ხარისხი) – 28%

ქვემო ქართლი:

- არასრული საშუალო განათლება / დაწყებითი განათლება / განათლების გარეშე - 12.9%
- სრული საშუალო განათლება - 22.4%
- საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება - 20%
- უმაღლესი განათლება (არასრული / სრული ხარისხი) – 41.5%

მონაცემები არის სტატისტიკურად სანდო P<0.05 (იხ. ცხრილი #42)

ცხრილი #42

		განათლების მიღწეული დონე			
რა ენაზე იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შესახებ?		**არასრული საშუალო განათლება/დაწყებითი/ განათლების გარეშე**	**სრული საშუალო განათლება**	**საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება**	**უმაღლესი განათლება (არასრული /სრული/ხარისხი)**
რესპონდენტები (N=1510)	არ ვიღებ/არ ვეცნობი სიახლეებს	25.7	7.3	2.8	2.9
	ქართულად	26.0	42.8	44.1	63.0
	აზერბაიჯანულად	32.9	22.9	14.0	11.8
	სომხურად	6.9	20.6	25.9	15.5
	რუსულად	0.3	3.1	4.9	6.3
	თურქულად	7.8	3.3	5.6	0.4
	არ ვიცი	0.3	0.0	0.0	0.0
კახეთი (N=379)	არ ვიღებ/არ ვეცნობი სიახლეებს	28.8	14.9	3.6	4.2
	ქართულად	19.5	43.0	50.0	62.5
	აზერბაიჯანულად	38.0	30.6	21.4	33.3
	თურქულად	13.2	11.6	25.0	0.0
	არ ვიცი	0.5	0.0	0.0	0.0
სამცხე-ჯავახეთი (N=379)	არ ვიღებ/არ ვეცნობი სიახლეებს	14.3	8.3	1.9	8.8
	ქართულად	14.3	16.0	15.1	28.8
	სომხურად	68.6	67.0	69.8	46.3
	რუსულად	2.9	8.7	13.2	16.3
ქვემო ქართლი	არ ვიღებ/არ ვეცნობი სიახლეებს	29.0	5.2	5.0	0.0
	ქართულად	12.9	22.4	20.0	41.5
	აზერბაიჯანულად	58.1	67.2	70.0	51.2
	რუსულად	0.0	1.7	0.0	4.9

		განათლების მიღწეული დონე			
რა ენაზე იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შესახებ?		არასრული საშუალო განათლება/დაწყებითი/ განათლების გარეშე	სრული საშუალო განათლება	საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება	უმაღლესი განათლება (არასრული /სრული/ხარისხი)
(N=381)	თურქულად	0.0	3.4	5.0	2.4

რესპონდენტებმა ისაუბრეს რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროებსა და ენაზე. როგორც აღმოჩნდა, შედარებით დიდი წილი ინფორმაციას იღებს ქართულ ენაზე (41.4%). გამოკითხულთა მიახლოებით მეხუთედი (18.9%) ინფორმაციას აზერბაიჯანულად იღებს. ასევე მნიშვნელოვანი წილი, ასახელებს სომხურ (16.1%) ენას. ხაზგასასმელია, რომ 14.2% არ იღებს ცნობებს რეგიონის შესახებ.

კახეთისთვის რეგიონში მიმდინარე მოვლენების თაობაზე ინფორმაციის მიღების ძირითადი ენები არის ქართული (28.2%) და აზერბაიჯანული (28.4%). პანკისის შემთხვევაში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ქართულ ენაზე იღებს ინფორმაციას (94.9%). სამცხე-ჯავახეთში ინფორმაციის მიღების უპირატესი ენაა სომხური (59.1%), ხოლო ქვემო ქართლში აზერბაიჯანული (52.5%). მეორე მხრივ, როგორც სამცხე-ჯავახეთში (17.9%), ასევე ქვემო ქართლში (27.4%) მნიშვნელოვანწილად იყენებენ ქართულ ენას, როგორც ინფორმაციის მიღების ენას. (იხ. დიაგრამა #42)

დიაგრამა #42



ინფორმაციის წყაროები

საქართველოში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შესახებ რესპონდენტთა შედარებით დიდი წილი (30.1%) საქართველოს სატელევიზიო არხებიდან იღებს ინფორმაციას. გამოკითხულთა მიახლოებით მეხუთედი (18.5%) ინფორმაციას იღებს სოციალური მედიიდან. ასევე მნიშვნელოვანწილად სახელდება აზერბაიჯანული მედიასაშუალებები (15.1%) და არაფორმალური წყაროები (11.5%). (იხ. დიაგრამა #43)

დიაგრამა #43



რაც შეეხება რეგიონში მიმდინარე მოვლენებს, მათ შესახებ რესპონდენტთა შედარებით დიდი წილი (29.1%) ინფორმაციას საქართველოს ეროვნული სატელევიზიო არხებიდან იღებს. ასევე აქტიურად დასახელებადი წყაროებია სოციალური მედია (22.4%) და არაფორმალური წყაროები (20.5%). გამოკითხულთა მნიშვნელოვანი წილი ასევე ასახელებს საქართველოს ადგილობრივ სატელევიზიო არხებს (10.9%) და საქართველოს ინტერნეტ გვერდებს (7.5%). (იხ. დიაგრამა #44)

დიაგრამა #44



მედია საშუალებების ნდობა

რესპონდენტებმა დაასახელეს, თუ რამდენად ენდობიან იმ მედია საშუალებებს, საიდანაც იღებენ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. შეფასება, „ნაწილობრივ ვენდობი. ნაწილობრივ-არა“ დომინანტურია საქართველოს სატელევიზიო არხების (57%), საქართველოს ჟურნალ-გაზეთების (74.9%), საქართველოს ინტერნეტ გვერდების (61.3%), საქართველოს რადიო არხების (63.3%), რუსული მედიასაშუალებების (52.3%), სომხური მედიასაშუალებების (57.8%), სოციალური მედიის (67.9%) და არაფორმალური წყაროების (53.9%) შემთხვევაში.

შეფასება „ძირითადად ვენდობი“ დომინანტურია აზერბაიჯანული (53.4%) მედიასაშუალებების შემთხვევაში. (იხ. დიაგრამა #45)

დიაგრამა #45



რეგიონში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების სანდოობის კუთხით, რესპონდენტების შედარებით დიდი წილი შუალედურ პოზიციას იკავებს („ნაწილობრივ ვენდობი, ნაწილობრივ - არა“) საქართველოს სატელევიზიო არხების (57.2%), საქართველოს ინტერნეტ გვერდების (42.5%), სომხური მედიასაშუალებების (63.7%), სოციალური მედიის (54.7%), თურქული მედიასაშუალებების (40.5%) შეფასებისას.

(იხ. დიაგრამა #46)

დიაგრამა #46



თავი 13. ადგილობრივი თვითმმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მიმართვის გამოცდილება

რესპონდენტებმა ისაუბრეს ბოლო 2 წლის განმავლობაში ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობაზე. როგორც აღმოჩნდა, ამ პერიოდში რესპონდენტდა დიდ უმრავლესობას არ მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობისათვის არც პირადი ან ოჯახის საჭიროებისათვის (82.8%) და არც საზოგადოებრივი საჭიროებისათვის (89.7%). პირადი ან ოჯახის საჭიოებისათვის ადგილობრივ თვითმმართველობას ბოლო 2 წელში ერთხელ მაინც მიმართა 13.3%-მა (ერთი პრობლემის გამო-9.1%; რამდენიმე პრობლემის გამო-4%), ხოლო საზოგადოებრივი საჭიროებისათვის - 6.1%-მა (ერთი პრობლემის გამო-3.6%; რამდენიმე პრობლემის გამო-2.5%). (იხ. დიაგრამა #47)

დიაგრამა #47



ადგილობრივი თვითმმართველობის ღონისძიებებში მონაწილეობა

რესპონდენტებმა ისაუბრეს თავიანთ ინფორმირებულობაზე მუნიციპალურ საქმიანობაში / გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა მიახლოებით თანაბრად არაინფორმირებულია, რომ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვის (78%), მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავების (77.8%), ქალაქში/მუნიციპალიტეტში გასამართი სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის (77.2%), ქალაქის/სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრის (76.6%) პროცესებში. (იხ. დიაგრამა #48)

დიაგრამა #48



კორელაციური ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ რაც უფრო უმჯობესდება ქართული ენის ცოდნა, მით უფრო მცირდება რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ არ არის ინფორმირებული ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესახებ, როგორებიცაა: ბიუჯეტის დაგეგმვა (ცუდად-85.2%; საშუალო-78.9%; კარგად-71.2%), მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავება (ცუდად-85.1%; საშუალო-78.9%; კარგად-70.9%), ქალაქში/მუნიციპალიტეტში გასამართი სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა (ცუდად-82.9%; საშუალო-79%; კარგად-70.7%) და ქალაქის/სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრა (ცუდად-85.3%; საშუალო-77.8%; კარგად-67.9%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$). (იხ. ცხრილი #43)

ცხრილი #43

რამდენად ხართ ინფორმირებული იმის შესახებ, რომ თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ შემდეგ ღონისძიებებში? (N=1510) (%)		**ქართული ენის ცოდნის დონე**			
		ცუდად	**საშუალოდ**	**კარგად**	**მიჭირს პასუხის გაცემა**
ბიუჯეტის დაგეგმვა	არ ვარ ინფრომირებული	85.2	78.9	71.2	83.3
	მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ვარ	6.9	11.3	13.7	5.6
	ინფორმირებული ვარ	0.9	3.5	6.6	-
	უარი პასუხზე	2.6	3.5	4.1	5.6
	მიჭირს პასუხის გაცემა	4.5	2.9	4.3	5.6
მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავება	არ ვარ ინფრომირებული	85.1	78.9	70.9	77.8
	მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ვარ	7.1	11	14.2	5.6
	ინფორმირებული ვარ	0.6	3.2	7.1	-
	უარი პასუხზე	3.2	3.8	4.3	5.6
	მიჭირს პასუხის გაცემა	4.1	3.2	3.5	11.1
ქალაქში/ მუნიციპალიტეტში გასამართი სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა	არ ვარ ინფრომირებული	82.9	79	70.7	88.9
	მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ვარ	8.5	9.5	14.0	-
	ინფორმირებული ვარ	0.7	4.0	6.8	-
	უარი პასუხზე	3.7	3.4	4.3	5.6
	მიჭირს პასუხის გაცემა	4.1	4	4.1	5.6

		ქართული ენის ცოდნის დონე			
რამდენად ხართ ინფორმირებული იმის შესახებ, რომ თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ შემდეგ ღონისძიებებში? (N=1510) (%)		**ცუდად**	**საშუალოდ**	**კარგად**	**მიჭირს პაუხოს გაცემა**
ქალაქის/სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრა	არ ვარ ინფრომირებული	85.3	77.8	67.9	88.9
	მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ვარ	6.9	11.5	17.4	-
	ინფორმირებული ვარ	0.9	3.7	6.3	-
	უარი პასუხზე	3.2	3.5	4.5	5.6
	მიჭირს პასუხის გაცემა	3.7	3.5	4.0	5.6

რესპონდენტებს, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, დაესვათ კითხვა, თავად ან მათი ოჯახის წევრს თუ მიუღია მონაწილეობა რომელიმე ღონისძიებაში. გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ არც მათ არც მათი ოჯახის წევრებს არ მიუღიათ მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვის (89.8%), მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავების (83.5%), ქალაქში/მუნიციპალიტეტში გასამართი სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის (84%), ქალაქის/სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრის (77%) პროცესებში.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებულ რესპონდენტთა მეხუთედი (20.7%) მიუთითებს მისი ან მისი ოჯახის წევრის მონაწილეობაზე ქალაქის/სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრის ღონისძიებაში. სხვა მიზნის შეხვედრების შემთხვევაში მონაწილეობის მაჩვენებელი 15%-ზე დაბალია (ბიუჯეტის დაგეგმვა-8.1%, მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავება-14.4%, ქალაქში/მუნიციპალიტეტში გასამართი სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა-13.7%). (იხ. დიაგრამა #49)

დიაგრამა #49



რესპონდენტებმა, ვისაც სმენია ადგილობრივი თვითმმართველობის ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობებზე, თუმცა არ მიუღია მონაწილეობა, დაასახელეს ამის მიზეზები. მეოთხედის (26.9%) შემთხვევაში მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ რესპონდენტი არ მიუწვევიათ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. შემთხვევათა 15.3%-ისათვის მიზეზი იყო დროის არქონა, ხოლო 14.4%-ისათვის ინტერესის არქონა. 10.3%-ის თანახმად, მონაწილეობას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა. (იხ. დიაგრამა #50)

დიაგრამა #50



ადგილობრივი ორგანოების შესახებ ინფორმირებულობა

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (57.9%) ამბობს, რომ ადგილობრივი ორგანოების საქმიანობისა და მოვალეობების შესახებ ინფორმირებული არ არის. რესპონდენტთა მესამედი (33.7%) თვლის, რომ ნაწილობრივ ინფორმირეულია. ხოლო საკმაოდ ინფორმირებულობაზე მიუთითებს მხოლოდ 3.3%. (იხ. დიაგრამა #51)

დიაგრამა #51



გამოკითხულთა უმეტესობა (63%) ამბობს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში 1 ადამიანი მაინც იცნობს (დიახ, უმეტესობას-9.9%; დიახ, ზოგიერთს-24.6%; დიახ, 1-2 ადამიანს-28.6%). მეორე მხრივ, რესპონტთა 28.6% ამბობს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში არავის იცნობს. (იხ. დიაგრამა #52)

დიაგრამა #52



როგორც კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რაც უფრო იზრდება ქართული ენის ცოდნის დონე, მით მეტია რესპონდენტების წილი, ვინც ამბობს, რომ იცნობენ ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულ პირთაგან უმეტესობას ან ზოგიერთს. კონკრეტულად, ქართული ენის ცუდად მცოდნე რესპონდენტებისათვის ეს წილი არის 18.5% (უმეტესობას-1.5%; ზოგიერთს-17%), ქართული ენის საშუალო დონეზე მცოდნეთათვის - 31.7% (უმეტესობას-7.8%; ზოგიერთს-23.9%), ხოლო ქართული ენის კარგად მცოდნეებისთვის ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია - 50.9% (უმეტესობას-18.8%; ზოგიერთს-32.1%). ტენდენცია ნარჩუნდება რეგიონების ჭრილში, კერძოდ:

- კახეთის რეგიონში, ქართული ენის ცუდად მცოდნე რესპონდენტებს შორის 21.9% მიუთითებს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული პირებიდან უმეტესობას (2.2%) ან ზოგიერთს იცნობს (19.7%). ეს წილი იზრდება ქართული ენის საშუალო დონეზე მცოდნეებს შორის (უმეტესობას-8.7%; ზოგიერთს-22%) და ყველაზე მეტია ქართული ენის კარგად მცოდნეებს შორის (უმეტესობას-19.4%; ზოგიერთს-25.9%)
- პანკისის შემთხვევაში, ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულ პირებს შორის უმეტესობის ან ზოგიერთის პირადად ცნობის მაჩვენებელი ქართული ენის ცუდად ცოდნიდან (უმეტესობას-10%; ზოგიერთს-10%) კარგად ცოდნამდე (უმეტესობას-21.8%; ზოგიერთს-36.7%) 38.5%-ით იზრდება.
- რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, ქართული ენის ცუდად ცოდნის ჭრილში მაჩვენებელი 18.4%-ია (უმეტესობას-0.6%; ზოგიერთს-17.8%), რაც ენის საშუალოდ ცოდნის ჭრილში იზრდება 34.7%-მდე (უმეტესობას-6.1%; ზოგიერთს-28.6%), ხოლო ენის კარგად ცოდნის ჭრილში 39%-ს აღწევს (უმეტესობას-14%; ზოგიერთს-25%).
- ქვემო ქართლის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების უმეტესობის ან ზოგიერთის პირადად ცნობის მაჩვენებელი ქართული ენის ცუდად ცოდნის შემთხვევაში 16.7%-ია (უმეტესობას-1.4%; ზოგიერთს-15.3%). ქართული ენის საშუალო დონეზე ცოდნის შემთხვევაში ეს წილი იზრდება 30.4%-მდე (უმეტესობას-9.8%; ზოგიერთს-20.6%), ხოლო ქართულის კარგად მცოდნეთა ჭრილში 40%-ს უტოლდება (უმეტესობას-10%; ზოგიერთს-30%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$). (იხ. ცხრილი #44)

ცხრილი #44

იცნობთ თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობაში (მერია/საკრებულო) დასაქმებულ პირებს? (%)		ქართული ენის ცოდნის დონე			
		ცუდად	საშუალოდ	კარგად	მიჭირს პასუხის გაცემა
რესპონდენტები (N=1510)	დიახ, უმეტესობას	1.5	7.8	18.8	-
	დიახ, ზოგიერთს	17.0	23.9	32.1	16.7
	დიახ, 1-2 ადამიანს	34.8	23.9	25.6	33.3
	არცერთს	39.6	36.0	14.4	27.8
	უარი პასუხზე	0.2	0.3	1.0	5.6
	არ ვიცი/ვერ ვიხსენებ	6.9	8.1	8.1	16.7
კახეთი (N=379)	დიახ, უმეტესობას	2.2	8.7	19.4	-
	დიახ, ზოგიერთს	19.7	22.0	25.9	42.9
	დიახ, 1-2 ადამიანს	32.1	24.4	28.7	42.9
	არცერთს	41.6	35.4	20.4	14.3
	არ ვიცი/ვერ ვიხსენებ	4.4	9.4	5.6	-
პანკისი (N=370)	დიახ, უმეტესობას	10.0	4.8	21.8	-
	დიახ, ზოგიერთს	10.0	28.6	36.7	-
	დიახ, 1-2 ადამიანს	20.0	-	20.9	40.0
	არცერთს	50.0	57.1	11.6	40.0
	უარი პასუხზე	-	-	0.9	-
	არ ვიცი/ვერ ვიხსენებ	10.0	9.5	8.1	20.0
სამცხე-ჯავახეთი (N=379)	დიახ, უმეტესობას	0.6	6.1	14.0	
	დიახ, ზოგიერთს	17.8	28.6	25.0	
	დიახ, 1-2 ადამიანს	40.2	22.4	32.0	14.3
	არცერთს	30.5	32.7	16.0	42.9
	უარი პასუხზე	-	-	-	14.3
	არ ვიცი/ვერ ვიხსენებ	10.9	10.2	13.0	28.6
ქვემო ქართლი (N=381)	დიახ, უმეტესობას	1.4	9.8	10.0	-
	დიახ, ზოგიერთს	15.3	20.6	30.0	-
	დიახ, 1-2 ადამიანს	32.9	28.4	36.7	-
	არცერთს	45.4	36.3	15.0	-
	უარი პასუხზე	0.5	1.0	5.0	-
	არ ვიცი/ვერ ვიხსენებ	4.6	3.9	3.3	-

კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულ პირებთან ნაცნობობა განსხვავებულია სქესის მიხედვით:

- **კახეთის** (პანკისის გარდა) რეგიონში მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა ნახევარი (50.3%) ამბობს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულ პირთაგან არცერთს

არ იცნობს. მამრობითი სქესის რესპონდენტებს შორის მხოლოდ 15.8% არის ასეთი. **სამცხე-ჯავახეთსა და პანკისში** ტენდენცია ნარჩუნდება, რამდენადაც მამრობითი სქესის წარმომადგენლები (სამცხე-ჯავახეთი - 66.5%; პანკისი - 77.3%) შედარებით ხშირად მიუთითებენ ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულ პირთა ცნობაზე, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (სამცხე-ჯავახეთი - 54.8%; პანკისი - 72.8%);

- **ქვემო ქართლის** რეგიონში ვითარება საპირისპიროა: მამრობითი სქესის წარმომადგენელთა შედარებით დიდი ნაწილი (43.5%) აფიქსირებს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულ პირებს არ იცნობს, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადეგნლებთან შედაებით (32.7%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #45)

ცხრილი #45

იცნობთ თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობაში (მერია/საკრებულო) დასაქმებულ პირებს? (სქესის ჭრილში) (%)	კახეთი (N=381)		სამცხე-ჯავახეთი (N=379)		ქვემო ქართლი (N=380)		პანკისი (N=369)	
	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი	მდედრობითი
დიახ, უმეტესობას	15.8	3.1	8.8	2.5	6.5	3.6	23.2	17
დიახ, ზოგიერთს	30	14.7	29.1	15.2	14.1	23.5	41.4	28.7
დიახ, 1-2 ადამიანს	31.6	25.7	28.6	37.1	28.8	35.7	12.7	27.1
არცერთს	15.8	50.3	26.4	28.4	43.5	32.7	13.8	17.6
არ ვიცი/ ვერ ვიხსენებ	6.8	6.3	0.5	-	1.6	1	1.7	-
უარი პასუხზე	-	-	6.6	16.8	5.4	3.6	7.2	9.6

თავი 14. სახელმწიფო სტრუქტურები და საზოგადოებრივი პოლიტიკა

რესპონდენტებმა ისაუბრეს პოლიტიკის საკითხების შესახებ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (58.7%) პოლიტიკით დაინტერესებული არ არის. რესპონდენტთა შორის 29.5% არის ისეთი, ვისაც პოლიტიკა მეტ-ნაკლებად აინტერესებს. მხოლოდ 10.2% გამოთქვამს პოლიტიკისადმი ინტერესს. (იხ. დიაგრამა #53)

დიაგრამა #53



ეთნიკური ჯგუფის წინაშე არსებული პრობლემები

რესპონდენტებს ეთხოვათ დაესახელებინათ 3 ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც კონკრეტულად მათი ეთნიკური ჯგუფის წინაშე დგას. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა შედარებით დიდი წილისათვის ეს პრობლემები აღმოჩნდა უმუშევრობა (32.6%), სიღარიბე (26.4%) და სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა (14.4%).

შედარებით იშვიათად სახელდება ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა (5.7%), მიწების დაკანონება (4.6%), არჩევნების არასამართლიანობა (2.6%) და კორუფცია (2.4%).

ერთეულ შემთხვევებში რესპონდენტები მიუთითებენ სარწყავი წყლის (1 რესპონდენტი), პანდემიის (2 რესპონდენტი), მოსავლის რეალიზაციის (1 რესპონდენტი), დაბალი ხელფასების (1 რესპონდენტი) და შიდა პოლიტიკური პრობლემების საკითხებზე. (იხ. ცხრილი #46)

ცხრილი #46

რა არის 3 ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც კონკრეტულად თქვენი ეთნიკური ჯგუფის წინაშე დგას? (N=1510)	**%**
მიწების დაკანონების პრობლემა	4.6
სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა	14.4
ჯანდაცვა ხელმისაწვდომობის პრობლემა	5.7
კორუფცია	2.4
სასამართლოების მიკერძოებულობა	0.9
არჩევნების არასამართლიანობა	2.6
თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების უფლებების დარღვევები	1.1
უმუშევრობის პრობლემა	32.6
თქვენს ეთნიკურ ენაზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობა	0.7
ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის დაბალი ხარისხი	1.7
სიღარიბის პრობლემა	26.4

რა არის 3 ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც კონკრეტულად თქვენი ეთნიკური ჯგუფის წინაშე დგას? (N=1510)	**%**
უმაღლესი განათლების მიღების პრობლემა	1.1
თქვენი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის არასათანადო პირობების არსებობა	0.5
რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილება (მაგ. მეჩეთის მშენებლობა)	0.9
თქვენს ეთნიკურ ენაზე ბეჭდვითი გამოცემების/ლიტერატურის ხელმისაწვდომობა	1.1
სარწყავი წყალი	0.0
პანდემია	0.1
მოსავლის რეალიზაცია	0.0
დაბალი ხელფასები	0.0
შიდა პოლიტიკური პრობლემები	0.0
არაფერი	0.0
უარი პასუხზე	0.9
მიჭირს პასუხის გაცემა	2.1

პრობლემის მოგვარებისათვის აქტივობა

კონკრეტული პრობლემების დასახელების შემდგომ, რესპონდენტებს დაესვათ კითხვა ამ პრობლემების მოგვარებისათვის ბოლო 2 წლის განმავლობაში გამოყენებულ გზებზე. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა უმრავლესობას (71.4%) არცერთი გზა არ გამოუყენებია პრობლემების მოსაგვარებლად. მცირეა რესპონდენტთა წილი, ვინც პეტიციაში მონაწილეობის/კოლექტიური ხელმოწერების შეგროვებას (2.8%), მედიასაშუალებების გამოყენებით აღნიშნულ პრობლემებზე საჯარო საუბარს ან ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მიმართვას ასახელებს (2.1%). (იხ. ცხრილი #47)

ცხრილი #47

ბოლო 2 წლის განმავლობაში გამოგიყენებიათ თუ არა რომელიმე გზა პრობლემების მოსაგვარებლად? (N=1510)	**%**
პეტიციაში მონაწილეობა/კოლექტიური ხელმოწერების შეგროვება	2.8
საპროტესტო აქციის დაგეგმვა/საპროტესტო აქციაში მონაწილეობა	1.5
ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მიმართვა	2.1
პოლიტიკური თანამდებობის დაკავება (ადგილობრივ/ცენტრალურ თვითმმართველობაში დასაქმება, არჩევნებში კანდიდატურის წამოყენება)	0.8
ადგილობრივი ხელისუფლების სხდომებზე მონაწილეობის მიღება	1.4
პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე დასწრება	0.3
პოლიტიკურ პარტიაში შესვლა/პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობა	1.5
არასამთავრობო ორგანიზაციაში გაწევრიანება/დასაქმება	1.7
მედიასაშუალებების გამოყენებით აღნიშნულ პრობლემებზე საჯარო საუბარი	2.5
არცერთი	71.4

ბოლო 2 წლის განმავლობაში გამოგიყენებიათ თუ არა რომელიმე გზა პრობლემების მოსაგვარებლად? (N=1510)	%
უარი პასუხზე	5.1
მიჭირს პასუხის გაცემა	9.0

ნდობა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ

რესპონდენტებმა შეაფასეს თავიანთი ნდობა სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. გამოკითხულთა შედარებით დიდი წილი ნეიტრალურ პოზიციას იკავებს (ნაწილობრივ ვენდობი, ბაწილობრივ-არა) საქართველოს სასამართლო სისტემის (34.9%), საქართველოში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების (34.5%), საქართველოს პარლამენტის (37.1%), საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების (37%), საქართველოს პრეზიდენტის (34.2%), საქარტელოში არსებული პოლიტიკური პარტიების (36.9%), საქართველოს მასმედიის (40.9%), საქართველოს ადგილობრივი ხელისფლების (38.5%) მიმართ ნდობის შეფასების დროს.

რესპონდენტები ნდობის ჭრილში განიხილავენ საქართველოს პოლიციას (35.8%), აზერბაიჯანის ხელისუფლებას (25.8%), ევროკავშირს (29.5%) და ნატოს (28.7%). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ნდობას უცხადებს (55.2%) რელიგიურ ორგანიზაციებს.

გამოკითხულთა შედარებით დიდი წილი უნდობლობას აფიქსირებს რუსეთის ხელისუფლების (42.5%), სომხეთის ხელისუფლების (36.6%) და თურქეთის ხელისუფლების (23.5%) მიმართ. (იხ. დიაგრამა #54)

დიაგრამა #54



თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა არ იღებდა მონაწილეობას ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა: საარჩევნო კამპანიის დაგეგმვაში მონაწილეობა (93.4%), ეგზიტპოლების ჩატარებაში მონაწილეობა (95.6%), საარჩევნო კომისიის წევრობა/თავმჯდომარეობა (91.9%), რომელიმე პოლიტიკური პარტიის აგიტაცია (91.1%), საარჩევნო

ბუკლეტების ან საინფორმაციო ბროშურების გავრცელება (92.6%) და საარჩევნო სიების დაზუსტებაში მონაწილეობა (93.6%). (იხ. დიაგრამა #55)

დიაგრამა #55



კორელაციური ანალიზის თანახმად, **კახეთის** (პანკისის გარდა) **რეგიონში** გამოკითხულ რესპონდენტებს შორის, მამრობითი სქესის წარმომადგენლები მეტად იყვნენ ჩართული სხვადასხვა ტიპის აქტივობებში 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები. კერძოდ, ეს აქტივობებია:

- საარჩევნო კამპანიის დაგეგმვაში მონაწილეობა (მამრობითი-10.1%; მდედრობითი-2.6%);
- საარჩევნო კომისიის წევრობა/თავმჯდომარეობა (მამრობითი-10.6%; მდედრობითი-0.5%);
- რომელიმე პოლიტიკური პარტიის აგიტაცია (მამრობითი-16.9%; მდედრობითი-4.7%);
- საარჩევნო ბუკლეტების ან საინფორმაციო ბროშურების გავრცელება (მამრობითი-12.2%; მდედრობითი-2.6%);
- საარჩევნო სიების დაზუსტებაში მონაწილეობა (მამრობითი-4.7%; მდედრობითი-0%).

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$).

თავი 15. COVID-19 ვაქცინაციის შესახებ ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა

რესპონდენტებმა ისაუბრეს COVID-19 ვაქცინასა და ვაქცინაციის პროცესის გარშემო. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას (89.5%) COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინა არ გაუკეთებია. 9.1% ამბობს, რომ არის სრულად ვაქცინირებული, ხოლო 1.4%-ს გაკეთებული აქვს ვაქცინის ერთი დოზა.

ვაქცინაციაზე რეგისტრაციის შესახებ ინფორმირებულობა

რესპონდენტებს შორის, ვისაც COVID-19 ვაქცინა არ გაუკეთებია, შედარებით დიდი ნაწილი (39.3%) ვაქცინაციაზე რეგისტრაციის პროცედურების შესახებ ინფორმაციას ნაწილობრივ ფლობს.

ინფორმაციის არქონაზე მიუთითებს 30.6%, ხოლო 28.1% ამბობს, რომ რეგისტრაციის პროცედურის შესახებ ინფორმაციას აქვს.

ოთხივე რეგიონში ვაქცინაციაზე რეგისტრაციის შესახებ ინფორმირებულობას გამოკითხულთა უმრავლესობა აფიქსირებს. ხაზგასასმელია, რომ პანკისში (88.3%) გამოკითხული რესპონდენტები (დიახ, ვფლობ-45.1%; ნაწილობრივ ვფლობ-43.2%) მეტად მიუთითებენ, რომ ფლობენ შესაბამის ინფორმაციას, ვიდრე ეს სხვა რეგიონების შემთხვევაში ფიქსირდება: კახეთი- 54.3% (დიახ, ვფლობ-14.4%; ნაწილობრივ ვფლობ-39.9%), სამცხე-ჯავახეთი-60.4% (დიახ, ვფლობ-31.6%; ნაწილობრივ ვფლობ-28.8%), ქვემო ქართლი-67.3% (დიახ, ვფლობ-22.7%; ნაწილობრივ ვფლობ-44.6%). (იხ. დიაგრამა #56)

დიაგრამა #56



როგორც ირკვევა, ქართული ენის ცოდნის დონის ზრდასთან ერთად, იზრდება რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ COVID-19 ვაქცინაციაზე რეგისტრაციის პროცედურების შესახებ ინფორმაციას ფლობს. კერძოდ, ინფორმაციის ფლობას ადასტურებს ქართული ენის ცუდად მცოდნე რესპონდენტების 17.2%, საშუალო დონეზე მცოდნეთა 27.1% და კარგად მცოდნე რესპონდენტების 39.6%. იგივე ტენდენცია ნარჩუნდება კახეთის (ცუდად-6.6%; საშუალოდ-16.9%; კარგად-24.4%), სამცხე-ჯავახეთის (ცუდად-25.9%; საშუალოდ-36%; კარგად-40.5%) და ქვემო ქართლის (ცუდად-15.5%; საშუალოდ-30%; კარგად-39.2%), რეგიონებისთვის. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$). (იხ. ცხრილი #48)

ცხრილი #48

ფლობთ თუ არა ინფორმაციას COVID19-ის ვაქცინაციაზე რეგისტრაციის პროცედურების შესახებ? (%)		ქართული ენის ცოდნის დონე			
		ცუდად	საშუალოდ	კარგად	მიჭირს პასუხის გაცემა
რესპონდენტები (N=1510)	დიახ, ვფლობ	17.2	27.1	39.6	11.8
	ნაწილობრივ ვფლობ	40.0	40.4	38.0	35.3
	არა, არ ვფლობ	40.0	31.8	21.0	29.4
	უარი პასუხზე	0.2	-	-	-
	მიჭირს პასუხის გაცემა	2.6	0.6	1.3	23.5
კახეთი (N=379)	დიახ, ვფლობ	6.6	16.9	24.4	-
	ნაწილობრივ ვფლობ	47.8	39.0	26.7	66.7
	არა, არ ვფლობ	44.9	43.2	48.9	16.7
	მიჭირს პასუხის გაცემა	0.7	0.8	-	16.7

ფლობთ თუ არა ინფორმაციას COVID19-ის ვაქცინაციაზე რეგისტრაციის პროცედურების შესახებ? (%)		ქართული ენის ცოდნის დონე			
		ცუდად	საშუალოდ	კარგად	მიჭირს პასუხის გაცემა
სამცხე-ჯავახეთი (N=379)	დიახ, ვფლობ	25.9	36.0	40.5	-
	ნაწილობრივ ვფლობ	29.3	34.9	23.8	-
	არა, არ ვფლობ	38.1	27.9	35.7	66.7
	მიჭირს პასუხის გაცემა	6.8	1.2	-	33.3
ქვემო ქართლი (N=381)	დიახ, ვფლობ	15.5	30.0	39.2	-
	ნაწილობრივ ვფლობ	43.0	46.7	47.1	-
	არა, არ ვფლობ	40.1	23.3	9.8	-
	უარი პასუხზე	0.5	-	-	-
	მიჭირს პასუხის გაცემა	1.0	-	3.9	-

მათ შორის ვინც საერთოდ ან სრულად აცრილი არ არის, მხოლოდ 2.4%-ია დარეგისტრირებული ვაქცინაციაზე. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (93%) ვაქცინაციაზე არ არის დარეგისტრირებული. 4.6% უარს ამბობს პასუხზე, ან უჭირს პასუხის გაცემა.

კორელაციური ანალიზის შედეგად დგინდება, რომ COVID19-ის ვაქცინაციაზე რეგისტრაციის პროცედურების შესახებ ინფორმაციის ფლობა განსხვავდება სქესის ჭრილში. კერძოდ:

- **კახეთის (პანკისის გარდა) რეგიონში** გამოკითხულ რესპონდენტებს შორის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (52.7%) შედარებით ხშირად აფიქსირებენ, რომ COVID19-ის ვაქცინაციაზე რეგისტრაციის პროცედურების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები (35.7%);
- ტენდენცია საპირისპიროა **ქვემო ქართლის რეგიონში,** სადაც მამრობითი სქესის წარმომადგენლები (39.1%), აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შედარებით არაინფორმირებულები არიან, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (24%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი #49)

ცხრილი #49

	კახეთი (N=352)	ქვემო ქართლი (N=348)

	მ ა მ ო ვ ნ ი ს	მ ე ტ ს ნ ი ნ	მ ა მ ო ვ ნ ი ს	მ ე ტ ს ნ ი ნ
დიახ, ვფლობ	22.6	7.1	18.9	26.3
ნაწილობრივ ვფლობ	41.1	38.6	40.2	48.6
არა, არ ვფლობ	35.7	52.7	39.1	24
უარი პასუხზე / მიჭირს პასუხის გაცემა	0.6	1.6	1.8	1.2

ვაქცინაციასთან დაკავშირებული გეგმები

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (58.4%) ამბობს, რომ COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთებას არ აპირებს. 12.3% არის ისეთი, ვინც აპირებს ვაქცინაციას. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი (29.3%) უარს ამბობს პასუხზე, ან თავს იკავებს პასუხისგან. (იხ. დიაგრამა #57)

დიაგრამა #57



რესპონდენტთა შედარებით დიდი წილი (35.8%) არ ეთანხმება, რომ ვაქცინაცია აუცილებელია COVID-19 პანდემიის დასაძლევად (სრულიად არ ვეთანხმები-17.4%; უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები-18.5%). გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედი (22.7%) თვლის, რომ პანდემიის დასაძლევად ვაქცინაცია აუცილებელია (სრულიად ვეთანხმები-9.7%; უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები-13%). აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი იკავებს ნეიტრალურ პოზიციას (არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები-21.5%) ან უარს ამბობს პასუხზე/უჭირს პასუხის გაცემა (19.9%).

ვაქცინაციის აუცილებლობა

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში გამოკითხულ რესპონდენტთა შედარებით დიდი წილი (31.5%) ეთანხმება, რომ ვაქცინაცია აუცილებელია COVID-19 პანდემიის დასაძლევად (სავსებით ვეთანხმები-9.1%; უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა- 22.4%). სხვა რეგიონების ჭრილში, აღნიშნულ მოსაზრებას გამოკითხულთა მეოთხედზე ნაკლები ეთანხმება: კახეთი - 22.9% (სავსებით ვეთანხმები-11.3%; უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა - 11.6%); პანკისი - 19.8% (სავსებით ვეთანხმები-9.8%; უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა- 10%); სამცხე-ჯავახეთი - 16.5% (სავსებით ვეთანხმები-8.8%; უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა- 7.7%). (იხ. დიაგრამა #58)

დიაგრამა #58



კორელაციური ანალიზის თანახმად, ვლინდება განსხვავებები სქესის მიხედვით, COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის დასაძლევად **ვაქცინაციის აუცილებლობასთან** დაკავშირებით. კერძოდ, კახეთის (პანკისის გარდა) რეგიონში მამრობითი სქესის წარმომადგენელთა შედარებით დიდი ნაწილი (31.4%) უფრო ან სავსებით ეთანხმება მოსაზრებას, რომ ვაქცინაცია აუცილებელია COVID19-ით გამოწვეული პანდემიის დასაძლევად, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (14.6%); (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$) (იხ. ცხრილი 50)

ცხრილი #50

ვაქცინაცია აუცილებელია COVID19-ით გამოწვეული პანდემიის დასაძლევად (სქესის ჭრილში) (%)	კახეთი (N=379)	
	მამრობითი	მდედრობითი
სრულიად არ ვეთანხმები	15.4	19.4

უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	21.3	20.9
არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	18.6	22.5
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	13.8	9.4
სავსებით ვეთანხმები	17.6	5.2
უარი პასუხზე	1.6	1
მიჭირს პასუხის გაცემა	11.7	21.5

ბიბლიოგრაფია

გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), *ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება საქართველოში,* https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Child_Marriage_in_Georgia_GEO.pdf

„ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლისა და დასაქმების შესაძლებლობები და პერსპექტივები“, სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR), 2017 https://www.cciir.ge/images/pdf/CCIIR%20research%20report_2017.pdf

„ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის“ - პოლიტიკის დოკუმენტი, 2015 წ. https://cciir.ge/images/pdf/axali%20dokumenti.pdf

„ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით“ 1996 წ. https://www.osce.org/files/f/documents/1/3/32185.pdf

„2021-2024 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება“ (2020 წ.) HTTPS://SMR.GOV.GE/GE/NEWS/READ/1880/

„1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე“, სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR), 2018 https://www.cciir.ge/images/Research-cciir-2018-14.pdf

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, *კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები,* 2018, http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf

ეთნიკური უმცირესობების დასაქმების პოლიტიკა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021 https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-dasakmebis-politika

ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი (EMC), 2020 https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-mimart-ganatlebis-politikis-sistemuri-gamotsvevebi

ენობრივი ბარიერი: საქართველოს უმცირესობის სკოლის მოსწავლეებისთვის ღირსეული განათლების უზრუნველყოფის უწყვეტი გამოწვევა, Civil.ge, 2021 https://civil.ge/archives/421176

ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, 2017 https://eecmd.org/wp-content/uploads/2017/07/Policy_Papers_ENG.pdf

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, http://census.ge/ge/results/census1

მწვანე კავკასია, *ეთნიკური უმცირესობები ქვემო ქართლის მუნიციპალურ ორგანოებში,* 2016, http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2017/01/Minorities-in-Kvemo-Kartli-Municipal-Administrations_-research-presentation-16092016.pdf

პოლიტიკის ნარკვევების კრებული, *ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში,* https://eecmd.org/wp-content/uploads/2017/08/Policy_Papers_GEO.pdf

რადიო თავისუფლება, მარნეული და ბოლნისი ჩაიკეტა, https://www.radiotavisupleba.ge/a/30503518.html

რადიო თავისუფლება, ქამრან მამადლი, *დომინანტური მზერა საქართველოს აზერბაიჯანული თემის მიმართ,* https://bit.ly/3oMEx0A

საზოგადოებრივი მაუწყებელი, *ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი- ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ტელემაყურებელთა კვლევა,* 2020, https://bit.ly/3imYrLS

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა, https://smr.gov.ge/uploads/Files/_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/danarti_1.pdf

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა. 2015. esge_402dd469.pdf (smr.gov.ge)

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები 2017-2018, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული ტოლერანტობის ცენტრი https://www.ombudsman.ge/res/docs/2020092518514921894.pdf

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა „დემოკრატ მესხთა კავშირი“ (UDM) და საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია (GRMA), *უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით,* https://gdi.ge/uploads/other/0/708.pdf

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ (მუხლი 13, პუნქტი 7) https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ (სტრასბურგი, 01.02.1995), (ნაწილი I, მუხლი 1) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, 2020, https://www.ombudsman.ge/res/docs/2020092417162834667.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

საქართველოში უმაღლესი განათლების უმცირესობათა კვოტების სისტემის პოლიტიკის შესწავლა 2010-2019 წლებში, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2020, https://cciir.ge/images/10.06.-Studof-the-Higher-Education-Minority-Quota-System-Policy-in-Georgia.pdf

სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო, http://tolerantoba.ge/index.php?id=1345205225

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, http://www.zspa.ge/geo/page/15

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები - რეალობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება“, 2020 https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_GEO_1622120137.pdf

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა“ (2019) A5_GEO-RUS.indd (ewmi-prolog.org)

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, *ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია,* https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A3-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_1595313088.pdf

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, *იმედგაცრუებული და არაღიარებული ახალგაზრდები ეთნიკური უმცირესობების თემებიდან,* 2021, https://socialjustice.org.ge/ka/products/imedgatsruebuli-da-araghiarebuli-akhalgazrdebi-etnikuri-umtsiresobebis-temebidan

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, *კულტურული დომინაციის და უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში,* 2020, https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_1607340919.pdf

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, *ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა,* 2019, https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, კოალიცია თანასწორობისთვის, https://osgf.ge/movuwodebt-sakhelmwifosa-da-mediebs-sainformacio-politikashi-umciresobebis-enebi-gaitvaliswinon/

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, *სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში,* https://smr.gov.ge/uploads/Files/_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/DRAFT-2020-Annual-report-01.04.2021.pdf

„EMC 7 მუნიციპალიტეტს საბიუჯეტო რეკომენდაციებით და ინიციატივებით მიმართა", 2020, https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-7-munitsipalitets-sabiujeto-rekomendatsiebit-da-initsiativebit-mimarta